

114  
1925

*Handwritten blue ink scribbles*



*Large red calligraphic letters forming the word 'СОВЕТСКИЙ' (Sovetskiy)*


*№ 1(9)*

1925



პრეტლუცარულთ ყველა ეჭყყნისა, შერტდით!

საქართველოს  
საბჭოთაო  
მთავრობის  
გამომცემლობა



3832

# შე 1 (9)

სოციალური სამსახური სალიტერატურო  
და სამეცნიერო ჟურნალი

ი ა ნ ვ ა რ ი

თბილისი 1925 წელი







საქართველოს  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: {  
მ. ზახტაძე.  
მ. ქანინანი.  
დ. რუხაძე.

გამომცემელი: {  
საბავთველოს კულტურა-განათ-  
ლების მთავარ-მართველობა.





16806750  
613-410230





# ლენინი.

საქართველოს  
საბჭოთაო რევოლუციის

ლენინზე წერა მეტად ძნელია. მარტო უკანასკნელი წელიწადი რომ ავიღოთ, იმდენი დაიწერა მასზე, რამდენიც, ვგონებ, ჯერ არ დაწერილა არც ერთ სხვა ადამიანზე. არ გეყოფათ დრო არა თუ გადაიკითხოთ ყველაფერი ის, რაც დაიწერა ლენინზე, არამედ თუნდაც ზერეულად გაეცნოთ ყველა ამას. მეორე მხრივ, ლენინი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეშივე შეიქმნა მთელი კაცობრიობის უდიდესი ნაწილის სათაყვანებელ პიროვნებად. ყველა ქვეყნის ტანჯულთა და დაჩაგრულთათვის იგი გახდა შარავანდედის გარემოცულ ლეგენდარულ პიროვნებად. ლენინის წინაშე კრთებიან თითქმის ყველა სხვა ცნობილი პიროვნებანი მსოფლიო მნიშვნელობისა, გარდა კარლ მარქსისა და ფრ. ენგელსისა. და თითქმის ლენინის პირადი მტრებიც კი მისი გარდაცვალების გამო იძულებული შეიქმნენ ქელი მოეხარათ მის წინაშე და საქვეყნოდ დაედასტურებიათ მისი გონებრივი სიდიადე და ზნეობრივი ხიბუტაკე.

თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთ ადამიანზე ლაპარაკი და მსჯელობა შერის მეტად ძნელი საქმეა. მასთან ეს უხერხულიცაა, რა უნდა სთქვა ისეთი რამ, რაც სხვას არ უთქვამს შენზე წინ და შენზე უკეთესად. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ცოცხალი არიან ის პირები, რომელთაც დიდი დროს განმავლობაში უმუშავენიათ და უბრძოლიათ ლენინთან ერთად, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში მასთან ერთად უწევიათ ცხოვრების ჭაპანი, ყოფილან მასთან ჭირში და ლხინში, პირადად ყოფილან მოწამენი იმის, თუ რა ღრმა გაუღენას ახდენდა ლენინი ყველა იმათზე, ვინც მის გარშემო იმყოფებოდენ, მუშებზე, გლეხებზე, ჯარისკაცებზე. ამიტომ შიშობ არა სთქვა ისეთი რამ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს.

მაგრამ ნიუხედავად ყველა ამისა, თავს მაინც ვერ იკავებ და გრძნობ წყურვილს ლენინზე წერისას. ეს მოასწავებს იმას, რომ ეს თემა არ ამოიწურება მანამ, სანამ კაცობრიობა სრულიად არ განთავისუფლდება სოციალური მონობიდან, სანამ არ მოისპობიან კლასები, სანამ კაპიტალისტური მონობა და ჩაგვრა, იმპერიალისტური ომები და სასაკლაოები ისტორიის არ ჩაპბარდებიან. სანამ ეს არ მოხდება, სანამ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, რა ფორმითაც ეს არ უნდა იყოს, ადგილი ექნება, ლენინზე წერა საჭირო იქნება.

მთელი თანამედროვე კაცობრიობა ბედნიერია მით, რომ იგი ცხოვრობდა ლენინის დროს; განსაკუთრებით ბედნიერია მუშათა კლასი, პროლეტარიატი, რომელმაც წარმოშვა, რომელსაც ყავდა ასეთი შეუდარებე-



ლი ბელადი. ლენინის მსგავსი ადამიანები იბადებიან მეტად იშვიათად, მთელი საუკუნოების სივრცეზე კაცობრიობას ევლინება მხოლოდ ერთი ან ორი. შემთხვევით ხდება ასეთი ადამიანების მოვლინება თუ ეს ხდება თანახმად ისტორიული კანონების განვითარებისა?—ამის გარკვევას ჩვენ აქ ვერ გამოუდგებით. მართალია, ჩვენ აქ უნებლიედ გვაგონდება ფრ. ენგელსის სიტყვები „ვეგრედ წოდებულ დიდ ადამიანების შესახებ“. აი ეს სიტყვები: „ის გარემოება, რომ აი სწორედ ეს დიდი ადამიანი ევლინება ქვეყანას განსაზღვრულ დროს,—რა თქმა უნდა სრულიად შემთხვევითი მოვლენაა. თუ ჩვენ ამ ადამიანს სრულებით გამოვრიცხავთ ანგარიშიდან, მაშინ იბადება მოთხოვნილება იმის, რომ რაიმე ნაირად მისი მოადგილე აღმოვაჩინოთ, და ასეთი მოადგილე, ავად იქნება თუ კარგად, დროს განმავლობაში უთუოდ მოინახებაო“. <sup>1)</sup> რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ისეთი დიდი ადამიანის, როგორც იყო ლენინი, მოვლინების ახსნა ისტორიის კანონებით, და ჩვენ უღებულობთ იმას, რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთახხმოთ ენგელსს აი რაში: ვსთქვათ ჩვენ ამოვშალეთ ლენინი მეოცე საუკუნის ისტორიიდან, მაგრამ ვინ დაიჭერდა მის ადგილს, ვინ გახდებოდა მისი მოადგილე? ჩვენ ვერ ვხედავთ ასეთ მოადგილეს.

მართალია, ლენინმა შექმნა, გამოსქედა კომუნისტური პარტია, გაწვრთნა და დარაზმა პროლეტარიატის რამდენიმე თაობა საბრძოლველად კაპიტალიზმის წინააღმდეგ, დაარსა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი და განახორციელა საქმიან მარქსის და ენგელსის ერთი ანდერძთაგანი—პროლეტარიატის დიქტატურა,—და ყველა ეს ორგანიზაციები განაგრძობენ ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს—სოციალიზმის განხორციელებას,—მაგრამ აბა ერთი წარმოვიდგინოთ რუსეთის სოც.-დემ. პარტიის (ბოლშევიკების) რევოლუციონური მუშაობა წარსულში, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ულენინოდ.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს პარტია იქნებოდა, ეჭვს გარეშეა, რომ პროლეტარიატი და გლეხკაცობაც ჩაებნოდა ბრძოლაში როგორც თვითმპყრობედობის, ისე ბურჟუაზიის და მემამულეების წინააღმდეგ, მაგრამ როგორ განვითარდებოდა ეს ბრძოლა რუსეთში ულენინოდ? სოც.-დემოკრატიული პარტიები იყვნენ სხვა ქვეყნებშიდაც, და ერთ დროს მეტად ძლიერი (გერმანია), მუშათა მოძრაობაც სწარმოებდა სხვა ქვეყნებშიც, ერთ დროს საკმარისად ძლიერი, მაგრამ უოფელივე ეს გამოიფიტა უდროოდ, ან გარდაიქმნა და მიიღო სრულიად შახინჯი სახე; და დღემდეც მუშათა მოძრაობას იმ ქვეყნებში ვერ დაუხწევია თავი ამ გადამახინჯებული მდგომარეობისა თვის, ტრედ. უნიონიზმის, ოპორტუნიზმის, მენშევიზმის

<sup>1)</sup> იხ. ენგელსის წერილი გ. შტარკენბურგის მიმართ 1894 წლის 25 იანვრის, თარიღით.





და სხვათა სახით. ეფიქრობთ, რომ რუსეთშიაც მუშათა მოძრაობა პირველ ხანებში მაინც ულენინოდ ვერ ასცდებოდა ამ გზას.

ვის შეუძლია იმის უარის ყოფა, რომ რუსეთის ბოლშევიკური პარტიის შექმნა თავისი ტაქტიკით, სტრატეგიით და მეთოდებით ლენინის საქმე იყო. ამ გარემოებამ ხომ თავიდანვე განსაზღვრა რევოლუციონური მოძრაობის ბედი რუსეთში, როგორც გამოცდილი ხუროთმოძღვარი ჯერ მოხაზავს ანუ შეადგენს დაწვრილებითი გეგმას შენობისას და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგება იგი თვით შენობის აგებას, ისევე მოიტეცა ლენინი: იგი შეუდგა რუსეთში საყოველთაო სახალხო რევოლუციის მოწყობას ისე, რომ თითქო მას წინდაწინვე ჰქონდა ამ რევოლუციის ყოველივე წერილმანი შესწავლილი და გათვალისწინებული. მეტად საგულისბმიეროა ამ მხრით ერთი შემთხვევა, რომელსაც გადმოგვცემს თვით ლენინის და—მარჩიამ ილიას ასული. ეს ამბავი ეკუთვნის 1887 წელს, როცა მეფის მთავრობამს იკვდილით დასაჯა ლენინის უფროსი ძმა—ალექსანდრე. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა „ნაროდნიკა ვოლიას“ ტერორისტულ პარტიას, და მას სიკვდილი მიუსაჯეს ალექსანდრე მესამეს მოკვლის განზრახვისათვის. და აი, როცა ძმის სიკვდილით დასჯის ამბავი გაიგო ლენინმა, მას უთქვამს: „არა, ჩვენ ხხვა გზით წავალთ. ამ გზით ხიარული არ ვარგაო“. ეს ნიშნავდა აი რას: თვითმპყრობელობას უნდა მოეღოს ბოლო; მაგრამ ამას მოახდენს არა ერთი მუჟა ინტელიგენცია, თუნდაც აღჭურვილი პირდაპირ საზღაპრო გამბედაობით და თავგანწირვით, არამედ თვით ხალხი. თავის თავად იგულისხმება, რომ საკითხის ასე დაყენება ცოტას არ ნიშნავდა, მეტადრე იმ დროს და მეტადრე 17-18 წლის ყმაწვილი კაცისთვის.

ჩვენ ვიცით, რომ ეს ხხვა გზა მარქსიზმი იყო. ლენინმა აირჩია ეს გზა. მან შეისწავლა მარქსიზმი პირველ წყაროებიდან, ე. ი. თვით მარქსის და ენგელსის ნაწერებიდან. ეს ადვილი საქმე არ იყო, ვინაიდან თეორიული მარქსიზმი, ე. ი. ის მარქსიზმი, რომელსაც ატარებდენ ცხოვრებაში მაშინდელი სოც.-დემოკრატიული პარტიები, ძირეულად განსხვავდებოდა ნამდვილი რევოლუციონური მარქსიზმისაგან. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს თეორიული მარქსიზმი სოციალისტურ პარტიების (მენშევიკების) უმეტესობის ხელში, თანდართან იცვლიდა ფერს და უკანასკნელ დროს სრულებით გადაგვარდა და მას ნამდვილი მარქსიზმის არა შერჩენოდა რა.

ლენინის დანიშნულებას ანუ ამოცანას შეადგენდა გამოეყენებია მარქსიზმი რუსეთის პირობებში. ეს თავის თავად მეტად ძნელი ამოცანა იყო. აქ ბევრმა პირველხარისბოვანმა მოღვაწემ მოიტეხა ფეხი (მაგ., პლეხანოვმა) ლენინმა არა თუ თვითონ ბოლომდის შეუწყველად იარა ამ გზით, არამედ მან სამაგალითოდ უწინამძღვრა ამ გზაზე ჯერ ერთი ქვეყნის





რუსეთის ერთ უდიდეს პარტიას და შემდეგ ახლად შობილ მსხვერპლ კომუნისტურ ინტერნაციონალსაც. მეტადრე საყოველთაო განცვიფრებას და გაკვირვებას იწვევს ლენინი 1914 წლის იმპერიალისტური ომის დაწყებიდან და განსაკუთრებით 1917 წელს რევოლუციის დაწყებიდან. რუსეთში ლენინის უდიდესი ნიჭი (გენია) ამ ხნიდან შლის თავის ფრთებს. იგი წინასწარმეტყველური სიცხადით ითვალისწინებს მომავალ ისტორიულ ამბებს. იგი მოქმედებს აუჩქარებლად, გამოუთქმელი სიფრთხილით, მაგრამ იმავე დროს ერთ წუთსაც არ ჰკარგავს. მთელ თავის ყურადღებას აბყრობს არა იმას, რაც უკვე მოხდა, რაც დღეს არის, არამედ იმას რაც უნდა მოხდეს ზვალ, ზევ, ერთი თვის ან ერთი წლის შემდეგ. წარსული და აწმყო მისთვის იმდენად საჭირო და საინტერესო, რამდენადაც ყველა ამის საშვალეებით იგი ითვალისწინებს მომავალ ამოცანებს და აი სწორედ ეს თვისება ჰქმნიდა მას ნამდვილ ბელადათ და მეთაურად, ნამდვილ წინამძღოლად და ხელმძღვანელად. იგი იყო რევოლუციის ნამდვილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. თუ 1905 წლის და 1917 წლის თებერვლის რევოლუციებს ლენინის ხელმძღვანელობის დალი შედარებით ნაკლებად ატყვია, ყოველ შემთხვევაში ოქტომბრის რევოლუციის იგი ამზადებს, აწყობს და ხელმძღვანელობს წინასწარ შემუშავებული გეგმით. ულენინოდ ჩვენ ან არ გვექნებოდა ოქტომბრის რევოლუცია სრულებით, ან ის გვექნებოდა სულ სხვა სახით და დიდი დამარცხებით. ახლა კავშირი გდებკაცობახთან, შემდეგ კავშირი ეროვნულ უმცირესობებთან? ყველამ კათვად იცის დღეს, თუ რა დიდი, შეიძლება პირდაპირ ითქვას, დიდი ვადამწყვეტი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებაში როგორც ერთმა, ისე მეორე კავშირმა. მეორე ვისი მეოხებით მოხდა ორივე ეს კავშირი, თუ არ ლენინის, ვის შეეძლო ლენინობის გაწვევა ყველა ამ საკმეებში? რაც უნდა ვეძიოთ, ასეთ პიროვნებას ვერ აღმოვაჩენთ. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რევოლუციის პირობების შექმნა შეეძლო ცალკე პიროვნებას, თუ გინდა ლენინს. სრულებითაც არა. ეკონომიურმა და სოციალურმა განვითარებამ ეს პირობები შექმნეს, ისინი არსებობდენ, ისინი უკვე მომწოდენ რევოლუციის მოსახდენად, მაგრამ საჭირო იყო იმათი მიზანშეწონილად გამოყენება, საჭირო იყო რევოლუციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, მაგრამ ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც გაითვალისწინებდა მომავალ ამბებს, მომავალ ამოცანებს, რომელიც არ შედრკებოდა არავითარი დაბრკოლების ან სიძნელის წინაშე, რომელიც იპოვიდა შესაფერ გამოსავალს ყველა კრიტიკული მდგომარეობიდან, რომელიც არ შეუშინდებოდა დროებით დამარცხებას და შეუდრეკლად და შეუპოვრად განაგრძობდა წინ სვლას ერთხელ არჩეული გზით. ჩვენი რევოლუცია წინანდელ რევოლუციებიდან იმით განირჩევაო განაცხადა ლენინმა მე



თორმეტე პარტყრილობაზე—რომ ჩვენ რევოლიუციაში უტოპია არ არი-  
ხო<sup>2</sup>. და საერთოდ იგი ხშირად იტყოდა, რომ ჩვენ უტოპისტები ვართ ვართ  
რას მოასწავებდა ასეთი განცხადება? ჩვენ ვიცით, რუმ დრცა ურთფ-  
წინანდელი რევოლიუცია ხალხის, მშრომელი მასის სასარგებლოდ არ  
დამთავრებულა: მუდამ იმარჯვებდა ერთი ან რამდენიმე გაბატონებული  
კლასი, ხალხი კი ისევ დაჩაგრული რჩებოდა <sup>1)</sup>. ლენინმა მშვენიერად იცო-  
და ეს. მან იცოდა, თუ რისთვის ხდებოდა ეს ასე. მან იცოდა, რომ მუ-  
შათა კლასი, პროლეტარიატი უორგანიზაციოდ, სტიქიურად, შეუგნებლად  
იღებდა მონაწილეობას რევოლიუციაში, და, გარდა ამისა, მას არ ყოლია  
ამ რევოლიუციების დროს არც მოწინავე რაზმი გაწვრთნილი პოლიტი-  
კური პარტიის სახით და არც გამჭრიახი, წინდახედული, ერთგული და  
შეუდრეკელი წინამძლოლი. რამდენადაც ეს ასე იყო, იმდენად მუშათა  
კლასის დამარცხებაც აუცილებელი იყო წინანდელ რევოლიუციებში. მაგ-  
რამ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო მომავალში. ლენინმა გაუწია ანგარიში  
ყველა ამას. იგი შეუდგა რევოლიუციის მოწყობის მზადებას. მან შეჰქმნა  
პროლეტარიატის პარტია, მან მოამზადა და გაწრთვნა რევოლიუციონერ  
მუშების და ინტელიგენტების რამდენიმე თაობა, მან გადააბა და შეა-  
კავშირა ერთმანეთთან პროლეტარიატი და გლეხკაცობა, და ყველა ამით  
მან აუცილებელი გახადა პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება. აი  
ამიტომ ამბობდა ლენინი, რომ ჩვენ არა ვართ უტოპისტები, რომ ჩვენს  
რევოლიუციაში უტოპია არ არის. ეს იყო ერთი მხარე. მეორე თვისება  
მდგომარეობდა იმაში, რომ ლენინი უწევდა ანგარიშს იმას, რასაც ფქრობდა  
და რასაც გრძნობდა ხალხის მასა, მუშების და გლეხკაცობის უმრავლე-  
ხობა; იგი უწევდა ანგარიშს ხალხის მასების რეალურ მოთხოვნებს, იმათ  
სულისკვეთებას, იმათ ჭირვარაშს. არც ერთი სოციალისტი არ იცნობდა  
ხალხს, მის პსიხოლოგიას, ისე ახლო, ისე ზედმიწევნით, როგორც ლენინი.  
და არც ერთი სოციალისტი არ ზრუნავდა ხალხის საჭიროებათა დაკმა-  
ყოფილებისთვის ისე, როგორც ლენინი. ლენინმა იცოდა ამის გაგება და  
განხორციელება ისე, როგორც არაფინ სხვამ. ამაშია მისი მასაზე იშვიათი  
ზეგავლენის საიდუმლოება, სადამდე არ მიუხწევია დღემდის არც ერთ  
სახალხო ბელადს. მაგრამ ეს გავლენა სრულებით არ იყო იშვიათი, რო-  
გორიც ხშირად აქვთ წარმოდგენილი ისე, როგორც დამოკიდებულება  
გმირსა და ბრძოლს შორის (героизм и топла). არაერთარ შემთხვევაში, ლენინი  
მოქმედებდა სკოლაში გამოვლილ და გაწვრთნილ პროლეტარიატის პარ-  
ტიის საშუალებით; მას შეჰქონდა ხალხის მასებში ცოდნა და კლასობრივი  
თვითშეგნება, მას არ უნდოდა იმათი ჩათრევა ბრძოლაში იმათი სურვილის  
წინააღმდეგ. პიროქით, იგი მხოლოდ აღვიძებდა მუშებში და გლეხებში

<sup>1)</sup> ნ. ჟორდანიამ ჩვენში აქედან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ეს მომავალშიაც ასე  
უნდა დარჩეს.



კლასობრივ შეგნებასთან ერთად ბრძოლის წყურვილს თავიანთ მჩაგვრელობის წინააღმდეგ. იგი მუდამ იმეორებდა, რომ ხალხის მოტყუილება არ შეიძლებაო. ყველა თავის რევოლუციონურ გეგმებს იგი ამყარებდა ხალხის მასების შეგნებულ თვითმოქმედებაზე. მაგრამ ეს თხოულობდა განსაკუთრებულ ცოდნას განსაკუთრებულს ხერხიანობას და ალლოს ალებას, რაც ჰქონდა ასე უხვად მხოლოდ ლენინს. გარეშე ხალხის მასების თვითმოქმედებისა და თაოსნობისა რევოლუციის არც ერთი გამარჯვება ხალხისთვის უზრუნველყოფილი არ იქნებოდა. ლენინმა ეს კარგად იცოდა, და ამიტომაც იყო, რომ იგი ცდილობდა არა მოჯადოებას, მოხიბვლას და გატაცებას ხალხის მასებისას. არამედ იმათ **დარწმუნებას** ამა თუ იმ ფაქტში ან ამა თუ იმ დებულებაში ან ლოზუნგში. არაფერი არ აფიქრებდა და არ აწუხებდა მას ისე, როგორც ხალხის ფართო მასების გონებრივი სიბნელე და კულტურული ჩამორჩენა. მაგრამ იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ რევოლუცია — ეს უდიდესი თვალსაჩინო გამოცდილებაა, ის უდიდესი გაკვეთილია, ის ისეთი უზარმაზარი ფაქტია, რომელსაც ხალხი გვერდს ვერ აუვლის. ხალხმა უნდა ისწავლოს ამ ცოცხალ გამოცდილებაზე, ამ თვალსაჩინო გაკვეთილზე, და მაშინ რევოლუციის საქმეს თვითონ ხალხი იკისრებს თავის თავზეო. ასე მსჯელობდა ლენინი. და ოქტომბრის რევოლუციის ისტორიამ იგი გაამართლა სავსებით. მაგრამ ყველა ამით კიდევ სრულებით არ ამოიწურება ლენინის განსაკუთრებული თვისებები. ჩვენ ვიცით დღეს, რომ სოციალისტების დიდი უმრავლესობა მხოლოდ სიტყვით იყვნენ სოციალისტები და რევოლუციონერები. როცა კი სიტყვა საქმეზე მიდგებოდა, იმათ რევოლუციონერობიდან და სოციალისტობიდან თითქმის სრულყოფით არაფერი რჩებოდა. მარქსის და ენგელსის სკოლიდან გამოსული სოციალისტებიც კი უკანასკნელ ხანებში უბრალო „მეშჩანებად“ და ფილისტერებად იქცნენ; ისინი რამდენიმედ ურიგდებოდნენ კიდევ „უსისხლო“ რევოლუციას, რევოლუციის სამოქალაქო ომის გარეშე, მაგრამ ვერ ურიგდებოდნენ ვერც კლასობრივი ბრძოლის გაღვივებას, გამოწვევას და ვერც სამოქალაქო ომს; იმათთვის დამფუძნებელი კრება საყოველთაო ხმის მიცემის უფლებით და ბურჟუაზიული პარლამენტი იყო საზღვარი, რომლის გადალახვა არა შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მაგრამ რაც ყველაზე უფრო მიუღებელი იყო ამ გადაგვარებულ ჯიშის სოციალისტებისთვის (სოც.-დემოკრატია, მენშევიკები და სხვ.), — ეს **სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა მუშათა კლასის ხელში**, როგორც რევოლუციის გამარჯვების შედეგი. იმათი აზრით მუშათა კლასი, პროლეტარიატი და გლეხკაცობა ვერ შესძლებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას, ამისათვის არ არიან ისინი მომზადებული, არ აქვთ არც ცოდნა და არც გამოცდილებაო. ამნაირად ფაქტიურად ეს სოციალისტები სახელმწიფოს მართვა-გამგეობას სამუდამოდ ისევ გაბატონებულ და მჩაგვრელ კლასების (კაპიტალისტების და მეშამულებების) ხელუხლებელ მონოპოლიად სთვლიდნენ.





ქვემოთაჲს

ლენინმა სასტიკად და მკაცრად გაილაშქრა ყველა <sup>ქვემოთაჲს</sup> რევოლუციონერულ, მეშჩანურ და ფილისტერულ შეხედულებათა წინააღმდეგ, და, როგორც მას შემთხვევა მიეცა, იგი ხიტყვიდან გადავიდა საქმეზე ისე, რომ ერთხელაც არ შემდრკალა და უმაგალითო გაბედულებით წავიდა იმ ახალი გზით, რომლისკენ უთითებდა რევ-ლიუციონური მარქსიზმი. ეს იყო სამოქალაქო ომი, ომი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, დაპყრობა პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების ანუ პროლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიის და მემამულეების გასანადგურებლად და სოციალიზმის დასამყარებლად. რასაც მარქსიზმი ასწავლიდა თეორიაში, ის მან გადაიტანა პრაქტიკაში. იგი ამ მხრით ეგებებოდა რევოლუციონური ხალხის ბუნებრივ ლტოლვას. როგორც ვიცით, აჯანყებულმა მუშებმა ლენინგრადში (პიტერში) 1917 წლის თებერვალ-მარტში ფაქტიურად ჩაიგდეს ხელში სახელმწიფო ძალა-უფლება, მაგრამ მენშევიკებმა და ესერებმა ეს ძალა-უფლება ისევ ბურჟუებს და მემამულეებს დაუბრუნეს. „მეშჩანურ“ სოციალისტებს და ცრუ რევოლუციონერებს ისევე, როგორც კაპიტალისტებს, ბურჟუებს და მემამულეებს, შიშის ზარს ჰგვრიდა სახელმწიფო ძალა-უფლების დაპყრობა მუშათა კლასის მიერ. რაღა განსხვავება იყო ცრუ-სოციალისტებსა და ბურჟუაზიას შორის? თითქმის არავითარი, გარდა იმისა, რომ ეს ცრუ-სოციალისტები და ცრუ-რევოლუციონერები ბევრად უფრო მაკნებელი იყვენ მუშათა კლასისთვის, ვიდრე თვით კაპიტალისტური ბურჟუაზია. ლენინმა ჯერ ფარდა ახადა იმათ ცრუ-სოციალისტობას, გზის სინათლეზე გამოიტანა იმათი სიყალბე და ლალატი მუშათა კლასის მიმართ და შემდეგ რევოლუციონური ბრძოლის წესრიგში დააყენა საკითხი სახელმწიფო ძალა-უფლების გადასვლას შესახებ მუშათა კლასის ხელში. მაგრამ იგი არ გაჩერდა ამაზე. იგი წავიდა წინ. მან გამოარკვია საშუალებანი და გზები ამ ძალა-უფლების დასაპყრობად და ამასთანავე გვიჩვენა მუშათა კლასის ძალა-უფლების ანუ დიქტატურის კონკრეტული ფორმა, — ეს იყო მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დემუტატების საბჭოები, რომელთა სახე წარმოშვა თვით აჯანყებულმა და მებრძოლმა პროლეტარიატმა რევოლუციის დროს.

იქ ამნაირად დამფუძნებელი კრება და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი საყოველთაო საარჩევნო უფლებით და პარლამენტარული ბურჟუაზიული რესპუბლიკით, რომლებიც სათაყვანებელ საგანს შეადგენდენ არა თუ ბურჟუაზიულ ლიბერალებისთვის, არამედ ყველა გამობეჩავებულ ცრუ-სოციალისტებისათვისაც, უკვე უარყოფილ და გადალახულ იქმნა. დამფუძნებელი კრების და ბურჟუაზიული პარლამენტის მაგიერ წამოყენებულ იქმნა ლენინის მიერ საბჭოთა რესპუბლიკა თუ რესპუბლიკები! რანაირი სიანლე და სიფართოე აზროვნების! სამუდამოდ დამსხვრევა ძველი კრების ბურჟუაზიულ თავისუფლებებზე, რომლებიც ბურჟუაზიამ შექმ-





ქვემოთაა

ნა და განამტკიცა თავის ხანგრძლივი ბატონობის დროს. უზრუნველყოფს სეთ-  
მა სიახლემ და სიფართოვებზე ბევრს თავბრუს დაასხა. ბევრმა ლენინს პირდაპირ  
გიჟი და შეშლილი უწოდა, იმდენად ახალი და მოულოდნელი იყო  
მათთვის ლენინის გაბედული იდეები. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ  
ყველა ეს იდეები სინამდვილიდან იყვნენ ამოღებული, ისინი სასიცოცხლო  
იყვნენ, და არაფერი შეუძლებელი, განუხორციელებელი და უტოპიური  
მათში არა იყო სხვა. ჭეშმარიტად, ეს იყო გამოწვევა საბრძოლველად  
მთელი დახვედრული და სასიკვდილოდ გამზადებული ძველი ბურჟუა-  
ზიული ქვეყნიერებისა, რომელიც ჯერ კიდევ საკმარისად შეიარაღე-  
ბული იყო, რომ კიდევ განეგრძო ბატონობა ძველებურად. მაგრამ ეს  
იყო იმავე დროს მოწოდება ხალხის ფართო მასებისადმი, დაჩაგრულ  
და დამონებულ ერებისადმი, რათა ისინი გამოსულიყვნენ ძილისაგან,  
თავდაუნიწყებისაგან და განეთავისუფლებიათ თავი მჩაგვრელებისაგან. და  
მართლაც რომ ხმა მოწოდებისა და თვით ლენინის სახელი, როგორც  
განთავისუფლების სიმბოლო, სულ მცირე ხნის განმავლობაში მისწვდა  
მშრომელი მასების სიღრმეებში, შეატანა ჩამორჩენილ, დაბეჩავებულ და  
საუკუნოების განმავლობაში დამონებულ და განაწამებ ერებში და პპოვა  
ყველა ამათში გამოძახილი, და ყველგან დაიწყო ჯერ არ ნახული გან-  
მთავისუფლებელი მოძრაობა. და არავის ისე ნათლად, ისე გამოკვეთი-  
ლად არ დაუხატავს ეს დრმა პროცესი, როგორც ეს გამოხატა თვით  
ლენინმა ერთ თავის წერილში, რომელიც მან გამოაქვეყნა ჯერ კიდევ  
ამ პროცესის დაწყების ხანაში, ე. ი. 1918 წლის დასაწყისშივე. აი რას  
სწერდა იგი მაშინ: „ჩვენ რამდენიმე დღის განმავლობაში დავანგრძობთ  
ერთი უძველესი, უძლიერესი, ბარბაროსული და ყველაზე უფრო მხეცური  
მონარქიათაგანი... ჩვენ რამდენიმე კვირის განმავლობაში, დავამხვეთ რა  
ბურჟუაზია, დავამარცხებთ მისი აშკარა წინააღმდეგობა სამოქალაქო  
ომში... ჩვენ ავსწივთ თავისუფლებამდე და დამოუკიდებელ ცხოვრებამდე  
ყველაზე უფრო უმდაბლესი ცარიზმის და ბურჟუაზიის მიერ დაჩაგრული,  
მშრომელთა მასები. ჩვენ შემოვიღებთ და განვამტკიცებთ საბჭოთა რესპუბ-  
ლიკა, სახელმწიფოს ახალი ტიპი, განუხორციელად უფრო მაღალი და დე-  
მოკრატიული, ვინემ ყველაზე უკეთესი ბურჟუაზიულ-პარლამენტარულ  
რესპუბლიკებიდან... ჩვენ გავაღვიძებთ რწმენა ჩვენი ძალების მიმართ და  
ყველა ქვეყნების უთვალავ მუშების გულში დავანთებთ ენტუზიაზმის (აღფ-  
რთოვანების) ცეცხლი. ჩვენ ყველგან გადავისროლეთ ბუშათა კლასის  
საერთაშორისო რევოლუციის ლოზუნგი. ჩვენ გამოვიწვივით ყველა ქვეყ-  
ნის იმპერიალისტური მტაცებლები პასუხისთვისო“<sup>1</sup>).

დიახ, ამ გიგანტიური და გაბედული ნაბიჯების გადადგმა შეადგენ-  
და სრულიად ახალი და დიადი ისტორიული ეპოქის დაწყებას კაცო-

<sup>1</sup> იხ. ლენინის ბროწიურა: „Главная задача наших дней“.





ბრიობის ცხოვრებაში, ამ ხნიდან ღრმა კვალი ევლობოდა კაცობრიობის ძველსა და ახალ ისტორიას შორის. თვით ლენინსაც საკმარისად ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ეს გარემოება. „კაცობრიობის ისტორია — ამბობდა იგი — არა ერთხელ ჩვენს ღრმში აკეთებს ერთ უდიდეს და ყველაზე უძნელეს მოხვევას (ახორთ) რომელსაც აქვს განუზომელი და შეიძლება ითქვას ხრუდიებით გაუზვიადებლად, მხოფლით განმანთავისუფლებელი მნიშვნელობა“. და მართლაც აქ არავითარი გაზვიადება არ იყო.

ერთი ძველი უდიდესი და საყოველთაოდ ცნობილი მათემატიკოსი არქიმედი ამბობდა, რომ მომეციტ ბერკეტი და მე გადავაბრუნებ დედამიწასო. და არქიმედი მათემატიკის თვალთახედვის წერტილით სრულიად მართალი იყო, მაგრამ შესაძლებლობის თვალთახედვის წერტილიდან იგი არ იყო მართალი, ვინაიდან სინამდვილეში ასეთი ბერკეტი არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. მაგრამ თუ არ შეიძლება ადამიანის მხრით დედამიწის გადაბრუნება თუნდაც არქიმედის ბერკეტის საშუალებით, კაცობრიობის ყოფა-ცხოვრების და სოციალური ურთიერთობის შეცვლა უთუოდ შეიძლებოდა, თუ საამისო ბერკეტი გამონახული იქნებოდა. და ამნაირი ბერკეტი შეიქმნა მარქსიზმი თავისი, მატერიალისტური დიალექტიკით. და ამ თავისებური ბერკეტის გამოყენება კაცობრიობის ისტორიულ ცხოვრებაში ცვლილების შეტანის მიზნით პირველად ლენინმა სცადა და სცადა ნაყოფიერადაც.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ როგორც ტანჯულთა, დაჩაგრულთა და დამონებულთა მასებმა თავიდანვე იცნეს ლენინში თავიანთი უერთგულესი დამცველი და მოსარჩლე, ისე გაბატონებული კლასების წარმომადგენელებიც (კაპიტალისტები და მემამულეები) იმ თავითვე მიხვდნენ, რომ ლენინში იმათ ყველაზე უფრო უსაშიშროესი მტერი, და ამიტომაც იყო, რომ ყველაზე უწინ იმათ განსაკუთრებით ლენინი ამოიღეს მზანში: ისინი მზად იყვნენ მისთვის სიცოცხლე მოესპოთ. და უნდა ვთქათ, რომ ისინი არ სცდებოდნენ. და მართლაც ისეთი უბედურება რომ მომხდარიყო და 1917 წელს ივლისის დღეების შემდეგ კერენსკის და წერეთლის შეძებარ ძალებს ლენინი მოენახათ და სიცოცხლეს გამოესალმებიათ, მეორე ლენინი ჩვენ მაშინ არ გვეყოლებოდა, და კაცობრიობის ისტორია დიდი ხნით უკან ჩამორჩებოდა. ეს უეჭვოა. მაგრამ, კაცობრიობის საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევაა, და ვერავითარი ისტორიული კანონებით ამას ვერ ავხსნით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევას ჰქონდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

მე მინდა აქ ერთი განმარტება დავუროთ ამას, რომ გლახად არ ვიქნე გაგებულნი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ლენინმა მოინდომა და გააკეთაო. საქმე მართლ მონდომებაში არაა. საქმე იმაშია, იყო თუ არა



მომწიფებული პირობები იმის გასაკეთებლად, რაც ლენინმა <sup>გააკეთა</sup> ჩვენ ვამბობთ გადაჭრით: რომ ეს პირობები არ ყოფილიყო ცოტად <sup>მეტი</sup> თუ ბევრად მომწიფებული, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას არ წამოეყენებია გადასაჭრელად რუსეთში მეოცე საუკუნის დასაწყისში ყველა ის ამოცანები, რომელთა გადაჭრას ლენინმა შესწირა თავის სიცოცხლე, ლენინი იმათ ვერ გამოიგონებდა თავის თავიდან, და თუნდაც რომ გამოეგონებია, იგი ვერას გახდებოდა, და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ დიდი უტოსპისტის სახელს დაიმსახურებდა. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ, რომ შარშან ინგლისში მუშათა მთავრობას **მაკდონალდის** ადგილას ყოლოდა ლენინი. რა შედეგი ექნებოდა ამ გარემოებას არა მარტო ინგლისის მუშათა კლასისთვის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობისთვის? და განა ასევე არ უნდა ვთქვათ გერმანიაზე, საფრანგეთზე, ამერიკაზე და სხვ. განა ყველა ამ ქვეყნებში არაა მომწიფებული პირობები სოციალისტური რევოლუციისთვის, ვინემ ეს იყო რუსეთში 1917 წელს! მაგრამ ჩვენ იქ დღემდის არა გვყავს ლენინის მსგავსი ორგანიზატორები და ბელადები. მოთხოვნილება კი დიდია.

ახლა ჩვენ ჩავატარეთ ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავზე კამპანია: **ერთი წელიწადი ულენინოთ**. ჩვენ ვამბობთ, რომ მიუღივართ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, რომ ჩვენ ამ ერთი წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ თითქმის ყველა სფეროში, რომ ჩვენ ვატარებთ ცხოვრებაში ლენინის ანდერძებს და მტკიცედ ვიცავთ ლენინიზმს. ეს მართალია, და ამაში ექვი არავის ეპარება. მაგრამ აქ შესაძლებელია დაიბადოს დიდი გაუგებრობა. უწინარეს ყოვლისა აქ შესაძლებელია გარეგანი ფორმით გატაცება: შესაძლებელია დაწვრილმანება, ან სრულიად ვიწრო ჩარჩოებში მოკალათება და მომწყვდევა; მეორე მხრით თვითკრიტიკის ანუ თავისი თავის კრიტიკის გრძობის დაკარგვა, თავისი შეცდომების ცნობის უარყოფა. ლენინი მუდამ პირველ რიგზე აყენებდა საერთო, მსოფლიო მოძრაობას, იგი მუდამ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებიდან გამოდიოდა. უბრალო ფაქტსაც რევოლუციისას და გინდ კონტრ-რევოლუციისას იგი უკავშირებდა საერთაშორისო რევოლუციას და კონტრ-რევოლუციას და არჩევდა საერთაშორისო თვალთახედვის წერტილიდან. ამასთანვე იგი დაუზოგველად ამხელდა და ფარდას ხდიდა არა მარტო სხვის მიერ, არამედ მის მიერაც ჩადენილ შეცდომებს, და უნდა ითქვას, რომ იგი ყველაზე უფრო დაუზოგველი იყო მაშინ, როცა თავის საკუთარ შეცდომებს ენებოდა.

თუ ჩვენ ორგანიულად ვერ შევითვისეთ და თავი ვერ გავართვით ლენინის და ლენინიზმის ამ მთავარ თვისებებს, ჩვენ აუცილებლად ავცდებით მარქსის და ლენინის მიერ ნაჩვენებ და რამდენიმედ კიდევაც გაკვალულ გზას და სადმე გადავიჩეხებით. უნდა ვიცოდეთ რომ ასეთი საშიშ-



როებისგან ჩვენ დაზღვეული არა ვართ, მით უფრო, **ჩვენ** უცხოებმა მუშაობა სრულიად ახალ პირობებში, — ერთი მხრით სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ზრდისა და მეორე მხრით დიდ მსოფლიო კაპიტალისტურ სახელმწიფოების ახალ შეტაკებათა მომზადების ხანაში. როგორი ურთიერთობაც არ უნდა ჩამოვარდეს დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, სულერთია ყველა იმათი შეტაკება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან ადრე თუ გვიან აუცილებელია, ხოლო რანაირი სახით მოხდება ეს შეტაკება — პირდაპირ და უშუალოდ თავდასხმას მოახდენენ ისინი საბჭოებზე, თუ პროლეტარიატის აჯანყებები გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ აუცილებელს გახდის საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების აქტიურ დახმარებას, — ამის წინდაწინ თქმა აბლა შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, რომ პროლეტარული ანუ სოციალისტური რევოლუცია, დაწყებული ერთ ქვეყანაში, ვერ გაიმარჯვებს საბოლოოდ, თუ მან სინამდვილეში საერთაშორისო ხასიათი არ მიიღო. ასე გვასწავლიდენ ჩვენ პროლეტარული სოციალიზმის უდიდესი მასწავლებლები **მარქსი, ენგელსი და ლენინი**. გავიდა ერთი წელიწადი ლენინის გარდაცვალების შემდეგ. მთელი კაცობრიობა, განსაკუთრებით ყველა ქვეყნების მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები, განსაკუთრებით ევროპის და ამერიკის იმპერიალისტურ მტაცებლების მიერ აზიის, აფრიკის და ავსტრალიის დამონებული და დაჩაგრული ხალხნი — მეტად მწვავედ გრძნობენ ამ დანაკლისს. მაგრამ განთიადის მოახლოება იმათ უკვე იგრძნეს. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რომ ეს გრძნობა მათში არა თუ არ ჩაქრეს, არამედ კიდევ უფრო გაღვივდეს. მაგრამ ერთხელ დაწყებული მოძრაობა არ დამთავრდება, სანამ ის თავის ლოლიკურ დასკვნამდე არ მივა. შესაძლებელია მხოლოდ მისი შეფერხება, დაგვიანება ან დაჩქარება. ჩვენ ყველანი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული ვართ ამ მოძრაობის დაჩქარებაში. ყველა ლენინელების, ყველა მისი მოწაფეების და მიმდევრების და არა მარტო კომუნისტური პარტიის წევრების პირდაპირი მოვალეობაა, ყოველი ღონისძიებით ხელი შეუწყონ საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის დაჩქარებას. ესაა ლენინის ერთი ყველაზე უდიდესი ანდერძთაგანი, და როცა ჩვენ ასეთი დიდი და რთული ამოცანის წინაშე ვდგევართ და გვინდა განვსაზღვროთ ჩვენი ნოქმედება, ჩვენ ყოველთვის უნდა დავეკითხოთ თავის თავს: როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში **ლენინი** იგი რომ ცოცხალი ყოფილიყო. მხოლოდ მაშინ მიუახლოვდებით ჩვენ ლენინს; მხოლოდ ამ გზით შეესძლებთ ჩვენ ბოლომდის შევრჩეთ ერთგული ლენინიზმს.





# ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის...

მღელვარება ღრღნის ქალაქის ქალას:  
 ჩავარდნილ თვალებს და ღია ბალებს.  
 უძრავ ლენინით მრისხანე ძალას  
 სძრავენ ზოდები—  
 დაბურულ კარებს გრიგალი აღებს...  
 მახსოვს იმ დღეთა ტოლნი და სწორნი..  
 შეფოთავს, საოცრად შეფოთავს ვოლტორნი  
 და ჭაგოტები...  
 ასეთ ღრღინას ვხვამ შე ფიალას!  
 მხგავსი ქარხნების დაბურულ კრთომის  
 გრიგალი ღრღნიდა ქალაქის ქალას...  
 იქ ავლენილი—  
 ლენინი მსხვერპლი უნდობარ ტყვიის  
 ორი ბორბლად ანთებულ ომის  
 და სამი მძაფრი რევოლუციის  
 დროშა—ლენინი.  
 დადგენ მუდგარი მოიმუდენი:  
 ოცნება თოვლში დაკარგულ ქოხის  
 და რკინის ღრღინის გზაჯვარედინი.  
 პროლეტარიატი.  
 ეს გუგუნია მთელი ეპოქის,  
 განწირულებით ის ეძებს ფერებს  
 რომ მოეფინოს დაჩაგრულ ერებს  
 სითბო მარადი.  
 დახარეთ დაბლა დროშათ ბანაკი!  
 აქ ბევრის ბრძოლის გათავდა ვადა.  
 სტოვეებს ბელადი და ამხანაგი  
 დევიზზე დევიზს:  
 გაქრა შიმშილი, მოკვდა ბლუკადა,  
 გათავდა ომი სამოქალაქო,  
 მაგრამ ახლოა დრო, ამხანაგო,  
 მხოფლიო ნგრევის...



## ქურა დამარხვაზე

ქურა  
ვით ქრილობა გახსნილი,  
ჰკენესის, იგრიხება  
და ტყვილით იწვის.

აქ—  
ოქტომბერის  
პირველი შეძახილით  
ლენინი  
ყოველმა  
ქვაშაც კი იცის.

აქ, —  
რაც თითოეულ დროშას  
აწერია,  
მისგან ნათქვამია  
და მისგან ნაბრძანები.

ყოველ კოშკს  
აქ მისი  
ხმა დაუქვრია  
და მას  
თან გაჰყვება  
გმირულ გაქანებით.

იცის აქ  
ლენინი  
ყოველმა  
მუშაშაც,  
ის მას  
გულს უფენდა  
შობის ხის რტოებით.  
ბრძოლაში გამარჯვებას  
წინასწარ უქადდა  
და პა:

პროლეტარი  
ყოველთვის ბატონი.  
ყოველმა  
გლებმა აქ  
ლენინის სახელი  
საკუთარი  
მკერდის  
ფიცარს დააწერა;



ბრძანა,  
 რომ აელოთ  
 ყველა ის მიწები,  
 მათრახნაცემ პაპებს  
 იქ რომ ეზმანებათ.  
 და კომუნარებიც  
 წითელ მოედნიდან  
 თითქოს  
 ჩასძახიან:  
 —ძვირფასო, სანატრელო,  
 იცოცხლე—  
 აო გვინდა ბედი უკეთესი  
 ათასჯერ შევებმით  
 და დავიმარხებით.  
 ნეტავი  
 წარმოსთქვას  
 სასწაულმომქმედმა,  
 რომ — ჩვენ დავიხოცნოთ,  
 მან კი გაიღვიძოს:  
 მაშინვე ჯებირი  
 ქუჩის გაიხსნება  
 და ხალხი  
 სიმღერით  
 სიკუდილს შეეყრება.  
 მაგრამ სასწაულზე  
 ფიქრი ხედმეტია,  
 არის ლენინი,  
 არის კუბო  
 და მხრები მოხრილი...  
 ადამიანი  
 იყო ის ბოლომდე;  
 ზიდე  
 და ეწამე  
 წამებით ადამიანურით.  
 არასდროს  
 ოკეანები  
 ჩვენი  
 არა ყოფილა  
 დატვირთული  
 ისეთი ძვირფასი  
 ტვირთით,  
 ვით კუბო,  
 რომელსაც  
 კავშირთა სახლისკენ  
 მძიმედ მიარხევდა  
 ტირილისა და მარშების  
 სვირთი.

თარგმ. კონსტ. გიჭინაძის.

საქართველოს  
 ბიბლიოთეკა

557





## ვლადიმირ ლენინ

აწვება მოსკოვს ცეცხლის კირთები;  
ვალხონკა იწვის და ბორჯავს ხარბად;  
გადაიტბორე სისხლით არბატი;  
მოდენის ბრბოებს პრესნა ზვი+თებათ.

შიმშილი მოდ-ს; წითლათ ინთება  
მაღალი კრემლი; სუყველა ვადის  
გავიდა ჟამი; ღრენა ნაბატის  
დალუპვის ხმებათ დაიტვირთება.

ხადინკას ლანდი ბარბაცებს ცაზე;  
ისმის ფარფატი სიკვდილის ფრთების,  
მაგრამ ანგრეულ, ქაოსის ხღვაზე

გიგანტი დგება; დაჟუჩდენ ხმები.  
და უცქერს ხალხი ჩუმი ცახცახით  
ანალ მესხიას ფოლადის სახით.



3832







# მხატვრული ლიტერატურა

საქართველო  
რ. უ. ს. ე. თ. ი.  
დასავლეთი





## ცხრა იანვარი

ეს იყო წინათ...  
20 წლის წინათ...

ეს იყო:

1905 წელში...

რუსეთის მშრომელთ

დიღხანს ეთმინათ,

დიღხანს ეგმინათ

მონურ უღელში...

უუფლებობა

მთელი ქვეყნისა

უკეთეს შვილებს

ტრემლებსა ჰგვრიდა:

არსადა სჩანდა

ნიშანი ხსნისა,

თავისუფლებას

ბორკილი ღრღნიდა...

ეს იყო წინათ...

20 წლის წინათ...

ეს იყო:

1905 წელში,

როცა რუსეთი,

დამონებული,

იყო შებმული

რკინის უღელში;

და მათრახის ქვეშ

აღმუვლებული,

იზნიქებოდა,

წყდებოდა წელში.

და, აი, მაშინ...

გახსოვთ, მუშებო?

ეს იყო:

კვირა.

9 იანვარი.

შრომის ქალაქი,

დღეს ლენინგრადი.





ქართული  
საქართველოს  
საქართველოს

ვით ერთი კაცი  
ფეხზე დამდგარი,—  
დაიდრა მეფის სასახლისაკენ  
არა შუქარით,  
არა ყუმბარით,—  
არამედ:  
არზით,  
თხოვნით,  
წყალობით,  
ხატით,  
გალობით  
და...

ქრისტეს ჯვარით...

იქ იყო ყველა:  
დიდი, პატარა,—  
ოკეანს ჰგავდა  
თაფები მათი;  
წინ მიუძღოდათ  
წვერვებ-ცანცარა  
მღვდელი—გაპონი,  
მეფის სჯრათით...  
უბედურთ ვერც კი  
წარმოედგინათ,  
თუ მეფე მათ ხმას  
არ შეისმენდა,  
ოადგან მას ოაცხდნენ  
ღვთის თვალის ჩინათ  
და აბა, ცრემლებს  
ვით არ მოსწმენდდა?  
სდგას სასახლის წინ  
მუშა-ხალხი,  
როგორც კედელი  
და მათთანვეა  
აოამქითხე „მედის მჭედელი“:  
პროვაკატორი,  
მოლალატე,  
გაპონი—მღვდელი.  
— მოგვხედე, მეფე!—  
შეკლადა ცბიერს ცბიერმა...  
— უფლება! პური!—  
იღრიალა ხალხმა მშიერმა...  
და, როგორც ზვიროთმა,  
მოგუგუნებ,  
ზვიროთმა ძლიერმა,—  
სასახლის ბჭენი შეარყია,  
შეაზანზარა...  
— დაწყნარდით! კმარა!  
სასახლიდან იყო პასუხად...  
— არ დაეწყნარდებით, არა, არა!





ქართული  
საქმიანობა

ჩვენ შეგვაწუხა:  
უკანონობამ!  
თვითნებობამ!  
ჩაგვრამ!  
მონობამ!  
და თქვენცა გვძულხართ!  
გესმით?  
გვძულხართ!!!—  
შეაქუსა ქუჩამ  
და კომბლებივით კოვრიანი  
კუშტი მუშტები,  
აღმართა წყრომით  
და მუქარით  
მთავრობის მიმართ...  
— რასა თხოულობთ?—  
ეკითხებათ ვილაც ბობოლა  
მეფის სასახლის აივანზე  
ყოყოჩად მდგარი.  
პურს და უფლებას!  
უპასუხებს მოკლედ ზღვა-ხალხი.  
გვაცალეთ! მოგცემთ!—  
აშოშშიხებს ცრუ დაპირებით.  
— არ გვეჯერა, არა!  
მოახსენეთ ხელმწიფეს ჩქარა,  
რომ ჩვენ ვთხოულობთ  
ჩვენს უფლებას!  
გესმით, თუ არა?!.  
— ჰო, გვესმის, გვესმის,  
გეყოფათ, კმარა.  
მეფის წუალობას  
მიიღებთ ჩქარა,—  
მხოლოდ ნუ დელავთ,  
იყავით წუნარათ!—  
სთქვა ლენერალმა  
ბოროტ-ლიმილით  
და გატრიალდა...  
ბობოქრობს ხალხი  
მოლოდინში...  
მეფის პასუხიც  
არ დაგვიანდა...  
აჰა, მიიღეთ!  
გადმოსძახა  
ვიღამაც ურჩებს  
და სასახლეში ჩასაფრებულ  
ერთგულ მხედრობას  
მისცა ნიშანი...  
და ასტყდა სროლა...  
აკაკანდნენ ტყვიისმფრქვევლები.  
სეტყვა ტყვიისა



ჩალსავეით, ყანასავეით აწვეუნდა ხალხსა.  
 ბელღების ნაცვლად  
 თოფხანები დასცალეს მათზე...  
 ქუჩები კაცთა სასაკლაოთ გადააქციეს,  
 სადაც, ვით ღარში,  
 სისხლის ტოტი  
 დიოდა ღვარად...  
 კენესა-ხრიალი  
 სულთ-მობრძევი დაჭრილებსა,  
 როგორც წკრიალი  
 ძნათა ძვლებზე  
 მტერთა ხმლებსა,—  
 ქარმა რუსეთის ველ-მინდვრები  
 შემოატარა.  
 შემოატარა  
 და გადასცა  
 დიდს თუ  
 პატარას:  
 თუ რა მხეცია,  
 რა ბეცია  
 მეფე-მასხარა,  
 რომელმაც ბავშთა ტიკტიკიც კი  
 არ შეიწყნარა,  
 ისე ჩახოცა  
 ლეკვებივით  
 და სისხლით მთვრალმა,  
 ვით ქვეაზე მწყრალმა,  
 ჩვილ გვამებზე  
 გადიხარხარა...  
 მღვდელი გაპონი?  
 დრო იხელთა  
 და გაიპარე...

იანვრის 9.  
 1925 წ.







## ჯაყოს სიზნებები.

რომანი სამ ნაწილად.

ნაწილი მესამე.

I.

ერთი კვირის შემდეგ ჯაყო ნახუცარ ივანეს ეუბნებოდა:

— ამ საქმეს თუ გაგიკეთებდნენ ჯაყოსა, სამოცი ჩანახი პური მოგცემდნენ.

— კარგი, ჯაყო, ენახე, ვცდი.

— კიდევ ერთი რამე უნდა გითხრამდე: თუ ნაშირდარს სკოლა გაგიკეთებდნენ, მეც ერთი ურემი და ერთი კაცი მოგცემდნებოდნენ სამუშაოთა, მაგრამ კაპრატივი არ გინდა ჯაყოსა. „ქორტუ“ კაპრატივი! არ გინდა კაპრატივი ნაშირდარსა! ვიცის ჯაყომა, რათ გინდა აქ კაპრატივი, ვიცის! ხალხი ტყავი უნდა გაგადრო, განა! ვიცის ჯაყომა, ვიცის!

— ჯაყო, კოოპერატივის საქმეში მე ვერ დაგეხმარები, თეიმურაზის საქმეში კი მოგეშველები.

— კარგი მაშა! კაპრატივი მე რე იყავი. შენ ვერ თეიმურაზის საქმე გაგიკეთებ. აბა, ხელი მოგეცი.

ერთნაწილს ხელი მისცეს და დაშორდნენ.

იმავ საღამოს ივანემ ნიადავი გასინჯა: თავის ოჯახში შეკედლებულ თეიმურაზს გვერდით მოუჯდა და ტკბილად უთხრა:

— ძმაო თეიმურაზ! თავი რომ აგიღია და მიდიხარ, სად მიდიხარ? ფული შენ არა გაქვს, სახლი და კარი. სამსახურსაც ვერსად იშოვნის. შენი დრო წავიდა.

— წავიდა. — უმალ დაუთანხმა მოსულ იერებულ თეიმურაზი.

— ახლოს არაფერს მიგაკარებს.

— მ... მმართალს ამბობ, არ მიმიკარებენ.

— ამ სოფელს რომ მოსწყდენ, მშიერი მოგედები.

— ეგეც მართალია, მშიერი მოე... ვგეგედები.

— თუ ესეც მართალია, მაშ რაღა ახირებულხარ, უნდა წავიდეო?

თეიმურაზი უცებ აფიცრდა და აღელდა:



— ივანე, ჩემი გადაწყვეტილება ურყევია. ძალიან გახოვ და გავხეწები, რომ...

— კარგი, თეიმურ, კარგი. — გადაწყვეტინა ივანემ და ბაბუას...<sup>ქვეყნის</sup> გადაუგდო. — კარგი, მაგახე ნულარ ვილაპარაკებთ. — მერე მოიფიქრა და შორიდან მოუარა: — დიდი სიკეთე გაქვს დათესილი, თეიმურაზ, მაგრამ...

— ჩემი დათესილი სიკეთის შვათ... თთელიც რომ დაიბრუნდეს, ამ დღეში არ ჩავ... ვვარდებოდი და გულმშვიდად ვიცხოვრებდი. ეხლა კი სინანულის მეტი აღ... ღარადფერი დამჩენია. ჰმ! საკ... კკვირველია, ღმერთმანი: აღამიანმა რომ თვისი ბოროტი საქმენიც ისე ხშირად მოინახოს, რომ ორც სიკ... კკეთეს ნანობს ხოლმე. მისი სიციოცხლე განუწყვეტელ სინანულად გადაიქცეოდა.

— მარტო ჯაყომ შენგან იმდენი სიკეთე ჰნაბა, რომ დღე-ღამე შენი ღმერთი უნდა ილოცოს.

— ჯაყო? ჰმ! ჰოი, ჯაყო! ჯაყო! რა უნდა მ... მმოესთხოვო უსუსურ აავშეს, ტყის დათვს, ველურს? ივანე, დააკვირდი ცხოვრებას და ხალხს. ზოგის ხელში ღმ... ღმერთი გატიკინდება, ზოგის ხელში კი ტიკინაც გაღ... ღმერთდება. ჯაყოს ხელში ღმერთიც უმაღ ტიკინად გადაიქცა. წარა-მარა გაიძახის: „ღმერთმა რევალცია აღღეგრძელოსო“ და... „ძირს კაპრატეიო!“.

ამას წინათ თხს გ. უხდა ავად. გაღმა სოფლიდან ღვდელი გამოიყვანა და უთხრა: „ჯაყომ თხა ავად გახდ , გახიარე, ღვდელსო, ჯაყოს თხაი“.

ორივემ გულიანათ გაიციინეს.

— ძალიან უდიერად კი მოგეტკა. — სთქვა მერე ივანემ.

— ნუ გგონია, ივანე, ვითომ ჯაყოს ს... საქციელი ძ... ძძალიან მწყენოდეს. გახსოვდეს, ძმაო ივანე, რომ პატროსანის წკიპურტი უფრო მწვავეა, ვიდრე ხეპრეს კონბალი.

— ეგვეც მართალია.

— ისიც იცოდეს: შეუზნებულთან პურის ჭამას შეგნებულთან ოში გერჩივნოს. თუ შენ პატროსანი და ჭ... ჭკვიანი აღამიანი ხარ, და ბედმა გაგიყებულ ავახაკთა ბრბოში ჩავაგდო, ასეთ ხალხში ცხოვრება შენთვის უუდიდესი სასჯელი იქნება. პირადად მე ჭკვიანთა და პატროსანთა შორის გ... გგეყომა მირჩვენთან, ვიდრე პატროსნება გაგიყებულ ავახაკთა შორის. ჯაყოს ოჯახში კი ყველაზე პატროსანი და ჭკვიანი ისევ ის ჭკუათხელი და უბ... ბბადრუკი ბრინკა ყოფილა.

— ძალიან ნუ დაემდურები ბედს, თეიმურ, თორემ...

— რატომ არ უნდა დ... დღავემდურო? ვითომ ამაზე მეტს რას მიზამს? რაღა დამჩია, რაღა უნდა წამართვას? თავში ყინული, გულში შხამი და სულში ხანძარი, — აი რა შეჭრია თეიმურაზ ხევისთავს!

— სიციოცხლე? ესეც ერთ რამედ ჰღირს, თეიმურ.

— ხა-ხა! სიციოცხლე? სიციოცხლე ძაღლის მძორივით მკიდია კისერზე და ის მ... მძორი, ვერ იქმნა, ვე ჩამოვიგლიჯე კისრიდან, აი ჩემი სიციოცხლე!

და თეიმურაზმა ორივე ხელის თითებით ისე ჩამოიფხანა გულმკერდი, თითქოს მკერდზე მართლა მძორი ეკიდა და იმის ჩამოგლეჯას სცდილობდაო.



— ისიც ნუგეშია, ჩემო თეიმურ, რომ სანთელ-საკმელი თავის უხას არ დაჰკარგავსო. შენი დათესილი სიკეთე აღრე თუ გვიან ამოვა, ან უკვე გამოვიდა.

— შეიძლება, მაგრამ... ჰმ! ესეც საოც... ცუცარია! ზოგი თავის ნათესს თავის დროზე მოიძქის, ისიც ერთს ათად; ზოგი მოსამკალს შამთარში იძქის, ზოგი კი არასოდეს. მეც იმოდენა ნათესიდან ერთი მარცვალიც არ მერგო.

— ყველაფერს ბედი უნდა, ჩემო თეიმურ, ბედი.

— ოლონდაც, ჩემო ივანე, ოლონდაც! აი მაგალითიც: გარეთ გაიხედე: შენი ძალი ეხლა სალ...ლაფავს სჭამს; გუშინაც სჭამდა და, ალბათ, ხვალაც და ზეგაც შესჭამს. მშიერი არ მოკვდება, რადგან კ...კვარგი პატრონი ჰყავს; აგერ, შენი ღორები და კამეჩებიც არხეინად და უღარდელად მიერთმევენ. იმათაც მზრუნველი ჰყავთ, აგერ, ლობეზე და ბალში მთელი დღე და მთელ თავიანთ სიცოცხლეს ჩხიკვი, ყვ...ყვავი და ბელურები დაჰხტიან, ჰგალობენ, იმღერიან, სიხარულით ლოცულობენ და მხიარულად ჰლალობენ. არც იმათ იციან დარდი, ვარამი, ურვა და ჭმუნვა. ნეტა იმათ! ეს ჩიტები, ძაღლი, კამეჩი და ღორიც ჩემზე და შენზე ათწილ და ასწილ უფრო ბედნიერნი არიან.

— მეტის მეტად შეგიტოპნია შავ ნალყულაში, ჩემო თეიმურ. იქნება იმ ძაღლს და იმ ღორს შენზე ნაკლები დარდი ჰქონდეთ, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ძაღლი მაინც ძაღლია და ღორი—ღორია. მხოლოდ ადამიანს მიაჩნია ღორი და ძაღლი, ღორობა და ძაღლობა უწმინდურებად, სახიზღარ ქმნილებად და უუდიდეს უბედურებად, თორემ აბა იმ ღორს და ძაღლს გააგებინე ადამიანის ნ...ნნამდვილი ბედი და მერე ჰკითხე, რა ურჩევნიათ მათ, ღორობა თუ ადამიანობა? შენ თვითონ რადა სჭრი ღორის მაგივრად ღორის ავკარგიანობას?

— ეგ რომ ეგრეც იყოს, მართო ადამიანის ენა, შეგნება და ცოდნა რადა პღირს!

თეიმურაზი ზეზე წამოვარდა:

— ოოპ, ღმერთო დიდებულო! ნეტა როდის განიბნევა კაცთა შორის ეს უუდიდესი ცრუმორწმუნება და მარადიული ლანდი?! ცოდნა!.. ენა!.. შეგნება!.. შემცნება!.. ხუთი წლის ბავშვს თავის გასართობად ტიკინას ჩასჩრიან ხ...ხხოლმე ხელში და თავს მიანებებენ. არც კაცობრიობა გასცდენია ბავშვის ხნოვანებას. ღმერთმა რომ ადამიანი გააჩინა, ხელში ც...ცოდნისა და ჭეშმარიტების ლანდი ჩასჩარა ტიკინასავით, მერე არხეინად განისვენა და სთქვა: ეხლა კი ეს ცულ-ლუტი და მოუსვენარი სულიერი თავს აღარ მომაბეხრებსო. დასჩოჩავს მას აქეთ ხუთი წლის კაცობრიობა ხუთ მილ...ლითონ წელიწადს და ამაყად გაიძახის: „ცოდნა! ჭეშმარიტება! შეგნება! შეტყველება!“ გაიძახის თუთიყუშივით ამ სიტყვებს, თვისი თავი ქვეყნის ბატონი ჰგონია და სამყაროსაც ისე ეპოტინება როგორც პ...პპატარა ბავშვი მთვარეს წაეტანება ხოლმე.

— თუ ცოდნასაც არ წაეტანა ადამიანი, მაშ რილასი მაქნისია?

— ადამიანი არაფრის მაქნისი არ არის. ამ ქვეყნად მისი მიზანი და დანიშნულება ცოდნა კი არ არის, არამედ ბედნიერება, ბედნიერება და ისევე ბედნიერება! იმიტომ გიოხარო წელან, რომ აგერ ის ძაღლიც და ის ღ...ღღორიც ჩემზე ბედნიერნი არიან მეთქი.



— ბე კი მგონიან, რომ ცოდნა ბედნიერებაა და ბედნიერება ცოდნაა.

— ტყუილია! ტყუილია ნეთქი! უუდიდესი და ქრუსთაშინელისი სიყალბეა, რომელსაც უთვალავი უბედურება მოსდევს. ცოდნა რაც არის, ის უნდა იყოს მეც ვიცი და შენც იცი. ბედნიერება კი ადამიანის ყოველივე სურვილის შესრულებას ჰქვია, მაშასადამე...

— მაშასადამე, ეს ლორიც, ძალლიც და აფრიკელი ველურიც შენზე ბედნიერნი არიან, რადგან შენზე ნაკლები სურვილი და მოახოვნობა აქვთ, არა?

— დიალ, და ჩემზე მეტი საშვალეობაც აქვთ სურვილის მიღწევისა. დიალ, დიალ! ყველანი ჩემზე ბედნიერნი არიან: ლორიც, ძალლიც, ზულუსიც და...ჯაყოც, დიალ, ჯაყოც!

— მესმის... გამიგია, წამიკითხავს. ეგრე ამბობდნენ მგონი, ჟან ჟაკ რუსსო, შოპენჰაუერი, ტოლსტოი და მრავალნი სხვანი. მაგრამ ქვეყანა იმათ გზას არ მისდევს.

— მართალია, მაგრამ შენ ეს პითხარი, ჩემზე ბედ...ბედნიერია თუ არა ჩვენი ჯაყო, — ხეპრე, უკუნური, აფ...ვეაზაკი, ტყუილი გამოვარდნილი დათვი, რეგ...გვგვინი და ბრიფვი?.. სიქვი, სიმართლე სიქვი... ნუ მერიდები. წორიდან, ობიექტურად და მიუდგომლად რომ გავზომოთ, ჩემზე ბ...ბედნიერია თუ არა ჯაყო?

ივანემ კარგა ხანს იფიქრა და მორჩილებით წაიბუტბუტა:

— ჰო... მართალი ხარ... შენზე ბედნიერია.

— მეც მაგას მოგახსენებდი. მაშ რა ოხრად მინდოდა ცოდნა, განათლება ესოდენი წ...წააქება ცოდნის შესაძენად?

ივანემ დრო იხელთა და ბაასი კვლავ ძველ კალაპოტში ჩააგდო:

— რაკი ჯაყოსე ჩანთავდე ლაბარაკი, უნდა მოგახსენო, რომ ჯაყო სოგს კერპად ჰყავს გადაქცეული.

— იმიტომ, რომ ჯაყო მუდმივ იმარჯუებს და წინ მიიწევს. მოგ...გვეხსენება გამარჯვებულის და ბრბოს ფსიხოლოგია, ხალხი ორივეს კაინობას და იუდობას აბატიებდა. ჯაყოს საქმეც ეგრეა. ჯაყომ გ...გვაიმარჯვა, მე კი დაინარცხდი, მორჩა და გათავდა!

— ჰო, იმას გეუბნებოდი: ნუ კი გამიწყრები, ხომ იცი რომ, სიკეთე მინდა შენთვის, თორემ შენს საქმეში როგორ ჩავერევოდი!

— მჯერა, ჩემო ივანე, მ...მმჯერა. სიქვი.

— ჰო და, ჩემო თეიმურ, აი რა უნდა შეთქვა: შენ თუნდ წადი, თუნდ ისევ აქ დარჩი. როგორც გნებავდეს, ის მოიქეცი, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ მარგოს ბედი უნდა გამოარკვიო, თორემ ისევ შენი სირცხვილი იქნება, თუ... დღევანდელივით გამოურკვეველ დღეში დასტოვე.

— მესმის... ვიცი... მესმის... — ჩაიკნაფლა თეიმურაზმა, თავი ხელეებში ჩაიგდო და გახევდა.

რა იცის ივანემ, რა ჯოჯოხეთი სტრიალებს თეიმურაზის სულში, რა იცის ივანემ, რომ თეიმურაზის ენა წასვლაზე ჰყბედობს, გული კი უკვნესის, ნაშინდარს ებლაუჭება და გაჰკივის:



„არა, არა! აქედან ვერსად წავალ! მარგოს ვერ მოვშორდები! თუნდ ფეხ-  
ქვეშ გამივდოს, თუნდ ფურობივით გამგლისოს და მოწყვეტულიყოს, მაინც  
ვერ მოვშორდები ჩემს მარგოს... ჩემს მარგოშის... ჩემს მარგოშის... ჩემს ერთად  
ერთს ღმერთსა და ბატონს“.

პო და, იმასაც გეტყვი, რომ უფულოდ წასულა არ შეიძლება შეტქი  
ჩასჩურჩულებს ივანე.—ესეც რომ არ იყოს, აგრე ადვილად ცოლს თავს როგორ  
ანებებ?

თეიმურაზი გამოცოცხლდა და ანთებულის თვალეზით ივანეს მიაჩერდა:

— მაშ... რა ენა? ხომ არ... რაფურო გაიგე? მარგომ ხომ არ... რაფურო  
გითხრა?

არა, მაგრამ... რაც მოხდა, მოხდა! სირცხვილია, კნეინა მარგო რომ  
ჯაყოს ხასად დაუსვა. შენს გვარს მაინც ნუ შეარჩენ, გაფუარე.

თეიმურაზი ისევ ჩაფიქრდა და წუთიერა იმედიც გაჭრა.

— ძმურად გირჩეე, ძმაო თეიმურ, ჯერ ასწონე და მეოე გადასქერი.

თეიმურაზმა სათვალეები შეისწორა, თითი მალდა ასწია და წაილუ-  
ღლულა:

— მ... მმოვიფიქრებ... მ... მმოვისაზრებ.

## II.

მეორე დღეს ჯაყო და მარგო ივანემ სტუმრად მიიწვია. თეიმურაზი მათს  
მოსკლას არ მოელოდა, როცა ჯაყო და მარგო საყვთ წაადგნენ, ნააეადმყოფა-  
რი თეიმურაზი ტახტზე ისვენებდა.

— გამარჯვება, ბრინჯა! — დაახალა თავზე ჯაყომ. როგორა ხარ? მად-  
ლობა ღმერთსა, რომ აგრე გადაჩებოდე.

თეიმურაზმა ძლივს წაშორწია. შერცხეა, გაწითლდა და ენა დაემა:

— მ... მადლობელი, ჯაყო, მადლობელი.

მარგო გვერდით მოუჯდა. მიღეული ხელი გამოართვა და თვალეზზე  
ხელსახოცი მიიღო.

ივანემ ჯაყო მაშინვე აივანზე გაიყვანა.

ნაცოლქმარნი დიდხანს სდუმდნენ და უბმო, უსიტყვო ტირილით სტი-  
როდნენ. ბოლოს, თეიმურაზმა აჩქროლებულის სმით ჰკითხა:

— მარგოში! მაშ ყველაფერი გ... გგათავებუელია...? იმედი აღარ არის?

მარგომ ჩალუნული თავი უფრო დაბლა ჩაჭლუნა.

თეიმურაზმა მარგოს ფაფუქსა და თბილ ხელს ოდნავ ხელი მოუჭირა.  
მარგომ პასუხი არ გასცა, ხელი გამოართვა და პირსახე მიიბრუნა.

თეიმურაზის გულის აღლომ მარგოს პასუხი უმაღვე გაიგო. გაიგო და აწ-  
ვილდა, აფორიაქდა და აკენესდა.

უცებ თეიმურაზი მარგოს მუხლებზე პირქვე დაეცა, პირსახე კაბის ნაო-  
ქებში ჩაფშალა და აბუტბუტდა:

— მარგო, ჩემო მარგოში! ჩემო ერთად-ერთო მეგობარო... შენ გ... გენაც-  
ოს თეიმურაზი... შენი ტირი მე, მარგოში! თავს შემოგ... გვევლოს შენი



თეიმური... აპატიე ხეპრული და ბრიყული საქ... ბეციელი... ამას წინად იქ, საბ'ხელ'ში უდიერად მოვიხსენე, წაუშლელი შეურაცყოფა მოგვსწავნებდა. ხომ იცი, რომ ის სიბ... ბბრიყვე მეტის სიმწარით და სიყ... ყუყუარული მისი მისიდა. უსაზღვრო დარღვა და გულის ტკივილმა დამაყრუეს, დამაბრმავეს და გაშაგიფეს. იმიტომ წამოვი... ვვროსე ის ბილწი სიტყვები, იმიტომ მოგცხე ტალახი და ჩირქი, თორემ შენ როგორ გაგიბედავდი, როგორ გაგიმ... მეტებდი, როგორ გაკადრებდი იმისთანა უმსგავსს გამობას და შერცხვენას!

მარგო აირია, გაშრა და სულთ აიწეწა.

თეიმურაზის ქვითინი და მუდარა მოულოდნელ მეხივით დაეცა. წელან რომ გულის ფანცქალით მოდიოდა თავისს ნაქრმევის სანახავად, გულში ჰტიქრობდა: „მუხლებში ჩავუვარდები თეიმურაზს და ცრემლით მოვიჩანებ ჩემს ცოდვასო. თუმცა ჯაყოს ძლიერ მკლავებიდან მარგოს გამოსხლეტა აღარ შეეძლო, რადგან მან ჯაყოს მკლავებში და მკერდზე მყუდრო ბინა და უცდელი, მწვავე, გიჟური ხორციელი სიყვარული იბოვნა, რომელიც მისთვის ყოველად გარდუვალი და უძლეველი იყო, მაგრამ მან იმ ორ თვეში ვერც წარსული დაივიწყა, ვერ წაიშალა და ვერ ამოიგდო გულიდან თხუთმეტი წლის ცოლ-ქმრობა, — ხორცილთ მსუბუქი, ბაცი, უღონო და უხალისო, — მაგრამ მაინც ერთგული, მყუდრო და უდარდელი.

ერთ ქვრ-ქვეშ და ერთ საწოლში თხუთმეტი წლის ცხოვრებამ ორივენი ათას უბილავ სიძით და ფესვით შეჰკრა და შეჰბოჭა და როცა მარგომ ეს ფესვები ამოსაგლეჯად ამოსწია და ძაფები დასაწყვეტად დასკიმა, თავისს ტანისა და სულის ყოველ წერტილში გაუძლისი ტკივილი და გოლგოთური კვნესა იგრძნო.

სულთ ნაცემი და დატანჯული მარგო ეხლაც იმისთვის მოვიდა თეიმურაზთან, რომ როგორმე გაეადვილებინა ამ ძაფების დაწყვეტა, თუმცა ჯერ არც კი იცოდა როგორ და რანაირის ხერხით დაიხსნიდა მარგო თავს შეჩვევის, შეთვისებისა და სულიერ მეგობრობის ტყვეობისაგან, რომელსაც თითქმის ისეთივე ძალა და გამძლეობა ჰქონდა, როგორც ჯაყოს ველურ სიყვარულს და გაუმაძღარს, ბრმა ყინს.

თვითონ მარგო აპირებდა ფეხქვეშ ჩავარდნას და ხეწნა-მუდარას. ეხლაც თვითონ თეიმურაზი უღებობდა ცრემლით მარგოს მუხლებს და ისეთის სასოვლით ნაწიბდა ქინძისთავის ოდენა ცოდვას, ვითარცა ნაავახაკარი წმიდანის ნაწიბდეს უფლის წინაშე თავისს განუხომელ ბოროტებას.

გაოცებული და დაბნეული მარგო თეიმურაზის შეთხელებულს ქალარა თმას მთრთოლვარე ხელს უსვამდა და იმის გახურებულ ბოდვას გულის ფანცქალით უგდებდა ყურს.

თეიმურაზმა მარგოს მეორე ხელიც ჩაიბლუჯა.

— ხომ აპატიე, მარგოში, ხომ შეუნდე შენს ძველსა და ერთად-ერთ მ... მმეგობარს გაგიყების დროს წამოსროლილი როშვა?... ოოპ, გმადლობ! გმადლობ, ჩემო ანგელოზო, ჩემო დაუფიწყარო დაო, დედაე და მეუღლე!

მარგომ თეიმურაზს ოდნავ თავი აუწია:

— ადე, ადექი... გეყოფა. დავიფიწყოთ ყველაფერი.





— არა, არა! დაიცვა... დამაცა... ცოტა ხანს კიდევ დამაცადე და უნდა ბავშვივით თავი უფრო ღრმად ჩაუხუტა მუხლებში და ორივე ხელით კალთებში უფრო მაგრად დაებლაუჯა.

— ცოტა კიდევ დამაცა... ეს არის ჩემი უკანასკნელი წილი, უკანასკნელი ალერსი... მერე ყველაფერი გათავდება... სამუდამოდ გათავდება. აღარ შეგაწუხებ... არც შენ მოინდომებ, აღარც ჯაკო დამანებებს შენს თავს... მალე ყველაფერი გათავდება... გათავდება!... გა-თავ-დე-ბა... მაგრამ... ჯერ მითხარი, ვამბავებინე, რას მიპირებ, რა ბედს მიუძღვნი შენს თეიმურაზს, შენს წინანდელ თემურს. შენს ჯვარცმულსა და იმ ქვეყნისკენ მიმავალ თეიმურაზს?

და ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ კიდევ შეეკითხა:

— სთქვი, მარგოში, სთქვი! ნუ მომერიდები. მე წინდაწინვე დავემზადე და უკვე შევეჩვიე ჩემს ხვედრს, ჩემს ავს ბედს, რომელმაც ასე უღვთოდ დამრია ხელი და გამათელა, გამსრისა და აღმგავა ცოცხალთა ასპარეზიდან. მე ამ ქვეყნისა აღარა ვარ. აღარც ის არსებობს ჩემთვის. ორთავენი ერთმანეთისათვის მკვდრები ვართ. დამრჩა მხოლოდ შენი თავი და პატიოსნება. ეხლა ესეც დამეკარგა. ამიერიდან შენ ჩემი აღარ იქნები, მაგრამ მე?.. რა ვარ მე შენთვის? ვინა ვარ? ოოჰ, მარგო, სთქვი!... სთქვი... სთქვი, ჩემო ერთო, ჩემო ჯვარცმულო ანგელოზო!

— ჯერ შენ მითხარი, ჩემო თემურ, რას აპირებ, რა გაქვს გულში? რა გინდა?

— მე?.. მე რა მინდა? მე?..

თეიმურაზმა თავი გადაიწია, მომაკვდავის სასოწარკვეთილი თვალები შეანათა მარგოს და ნაცემ ძაღლის მუდარით შეემუდარა:

— მე რა მინდა? შენთან ყოფნა და შენის გვერდით სიცოცხლე. მეტი არაფერი... ჰო, მეტი არაფერი...

მარგო თითქოს შეშინდა:

ჩემთან ყოფნა? თეიმურაზ!..

— ნუ, ნუ შეგეშინდება. ჯერ უფრო დამიგდე. მე მხოლოდ ის მინდა, რომ შენთან ახლოს ვიყო სადმე; რომ ზოგჯერ შორიდან მაინც დაგინახო; რომ ათასში ერთხელ ორიოდე სიტყვა მაინც გითხრა. მეტი არაფერი.

მარგომ პასუხი ვეღარ იპოვნა. ენადაბმულივით ძლივს ლულულულებდა:

— მე... მე არ ვიცი... არ მესმის... ჩემთან როგორ უნდა იყო? არ მესმის... რად გინდა... რად გინდივარ?... ჯაკო რას იტყვის? ქვეყანა რას იფიქრებს?..

თეიმურაზი ძაღლის თვალებს არ ამორებდა მოულოდნელობით შემკრთალ მარგოს:

— მე ისევ შენი სულიერი ქმარი ვიქნები. არა, ქმარი კი არა, შენი ერთგული სულიერი ძმა და მ...მწეგობარი ვიქნები... მეტი არაფერი მინდა. მეტს არაფერსა გთხოვ. ეს არის ჩემი უკვე...კანასკნელი მუდარა. მეტი არაფერი. ეხლა შენ იცი. ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია: თუნდ მომკალი, თუნდ მაცოცხლე. მეტი არაფერი.





უცებ ჯაყო შემოვიდა. თეიმურაზი რომ მარგოს მუსლებზე დაიბრუნა, ორი-  
ვენი თვალებით დაპლრდნა და დასჭამა.

— ვერ გაათაყუებდეს აქამდის?

თეიმურაზი წამოდგა. შელიას ღიმილით შეჭხედა ჯაყოს და კატის კნაეი-  
ლით შეჭყნაყლა:

ერქინეშუჴი  
ბიზჴიქინეჴა

— ნუ გაჯჯ...ჯავრდები, ჯაყო!.. ნუ შეშინდები. მე ძმურის აღერსით მო-  
ვუაღერსე მარგოს. თუ შეხი თანხმობაც იჭმნება, ამას იქით მე და მარგო და-  
ძმები ვიქქ...ქნებით. წენ ნუ გეშინიან, ჯაყო, ნუ გეშინიან...

ჯაყომ დოინჯი შენოიქარა და ბალიშია ოდენა მკურდი გადმოიგდო:

— ჯაყოს ბრინკასი არ გეშინიან! ჯაყოს არც ათი უჩაღისა გეშინიან!  
უველას დედას გიტირებს ჯაყოი, დედასა! მაშ, მაშა! ავრე ვიცის ჯაყომა!

— არც უნდა გეშ...შინოდეს, ჯაყო! შე შენთვის სს...საშიში არა ვარ.

— გინდებოდეს თუ არა, რომა მარგოს გაეყრებოდებდე?— მიახალა ჯა-  
ყომ.— გინდებოდეს თუ არა? ჯაყო ფული მოგცემდე, ბევრი ფული მოგცემდე.

— ჯაყო, მარგოს გულისთვის თთ...თუნდ კლდეზე გადავვარდები, მაგრამ  
ფ...ფფულზე ხმა აღარ ამთილო, კრინტიც არ დასძრა.

ჯაყოს გაუსარდა:

— მაშ, მაშა! უნდა გადავარდებოდეს, მაშა! არც ფული უნდა აიღებდე-  
ბოდეს. ეგეც მართალი ხარ. მაშ საქმე გათაყებულნი ხარ. ხეალეე გაეყრებოდე  
და სიღამოზე აქედან წახვიდებოდე.

— არა, ჯაყო, არა! შე აქედან არსად წწ...წაფალ. მარგოს ვერ მოვეშორდები.

— მაშ რა გააკეთებდე აქა? როგორ იცხოვრებდე?

— ისეე დუქანში ვვ...ვიწუშავებ... ვივაქრებ, მაგრამ ერთის პირობით: მარ-  
გო უოველ დღე უნდა ვვ...უნახო... ნუ გეშინიან, ჯაყო, ნუ გეშინიან. ჩვენში მხო-  
ლოდ და ძმობა იქნება... მეტი არროაფერი... მეტი არროაფერი. მარგოს გვერ-  
დით მიფუჯდები, ორიოდ სიტყვას ვეტყვი, ან, თუ გინდა, ხმასაც არ ამოვი-  
ღებ, ოღონდ ამის გვერდით მამყოფინე და ნაცტერინე... მხოლოდ მაცტერინე.  
მეტი არაფერი.

— მაშ ჯაყო მარგოს ქმარი იქნები, შენ კი ძმა იქნებოდე, არა?

— ჰო, ჯაყო, ჰო! შენ ქმარი და მე ძ...ძმა.

— კარგი, ჯაყო ყაბული ხარ. მაგრამ შენ რომ მარგოსთან დაჯდებოდეს,  
ან მეც იქვე იჯდებოდე, ან ერთი პატარა ბიწი დაგსვამდე.

— თ...თთანახმა ვარ, ჯაყო.

— მეც ყაბული ხარ. ხელი მოგეცი. ივანე. შენ გადაგწერი ხელი.

ჯაყომ და თეიმურაზმა ერთმანეთს ხელები მისცეს.

უცებ მარგოს უცნაური რამ დაემართა. თითქოს მას უსახლერო შეურაც-  
ხყოფა მიაყენეს და წაუშლული ჩირქი მოსცხესო: წელში გასწორდა, ნაკვეთი  
თავი მაღლა აიგდო და აღეწილ პიროსახეზე, მოუყარებული ამაყოფა, ნაკბენ თაფ-  
მოყვარეობის ნიხლი და ახლარბებული ამპარტაენება აისახა: თვალეში რი-  
სხვის ნაბერწყლებმა გაუფლვეს და ტუჩების ნაკვებში მძულეარებისა და ზიზლის



ბოლები ჩაუწყნენ. თეიმურაზს ზურგი შეატყია, ჯაყოს მკლავში სული გაეყარა და უბრძანა:

— ჯაყო, წავიდეთ!

და ორივენი მეფე-დედოფალივით გამობრძანდნენ.

ხოლო დაბნეული და გაშტერებული თეიმურაზი დიდხანს გაუნძრევლად იდგა იმავე ალაგზე, სათვალეებს ისწორებდა, ჰაერში თითებს ათამაშებდა და პტუტბუტებდა:

— ს...სსაკვირველია!.. ს...სსაოცარია! არ მესმის... არაფერი არ მ...მმესმის.

### III

ერთი კვირის შემდეგ მარგომ დასთბო: სამივენი გორში ჩავიდნენ და ძველი, თხუთმეტი წლის ჯაჭვები დაიწყვიტეს, ღრმად გამჯდარი მუხის ფესვები ამოიგლიჯეს და დასისხლიანებულის გულეებით ისევ ნაშინდარში დაბრუნდნენ.

დაბრუნდნენ და ქორწილის სამზადისს შეუდგნენ.

ჯაყო მეოთხე ცოლს—თავად თეიმურაზს ხევისთავის გაყრილ შეუღლეს, თავად ელიზბარ ყაფლანიშვილის ასულს მარგოს ირთავდა. ორი წლის წინათ, როცა საქართველოში ეკლესიებს ჰქეტავდნენ, ჯაყო სხვებზე გულმოდგინედ გაჰკიოდა: „აღარ გინდა ეკლესია!“ კხორტუ ეკლესია!.. ეკლესია დაძველდი, მორჩი და გათავდი! და ხევისთავთა ეკლესია დააკეტვინა და დააბეტდყინა. ეხლა კი, როცა ჯაყომ გადასწყვიტა დიდის რიანით, ზავით და ზეიმით თავადის ასულის შერთვა, სოფლის ყრილობაზე უცებ ყაყანი ისტება: „ჯაყოს ეკლესია გინდა. ჯაყოს ღმერთი არ გინდა, მაგრამ მღვდელი ძალიან გინდა!“ და ხუთიოდე დღეში ეკლესიის კარებს ბეჭედი აახსნევინა.

მათელ ნაშინდარს ხევისთავების საგვარეულო ეკლესიაში მოეყარნა თავი. წირვა თავდებოდა, მაგრამ ხალხი მხოლოდ ეხლა მოდიოდა/მეფე-დედოფლის სანახავად. მინგრეულ ეკლესიას, კარგა ხანია, ამოდგნა ხალხი აღარ ენახა. ხალხის ნახევარი ეზოში ირეოდა.

ერთი ჯგუფი დელავდა და ყაყანებდა:

— მეტის მეტად თავს გავიდა თქვენი ჯაყო.— იძახდა ნინიკა.

— ჩვენი რათ არის ვითომა?— ჰკითხა ერთმა ხნიერმა გლეხმა.

— იმიტომ არის თქვენი, რომა ყველაფერში ზურგს უმაგრებთ.

— ეგ მარსალია.— ჩაურთო მეორე ხნიერმა გლეხმა, მაგრამ ე მეოთხე ცოლს რომ ირთავს, ეს კი მეტის მეტი მოუვიდა.

— ჰო და, თუ მეტის მეტი მოუვიდა, უკან უნდა დავწიოთ და პირში ლაგამი ამოვდოთ.— სთქვა ილამ.

ეკლესიის კანონით მეოთხე ცოლის შერთვა არ შეიძლება.

— ეჰ, შვილოსან, ვიღა დაგიდევს ეხლა ეკლესიის კანონებს?

— მესამე ცოლი ჯერ ცოცხალი ჰყავს. მოტყუებით გვეყარა. ათიოდე თუმანი გადაუგდო და გაისტუმრა.

— ისევ ჩვენ თუ ამოვალთ მაგის ოხტიდან, თორემ თქვენ მაგას ვერა-



ფერს დააკლებთ. — სთქვა ბოლოს ნინიკამ და თავის ამხანაგებს მიუბრუნდა. — ილა, წამოდი! თანდილა, თედო! წავიდეთ. აქ ჩვენ საქმე არა გვქვია და ათიოდე ახალგაზრდა ჯაყოს ლანძღვით და ბუჩქნარში გავიდას ეკლესიის გალაგნიდან.

ეკლესიას ერთის გვერდით ბუჩქნარი და ხნარცვი ჰქონდა აკრული. ჯვრის წერა რომ დაიწყო, იმ ბუჩქნარიდან თეიმურაზი ქურდივით გამოძვრა და ჩქარის ნაბიჯით ეკლესიაში შევიდა, თითქმის შევარდა, თავჩალუნული ნაქმრევი ხალხში შეერია, გაძვრა და გამოძვრა, და სვეტის უკან ძლივს მოიოქვა აღელვებული ხული.

შორეულ სოფლიდან მოყვანილმა, გაცვეთილმა და გაცრეცილმა ღვდელმა დაბალის ხმით ჰკითხა ჯაყოს:

— გსურს თუ არა შეუღლება?

ჯაყომ ღვდლის შეკითხვა ვერ გაიგო.

— გინდა თუ არა მარგარიტაზე ჯვრის დაწერა? — განუმეორა ღვდელმა.

— გინდა, მაშა! — ისე წამოძახა ჯაყომ, რომ მისი ხმა ეზოშიც კი გაიგეს. ეკლესიაში ჩუმი სიცილი ასტყდა.

— გსურს თუ არა შეუღლება? — მიუბრუნდა ღვდელი მარგოს.

მარგოს პასუხი, ნიავივით ჩუმი, ღვდელმაც ძლივს გაიგო.

— იქორწინების მონა ღვთისა ჯაყო. სამჯერ სთქვა ღვდელმა და სამჯერვე განიმეორა: — იქორწინების მხევალი ღვთისა მარგარიტა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ.

მხოლოდ ეხლა აიხედა მალლა თეიმურაზმა. აიხედა და შეფე-ღედოფალს შეჰხედა. შეჰხედა და თვალი აუჭრელდა, გული აუჩქროლდა და აუტოკდა.

მარგო და ჯაყო ძლივს იცნო თეიმურაზმა. ჯაყო სუფთად იყო გაცრეცილი და გაპარსული. მოკლედ გაცრეცილი შავი თმა ზღარბივით ჰქონდა აკრული. გოლიათის ტანზე ეცვა მუქი ლილის ფერი ძველებური კაბა, ვერცხლით ნაქარგი აბრეშუმის ახალუხი, განიერი ხავერდის შალვარი და ახალი ლაკრონის ჩექმები. ნიდაყუამდის გაჭრილი ცისფერი ყურთმაჯები მხრებზე ჰქონდა გადაგდებული. წელზე ერტვა ოქროს ძაფით ნაქედი ქამარი და ხმალ-ხანჯალი, რომელიც ჯაყოს ახოვან ტანზე ზედგამოჭრილი იყო.

მარგო სწორედ ისე იყო გამოწყობილი და მორთული, როგორც თხუთმეტი წლის წინად, როცა ის, ჯაყოს მაგფერად, თეიმურაზის გვერდით იდგა: ტანთ ეცვა თეთრი ატლასის ქართული კაბა; განიერ მკერდს უმშვენებდა ოქროს ზონრით გადაბლართული და მარგალიტებით შეკრული პირისფერი გულისპირი; განიერი, იასამნის ფერი სარტყელი, თავით ბოლომდის ოქროთი და აბრეშუმით ნაქარგი, კოჭებამდის სწედებოდა. შუბლზე გვირგვინის მაგვარი იალქანი ერტვა, მარგალიტებით და აღმასებით მოკედილი, ხოლო თავზე და მხრებზე თხელი თეთრი მანდილი ედო, ისიც ოქროს ფოთლებით მოჭარგული. თავსაკრავის შუაგულს აღმართული ჰქონდა საუცხოვო ჯილა, — ძვირფასი თვლებების თაიგული. ამ თაიგულს დასცქეროდა მსხალის მსგავსი და ნეკის ოდენა



მარგალიტი, რომელიც ნისლოვან ვარსკვლავით უცნაურის და იდუმალის შუ-  
ქით ციმციმებდა.

თეიმურაზმა იცნო ჯაყოს კაბაც, მარგოს სარტყელიც და იდუმალის შუ-  
ქით ციმციმებდა. და ჯილაც: ორივე ტანისამოსიც, ხარალიც და ჯილაც ხევისთავეების საგვარეუ-  
ლო განძი იყო, მამით-შვილამდე გაღმონავალი, ძვირფასი ნახელოვნევი და ნა-  
ტიფი ნამუშავეარი, რომელსაც ნაშინდარის ბატონები და ქალბატონები თა-  
ვიანთ საგანძურიდან რკინით შეჭედნილ მუხის სკივრიდან—მხოლოდ საზეიმოდ  
ამოიღებდნენ ხოლმე.

ეს საგანძურიც და მრავალი საგვარეულო ოქრო და ვერცხლეულობა იმ  
სკივრში ინახებოდა, რომელიც ერთ დროს „ყაჩაღებმა მოიტაცეს“.

— და გამრავლდით ვითარცა აბრამ და ისაკ, სარა და რებეკა. და შვი-  
ლი თქვენი ვითარცა ახალი ხილი ზეთისხილისანი.—ჩურჩულებდა ღვდელი,  
სანამ გაშტერებული თეიმურაზი ჯაყოს და მარგოს ათვალიერებდა.

მაშ აი, როდის აღმოჩნდა იმ განძეულობის ნაწილი! აი, ვინ ყოფილა ნამ-  
დვილი ყაჩაღი! აი, ვინ მოსტაცა თეიმურაზს და ქართულ კულტურას დაუფა-  
სებელი განძი! ესნის თეიმურაზს, ეხლა ესნის ყველაფერი! ესნის თეიმურაზს,  
მაგრამ ამის გამო გულის ტკივილს არა ჰგონებდა. იმის თვალწინ მარგო სდგას,  
მარგო!

და თეიმურაზს უმაღ დააფიწყდა ძველი ამბავიც და დაკარგული განძეუ-  
ლობაც. იმისთვის ეხლა სულ ერთი იყო, რა დაიკარგა ოდესღაც, ან ვინ მოი-  
ტაცა დანაკარგი, ჯაყომ თუ ქეშელამ, ტურამ თუ გიბამ.

ეხლა მისი თვალიც, სმენაც და აზრიც მარგომ მიიზიდა, მიიჯაჭვა და  
ჩაიწურა.

ხელისხელ-ჩაკიდული მეფე-დედოფალი ლიტანიას უვლიდნენ. თავთ ქარ-  
თული გვირგვინები ედგათ. გვირგვინების ოქრო-ვერცხლის ტოტები და ფოჩე-  
ბი ოღნავ ირხეოდნენ და ბრწყინავდნენ.

ღვდელი და დიაკვანი გალობდნენ:

— რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ იღებიეს და ქრისტე შეგვიმოსიეს,  
აღლილუ-ი-ა-ა-ა...

ხარბად შესცქეროდა თეიმურაზი თავის ნაცოლარს და ძალაუნებურად  
ადარებდა იმდროინდელ მარგოს, როცა ახალგაზრდა ქალი, თხუთმეტი წლის  
წინად, ფერმკრთალი და ავზნებული, წელ-წვრილი და ხმელ-ხმელი, პირვე-  
ლად შესდგა გვირგვინის ქვეშ; როცა მორცხვად იღიმებოდა, ღელვით სთრთო-  
და და თვალებს იატაკს არ აშორებდა. ეხლანდელი მარგო უკვე დედაკაცი იყო,  
ნამდვილი დედაკაცი: დასრულებული და დამწიფებული, ფერწითური და ატ-  
ლასოვანი, ღონიერი და ჩაფუთქნული, ამაყი და თავმოშწონე.

მარგომ ხალხს ქურდულად გადააგლო თვალი და ერთის წამით თვალი  
თვალში გაუფარა თეიმურაზს, რომელიც ისე შეჰყურებდა მას, როგორც დაქ-  
რილი შველი შესცქერის მოღერებულ ხანჯალს: შიშით, უიმედოდ და სასოწარ-  
კვეთილ მუდარით.

მარგო ჯერ ოღნავ შეჰკრთა, მერე შუბლი შეიკრა, წარბები აიკრიფა და



ტუჩებზე თითქოს ტანჯვა და ზიზღი აისახა. და იმავე წამს თვალები ისევ დაი-  
ბურა, თავი დაჰღუბა და თეიმურაზს საჩუქაროდ კვლავ ზურგზე შეუკრულა.

მესამედ რომ უვლიდნენ ლიტანიას, მარგომ თვალი მუჭაში ჩაეჭრა მოსწ-  
ყვიტა. ხოლო ტუჩებზე კვლავ იგივე გაუგებარი გრძნობა ჰქონდა აღბეჭდილი,  
რომელიც თეიმურაზმა ვერ გახსნა და ვერ გაიგო, რადგან ერთსა და იმავე  
დროს იგი გრძნობა ტანჯვასაც ჰგავდა და ზიზღსაც, სიოცხეილსაც და მძულ-  
ვარებასაც, სინანულსაც და სიბრაღულსაც.

თეიმურაზმა ვერ გაარჩია, ვერ წაიკითხა მარგოს პირსახეზე მისი ნამდვილი  
აზრი და გულისთქმა, მაგრამ მას ის დანაწერი უფრო ზიზღად მოეჩვენა, ვიდრე  
სინანულად ან სიბრაღულად. და თეიმურაზს ძალაუხლებურად გაახსენდა მარგოს  
იმდროინდელი იერი, როცა მარგო ნახუცარ ივანეს სახლში თეიმურაზის სანახა-  
ვად მოვიდა და უცებ უცნაურად გარდიქმნა და გადადგულა.

„რა მაქვს საზიზღო? რად ამიძულა მარგომ?“ — ერთხელ კიდევ ჰკითხა თე-  
იმურაზმა თავის თავს.

„იმიტომ შეგიძულა და შეგიზიზღა, — მიუგო მაშინვე მასმა უჩინარმა ორე-  
ულმა, — რომ წარმავალი ხარ, საბრალო, სუსტი და მოშაკვდავი; იმიტომ შეგი-  
ზიზღა, რომ ბრძოლა წააგვი; იმიტომ, რომ უბრძოლველად დაუთმე შენი ცოლი  
და პატიოსნება აგერ იმ პირუტყვს, ახმახს, ველურ ჯაყოს, რომელსაც შენზე  
უფრო ღონიანი აქვს მკლავებიც და ყბებიც, წვივებიც და ხმაც, გულიც და  
სულიც“.

„ვიტომ?.. ვითომ მაგიტომ?“ — ჰკითხა თეიმურაზმა.

„დიად, მაგიტომ, მხოლოდ მაგიტომ. ეს კიდევ არაფერი. შენც მარგოს  
მზითვად მიჰყვები და ჯაყოს ყმად უდგები მხოლოდ იმისთვის, რომ ათასში  
ერთხელ შენს მარგოს გომია-ძალღვით შეჭხედო. ვის?! მარგოს! შენს მარგოს,  
რომელმაც ...

— ოოოჰ, დიდებულო ღმერთო!

და თეიმურაზმა ისევ მძლავრად ამოიოხრა, რომ გვერდით მდგომმა გლე-  
ხებმა გაოცებით გადმოჰხედეს. გადმოჰხედეს და თვითონაც ამოიოხრეს, თან გა-  
კვირვებით და თანაგრძნობით თავები გააქნიეს და გამოაქნიეს.

„ცოტაოდენი პატივი მაინც დასდე შენს თავს, სახელსა და წარსულს. —  
ბრაზით ჰკორტნიდა თეიმურაზის გულს მისი ორეული. — ნუ იბრწვევებ თვალებს.  
თავს ნუ იტყუებ, ნურც მარგოს ამართლებ. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ცოლმა  
გიღალატა.“

— ო-ო-ო-ჰ! — ერთხელ კიდევ ამოიკვნესა თეიმურაზმა. და მისი კვნესა  
მთელს ეკლესიას მოედო.

აქეთ-იქიდან ნაქმრევ თეიმურაზს ისევ სიბრაღულით გადმოჰხედეს.

— საწყალი! — წაიჩურჩულა თეიმურაზის გვერდით ერთმა დედაკაცმა და  
იმანაც ამოიოხრა.

ორეული არ სცხრებოდა:

„ღალატს თავი დავანებოთ: მარგოს ეზიზღები“.

— ვაი შე! — ხმა მალლა დაიკვნესა თეიმურაზმა და ორივე ხელი გულზე  
მიიკრა, რომელიც ამოვარდნას ჰლამობდა.



ეკლესიაში ჩურჩული ასტყდა. თეიმურაზს ხალხი შემოესწავა, მარგამ ის ყურს არავის უგდებდა და ვერც ვინმეს პხედავდა.

„ეზიზლები, რადგან ქალაქუნა ხარ“.

— მართალია! — ხმა მაღლა დაეთანხმა თეიმურაზი.

„არ მესმის, რა დაგენართა? — განაკრძობს ორეული. — შენი წინაპარნი რკინას სქამდნენ, დათვებს ხანჯლით ჰხოცავდნენ და ყინულზე იძინებდნენ. წინ დაიხედე. ისე სდევხარ შენი შამის საფლაფზე, როგორც წიწილა დევის მკერდზე: — წიწილა! ხა-ხა! გესლით იცინის თეიმურაზი.“

— საბრალო... საწყალი... — ისმის აქეთ-იქიდან ჩურჩული.

„შამა შენი და შენი წინაპარნიც სულითაც და ხორცილთაც ფოლაღისგან იყვნენ ჩამოსხმული; შენ კი გაქალდი და გაფუფდი. წყალსაც ძლივს ჰყლაპავ და ბუმბულიც მძიმე ლოდად მიგაჩნია. არც კბილები გაქვს საგლეჯად, არც მკლავი მოსაქნევად და არც ხმა შესატევად. საგულეს გულის მაგივრად დამპალი ძონძი ჩაგივდია, სასულეს სულის ნაცვლად სიმურაღე დაგიფუფებია, ხოლო ძარღვებში ცხელი სისხლის მაგივრად ქაობის ღუბელა ჩაგისხავეს. ისე დაკნინდი და დაილიე, რომ ვაჟკაცობისა აღარაფერი გაცხია“.

— ეგეც მართალია! ხმა მაღლა დაუდასტურა თეიმურაზმა.

„მაშ ახი ყოფილა შენზე, რომ ასე გაგსრისეს და გაგათრიეს“.

ახია, ახი! — ისევ ხმამაღლა დაეთანხმა თეიმურაზი.

„მაშ დაანებე თავი შენს მარგოს და დაიწყე ახალი ცხოვრება“.

— ღმერთო, მიშველე!

— თეიმურაზ! — ჩასჩურჩულებს ყურში ივანე აბოღებულ ნაკაცარს, მაგრამ თეიმურაზს ივანესთვის აღარ სცალიან.

„დაიწყე ბრძოლა, გაიკაფე საკუთარი გზა და დასდექი საკუთარ ფეხზე“

— ეგრე... ეგრე... მართალია, მართალი!

— რათა ცოლსა ამას ეშინოდეს ქმრისა... — არიგებს ღვდელი მარგოს.

„მაგრამ თავდაპირველად დღესვე უნდა წახვიდე აქედან და სამუდამოდ დაივიწყო მარგო“.

— ვაი მე, დედა!

— თეიმურაზ, რა დაგემართა? — ეკითხება ივანე.

„ეხლავე გადი ეკლესიიდან!“ — უბრძანებს თეიმურაზს ორეული.

— ცოტას კიდევ მოვიცდი... მერე, მერე გავალ. — ეუბნება ორეულს ნაკაცარი.

ნახუცარი ივანე და რამდენიმე გლეხი ჩურჩულით ელაპარაკებიან თეიმურაზს და ეკლესიიდან გასვლას ურჩევენ. ღვდელმა წირვა შესწყვიტა და მოთმინებით მოვლის სიჩუმეს. ჯაყო მოტრიალდა და ხარის თვალებს აბრიალებს. მარგოს ღრმად დაუბრია თავი და თვალეებზე ხელსახოცი აუფარებია.

თეიმურაზი შაინც არავის პხედავს, არც ვისიმე ლაპარაკი ესმის. ცალის ხელით სათვალეებს ისწორებს, მეორე ხელს ცხვირის წინ იქნევს და ცხარედ ებრძვის თავისს ყინიან ორეულს.

ივანემ ყურში ჩასძახა:





— ძმად თეიმურაზ! ვერ მიცანი? ვერა მცნობ?

როგორ არა, როგორ არა! თეიმურაზმა იცნო ნახუცარი ივანე! ივანეს როგორ არ იცნობს თეიმურაზი!

— რაო? აქედან წწ...წავიდეთო?... რად უნდა წავიდეთ? მე მე...ეკლესიაში ვარ. ვ...ველოცულობ... რა სთქვი? წ...წწირვა გათავდა? კეთილი... მაშ წავიდეთ! და უცებ ძლიერის ხმით შესძახა:

— კმარა! კმარა მუთქი!

რა სთქვა ივანემ? ნუ ჰყვიროს თეიმურაზი? განა თეიმურაზი ჰყვიროს? საკვირველია! საოცარია! თეიმურაზს არ გაუვია თვისი ყვირილი. კარგი, კარგი... თეიმურაზი გაჩუმდებო... მოდის თეიმურაზი, ეხლავე მოდის.

და ერთხელ კიდევ შემოსძახა:

— კმარა! კმარა მუთქი!

ისევ უკვირს თეიმურაზს. თვისი ყვირილი ყრუდ მოესმა, მაგრამ განა ის ხმა თეიმურაზისა იყო? მაშ ის ყვირილი მართლა თეიმურაზისა იყო? მართლა თეიმურაზმა დაიყვირა? საკვირველია! საოცარია! არა, თეიმურაზს ხმაც არ ამოუღია... სტყუის ივანე! პეტრეც სტყუის! ყველანი სტყუიან! რად ჩააცვიდნენ თეიმურაზს? რა უნდათ იმისგან?... კარგი, კარგი... მოდის თეიმურაზი, მოდის... მოდის...

— ხა-ხა! საკუთარ პანაშვიდს დავესწარი! ჩემივე თავის დასაფლავება ვნახე! ხა-ხა-ხა!—ჩაიხიხითა თეიმურაზმა.

დაანებე თავი თეიმურაზს, ივანე! რად ჩააცვიდი მაგ ადამიანს?! თეიმურაზს ხმაც არ ამოუღია... თეიმურაზმაც იცის, რომ ამ ეკლესიაში პანაშვიდი კი არ არის, არამედ ჯვრის წერაა, ქორწილია... ისიც იცის თეიმურაზმა, რომ ჯაყო ჯივაშილი ჯვარს იწერს მარგო ხევისთავზე... მარგარიტა ყაფლანიშვილის ასულზე. იცის, იცის! მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს ქორწილი თეიმურაზის პანაშვილია... დიალ!.. პანაშვილია, პანაშვიდი! მაგრამ თეიმურაზი ჯერ არ მომკვდარა! არც მოკვდება ასე ადვილად!.. დიალ, არ მოკვდება მუთქი! თუმცა... რაო? იქ ვინა სთქვა თეიმურაზზე „საწყალიო“? აქეთ კიდევ ვინ წამოიძახა, „უბედურიო“?

— ივანე, დამანებე თავი, მე თვითონ წამოვალ!.. არც საწყალი ვარ და არც უბედური. თუმცა მე... მე... სნეული ვარ... მართლა უბედური და საწყალი ვარ... ვიყავი, დღემდის ვიყავი... დღეს კი... ეხლა კი... ვაიმე, დედავ!

თვალეები გაუთვთრდა და გადმოუბრუნდა; ტუჩები აუტოკდა და აუცახცახდა; პირსახეზე ზაფრანამ გადაჰკრა; თავი გვერდით გადმოიგდო, თითქოს კისრის ძარღვები დაუწყდაო; ხელეები გაასაფსავა, მუხლები მოეკეტა და ეკლესიის კარებში ცალიერ ტომარასავით ჩაიჩოქა და გაიშალა.

და ეკლესიიდანაც იმავე წამს ერთხანეოში უცნაურად არეულმა დედაკაცის კივილმა, ქვითინმა და კისკისმა გამოაბნეთქა.

IV.

მეორე დღეს, შუალანემ რომ მოატანა, ჯაყოს ქორწილიც მიიწურა. და



მთვრალი სტუმრები სოფელს მოედნენ. ყოველ მხრიდან მათი თავაშვებული კიეინი, აბეზარი ყვირილი, მხიარული შეძახება, სიმღერის ამონახეობები და ენადაბმული ღიღინი მოისმოდა.

კაკლების ქვეშ, ღრმა წყვდიადში, რამდენიმე სანთელი ~~ქრისტე~~ <sup>ქრისტე</sup> ბუტავდა. ლურჯ სუფრას კიდევ შერჩენოდა ოციოდე მოჭეიფე, რომელნიც ტორტმანით, ქანაობით და ლასლასით ერთი-მეორეს ეჭიდებოდნენ, ეხვეოდნენ და ბლუენებით გაუფებარს რასმეს ლულულულებდნენ.

ჯაყომ მრავალნი დაათრო და კაკლის ქვეშ წააქცია. ეხლაც იქ ეყარნენ გამოტილნი, და მძიმედ ხვრინავდნენ, ოხრავდნენ და ჰბორგავდნენ. თვალეზ-გადმოყრილი და გაღელვებული ჯაყო მაინც არ სტყდებოდა. ნახევარ თუნგიანი შევერცხლილი ჯიხვი ხელთ ეჭირა და დაკლულ ხარვიით ხრიალებდა:

— აბა, ეს ღმერთმა გადღეგრძელოს ისა, რომელიცა რომა... სამ ცოლს გაუძლებდე და მეოთხესაც მოიყვანდე.

და ერთი თათი თავის გვერდით მჯდომ მარგოს აღერსით დაჰკრა. ხოლო მეორეთი ჯიხვი მოიყუდა.

ჭრაქმა ოდნავ გაანათა მტკიცე ნაბიჯით მომავალი ადამიანი, რომელიც ჯვარდაწერილებს ლანდივით წინ აეტუზათ. ლამის ლანდს შორი-ახლოს ფეხაკრეფით ნახუცარი ივანე მოსდევდა.

მარგო მაშინვე წამოდგა და, თავჩალუნული, სახლისკენ წავიდა. ჯაყომ პირიდან ჯიხვი მოიშორა:

— ოოჰ, ბრინკა, შენა?

თეიმურაზმა მარგოს გზა გადაულოცა:

— მოიცადე, ორიოდე სს...სიტყვა მაქვს სათქმელი. შენც ყური დამიგდე... მერე წადი.

სხვებმაც გაიკვირეს თეიმურაზის მოსვლა. ჯაყო დაფაცურდა:

— აბა, ალაგი ბრინკას! აბა, ქეშელა, საჭმელს მოართმევდე ბრინკასა!... დაგლოცე, ნათლია, დაგლოცე ახალი ქორწილი.

და ღვინით სავსე ადლიანი ჯიხვი თეიმურაზს გადაულოცა.

თეიმურაზმა ჯაყოს ორივე ხელით ჩამოართვა მძიმე ჯიხვი და მკერდზე მიიყუდა. მერე ხათვალეები შეისწორა და სიჩუმის შემდეგ დინჯის ხმით ჯაყოს მიჰმართა:

— ჯაყო! ხვალ დილით აქედან მ...მშვიდდევარ. მაგრამ სანამ წავიდოდე ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ შენ და მმ...მარგოს... შენ და ქალბატონ მარგარიტა ჯივაშვილისას. — და მარგოს გვარი გაჭიანურებით და ხაზგასმით წარმოსთქვა: — ჯი-ვა-შვი-ლი-სას!

— ნეტა ვიცოდე, რა საჭიროა ეს კომედია? — შეაწყვეტინა მარგომ.

— კომედია საჭიროა, უეჭველად საჭიროა. — განაგრძო თეიმურაზმა. — ჩემს ცხოვრებაში ისე აირია კომედია და ტრალედია, რომ ერთი მეორესგან ველარ გამირჩევია, და რაც შენ კომედიად გეჩვენება, ჩემთვის ტრალედია გახლავთ. მაშ ესე: სიტყვას არ გაუაგრძელებ, არც ბევრ დროს წავგართმევთ. თუ ქალბატონმა მარგარიტამ თხუთმეტი წელიწადი გაუძლო ჩემს ყბედობას, იქნება ხუთი



წუთიც გაუძღოს ტრალი-კომედის უკანასკნელ მოქმედებას. ნუ შეშინდებით, ქალბატონო, კომედია სისხლით არ გათავდება!

სისხლის ხსენებაზე ჯაყომ ხელი ხანჯალზე დაიღო და რატომღაც დაეპოტა. თეიმურაზმა ისევ მშვილად განაგრძო.

— არც თქვენს გგგ... გალანძღვას ვაპირებ, არც საყვედურს, ამიტომ გთხოვთ არ შეშინდეთ.

ჯაყომ იტყვიცა თეიმურაზის ნათქვამი — „ნუ შეშინდებითო“.

— ჯაყოს არავისი არ გეშინიან, არც ბრინკასი და არც ყაჩაღებისა! მაშ, მაშა!

— არც გაშინებ, ჯაყო! მე პატარა კაცი ვარ, სუსტი და უძლური, გულჩვილი და უწყინარი. ქათამს ვერ დაეკლავ და ბუჩს ვერ ავაფრენ, მაშ შენისთანა დევ-კაცს აბა რა უნდა დავაკლო?!

— აგრე! — დაკმაყოფილდა ჯაყო.

— ჯაყო! — შესძახა თეიმურაზმა დუმბილის შებდეგ და ოდნავ კილოს აუწია. — შენ ჩემი მოჯამაგირე იყავი.

— მართალი ხარ.

— მთიდან ჩამოსული უცხო ვინმე ხარ.

— ყვეც მართალი ხარ. მაგრამ ამ სოფელში ჯაყო უცხო არა ხარ.

სანამ ეს ქვეყანა გადატრიალდებოდა, ჩემის გულკეთილობით და დაუდევრობით ისარგებლე და გასუქდი.

— ჯაყო მუშაობით გასუქდი.

— მე ყველაფერს ვხედავდი, მაგრამ ვსდუმდი, რადგან ნაქარბევად კეთილი გული მქონდა.

— ეიოომ ამიტომ? — თავისთვის ჩაიღიმა მარგომ.

— მაშ რა რრატომ? — გაიკვირვა თეიმურაზმა. — სთქვი, რატომ ვსდუმდი?

— იქნება იმიტომ სდუმდი, რომ ნებისყოფა და გამბედაობა არ გეყო? თეიმურაზი ჩაფიქრდა, მერე თავი ჩაიქნია და სთქვა:

— მ...მმართალი ბრძანეთ, ქალბატონო. სუსტი ნებისყოფა, გაუბედაობა და გულკეთილობა ერთი და იგივე ყოფილა, ორიენი ტოლნი ყოფილან. ვგრე იყოს. სულ ერთია, ახ...ხხია ჩემზე! რაც მაშინ დავთესე, დღეს მოვიშვე. მაშ ასე, ჯაყო: ჩემის გულკეთილობით, ან ჩემის შეჩაობით ისარგებლე და ჩემს მამულზე გაკეთდი. მერე, როცა ქვეყანა აირია, დანარჩენსაც ხელი დაპრიე და ისიც კი მიითვისე, რაც არ გერგებოდა.

— ჯაყო ამ მამულში მუშაობდი, ჯაყომ აქ ოფლი დაღვარე, მაშა!

— ქვეყანამ იცის იმ ოფლის ფასი. ის ოფლი ჩემი ჯიბიდან და გლებების შურვიდან ერთი ათასად აინაზღაურე. მათ დაივიწყეს შენი... შენი ოფლი. ამან გიშველა შენ. გარდა სახლკარისა, შენ დაისაკუთრე ჩემი ავეჯულობა, საკონელი და ხევისთავთა საგვარეულო განძეულობა. რაც ეხლა შენს კ...კუნინას ტანთ აცვია და ვგ იარალიც, შენ რომ აგისხამს, ეს ძვირფასი ტურტელი და ეს ჯიბეც, ხელში რომ მიჭირავს, — ყველაფერი ჩემია, მამა-პაპეულია.

— არც ჯაყოს გაწყენს.

— ვიცი რომ არ გაწყენს.





- მარგოსაც მოგისდება.— მოუჭრა ჯაყომ.
- ძალიანაც მ...შმოუხდება. მაგრამ თითო ნივთს ასი და სხუთასი წლის ისტორია აქვს.
- თუნდ ხუთასისა იყავი, თუნდ ათასისა. ჯაყოსთვის მწუხარება ხარ.
- ვგვე მართალია, ჯაყო, მაგრამ ეს განძეულობა ან მე შეკუთვნის, ან ჭარბველ ხალხს. შენ მეცამეტე გ...გგოჭივით გამოსტყვერი და სხვის ქონებას დაეპატრონე.
- ჩემია! ჩემია! თვალების ბრიალით გააწყვეტინა ჯაყომ და ხანჯალზე ხელი დაიდო.
- ვიცი, რომ შენია. ეხლა გვიანდაა ამაზე ლაპარაკი. რაც წაყვიდა, წაყვიდა. ეს კიდევ არაფერი. ჩემი ნათუძრებიც დაისაკუთრე.
- ნათუძრები ჯაყოს რევალიამ მოგცა!
- ეს ნათუძრები ეკუთვნოდა ჩემს მეზობლებს, გლეხებს, რომელნიც ათას წელიწადს ამუშავებდნენ ამ მიწებს. რაც იქ ოფლი ჩაუღვრიათ იმ უჩინარ და უხმო მუშაკებს, ერთი ტბა დადგება.
- ჯაყომაც იმუშავე იმ ნათუძრებში.
- ერთხელაც არ გაგივლია გუთანი იმ მიწებში. თუმცა ამასაც თავი დავანებოთ. ესეც არაფერი. შენ დაისაკუთრე ჩემი ხალი, ვენახი და სახლ-კარი.
- ვგვე რევალიამ მოგცა ჯაყოსა!
- ჯაყო, დაანებე თავი რევოლუციას! თქვენ ერთმანეთს არც კი იცნობთ. რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია, მეწველი ფურია. შენ კი, შენ რევოლუციის მუხი ხარ, მისი წურბელა ხარ, მისი ტკიპი მისი ბაღლინჯო და ტილი.
- ჯაყომ დაიღრინა:
- გაჩუმდებოდეს, თორემ! ტილიცა ხარ და ბაღლინჯოცა!
- ხუ სცხარობ, ჯაყო! დაანებე თავი რევოლუციას. შენ არც-კი მუშაობ, ჯაყო!
- ჯაყოს ნათესავეები ხომ მუშაობდნენ?!— გააწყვეტინა ჯაყომ.
- ვიცი. მაგრამ ყველაფერი შენ დაისაკუთრე. შენი ნათესავეებიც და მთელი სოფელიც დაიბრიყვე, დაიმორჩილე და რკინის უღელში შეაბი. თვითონ შენ კი არ მუშაობ. შენ მხოლოდ ბრძანებლობ და ვაჭრობ.
- მაგასაც მუშაობა გინდა!
- რა თქმა უნდა! მევახშენი, ჩარჩები და ავაზაკებიც მუშაობენ ჯაყოს თეიმურაზის ნათქვამის ნახევარიც არ ესმოდა. თვალებს ბუღასაყით ატრიალებდა, მარგოს შესცქეროდა და განმარტებას მისკან მოელოდა.
- მარგომ ერთხელ კიდევ გაიწია წასასვლელად და წაიბუტბუტა:
- არ მესმის, რა გაროშვინებს ამოდენა სისულელეს?!
- მომიტმინეთ, ქ...ქალბატონო, მომიტმინეთ!..
- თეიმურაზი ერთის წუთით ჩაფიქრდა. მერყე შუბლი მოისრისა, ტუჩებზე მწარე ღიმილი დაიგრიხა და მორჩილებით დაეთანხმა მარგოს:
- მართალია... სრული სიმშართლეა. სისულელეა, ყველაფერი სისულელეა.



რაც ვითხარით... ჩემი აქ ყოფნაც სისულელეა. არც მე შესმის, რა ბრუნის და რა მაღაპარაკებს!

— თავიდანვე აგრე უნდა გეთქვა.— სიტყვა ჩამოართვა *მეჩვენებოდა*  
ჯაყომაც სიხარულით დაიხვიხვინა: *მეჩვენებოდა*

— მაშ, მაშა! აგრე იტყოდუ თავიდანვე რაღა, შე ბრინკაჲ, შენა! და-  
ლიე, დალიე ვე ღვინო, შე ქალაბიწაჲ, შენა!

თეიმურაზი შხამიან ღიმილს არ იშორებდა პირსახიდან.

— ქეშმარიტად, ჯაყო, ქეშმარიტად! ბრინკაც ვარ და ქალაჩუნაც, ჯაყო!  
ბოდიშს ვიხდი შენს წინაშე. mea culpa, მიარგუში, mea culpa! ჩემი ბრალია, ყვე-  
ლაფერი ჩემი ბრალია! ჯაყო თავით ბოლომდის მართალია, ყველაფერში მარ-  
თალია!

— მაშ, მაშა! ჯაყო ყოველთვის მართალი იყავი, მაშა!

— მართალია შეთევზე, რომელმაც მღვრიე წყლით ისარგებლა. ბრალიანი  
არც მგელია, რომელიც უპატრონო ბატკანს წააწყდა. განგებას ერთისთვის ბადე  
მიუცია, მეორესთვის კი ბასრი კბილები. კისრებიც მოუტეხნიათ თევზებსაც და  
ცხვრებსაც! თვითონვე იტირონ თავიანთი უგუნურება და უღონობა! ქვეყანას  
იმართვის არ სცალიან. ის თავისთვის ტრიანებს და შეგშულ ბატკნებს და  
თევზებს არც ამწნევს და არცა სთვლის.

— მაშ, მაშა! სადა გცალიან ღმერთსა ბატკნებისთვის და თევზებისთვის!

— სრული ქეშმარიტებაა, ჯაყო! ღმერთს სუსტებისთვის არ სცალიან.  
ღმერთი მხოლოდ ძლიერთათვის სცდილობს და მხოლოდ მათთვის ჰბრუნავს.

— მაშა, მაშა! მართალი ხარ, ბრინკა, მართალი!

— მაგრამ... ჯაყო! კიდევ ვილაც არის ამ ქვეყნად ღმერთის გარდა. ის  
„ვილაცა“ ურმით დასდევს ფეხმარდ მგლებს.

— ურმითა?

— ჰო, ჯაყო, ურმით დასდევს. დიდბანს დასდევს, ჯაყო, დიდბანს! ბო-  
ლოს, რაც უნდა მაოდად ირბინოს მგელმა, სადაც უნდა გადიკარგოს, ურმით  
მღვეარი „ვილაცა“ იმ მგელს მაინც დაგწევა და კბილებს დააგლეჯს. ასეა მო-  
მართული ეს ქვეყანა, ჯაყო!

მარგომ გესლიანად ჩაიღიმა:

— ესეც ახალი სარწმუნოება! ბატკნების და თევზების სარწმუნოება! შენ  
კი მათი ღმერთის წინასწარმეტყველად მოგვევლინე, არა?

თეიმურაზი მათრახდაკრულ გაუხედნაჲ კვიციყით ატორტმანდა.

— რას იკრიჭებით, ქალბატონო ქალუს?!  
— უჰ! — ოდნავ შეჰკივლა გველნაკბენმა მარგომ და ორივე ხელი პირსა-  
ხეზე აიფარა.

თეიმურაზმა ლაგამი აიწკიკიტა, თითქოს აღუღებულმა ქვაბმა ხუფი აიგ-  
ლიჯაო:

— თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ მავოდენა გესლს ანთხევთ, მაღამ ქა-  
ლუს?! ბატკნების და თევზების რელიგია მაძღარ ჯაყოს რელიგიაზე გასცვალეთ  
და მასხარადაც ამიგდეო?! თქვენი ერთად-ერთი ღმერთი ქალუსია, თქვენ მხო-



ლოდ მასზე უნდა ილოცოთ, იბრუნოთ და იმსჯელოთ. თქვენ კი ბატონების და თევზების ღმერთს უროცხვად ჰვმობთ და საქვეყნოდ გამოგაქვთ თქვენი სასიოცხო. იცოდეთ ამიერიდან, ქალბატონო ქალუს, რომ მე... მე... დაბრუნდებირედ მიმჩნია თქვენი ღმერთი ჯაყო, მაგრამ თქვენისთანა გოშის... რომელმაც... რომელიც... რომ, ღმერთო დიდებულო!

ორივე ხელი გულზე მიიკრა და მიბნედილი სუფრის ნაპირას ჩაიყვანა იმავე წამს მარჯო სიბნელეს შეგრიო.

თითქმის გულწასული თეიმურაზი დიდხანს ეგდო კაკლის ქვეშ. ნახუცარი ივანე წყალით აბრუნებდა. ჯაყოს სტუმრები აიშალნენ და აირივნენ. ზოგნი წავიდნენ, ზოგნი კი თეიმურაზს ბარბაციით თავს დასტრიალებდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და ფუსფუსებდნენ.

ჯაყო გერ დაიბნა. უაზროდ დაბოროტებდა და ჰყვიროდა:

— ტურა, ადამრაშუ!.. ჩქარა, ურემი შეგაბამდებოდე!.. გიბა, წყალი მოიტანებდე! აბა, რაშუ!.. მეშთა, მკითხავი კეკელა მოიყვანებდე; ჩქარა!.. ტელა, შენდალაქი დაუძახებდე!.. ქეშელა, თავრობის კაციც მოიყვანებდე, თორემა შარი არ გიყოს! აბა, თახრაშუ!

მერე, როცა დაინახა თვალ-ახილული თეიმურაზი, უცებ განზიარულდა:

— ბრინკა, გაცოცხლდებოდე? ხა-ხა-ხა! მე-კი მეგონა, ბრინკა ჩაძალდებოდე მეტქი! ხო-ხო-ხო! ქეშელა! ჰაი ქეშელა! არ გინდებოდეს არავინა, არა! დაუძახებოდე სველასა, ნუ წავიდებოდნენ, ნურც ურემი შეაბამდე. აბა, რაშუ! და ისევ თეიმურაზს დაუბრუნდა:

— ნუ შეგეშინდებოდეს, ბრინკა! ძალი კოწლობით არ მოკვდებოდე მე-აქი. მე გიცის მაგისი წამალი. აბა, ერთი ეს ყანწი დასცალეზოდე და ცხლავე ლეკურს ითამაშებდე, მაშა! აბა, დალიე, დალიე... სად მიდიოდეს, ბრინკა? ერთხელ მაინც დალოცავდეს ჩვენ სუფრასა.

თეიმურაზმა ლასლასით რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა. ილლიაში ივანე ჰყავდა შემჯდარი. მერე ძლივს მოტრიალდა და ჩურჩულით, მაგრამ მკაფიოდ უთხრა ჯაყოს:

— ამ ქვეყნად მაინც არსებობს სამართალი, ჯაყო! ის ურემით დასდევს ბოროტებას, ბოლოს უეჭველად წამოეწევა და ღღ...ღირსეულს მიუძღვნის. დაიხსოვე ჩემი უკანასკნელი სიტყვა. მე მმ...მივდივარ, ჯაყო! წავალ და, ან აღარ დავბრუნდები. ან გამარჯვებული დავბრუნდები. მაგრამ შენ ამიერიდგან დღე-და-ღამ იმ სამართალს მოელოდე. ჩემს მაგივრად იგი მოვა და ანგარიშს გგ...გავისწორებს. ბედმა მდევარმა შენ თუ არ მოგისწორო, შენს შვილებს მაინც წამოეწევა და კბილებით დაპვლეჯს, შამფურზე შესწავს, ნელ ცაცხლზე მოჭრაკავს, ბნელ ორმოში ჩაპყრის და თან გველის წიწილებს ჩააყოლებს... იყავ წყვეული უკუნითი უკუნისადმდე, ჯაყო! იყავ წყვეული და შეჩვენებული!

სთქვა, მიბრუნდა და ფორბილით წვედიაღში შთაინთქა.

— აბრუნდუნუნ! პრასა და ნიაბური! მაშა გიცხონდა, ყურებზე ხახვი არ დამაქრებოდე! — მიაყარა უკნიდან ჯაყომ. — ფეხებზე გკიდია ჯაყოსა შენი წყევ-



ლა, მაშ, მაშა! ხომ გაგისტუმრებდეს ჯაყოი! თუ ბევრი ილაპარაკებდა, კარგებსაც მოგცხებოდეს. მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

თეიმურაზის თეზის ხმაც აღარ ისმოდა, ჯაყო კი ისევ მთელი ილანდებოდა, იფურთხებოდა, იმუქრებოდა და წამდაუწუმ კიბვინით გაჰკიოდა:

— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!.. ფეხებზე გკილია ჯაყოსა შენი კნიახობაცა და სწავლაცა!.. რევალცია ჯაყომ გიგიკეთა, მაშა!... ჯაყოს ყველაფერი რევალციაშ მისცა, მაშა!... თრი წიგნი წავიკითხავს ბრინკასა და ისევ ბატონი გგონია თავისი თავი! ის კი არ ვიცის, რომა ინისი წიგნები ბუხარში წახვედი. და წყრომის გრიგალი ბოლოს ასე დაიმშვიდა:

— სმენა და გაგონება!

— მუშტი და გაგორება! — შიამაბა ერთმა.

— სმენა და გაგონება! ეს ღმერთი და წმინდა ჯივარგი შეგეწიოს რევალციასა, რომელიცა რომა საწყალ ხალხს მისცემდებოდეს მიწა, სახლი და კეთილი ცხოვრება. ღმერთი, წმინდა ჯივარგი და არბოს ხატი გწყალობდეს ჩვენსა მოავრობასა, რომელიცა რომა ყარაულია რევალციისა და ჩვენისთანა საწყალი ხალხისა. საცა სამართალია, არბოს ხატს ერთი კურატი უნდა დაგიკლა, რომ ის ხატი და წმინდა ჯივარგი ყარაულად დაუდგებოდეს ჩვენს რევალციასა, თორემა, თუ ბრინკა დაბრუნდებოდეს ამ სოფელში და მიწა წაიღებდეს, ჩვენისთანა საწყალი ხალხი აქ აღარ დადგებოდეს.

და მეორე დღესვე ჯაყომ ერთი მოხვეერი ამოარჩია და არბოს ხატს შესწირა.

V. ✓

მესამე დღეს დილით თეიმურაზმა ივანეს უთხრა:

— დიდი მადლობელი დახ... ხმარებისთვის და მასპინძლობისთვის. ისე არ მოკვდება თეიმურაზი, რომ შენი სიკეთე ერთი ასად არ გადავიხადოს. მივდივარ... არ ვიცი, როდის ან სად შეგხვდები. არც ის ვიცი, განსაუ ოდესმე თუ არა. რაც უნდა მოხდეს, ჩემი ბემკვიდრე შენა ხარ. ამბობენ: შენს სახლს რომ ცეცხლი მოეკიდოს, ხელი მაინც გაითბეო, ვე მაინც შეგრჩებაო.

— შენც გამოგადგა შენი ცეცხლი, თეიმურ, არა?

— შენს მტერს, მე რომ ცეცხლი ვნახე. ყ... ყველაფერი გადამებუგა. აი ეს ჯოხი-ლა შემრჩა, ხელში რომ მიჭირავს. სამაგიეროდ ჭკუა ვისწავლე და ხელიც ისე გავითბე, რომ საფლაუშიც ვერ მოვიშორებ იმის სიმწვავეს. ეხლა მივდივარ ახალ გზების გასაყვანად, ახალი ბუდის საძებნელად და ახალი ცხოვრების მ... მმოსაწყობად. რაც მოხდა — მოხდა! რაც იყო — წავიდა და აღარ დაბრუნდება!

— მადლობა ღმერთსა!

— ან სულ ველარ მნახავთ, ან გამარჯვებული დავბრუნდები. ჯაყოსავით უნდა გავძლიერდე. ჩემი სიბრმავის გამო ცხოვრებამ გამკყლიტა, ეხლა წელი უნდა ავიწიო და ცხოვრება მე თვითონ უნდა დავსთრგუნო.

— მადლობა ღმერთსა! ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაგჯდომია. — გაიღიმა ივანემ.



— შენი ნათქვამიც, ჩემი გამოცდილებაც და დაკვირვებაც იმას მტკუნე-  
ვიან, რომ უძველეს სხეულში უნდა ფოლადის ხერხემალი ჩავიდგა და უძლიერ  
საგულეში რკინის ნაქერი უნდა ჩავიდო.

— აი, ეგ მომწონს! — დაუდასტურა ივანემ.

— კმარა ესოდენი მცონარეობა, ყბედობა, ლანდების დევნა, უნიადაგო გატა-  
ცება, სრული უცოდინარობა ამ ქვეყნის გარღვეულ კანონებისა და მუდმივი  
ფრენა ვარდისფერ ღრუბლებში, რომელნიც სინამდვილეს დაეტაკნენ და უმაღ  
გაიფანტნენ და გაპქრნენ. იმ ღრუბლებში აშენებული კოშკები თავზე ჩამომენ-  
გრნენ და უკანასკნელი იმედი და რწმენა დამიმსხვრიეს. ძალა, მ...მზნეობა, გა-  
ნარჯვება, ბასრი კბილები და ძლიერი მკლავი, უნდობლობა და დაუნდობლო-  
ბა, — აი ამიერიდან რა ეწერება ჩემი ცხოვრების სახელმძღვანელო წიგნაკში.

— გასასტიკებულხარ, თეიმურ.

— გულჩვილნი და გულკეთილნი ამ ქვეყნად ველარ გასძლებენ. მეც ამავე  
წიგნაკში ასეთი საღლეისო ათი მცნება ჩავიწერე: მაგალითად: მგლებთან მგლობა  
და ცხვართანაც მგლობა.

— კარვად არის ნათქვამი.

— ცხვარი ღმერთს მოსაწველად, გასაკრეჭად და შესაქმელად გაუჩენია.

— ეგეც კარგია.

— ვინც ღილი მოგწყვიტოს, ის თავით ფეხებამდის გაატიტვლე, ხოლო  
ვინც არაფერი დაგიშაეოს, ის გაატყავე.

— აი, გიშველა ღმერთმა!

— ცხოვრების მდინარეში პირაღმა ცურაობა გიყვების საჭმელა. წყალს გაჭ-  
ყვი, სამშვიდობოს გაგიტანს.

— რაც მართალია, მართალია!

— ვისაც ერთი ტყავი აქვს, ორი გააძერი; ვისაც ორი აქვს, ხუთი ააგლი-  
ჯე; ვისაც არაფერი აქვს, ათი წააძრე.

— ხა-ხა-ხა!

— მადლს ნურავის უზამ, თორემ დამადლებული მადლს არ გაპატიებს და  
სამაგიეროს შხამით გადაგიხდის.

— მაგას კი არაფერი სჯობია! ეგ ჭეშნარიტება მეც ათჯერ და ასჯერ გა-  
ნობიცილია.

— სიკეთეს ნუ დასთესავ, თორემ ნელცოფა ამოვა.

— ხა-ხა! — ჩაიღიმა ივანემ. — არა მჯერა, ჩემო თეიმურ, რომ შენ შენივე ხასია-  
თის ყირამილა გადაბრუნება შესძლო. ქრისტიანობაც ძირიან-ფესვიანად ამოგიგდია  
გულიდან. მაინც ღმერთმა ხელი მოგიმართოს. წადი და ბედი სცადე, მაგრამ არ  
დაივიწყო დღევანდელი შენი ანდაზები და დევიზები. შენთვის საზოგადო საჭმე  
მოკვდა და აღარც შენც არსებობ იმისთვის. დაივიწყე ყოველივე და დაიხსომე  
მოლოდ საკუთარი თავი და სარგებლობა. ხომ არ გადაუხვევ ამ გზას?

— არ გადაუხვევ, თუმცა...

— როგორ თუ „თუმცა“? ისევ რყევაში ხარ.



არა, ივანე, არა! აღარც რყევა, აღარც იჭკი. მტკიცე რჩენი და  
ერთის გულით მივდივარ.

— მაშ ღმერთმა ხელი მოვიმარაოს. მშვიდობით იყავი, ჩემო თემო!

ხვენს დროში, ძმაო ივანე, მოკეთე ასე უნდა დაბლოცო: ღმერთმა  
მ...მშობლივან და სულიერი მშვიდობა მოგცესთქო. ხეც მოთმინებას და სუ-  
ლიერ მშვიდობას გისურვებ.

გადაეხვივნენ და ერთმანეთი დაჰკოცნეს.

თეიმურაზი მობრუნდა და ვზას გაუდგა. ხურგზე პატარა ბოხჩა ეკიდა და  
ხელში ჯოხი ეჭარა.

მხემ თავი ამოაჭყო და მიდამო ვაანათა, გაათბო და გააცოცხლა. დილის  
ნისლით შემოსილი სოფელი და კაშკაშა მზე ერთმანეთს უცინოდნენ. დიდი  
არხის წყალი ღიღინებდა, მოუსვენარა ლიახვი დილის ზღაპარს იმღეროდა.

ერთმა ფეხშიშველა გოგონამ თეიმურაზს ასკინკილით ვზა გადაუჭრა და  
თვალეებში გაუღიმა. პატარა ბიჭმა გამოსროლილი ჩილიკა ფეხებში მოახვედრა და  
გადიკისკისა, ბატი სისინით დაედევნა. ხოლო შინაური ჯაფარა ლობის მაოგი-  
ლებზე ხტუნაობით მიხდევდა და სჩხაოდა:

გიჟო! გიჟო! ნუ მიხვალ! ნუ მიხვალ! დაბრუნდი! დაბრუნდი!

— დაბრუნდები, თუ... თუ გავიმარჯვე. შალალის ხმით უპასუხა ჯაფა-  
რას თეიმურაზმა.

თრღობის ბოლოში პეტრეს ნინიკა ისევ სუფდიან ურმულს ღიღინებდა.

კამეჩო მუხრანელი ხაიარ.

გუთანი გეცოდინებთ:

მე გუთნისა არა ვიცირააა,

ულუღიც მუროთირებაა.

სოფლისა და ბუნების ლაღობა და მხნეობა თეიმურაზსაც გაუფხდა სულში.  
ისიც გამზნევდა, ვალაღდა და გამტკიცდა. გამტკიცდა და დაფიწყებულ პანკზე  
აღიღინდა:

წყალსა ნაფოტი მიჰქონდა,

ჩამონათალი ხისაო.

აღიღინდა და თვითონაც გაიკვირვა თვისი ღიღინი.

ათი წელიწადი იქნებოდა, მაინც რაც თეიმურაზს არ გაეგო თავისი საკუ-  
თარი ხმა, რომელსაც ხრინწი და ჯანგი მოსდებოდა. ჯაყოს ღუქანში რომ იყო,  
მაშინ სკადა ხმის ამოღება მუშტრის გახართობად, მაგრამ ის ნაძალადევი სიმ-  
ღერა იყო. ეხლა კი მისი დაობებული ხმა ვულის სიღრმიდან ამოდიოდა.

თეიმურაზმა თანდათან ხმას და ხაბიჯს მოუმატა. ჩახლჩილის ხმით მზია-  
რულად მღეროდა და ნიბაკუნობდა, მაგრამ იქ, თეიმურაზის სულის და გუ-  
ლის სიღრმეში ძველებურად ისევ ჩამი-ჩუმნი და ფუსფუსი გაჰქონდათ იჭყისა  
და რყევის განწყურელსა და უკვდავს კიებს, მარადიულ ვულის კვნესას, განუ-  
კურნებელ სიდამბლეს და უცნაურ ქიაჟელას, ვინ იცის, ვისგან და რისგან და-  
შინებულს, უნათს, უძლურს, ნორიდებულს, მოკოძალებულს, თანაც ბაყაყვიით



სველსა და ცივს, — რომელსაც თვისი კუდი ბრძნულად თვისივე შებლზე მიედო და მუდმივ თავისავე თავს ასე ეკითხებოდა:

„რა არს ჭეშმარიტება?“

სად არს სამართალი?“

რა არს ცხოვრება ესე“??

იმ ჭიკაძელსაც არც ძვალი ჰქონდა, არც კუნთი და არც ხერხემალი. თვითონაც არ ჰქონდა და შეუსვენებლივ თეიმურაზის ძვალ-ხერხემალსაც ჰღრღნიდა, ჰხრავდა და სჭამდა. ჭიანჭაში, გამოხრილი, დაფუტუროვებული, ძვალდაღრღნილი და ხერხემალ-მოშლილი თეიმურაზი მაინც გულს არ იტეხდა: ღიმილით და ღიღინით, თვალდახუჭული, უგზო-უკვლოდ მიდიოდა უცნობ მომავლისკენ ბედის მოსაძებნად ახალის და უკნაურ ქვეყნის საპოვნელად. მიდიოდა და იმედოვნებდა, ვითომ მოდუნებულ მკლავებით, მჩატე გულით, მწიგნობრულ ცოდნით, მიღწეულ სულითა და გატეხილ ხერხემლით დღევანდელ ცხოვრებას ფოლადის კბილებს დაადრობდა დამდნარ რკინის მდინარეს პირაღმა მიატრიალებდა, ახალ გზას გაიკვლევდა და ცხარე ბრძოლით ოქროს სავარძელს შიავებდა, რომელიც მან, თეიმურაზმა, ესოდენის შრომით, იფლით, ცოდნით პატიოსნებითა და ქვეყნისათვის მზრუნველობით შექველად დაიმსახურა.

მიდიოდა თეიმურაზი და თან მიჰქონდა განუკრელი, საკუთარი, მარად ერთგული ჭიკაძელა, — კუდზე შებლ-დაბჯენილი ბრძენი, უძვალო და უკუნთო, ცივი და ლორწოიანი, მუდმივ მზოდვეი და მკითხავი თავისავე თავისა:

„რა არის ჭეშმარიტება?..“

სად არს სამართალი?..“

რა არს ცხოვრება ესე?“

უცებ შესდგა, ორივე ხელი მკერდზე მოისყა და ზედ დაიხედა. დაიხედო, გაიღიმა და გაიხარა: აყროლებული ძაღლის მძორი აღარსად იყო და მწიგნობარს აღარც მისი ლეშის სუნი მოსდიოდა.

ახალის გზით წავიდა თეიმურაზ ხევისთავი და კვლავ ახალ ლანდების ნისლში მსაინთქა.

✓

VI

რამდენიმე თვის შემდეგ ოთხმოცი წლის მოხუცივით დაბერებული თეიმურაზ ხევისთავი იმავე ნაშინდარს მიადგა. ქადილით წასული შებრძოლი ერთგულ ძაღლივით უბრუნდებოდა ჯაყო ჯივაშვილს.

თავზე ქუდის ნაგლეჯი ებურა, დაგლეჯილ ჩუსტებიდან ფეხის თითები უჩანდა და ტანზე დაკონქილი ინგლისური ფარაჯა ეცვა.

წელში სამად მოხრილიყო, დამსხვრეულ სხეულს ძლივს მოათრევდა და სქელ ჯოხს ყავარჯენად ხმარობდა.

ოცდათექვსმეტი წლის მოხუცს თეთრი წვერი ჩახნეტილ მკერდზე სცემდა. გამოლაყვებული თავი თხისთავივით უცანცარებდა და ღრმა ორმოცბში ნღვრივ თვალები უსულლო მინებევით ჰქონდა ჩაწყობილი.

შემოდგომა ზამთარს ებრძოდა. გაცრეცილ ბაღებსა და ქალებში ნისლიანი





ბინდი ჩაწოლილიყო. ქარსალის მინდვრებს ტყვიის ღრუბლები დასწოლოდნენ. ქუშაანი ცა ცივი წვიმით იწურებოდა. ორლობის გზა მკვდაჭერი ფეხებით ავსილიყო აქა-იქ ლობეებზე, მარგილებზე და ტანთ გახდილ ქუეზებზე. ბელურები და ყვავები თავშესაფარს ეძებდნენ და უილაჯოდ სჩხაოდნენ.

პირდაღვრემილი სოფელი აღარ იცინოდა. არხი და ლიახვიც სიმღერის მაგივრად გესლით იღრინებოდნენ.

მოდიოდა თეიმურაზი და მარად განუყრელს ძაღლის მძორს კვლავ კისრით მოათრევდა, თან ღროგამომშვებით გულმკერდს ისე იხოკაედა, თითქოს იმ მძორის ჩამოგლეჯას ჰლაშობდათ. ორლობეში ისევ ბატებს წააწყდა, მაგრამ დედა-ბატი სისინით აღარ დეედევენა და გოგო-ბიჭებიც სიცილით და ღრეკით აღარ მისდევდნენ; ჯაფარა კი ისევ მარგილზე დაჰბტოდა და დამარცხებულს ჩხავილით დასციწოდა:

მობვედი? დაბოუნდი? მოხვედი? დაბრუნდი?

სანამ თეიმურაზი ახალი ქვეყნია და ბუდის ძებნაში სადღაც დაბორიალეზდა, ჯაყოსსავეს თეიმურაზის ძალ-ვენაში და ნასახლარი ჩამოერთმიათ. დარბაზის ხენო სართული სკოლად გადაეკეთებინათ, ხოლო ქვემო სართულში კოოპერატივი გაეხსნათ. ჯაყო და მისი ჯალაბ-ჯულაბი ახალი სახლის აწენებამდის კოშკს, ბელღლსა და მარამში ჩასახლებულიყვნენ.

თეიმურაზი თავის ნასახლარის ეზოში თრთოლვით და ბორძიკით წევიდა. სკოლიდან ბავშვების ღრიანცელი მოისმოდა.

ახალი მასწავლებელი აივანზე გადმომდგარიყო, მომავალ თეიმურაზს ათვალერებდა და უცნაურად იღიმებოდა.

ქუშელამ თეიმურაზი კოშკში წეიყვანა. ჯაყო ბუხართან იჯდა და პაპიროსის მაგივრად ისევ მყოალ ყალიონს აბოლვებდა. ნარგოს დარიგებით გაპარსული მაიმუნი კვლავ ბანჯულიან დათვად გადაქცეულიყო: წვერი გაეზარდნა, გაპოხილი ქუოქი და ტლანქი ჩექმები ჩაეცვა და თავზე მატყლის ბულულა დაედო.

მარგო ისე განბდარიყო და გაყვითლებულიყო, თითქოს საში თვის ნალოგინარი ყოფილიყო. უსისხლო ტუჩები გასცრეკოდა, და ლოყები ღრმად ჩახხეჭოდა ხოლო ღონად ჩაცვივნილი ნუშის მსგავსი თვალები მიმქრალ ტოიქივით ძლივს ბეუტავდნენ. ტანთ ჩითის დაკონკილი კაბა ყვეა და მხრებზე გახუნებული შალი ჰქონდა წამოსხმული.

თეიმურაზის დანახვანე ორივენი მობრუნდნენ და გახვედნენ.

თეიმურაზ ხვეისსავემა ჯაყოს და მარგოს დაბლად დაუკრა თავი და მორჩილებით ჩაიქნავლა:

— აი, დავ... ვებრუნდი...

იდგა თეიმურაზი და მღვრიე თვალებს თავის ტალახიან ფეხის თითებს ვეღარ აშორებდა.

მარგომ ბმა არ გასცა. კედლისკენ მიუბრუნდა და თვალები მოიფშვნიტა. ჯაყო ჯერ გაიბადრა. მერე ძლევამოსილ კვიცივით ახვიბვინდა:

— ბრინჯა, მოსვიდებოდე? აბა, დაჯდებოდე და მეტყოდებოდე, აქამდის



სად იხეტიალებოდე და დაეთრეოდე? — პასუხს აღარ მოუცადა და თვითონვე განაგრძო:

უჩინესულს!

— მაშ, მაშა! აკი ვითხარი ჯაყომა, ნუ წახვიდებოდე მუცხუნი წყნდებოდე ვითომა, რომ ფეხი დაგკარი და გაიქცეოდე! რა მოგიგე? ანდე, როგორ გახდებოდე! აკი გეტყოდე ჯაყოი: ნუ წახვიდებოდე, აქ დარჩებოდე, ღუქანს მოუვლიდებოდე და ბულლატერიასაც გააკეთებდე მეთქი, თორემა ქეშელამ რა ვიცი ვაქრისა და ბულლატერიისა!

უცებ კილო გამოიცვალა და ატირდა:

— ყველანი გატყუებდეს ქეშელასა. საწყალი ჯაყოი! ჯაყო წააგე, ძალიან ბერი წააგე! ღუქანი დაკეტე ჯაყომა. იმ სიშორეზე ხალხი აღარ მიდიხარ. შენ სახლში ეხლა კაპრატივი გახსენი მოაპრობამა. ისე იათად გაყიდებოდე ი კაპრატივი საქონელსა, რომ საწყალი ჯაყო კინალიმ ვაკოტრდი.

წუწუნის ნაცვლად უცებ კვლავ გესლით ახვიხვინდა:

— ვიცის ჯაყომა, როგორი კაპრატივიც გექნება ნაშინდარსა, კარვად ვიცის ჯაყომა! გინდა ტყავი გააპრობდეს ხალხსა, განა! ეგენი კი იძახდე: ხალხი იათი საქონელი უნდა მოგცესო. მამა გინცხოდა! ვითომ არ ვიცის ჯაყომა, როგორ უნდა მოატყუებდე ხალხი?!

— აი, დავბრუნდი, — ჩურჩულით განიმეორა თეიმურაზმა და ტანტის თავზე ჩამოჯდა.

მეც ხედავ, რომ ბრინკა დაბრუნდი. ეხლა ჯაყოს სახლი აღარა გაქვს, სახლიც წაგართვეს, ვეჯიც და ყველაფერიც: ოქროცა და ვერცხლიცა, სარკეცა, რკინის კრაოტებიც, სმალ-ხანჯალიც და ყველაფერიცა, ყველაფერიცა! რაც ძველი და კარგი რამ გჭონდა, უნდა ქალაქში წაგიღოთო. ვიცის ჯაყომა, საცა წაიღებდეს, ვიცის.

— ხი-ხი! — ჩაიხითხითა, ვულში თეიმურაზმა.

— სახლიც წაგართვეს და სკოლა გაგიკეთეს! — კვლავ ხიზლით აღელდა და ახვიხვინდა ჯაყო. — რა ობრად გინდა ჯაყოსა სკოლაი? ხალხსაც ფეხებზე გკიდია სკოლაი! თუ ჯაყოს განათლება არა გაქვს, კარგი ბიწი ვერა ხარ, რაღა! ბავშვები ნახირში გინდა წახვიდებოდე, ან წყალი მოიტანებდე, ან დედ-მამას უშველებდებოდე, ეგენი კი მთელი დღე მოგაცდენდეს. არა გიშავს რა ჯაყოსა! დაიცადებდე!... მოიცადებდე! ყველას სვირს გაჩვენებდე, ჯაყოი, ყველასა: ნინიკასაც, ილასაც, თომისაც, თედოსაც და თანდილასაც ეს ხუთი კაცი მთელი სოფელი ხელში გაგიგდეს, აღარავის მოსვენებას არ აძლევენ. სულ ძალაზე გიჭირავს თვალი. ამას წინათ ნინიკასთან ჯაყოს ჩხუბი მოგივიდა. მე ერთი სახრე დაგკარი, იმან კი ჯაყოს კონბალით თავი გაგიხეთქე. დაიცადოს! დაიცადოს! მე გიჩვენებ კონბალსა! ყოველივის ხომ არ იქნები ეს მოაპრობაი. ნანიკამ უნდა ჯაყოს გაჯობოს? უნიტხო!... უცხშიშველა!... ქეციანი! მთელი დღე მოჯამაგირესავით მუშაობ და ურთი ღუქმა ძლივს იშოვნიდე! რა კაცი ხარ ნინიკაი, თომაი და ილაი?! სულ ის გინდა, რომ სხვას წაგაგლიჯონ და სკოლას და კაპრატივს მოგცენ! ჯაყოს სახლი წაგართვი, მაგრამ მე მალე მაგაზე კარგი სახლი



იაშენებ: პავლე, თომას, ილაი და იმისი ყაჩალი ამხანაგები კი ისევ ი/გომურებში დაღვებოდეს, მაშ, მაშ! დაიცადებდეთ... მომიცადებდეთ...!

ჯაყო ველარ დაშვიდდა. დაჭრილ დათვივით დაბორძადდა... მხარეებზე დასაყრდენად დაიკრებოდა და ხვიზინებდა:

— ჯაყო გაჩვენებდეს სეირსა, თქვე ყაჩაღებო, თქვენა! აბა ახლა ივლიდებოდეს ჯაყოი ხალხის გულისთვის, აი! ეხლა დაგიკლებდეს ჯაყოი ნალოვსა როგორ არა! მამა ვიცხონდით! ჯიბე მაგრად დაიჭირებდებ! დაიცადეთ... მომიცადეთ... უცვბ თვისი თათი ისე მძლავრად დაპკრა თეიმურაზს მხარში, რომ დაღუული ნაკაცი ერთი მტკავლით ჩაიზნაქა:

— ბრინქა! იკი, რას ვითხრამდე? მოდი ეს სახლი ისევ შენ წაიღებდე, ღმერთმანი, მთავრობაი ისევ მოგცემდეს.

— არ მომცემენ ჯაყო.

— მოგცემენ შეთქი! ისევ ერთათ იცხოვროთ მე და შენა. შენ მარგოს ძმა ვიქნები, მე კი ქმარი ასე არ გინდებოდეს წინათა?

— ჰო, მაგრამ... სახლს არ მოგცემენ, ჯაყო.

— მოგცემენ შეთქი! დაიცადე... დამაცადებოდე... ჯაყო შოიფიქრებ... დიდხანს დარბოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაუგებარს სიტყვებს ისროდა. ბოლოს, მარგოს მიუბრუნდა:

— მარგო, შენ რას იტყვოდე? რა ვუყოთ თეიმურაზსა?

მარგომ პასუხი არ მისცა. პირმიბრუნებული კედელს შესტკეროდა. მერე ადგა და გარეთ გავიდა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. თეიმურაზი ისევ ფეხის თითებს ისინჯავდა, თან გულში მხაძიანად ხითხითებდა:

— ეხლა გაყაჩაღდნენ თომა და ილო? წინათ კი როცა ეს სახლი თეიმურაზს ჩამოართვეს და ჯაყოს გადულოცეს, პატროსნები და ყოჩაღები იყვნენ, განა! ჰოი, ჯაყო? ჰოი აფრიკელო ზულუსო! ბუშმენო! შენი ჯერიც მოვიდა, განა! ბომ ვითხარი: უხილავი სამართალი შენისთანა ავაზაკს ურმით დასდევს შეთქი, დაგეწია, განა! ეს ერთი და სხვა ათასი!

— ეხლა ჯაყოს კიდევ მოგდეს შარი, ჯაყო არ შეშაობო, ჯაყო ვაქარი ხარო, ამიტომ ჯაყოს ვენახიც და ბალიც წაგართვეს სამართალი აღარა გქონდებოდეს?!

— ჯაყო და სამართალი?! — ფიქრობს გულში თეიმურაზი, ეხლა ჰყვირი? არა ვიშავს რა, ღმერთმა მოვიძღვნა. ეგ ერთი და სხვა ათასი!

— ღმერთი აღარა ხარ?! — ჰგოდებს მაგრად ნაკბენი ჯაყო.

— ხი-ხი-ხი! — იცინის გულში თეიმურაზი, ჯაყო და ღმერთი? ჯაყო და სამართალი?! განგებამ მხოლოდ კლანჭი გაგკრა და გოჭივით ავაჭყივლა, მაგრამ ნეტა მაჩვენა შენი ბლაგილი, როცა მისი ბასრი კლანჭი ყანურატოში დაგვეწვდებოდა. მოახლოვებულ არს ეამი განკითხვისა, ჰოი, ავაზაკო! ჰოი, მკელკაცო ჯაყო! ჰოი, მხეცო და აფო პირუტყვო!

ჯაყოს გული ბრაზით გაუსკდა და ენის ქავილი აუფარდა. ძლივს გაჩუნდა



და ისევ ყალიონი ბაბოლა. ბოლოს გადააფურთხა, ყალიონი ჩექმაზე დაიბერტყა და სთქვა:



— ბრინკა, მოდი შერიგდეთ. რაც მოხდებოდეს, მოხდეს. ჯაყოსი კაცი არა ხარ.

— რა თქმა უნდა! — ჩაიციხა თეიმურაზმა.

— ღმერთმანი, ჯაყომ ყველაფერი დაივიწყე, ისევ დუქანში ჩადგებოდე და ივაჭრებოდე. ჯაყოს ძალიან გინდა ისევ გახსნა დუქანი და კაპრატივი გაგაკოტროს. რა სერი იქნები! ჯაყომ და თეიმურაზმა რომ მთავრობის კაპრატივი გაგაკოტროს რა სერი იქნება! მაშ, მაშა ჯაყოს ეხლა ბევრი ფული გაქვს. ქეშელა ბევრი მოგატყუეს; ჯაყომ ძალიან წააგე, მაგრამ კიდევ დავრჩა ჯაყოსა, დუქანს სულ საქონლით გაგავსებდე. კვირის ქალაქში წავიდებოდეთ და საქონელი მოვიტანებდეთ. შენც ტანისამოსი გიყიდებოდე. ჯამაგირიც მოგცემდე. თვეში ხუთი მანათი ხომ გეყოფდებოდეს?

— შეყოფა, კარგად შეყოფა. — იკმარა თეიმურაზმა.

— მაშ ხვალეე წახვიდებოდე დუქანში და ბულლატერიას დაიწყებდებოდე. ქეშელა და გიბა გონურში ცხოვრობდე. შენც იქ დაიძინებდე. ზამთარში გომურში სჯობდებოდეს, არ შეგცივდებოდეს. როცა ახალი სახლი ააშენებდეს — ჯაყოი, შენც ჩვენთან იცხოვრებდებოდე ჰა, რას იტყვებოდი? ღმერთმანი, ჯაყოი კაი კაცი ხარ, ჯაყოი კარგი გული გაქვს.

— ვიცი, ვიცი! ვიგემე და ვნახე შენი გული. — იხერხება თეიმურაზი.

— ოღონდ აღარ გააჯაფრებდე ჯაყოსა, თორემა. .

— არა, ჯაყო, არ გ...გვაგაჯაყრებ.

ღმერთმანი ი კაპრატივი ერთ თვეში გაგაკოტრებდე.

— უცებ იქვე ტახტის ბოლოში ბავშვის ტირილი მოისმა. ჯაყო აკვანს ეცა მარგოც შემოვიდა.

ჯაყო გაიბადრა:

ბრინკა, აბა ერთი ნახავდებოდა პატარა ჯაყოსა! ეს ერთი და სხვა ათასი! მაშ, მაშა! ეგრე ვიცის ჯაყომა! აბა, ერთი ნახავდებოდე, როგორი დიგოწი ხარ ჯაყოს შვილი! ისეთი ვაჟკაცი ვამოხვალ, როგორც ჯაყოი, მაშ, მაშ!

თეიმურაზმა წელი ძლივს აითრია აკვანში ჩაკრულ ორი თვის პატარას ხარბის თვალებით აშტვრდებოდა, პირსახეზე ციუ თითებს უსვამდა, „აღუ-აღუს“ ბუტბუტებდა, და თანაც მარგოს პირს არიდებდა და ჩამოხჩობილის ღიმილით იღიმებოდა იღიმებოდა და თხუთმეტი წლის დაეა აგონდებოდა. თეიმურაზი ხევის-თავთა გვარის შეწყვეტას მუდამ მარგოს აბრალებდა, ეხლა კი... ეხლა იმ ფუნჩულა პაწია ჯაყომ, რომელიც ფეხებით აკვანს ანტვრევდა და ყვირილით სახლს აურუებდა, დიდი ხნის ინტიმური დავა საბოლოოდ გადასწყვიტა და აქამდის ბნელი ჭეშმარიტება გამოარკვია.

— სუ! სუ, შე მაშა-ძაღლო, შენა! — აჩუმებდა ჯაყო თავისს ანჩლ შემკვიდრეს და დათვერ თათს ფუნჩულა ლოყებზე უსვამდა.

— აღუუ!.. აღუუ!.. აღუუ, პაწაწინა ჯაყოსა. — კვლავ ბუტბუტებდა თეიმურაზი და ისევ ჩამოხჩობილის ღიმილით იღიმებოდა.



მარგო აკვნის მეორე მხარეს ჩაკუნტულიყო, მკერდის საკინძი გაეხსნა და ძუძუს მოწოვებას აპირებდა, მაგრამ რადიცას უცდიდა.

„ჩემთან ძუძუ ვერ ამოუღია... ჩემი სცხვენთან“ — გულში გულგახეხილად თქვა მურაზმა და აღგა.

მარგომ დაივარული ძუძუ მაშინვე მისცა ბავშვს და აკვანს ზედ დააკვდა. ჯაყო თეიმურაზს მოუბრუნდა:

— მართლა, ბრინკა, იცი რას გითხრამდე? შენ რომ მოკვდებოდე, ხევისთავის გვარიც აღარ იქნებოდეს. მოდი, საქმეს ისე გაგაკეთებდე, რომა ამ პატარა ჯაყოსა ხევისთავი დაგარქმევდეთ, ჰა, რას იტყობოდე?

თეიმურაზის თავსა და გულში უკვე ყველაფერს დაეკარგა ფასი და გარჩევა. ყველაფერი გაჰქრა, გადნა და დომხალივით აირია: ხევისთავიც და ჯივაშვილიც, ჯაყოს დუქანიც და კოოპერატივიც, სკოლაც და ხევისთავთა ნასახლარიც, წარსულიც და აწმყოც.

თეიმურაზი აყბულებულ ჯაყოს ყურს აღარ უგდებდა. იგი ხარბის თვალით მარგოს მისჩერებოდა, თავისს წიხანდელ მარგოს, მარგუშას, მარგალიტს, თავისს ერთად-ერთს მეგობარს, რომელმაც გამხდარი ძუძუ ბავშვს ძალით ჩასჩირა და თვისი პირსანეც პავშვის ძონძებში ჩაჰმაღა.

რად არიდებს მარგო თვალს თეიმურაზს? რად ბრწყინავს მარგალიტოვით მარგოს ჩაყვითლებულ ლოყებზე ცრემლი? სცხვენთან? მაშ რატომ შარშან არ შერცხვა? ნეტა რა მოხდა მას აქეთ? ნეტა იცოდეს თეიმურაზმა, მოხდა რამე რამდენიმე თვეში, თუ...

ჯაყომ თავი დაჰკრა თეიმურაზის ჩონჩხს და გამოაყხიხლა:

— ჰა, რას იტყობდე? ხევისთავი დაგარქვათ, თუ არა, პატარა ჯაყოსა?

კარგი, ჯაყო... ძალიან კარგი... თრი გვარი ატაროს: ჯივაშვილი-ხევისთავი... შე თანახმა ვარ... თანახმა ვარ, თუ მარგო... თუ მარგოც დასთანხმდა.

მარგომ უცნაურის ღიმილით აჰხედა თეიმურაზს და ჯაყოს უთხრა:

— სულ ერთია, ეგრე იყოს.

მაშ კვირას ქალაქში რომ წავიდებოდეთ, მთავრობას ქალღიმი მივართმევდეთ. ბრინკა, ესლავე დასწერებდე იმ ქალღიმი. აბა, დაჯექი.

თეიმურაზმა შესაფერი არზა დასწერა. დასწერა და თვითონვე გაკვირდა. თითქოს გონს მოვიდა და თავიდან პურუსი მოიშორა. თვალები მოიჭებნიტა, დაწერილი დაკეცა, დახია და ბუხარში შეაგდო, თანაც წაიბუტბუტა:

— არ ვარვა... მერე დღ...დავწეროთ.

— შეიყ დავწეროთ. — დაეთანხმა ჯაყოც და გაოფთ გავიდა.

თეიმურაზი დიდხანა ბუხარს უჩხიკვინებდა. მერე მარგოს მიუბრუნდა:

— ავად ხომ არა ხარ, მმ...მარგო?

და სიჩუმის შემდეგ კვლავ გაიმეორა:

— ავად ხომ არა ხარ, მ... მარგო?

არა. — კედელს უპასუხა მარგომ.

— მაშ რად გ...გგახდი ეგრე?





მარგომ თეიმურაზს კელავ პირი მთარიდა და აკვანში ჩაწოლილ ბავშვს მძლავრად მოუჭირა არტახები

— ხომ კ...კვარგად ხარ?

მარგომ აკვანი დაუღვევრად ნიაგდო კუთხეში და კარებისკენ გასწია, თავის ნაუღლარს ისევ პირს არიდებდა.

— მარგო, რატ...ტტომ პასუხს არ მადლეე? ისეთი რა დ...დდავაწაფე, რომ ორი სიტყვიც არ მადირსე?

მარგო ოდნავ წატორტმანდა და ბოძს მიეყუდა. მერე უცებ მოტრიალდა და ბრაზნარევე ცრემლით ამოიკვნესა:

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ მართლა ღირსი არა ხარ... ღირსი არა ხარ მეტქი... საკუთარი თავის აფეთი დამცირება ამპარტავენობაზე უარესია... უარესია ნეტქი! შენზე ცუდმედიდი სატანაც არ იქნება... შენ... შენის თავმდაბლობით შენი თავიც დაიღუპე და მეც გამაუბედურე.

— შენ? გ...გგაგაუბედურე? მე?... მე?

— დიალ, შენ! სწორედ შენ! მხოლოდ შენ!

თეიმურაზი წამოდგა და მარგოს მიუახლოვდა.

— როგორ?... რით? მ...მოვისაზროთ... გამ...მმოვარკვიოთ.— ბუტბუტებდა. მარგოს ნაქმრალი და ცხვირის წინ თითებს ითამაშებდა.— მ...მმოვიფიქროთ... გვ...გამოვარკვიოთ...

— ოოჰ, ღმერთო ჩემო! რაღა მოუფიქრება და გამოვარკვევა გინდა, თეიმურა? აქამდის როგორ ვერ გაიგე და ვერ გამოვარკვიე, რომ შენ... შენ მამაკაცი ხარ... რომ მამაკაცი უნდა იყო, შენ კი... შენ... ოოჰ, თეიმურა!.. თეიმურაზ! ეს რა მიყავი?... ეს რა დღეში ჩამაგდე?... ღმერთმა ჩემი ცოდვა შენ დაგაკისროს, თეიმურა!

— მარგო... მარგოში! გვ...გამაგებინე...

— რაღა გაგაგებინო, თეიმურა?! ნუთუ... ნუთუ აქამდის ვერ გაიგე, რომ შენ... შენ... ოოჰ, ღმერთო ძლიერო!

უცებ მოტრიალდა, კუთხეში დალაგებულ ლოგინების გროვაზე დაემხო და ყრუდ აჭვითინდა.

თავზარდაცემული და გაბრუებული თეიმურაზი შუა ოთახში იდგა, სათვალეებს ისწორებდა, ისევ ცხვირის წინ თითებს იტრიალებდა და ბუტბუტებდა:

— მე?... მე გავ...გგაუბედურე? არ მესმის... ვერ გ...გგავიგე... არაფერი არ მესმის. მარგო მოტრიალდა, გასწორდა, პირსახეზე მკაცრი სიმტკიცე აისახა და ბრაზით მიახალა:

— ვერც გაიგებ! ვერასოდეს ვერ გაიგებ! ეხლა კი წადი აქედან... ეხლავე წადი!.. წადი და აღარ დაბრუნდე, აღარ დაშენახყო. თორემ... თორემ...

თეიმურაზი კარებისკენ მიბარბაცებდა, კელავ თვალწინ თითებს იტრიალებდა და ლულულულებდა:

— კარგი, წავალ... მე წავალ, მაგრამ რომ არაფ...ფუფერი მესმის?.. რომ ვ...ვევრადფერი გავიგე?!

კარებში ერთის წუთით შესდგა, შეეყოყნადა, მერე თავი მოიბრუნა და სლუკუნით ამოიკვნესა:



— მაშ... მ...მშშვიდობით, მარგო!.. მ...მშშვიდობით!  
და ნოწყვეტილი ფეხები კარების ღირეზე ძლიერს გადაითრია.



VII



თეიმურაზს ის ღამე გაახსენდა, როცა ჯაყომ იგი კიბეზე დააგორა და როცა გონება-დაბნული თეიმურაზი ლიახვისკენ გაიქცა წყალში გადასაყარდნად. ეხლაც ეზო სასწრაფოდ გადასჭრა და ორლობისკენ გასწია, დიდი ეზო ხავსე იყო შევირდებით, რომელნიც ჟივილ-ხივილით ავსებდნენ იქაურობას და თეიმურ ზს ბუზებივით ეხვეოდნენ. მაგრამ ის ვერაფერს ხედავდა და მათი ტრიამფულიც არ ესმოდა.

ჯაყომ ბოსელიდან ხმა მისცა:

— თეიმურაზ, საით წახვიდებოდე?

თეიმურაზს ჯაყოს ხმა ყოფილ მოესმა, მაგრამ არ მიიხედა და კედელს მიეფარა.

ისევ ლიახვისკენ მირბის თეიმურაზი.

წადი, თეიმურაზ, წადი! წადი და გაათავე ეგ დამძალი სიცოცხლე წადი და ლიახვში ჩაახჩე ეგ მყოალი ძაღლი, რომელსაც განუყრელად დაათრევ შვერდით გასწია გაიქცევი! უკან ნულარ მოიხედავ! სულ ერთია, ვედარაფერს დაინახავ, იმედის სანთელიც კი ვაგვიქრა. მარგოს შენი ნახვაც კი ეზიზღება. მაშ სადღა უნდა წაბვიდე?! ვისღა უნდა შეაბრალო და შეაკედლო ეგ ქირიანი და ქვეყნისგან მოძულებული თავი?! ჩქარა! ჩქარა! გასწი! გაიქცევი! ლიახვისკენ!

მირბის თავჩაღუნული თეიმურაზი. უცვებ ორლობეში პირისპირ შეეხებია ნახუცარ ივანეს.

— ოოპ, თეიმურაზ, შენა ხარ? მშვიდობაში შენი დაბრუნება! საით მიიქცარები?

ივანეს ხმაში თეიმურაზს დაცინვის კილო მოეღანდა. პირსახეში შეხედა და დააკვირდა. ივანე უცნაურად იღიმებოდა.

— კაცო, გამარჯვება შენი! რა იყო, რა მოხდა?.. პასუხსაც არ მადღევ? თეიმურაზმა ცრემლით ამოიკნაგლა:

— ნუ დ.. დდანცინი, ივანე!

— აბაიმე! — გაკვირვებით წამოიძახა ივანემ და თეიმურაზს შკლავში ხელი გაუყარა. — რა გაქვს სასაცილო, შე კაი კაცო, რომ დაგცინო? ან შენ როგორ გაკადრებ დაცინვას, ან ჩემს თავს როგორ ვაკადრებ შენისთანა პატროსან ადამიანის გაბიაბურებას?!  
— დასაციინი ისა მაქვს, რომ დ...დდავბრუნდი.  
— ძალიან კარგი პქენი, რომ დაბრუნდი.  
— მაშ რად იღ...ღდიმებოდი?  
— გამეხარდა შენი ნახვა და იმითომ ვიღიმებოდი. წამო, ჩემო თეიმურ წამოდი ჩვენსა, იქ ნოვილაპარაკოთ.  
ლიახვისკენ მიმავალი თეიმურაზი ნახუცარ ივანეს წელათრევით გაჰყვა.





სახლში შეუიღნენ, და სადილის მოლოდინში, ბუხარს მიუხდნენ

— სხვა, როგორა ხარ, ჩემო თეიმურ?

— აი, დავ... ვებრუნდი. — ბუხარს ჩასჩურჩულა თეიმურაზმა

— როგორ დაბრუნდი? როგორ გუნებაზე ხარ?

— ნულარ მეკ... კითხები.

რა ჰქმენ, როგორ მოიარე ევეყანა?

— აი, ხომ მ... მხედავ. ქადილით წავედი და გას... სსრესილი დავ... ვებრუნდი.

— მაშ ვერ გაგიმარჯვია.

— დ... დავმარცხდი, ყველგან და ყველაფერში დავმარცხდი.

დიდხანს იყურეს. მერე ივანემ თითქოს თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— ვინ იცის? ვინ იცის, იქნება შენი დამარცხება და დაბრუნება სჯობდეს უთაებოლო ხეტიალს და ლანდების დევნას?

— ვისთვის სჯობდეს?

— შენთვის, ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვისაც. ყველაფერს დასაწყისი და დასასრული აქვს. ერთხელ ლოთივ გამოუხიზლდება ხოლმე.

— რაღად მინდა გ... გამოუხიზლება? ვისთვის? რისთვის? ჩემი სიცოცხლე ღირსა და გათავდა.

— ვინ იცის, მაგას ნუ იტყვი.

— ჩემთვის მაინც ყ... ყველაფერი გათავდა. აღარაფერი დამოჩა: არც ოჯახი, არც თავშ... შშესაფარი, არც მეგობარი და არც... არც ტ... ტ... ტანისამოსი. აი, შემომხედე. ბოგანოს დავ... ვგმსგავსე

— იმედში ნუ გადაიწყვეტე, ჩემო თეიმურ. თუ მოვინდომეთ, ყველაფერი დაგებრუნდება: თავშესაფარიც და... მეგობარიც. აბა, ჯერ თითო არაფი დავლიოთ. გარგებს, ნამგზავრი ხარ.

დალიეს და ნელ-ნელა ქამა-სმას შეაკოლეს.

თეიმურაზს ნაკვერცხალივით ჩაუვარდა სულში გაკვრით ნათქვამი ივანეს სიტყვები: „ყველაფერი დაგებრუნდება: თავშესაფარიც და... მეგობარიცო“. ვინზე იყო ნათქვამი? რომელი მეგობარი დაუბრუნდება თეიმურაზს? ივანე? ივანეს რაღა დაბრუნება უნდა? თეიმურაზი და ივანე ერთი-მეორეს არც დაპშორებიან; ეხლაც ერთად სხედან და მეგობრულად საუბრობენ, სადილობენ და სვამენ. დანარჩენი მეგობრები თეიმურაზს დიდი ხანია შემოეფანტნენ. ან როგორ უნდა დაუბრუნდნენ ერთმანეთს უგზო-უკვლოდ გადაკარგულნი წინანდელი მეგობრები? ან ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო მათი გაერთიანება და დაახლოება? არა, არც ეს არის დასაჯერებელი. მას არც სულიერი აზრი აქვს და არც ფიზიკური. არა, აჭ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს. ალბათ .. მაშ... ნუ თუ?.. ნუ თუ?.. დამერთო დიდებულო!

— მიიროთვი, თეიმურაზ! ჩიხირთმა გაცივდა.

ივანე, ნუ სტანჯავ თეიმურაზს! რათა გაქვს მაგისთანა უცნაური ხასიათი? რად გადაუგდებ ხოლმე სიმშლით მომაკვდავ თეიმურაზს ერთს ლუკმას და მერე ერთ საათს აცდევინებ, თითქოს მისი ტანჯვით და მეორე ლუკმის მოლო-



დინით სტკებშიო? სოჭვი, რაც სათქმელი გაქვს, სოჭვი და გაათავე! შენც თეიმურაზს, რაც მისაცემი გაქვს, შენც და გაათავე!

მწვავე იმედით ანთებული თეიმურაზი გაწყვეტილ მხრს მარჯვნივ მოეჭიდა და კვლავ იყანეს ნათქვამს დაუბრუნდა:

— დ...დდავმარცხდი, ჩემო იყანე, სასტიკად დ...დდავმარცხდი. აღარც ჩემს თავს გ...გგამოვადგები და აღარც ჩვენს ქვეყანას. ცხოვრებამ ხ...ხხერხემილი გამიტეხა და დ...დდამოგონჯა.

— გუუბნები, იმედი ხუ გადაიწყვიტე მეთქი. ჯერ ორმოცის წლისაც არა ხარ.

გ...გგავთვორდი.

— ეგ არაფერია, ქართველი ხალხი აღრე თუთრდება.

— თუთ...თთრდება და ბერდება.

— ეგ კი მართალი არ არის. შენს თავს განგებ ხუ იბერებ. ჯერ კიდევ გამოადგები შენს თავსაც და ქვეყანასაც. კერძი გაგიცივდა, თეიმურ, მიიროფი.

— რით? როგორ გგ...გამოვადგები?

— ხომ გაიგე, რომ სკოლა გავხსენით და კოოპერატივიც დავაარსეთ. მხარში მოგვიდექი და იმუშავე, ხალხი ღარიბია ცოდნით. მიუშველე.

რა ჩემი ს...სსაქმეა სკოლა და დახლი?

— თუ ჯაყოს ჩაუდექი ღუქანში, რატომ კოოპერატივში არ გინდა მუშაობა?

თეიმურაზს ენა მუცელში ჩაუვარდა. პასუხს გაფაციცებით ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვნა.

— იმისთვის ხომ არ იბრძოდი იმდენ ხანს, ჩემო თეიმურ, რომ კოოპერატივები დაიკეტოს და ჯაყოს ღუქნები გაბრაელდეს?

— არა, არა! დ...დღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ ჩ...ჩემი ძალა, ცოდნა და გამოცდილება ვგრე რიგად როგორ უნდა დ...დდავახურდაეო, რომ იგი სოფლის კოოპერატივს ან სკოლას შ...შშვესწირო?

— მაშ ისევ ჯაყოსთან დაბრუნება გირჩევნა?

— ღმერთმა დ...დდამიფაროს! ღმერთმა ამაშოროს!

— არც მესამე გ'ხა მოსჩანს, მაშასადამე... მიიროფი, თორემ ჩიხირთმა გაგიცივდა.

მაშ...შსადამე?

— მაშასადამე, ან მასწავლებლობა, ან კოოპერატივი. რომელი გინდა?

თეიმურაზი ღრმად ჩაფიქრდა, ბერე მორჩილად განაცხადა:

— კოოპ...პპერატივი.

— მადლობა უფალსა! მოიტა ხელი... კერძი გაგიცივდა, თეიმურაზ!.. საქმეს რამდენიმე დღეში გაგითავებ, ალბათ ისევ შენს ნასახლარში იცხოვრებ, შენს წინანდელ ოთახს დაგიბრუნებთ. იქნება შენი ავეჯიც ჩაგაბაროთ.

ავეჯი? ჯაყოს აღარ ეკ...კითხებით?

— ჯაყოს დრო წაეიდა. რაც შენ გეკუთვნოდა, ერთი ნივთიც არ გაატანეს ჩვენმა ახალგაზრდებმა. განძეულობა მუხეფში გაპკნავენს, ხოგი ავეჯი სო-



ფლის საბჭოს მისცეს, ზოგი სკოლას და ზოგიც მასწავლებელს. ჯაყომ / ზევი  
იყვირა და იტლინკა, მაგრამ ყური არაფერს მიუგდო. ცოტაოდენად მოსტყუდა.

თეიმურაზმა დრო იხელთა და ივანეს სულის ჩურჩულით მისწერა:  
— მ...მარგო?

ივანემ განზე გაიხედა, კარგა ხანს სდუმდა, მერე კედელს უბასუხა:

— მარგო მოსტყუვდა. მე აღრევე ვიცი ამ საქმის დასასრული, მაგრამ  
სხვის საქმეში ჩარევა ხასიათად არა მაქვს.

და ისევ გაჩუმდა.

— მაშ... მოსტყუვდა?

— ძალიან მოსტყუვდა. სასტიკად დაისაჯა. საწყალი დედაკაცი! აბა,  
თითო კიდევ დავლიოთ.

— რად მ...მოსტყუვდა მარგო?

— ამაღ მოსტყუვდა, რომ მარგოს ჯაყო პირველად მშველელ რაინდიად  
მოეჩვენა. ძლიერი კაციად, შემინახავსო, მფარველობას გამიწვესო. ეხლა კი...

— ეხლა კი?

— რაღა დაგიმალო: ეხლა ჯაყომ მარგოც საქონლად გადააგტია. ისე ამუ-  
შავეებს, როგორც წინანდელ ცოლებს ამუშავებდა.

— რას ამბობ, ივანე?!

— ეგ კიდევ არაფერი. ზურგზე საფქვესაც აპკიდებს ხოლმე და წისქვილ-  
ში პგზავნის.

— ღმერთო დ...დდიდებულო! ეს რა მ...მშენებია?! ამოიხრიალა თეიმუ-  
რაზმა.

— მეტსაც გეტყვი: ზოგჯერ კიდევაც სცემს.

ვაიმე!

რისხვამ და სიმწარემ თეიმურაზს თავში ერუანტელი დაჰკრეს და ფეხზე  
წამოაყენეს.

— ერთი სიტყვით, როგორც წინანდელი სამი ცოლი დაასწულა, მარგო-  
საც ისე ჩაუმწარა სიცოცხლე.

— ვაიმე, მარგო!

— ბოლოს მარგოსაც სახლიდან გამოაგდებს.

— გ...გგამოაგდებს?!

— ნამდვილად.

თეიმურაზმა ისევ ჩაიკეცა, სათვალეები შე ისწორა, თითები ჰაერში აათა-  
შაშა და წაიბუტბუტა:

— ეს რ...რრა ვაყივ? ეს რა ამ...მშაუია?! ჯაყო მ...მარგოს მართლა  
სცემს ხოლმე?

— სცემს. საწყალ დედაკაცს პატრონიც არაფინა ჰყავს, რომ წაესარჩლოს  
და ის მხეცი როგორმე მოარჯულოს. ამას წინათ ნინიკა წაესარჩლა. ჯაყომ სა-  
ხრე მოიხმარა, მაგრამ ნინიკამ ერთი ისეთი დაჰკრა იმ გოგრა თავში, რომ შე-  
ნი ჯაყო ქათამივით გადატრიალდა. კარგი ბიჭია ნინიკა, ვენაცვალე იმის მარ-  
ჯვენას!





— ვენ...ნნაცვალე!

— მარგოს მაინც პატრონი არა ჰყავს.

— პატ...ტტრონი?!—მოაგონდა თეიმურაზს და კვლავ წამოიწია—ჩემს მეტი მარგოს ვერაფერ უპატრონებს. ისევ ნე უნდა ვუშველო, თორემ... ჰო, ისევ მე უნდა წავ...ვესარჩლო, თორემ...

— გაანებე თავი, თეიმურ! შენ ვერაფერს უშველი. ჯაყო უარესად გამხეცდებოდა და ჯავრს ისევ მარგოზე ამოიყრის. ან რად უნდა წავსარჩლო? ცოტა ლაფი დაგასხა თავზე? მაგისტანა დედაკაცი დასანდობი არ არის. რატომ წინდაწინვე არ იფიქრა?

— მ...მმართალი ხარ!—აინთო თეიმურაზი.

— ჯაყოს ზღაპრებს დაუჯერა, განა! „ჯაყო სულ ოქრო-ვერცხლში ჩაგსვამდე, ჯაყო სულ ბორში და კატლეტი გაწმევდე“!—ყველას ასე ჰპირდებოდა და ჩემს თამროსაც ამით უბამდა თვალებს. თამრო ახალგაზრდა და გამოუცდილი იყო, მაგრამ შენს გამოცდილ დედაკაცს რა დაემართა, ეს კი არ შესძის. ჩაიცვას ეხლა ფარჩა და ხავერდი!

— ჩ...ჩჩაიცვას! ვერ მივ...ვეართვი!—შხამით დაუმატა თეიმურაზმა.

— სჭამოს ეხლა კატლეტი და ხაბიზგინა!

— ს...სჭამოს!—წაწოდებდა ღინით ვატაცებულმა თეიმურაზმა.

— იმსახუროს მოახლენი და პირფარეში!

— იმ...მმსახუროს!

— მუშაობით ხელები აქვს გადაქლეტილი.

— ახია!.. ახ...ახია მარგოზე!—წამოიბრიალა მწუხარებით გამწარებულმა თეიმურაზმა.

მერე უცებ შუბლი შეიკრა. თეიმურაზს მოაგონდა მარგოს წველანდელი დახვედრა, პირის მორიდება, ქვითინი და მწარე საყვედური. მოაგონდა და მიუხედა ანჩხლობის და ცრემლის მიზეზს. მიუხედა, ჩაფიქრდა და მარგოს გულში ჩაიხედა, მაგრამ ივანემ აღარ დააცადა:

— გეუბნები, ჯაყო მარგოს გამოაგდებს მეთქი.

წველან ეს სიტყვა თეიმურაზს ასცდა, ეხლა კი იგი ნალერდალივით ჩაუვარდა გულში. პირსახეზე ნალვლიანი იმედი და სიხარული აესახა.

— გ...გგამოაგდებს?.. მართლა?.. როდის გ...გგამოაგდებს?

— მალე გამოაგდებს, ვიცი რომ მალე გამოაგდებს.

ივანემ სარკმელში გაიხედა და უცებ წამოდგა:

— აგეო, აგერ! თეიმურ, გაიხედე, გარეთ გაიხედე!

თეიმურაზი ფანჯარას ეცა. მძიმე ტვირთის ქვეშ ორად მოხრილი მარგო ბილიკზე ძლივს მიაბიჯებდა. დატვირთულ მარგოს დანახვაზე თეიმურაზს წველანდელი შხამი და გესლი უმაღლესად გაუქარწყლდა, და ვინმე უხილავმა მას მძლავრად წაჰკრა ხელი.

უქუდო და უყარაჯო თეიმურაზი სახლიდან ელდანაკრაევივით გაფარდა, მარგოს გზა გადაუღობა და საფუტევს მისწვდა:

— მარგო!.. მარგოში! მ...მმოიტა... მ...მმომეცი... ხელი გაუშვი.





ერეკლესიის  
ბიბლიოთეკა

- თეიმურ, შენი საქმე არ არის!
- არც შენი ს...სსაქმეა. მოიტა, ხელი გაუშვი მეოქი.
- თეიმურ, თავი დამანებე!
- არ დ...დდავანებებ. მე წ...წწავიღებ.
- თეიმურ, გხა მომეცი!
- არ მოგცემ! ხელი გაუშვი მეოქი!

მარგო დიდბანს ჰყოყმანობდა. ბოლოს, გადმოიხარა და ტომარა გადნოსწია. თეიმურაზმა გადმოხრილ ტომარას ზურგი შეუშვირა და ხელ აიგდო. მარგო წელში გასწორდა, ხვირთქლი მოიწმინდა და მაშინვე ბარბაცით უკანვე გატრიალდა.

— მ...მმარგო, შენც წამომყე წისქვილში!.. ვილ...ლლაპარაკოთ...სათქმელი პაქვს.

მარგომ არც კი მოიხედა.

— მ...მმარგო!

მარგომ თავი დაახარა და ნაბიჯს მოუხშირა. თეიმურაზი დიდბანს გასტკეროდა მიმივალ მარგოს, მერე მიტრიალდა და ჩანჩალით და ხვწეშით წისქვილის გზას გაუდგა, თან დროგამოშვებით ეროშანეთში არეულ ოფლსა და ცრემლს იწმენდავდა.

VII.

რამდენიმე დღის შემდეგ თეიმურაზი თავისს მამა-პაპეულ ნასახლარში გადასახლდა. ზემო სართულში, კუთხის დიდი ოთახი, სადაც თეიმურაზი აღიზარდა და სადაც მან შარშან სახარელი უცხადი ლანდი ნახა, ისევ მას ჩააბარეს. ოთახი თითქმის ცალიერი იყო. განიერი ქართული ტახტი, ფეხმოტყუხილი მაგილა და ორი სკამი—ეს იყო იმ ოთახის ავეჯეულობა. ქვემო სართულში ახლად მოეწყობთ კოოპერატივი, რომელსაც ნახუცარი ივანე განაგებდა. თეიმურაზმა ჩაიბარა ნოქრობა და ზულჭალტერია.

ივანემ კოოპერატივიდან თეიმურაზს ნისიად მისცა ნახმარი ფეხსაცმელი, ყარაჯა, თბილი ხალათი, შალყარი, მატყლი, საბნის პირი და წვრილმანი. ივანეს და ნინიკას ცოლებმა თეიმურაზს ერთ კვირაში ლოგინი გაუკეთეს და საცვალიც შეუკერეს.

დილიდან საღამომდის თეიმურაზი კოოპერატივში ტრიალებს და მუშტარს ემსახურება:

— მარალი ელ...ლღირება ექვსი აბაზი... ნავთი ერთი შაური... ეს ნარმა ღარს ათი შაური, ეს კიდევ ცხრა შაური.

ხოგჯერ საქმეს გადაუხევეს და გულისკვნესით ამოიხორცეს:

— ვილ...ლღუპებით.

ხოლო ზოგჯერ გლებებს ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილებს აძლევს:

— ისტორიული ქართლი მ...შშესდგება სამ ნაწ...წილისაგან: შიდა ქართლი, ზემო ქართლი და ქვენა ქართლი. შიდა ქართლში შედის გ...გგორის და დუშეთის მ...მმაზრები; ზემო ქართლში—მესხეთი, ჯ...ჯჯავახეთი და არტაანი, ხოლო ქვემო ქართლი, ანუ ქვენა სოფ...ფუფელი, ბოჩქალოს გარდა, შეიცავს ტაშირს, მცირე სომხეთს, ბამბაკსა და აბოცს.





ზოგჯერ ეზოში გაეა. მოსწაფელებს შემოიკრებს და ეკითხება:

— აქედან ტფილ... ლლისამდე ოობმოცი ვერსია. რამდენი ვრსი უნდა გა-  
ვიაროთ, რომ შ... შშუა გზახე ჩავიდეთ?

ეზოში ხანგამოშვებით ისმის ჯაყოს ხვიხვინი:

— გიბა, რაშუ!.. ქეშელა, ადამრაშუ?!. მარგო, თახრაშუ!

თეიმურაზი რომ მარგოს სახელს გაიგებს, ან საერთო ეზოში რომ თაეისს ნაცოლარს მოჭკრავს თვალს, უნაღ მუშტარს თაეის ნიანებებს, სიტყვას შუაზე გასწყვეტს და თანჯარას მივარდება. სანამ მარგო მოსჩანს იმ ეზოში, გახევი- ბული თეიმურაზიც იღუმაღ ჯაჭვებით მიბმულია ფანჯრის ბაქანზე. მას აღარ ესმის მუშტარის ლაპარაკი. როცა მარგო საღმე მიიმაღება, თეიმურაზი უძირო ოხვრით ამოიოხრებს, მთრთოლვარე ხელით შუბლს მოისრესს და გაწყვეტილ ბაას იგონებს:

— რაზე ვლაბ... პპარაკობდით?... რა გინდოდა? ჰო, მართლა...

ზოგჯერ მარგო შეშას ეხიდება, ან, პირუტყვიეო საფქვაავით დატვირთ- ული, ეზოს გადასჭრის. ცრემლ-მოწვეული თეიმურაზი ფანჯრიდან გადასცქერის და ჰკვნესის:

— საწ... წწყალი... საბ... ბბრალო... მარგო!.. მარგუში!

როცა დაღამდება, თეიმურაზი ბუხარს მიუჯდება და სამჯერ წაკითხულ ძველ წიგნებს მეოთხეჯერ ათვალეერებს. მაგრამ კითხვას გულს ვერ დაუღებს. წიგნს კალთაში ჩაიგდებს და დაღლილ თვალებს და შხამიან ახრებს ცეცხლის აღს გააყოლებს.

ზის გაქვავებული თეიმურაზი შუალამემდის და მარგოს მოსვლას ელოდება. ელოდება თეიმურაზი და ღრმად სწამს, რომ დღეს ან ხვალ მისი ერთად-ერთი, დაუვიწყარი და განუყრელი მარგო დაობლებულ ოთახში შემოვა და თეიმურაზს ეტყვის:

„— თეიმურ! ჩემო ერთგულო და დაუვიწყარო ქმარო და მეგობარო! რაც მოხდა— მოხდა! ყველაფერი დაივიწყე და შეუნდე შენს მარგოს. შეუნდე და მიიღე შენი უძლები და უღირსი ცოლი, რომელმაც შეგცოდა. მე ერთი გამოუც- დელი და საბრალო დედაკაცი ვარ. მე არც ხალხს ვიცნობდი და არც ცხოვრე- ბას. ერთიც და მეორეც ორგულნი, ორპირნი, უნდონი, მკაცრნი და სასტიკნი ყოფილან. ცხოვრების ურემი გაღამებრუნდა და ქეშმარიტი გზაც ეზლა გამოჩნდა. ჩემო ერთგულო და ერთად-ერთო თეიმურ! შენ ასჯერ დაამტკიცე შენი ერთ- გულება, ქველობა და პატიოსნება. ერთხელ ჩემთვისაც გაიხსენი ეგ უძირო გუ- ლი, მძლავრად ჩამკიდე ხელი და თამამად გამიძეხი ახალ ცხოვრების უღმობელ გზახე. წადი, იარე და მეც მატარე“.

თეიმურაზი მარგოს ნათქვამს მოისმენს და ეტყვის:

— „ჩემო ერთავ! ჩემო წამებულო მარგო! ჩემო ჯვარცმულო ანგელოზო! მე ვერ მივიღებ შენს ბოღიშს, ვინაიდგან მე თვისათონ ვარ შენგნით შესაწყნარე- ბელი. უსახღვრო და უძიროა ჩემი ბრალი შენს წინაშე. გზიოდა და პური ვერ მოვეცი; გწყუროდა და წყალი ვერ დაგალევიინე; გციოდა და კარი ვერ გაგიღე განუზომელია ჩემი ბრალი შენს წინაშე, გოლგოთიდან მომაველო ჩემო მარგუ-



ში! შენინდე და დაივიწყე ურიცხვანი ცოდვანი ჩემნი. ძნას გავყავი და ცილი დაივიწყე, სხვის მივეშველე და მეუღლე გავსწირე. თუ ძალგისს, ჩემო წინებულო, მივცეთ ყოველივე დაივიწყებას და შეუდგეთ იხალს ცხოვრებას... მამოჯექი გვერდით. აი, ჩემი ხელი და ჩემი მკერდი. ჩამოჯექი ამ სავარძელში... აი, ბუხარი და ცეცხლი... გასთბი და დაისვენე“.

გაყინული მარგო თეიმურაზს მიუჯდება, დაღლილ თავს მხარზე მიუდებს, გადაქლეტილ ხელ-ფეხს ცეცხლს მიუშვერს, თვითონაც ტკბილად ატირდება და თეიმურაზსაც აატირებს.

ამ ბურანში წასული თეიმურაზი მალე გამოფხიზლდება და იგრძნობს, რომ ლოყები თავისავე ცრემლით უსველდება.

გამოფხიზლდება თეიმურაზი და შეშინებულ თვალებით სკამს აცქერდება. აცქერდება და ხედავს, რომ იმ სკამზე, სადაც ერთის წუთით ადრე მისი მარგო იჯდა, ეხლა შეჩვეული ძაღლის მძორი ჰგდია. დაფეთებულ თვალებს იფშვნეტავს ხევისთავი და ბნელ ოთახს ათვალიერებს. არეულ თვალებს აცეცებს და ხედავს, რომ ხის ტახტზე და იატაკზედაც უუზარმაზარი ძაღლების ლენები ჰყრია. ორივე ხელს მკერდზე მოისვამს ადულებული ნაკაცარი და იქაც განუყრელს ძაღლის ლემს წააწყდება.

სიმყრალით იბრჩობა ნამოღვაწიარი თეიმურაზ ხევისთავი. თავბრუდასხმული და დაბნედილი მწიგნობარი ხეზე წამოვარდება, ფანჯარას გამოაღებს და ბნელ გზოში იხედება.

მაღალი კოშკი შავ სივრცეში უუზარმაზარ გარუჯულ ბოძივით ასვეტილია. იმ კოშკში სცხოვრობს თეიმურაზის ნაცოლარი მარგო ჯივაშვილი.

კოშკის სარკმლიდან კვლავ მოსჩანს იმედის შუქი.

ისევ თავისს ოთახში შეიხედავს სულმოთქმული თეიმურაზი.

ძველა კიდობანში ძველის-ძველი ხატი აქვს დამალული. იმ ხატს კუთახეში დასვენებს, სანთელს აუნთებს და მის წინაშე პირტვე დაემზობა. მეტანიით, სასოებით და ცრემლით ღოცულობს თეიმურაზ ხევისთავი:

— წმიდაო ღმერთო! წმიდაო ძლიერო! წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენს.. უფალო ძლიერო! ყოვლის შემძლე და სათნოიანო! მოგვეც ჩვენ, დავრდომილთა და უღირსთა ძეთა შენთა, მოთმინება უღვეველი, და მოუვლინე გლახაკთა სულთა ჩვენთასა მშვიდობა უსაზღვრო, იმედი დაუშრეტელი და ოწმენა უძირო სიმართლისა შენისათა.

კვლავ გაიხედავს ნუგეშცემული თეიმურაზი ფანჯარიდან.

კვლავ ასვეტილა ბნელ სივრცეში ბნელი კოშკი.

კვლავ მოსჩანს იმ კოშკიდან იმედის სანთელი.

კვლავ მობრუნდება თეიმურაზ ხევისთავი და გულშეებით გაიღიმებს:

აღარსად სჩანან ძაღლის მძორები.

აღარც მათი სუნი მოსდის იმედნაკრავ ნაკაცარს.

იულისი — ოქტომბერი.





## საქართველო ციკლონებით.

### სერია პირველი.

#### ბრალის მქონე შემთხვევა: \*

„პროპელერი „აღონისი“ აეშვა ცის სივრცეში. ორჯერ გააკეთა „სიკვდილის მარყუჯი“, მესამეთ მანქანა შედგა, მოტორმა უმტყუნა და მფრინავი ცეცხლში გაეხვია. დამსხვრეული აეროპლანი მტკვარში ჩაეარდა. ახალგაზრდა ავიატორი „ღონ-ღიანო“ მდინარეში შთანთქა“...

2.

#### განცხადება:

„იასუათ იყიდება მოტოციკლეტი. იკითხეთ განის ქუჩა № 13.

3.

#### გინის გაჭურღვა და მკვლელობა:

„ღამით ვიღაც ბოროტ-გამძრაბველი გადაძვრა ვერის ქუჩის შესახვევში სახლი № 7. მძინარე ახალგაზრდა ქალი №, რომელიც განთქმული იყო ტფილისში თავისი სილამაზით და ბრილიანტებით, დანით მოკლა, ძვირფასი ნივთიერება მოიპარა და მიიძალა. ზომები ბოროტ-მომკვდის აღმოსაჩენათ შეღებულია“...

#### ფანჯარაში:

„ჭირავედება ერთი ოთახი“.

5.

#### განსართობები და სანახაობანი:

ცირკ „მოღერნ“: დიდი ჭიდაობა:

მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგოვი—კოსტა შაისურაძის წინააღმდეგ.



კინო ტეატრ: „არს“: უჩვენებენ ცნობილ ტრაგედიას „სიკვდილს პარმს“.  
კონტრამარკები არ გამოდგება.



ქართული თეატრი: ორი ჯიბგირი.

**მუხაზი:**

„ცივი კვასი“ „გემო“, კიქა ორი კაპეიკი.

ვაკერებ ძველ კალოშებს.

„მაროენი“—ლამბაქი 5 კაპ.

პაპიროსი „სიმპატია“—ბოზარდჯიანც.

„ჩაჩუქე ღვთის გულისათვის ერთი „კაპეიკი“.

**დიდი იაფი ვაჭრობა:**

ყოველგვარი ფეხსაცმელების.

რედაქცია და კონტორა გაზეთი: „თემის“.

**უბედური შემთხვევა:**

გოლოვინის პროსპექტზე ორი ავტომობილი ერთმანეთს დაეჯახა. დაიჭრა მსუბუქათ ერთი შოფერი. მგზავრები არ დაშავებულან.



ღრმა მწუხარებასა შინა მყოფი თეოფილე სვანიძე აცნობებს ნათესავთა და მეგობართ გარდაცვალებას საყვარელი დედის.

**ელკიტა ივანეს ასული სვანიძისას.**

პანაშვიდი ყოველ დღე. დასაფლავება კვირას 13 ივნისს. წმ. ვერის სასაფლაოზე.

საარაკო საქმე მოხდა ვერის დაღმართზე: გამოქანებული ცხენები ველარ შეაკაფა ავეტიქა მეეტლემ და შიგ მჯდომი ორი ახალგაზდა ეტლიდან გადმოყარდა და დაშავდა. შეგროვილი ხალხი ირეოდა და დაშავებულ ახალგაზრდებს ათვალეირებდა. მალე ორივე ისევ ეტლში ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ.

ერთი მათგანი იყო:

პროვოკატორი: „სოლო“, მეორე რ. ს. დ. მ. პ. ც. მ. კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი: „ბრადიავა“.

ერთმანეთს კარგათ იცნობდნენ, მაგრამ არც იცნობდნენ.

მათ ახალი ამბები იცოდნენ.

მსოფლიო ომი იწყებოდა.



მუშებთან ორივე მიდიოდა.  
 ორივე გასაშავრებლად.



სალამოს: თბილისის განაპირა უბანში ერთ ბინგოეულ ქობნი საფევე ვი-  
 რი და მამალი ერთად ქერსა სჭამდენ ღობის ძირას და ვირთავვები მო-  
 რიდან საათითა ულვაშებს ისწორებდენ, იქ შეკრებილ მუშათა კრებას სოლომ  
 გამოუცხადა:

ომი იწყება, მაგრამ ჰაეროპლანით მოვფენთ ფურცლებს, რადიოსად მთელს  
 ქვეყანას მივაწვდით საერთო აჯანყების გეგმას და ისეთ ქარტეხილს დავაყე-  
 ნებთ, რომ ორ კვირაში გათავდეს ომი. საყოველთაო გაფიცვა მოედება მსო-  
 ყლიოს და რევოლუციისა დუღილში ჩავარჩობთ როტშიალებს, მორგანებს,  
 კრუბებს...

ძარს მთელი ქვეყნის ბურჟუაზია....

და დილით:

უირონე მჯდომი თბილისის კომიტეტის წევრი: „ვარუნე“, რომელსაც მთელი  
 შეკრა ფურცლებისა ქოთნებით მიჰქონდა — ნაწონის სახით, გსახე დააპატიმრეს.

8.

აუ... ჰუ, უ...უ.

პო, პო...ო.

— არ გვცალია.

ივლისი 1914 წ.

გუგუნე ისმის.

თოფის წამლის სუნი.

აეარდა აღი...

ვენა — ბერლინი — კონსტანტინოპოლი.

— პარიზ — ლონდონ — ანტვერპენ!

პეტერბურგი!

მხათა ხარ!?

სიკვდილის აჩრდილები აიხაზენ პლანეტებზე...

გუ — გუ — გუპ.

მხათა ვართ!

1.

იყიდება სახლი. მსურველს შეუძლია ნახოს: ვერის დაღმართი № 9.

2.

ახალგაზდა ქალმა N-O თავი მოიწამლა: მიზეზათ ასახელებენ კორნეტ თ-ს,  
 რომელიც ავსტრიის ფრონტზე გაემგზავრა.





3.

იქვე- იყოლება მაღაზია მიხაილოვის ქუჩაზე № 51 პირობებზე ~~საქართველო~~ "შეიძლება  
გინგ" ~~საქართველო~~

4.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა :

იხსნება მოწყალების დათი კურსები. ჩაწერა "შეიძლება ყოველდღე 5 ს—  
7-მდე. ოლგის ქუჩა № 5..

5.

ფიცრია ლობეზე:	Война до победного конца. долой Германию  Люба—Коля	ძირს ნიკოლოზ.  პეტრე ტყეაძე.
-------------------	--	------------------------------------

36 человек  
 или 8 лошадей.  
 დინ-დინ... ბრახ-ბრუხ.  
 ს.შ...სშ. შ.სს.შ..

გაჩერდა მატარებელი საყსე ჯარისკაცებით.  
 — აქ იყიდება: „სურსათ-სანოვაგე“.  
 „სვით გადადუღებელი წყალი“.  
 ტოკაგენ ჯარისკაცები:  
 მალე ტყვის წერა შეიქნებიან  
 და იმღერიან-იგინებიან.  
 ზოგი სტირის; ახსენდებათ: ოჯახი, ცოლი, სატრფო.  
 ვლანდებათ: ტყვია, ცეცხლი.  
 ესახებათ: ზარბაზანი და ღვინით საყსე ქვევრი:  
 ვახურითა, სვირულით.  
 წარმოუდგებათ: ანდასეული, საფერი, მწვანელი,  
 თორნის პური, კეცის კაღი. ტარანი ტყემლით.  
 ეკალა ძალით და ახალი გათაში ნიერთ.  
 კბილების თენთა.  
 თქნა: „როდის, ნეტავი“.  
 და ისევ სიცილი, სიმღერა... ჩუმი ცრემლები და ისევ:  
 ჰუ, უ... ზპ.  
 აუ-ძინ, ძინ. ძან-ძინ...  
 ბრახ-ბრუხ.





ბრუხ.  
 უცებ შედგა... გაწყდა.  
 ფიქრებიც გაწყდა.  
 ბრუს სხმა. თავის ტყვილი  
 და შორი ველები..

9.

მატარებელში ზის ზესან ორმაგი—კაცი უთვისტომო. გუშინწინ ნოქრათ იყო ფინაშთან. გუშინ კვასს ყიდდა ქუჩაში ჭიქას ორ კაბიკათ. დღეს ჯარისკაცია და ფრონტიზე მიდის.

მიდის და უკან რჩება ტფილისი—ოხერ-ტიალი.

მაგრამ კვასის ვაჭრობას სჯობია ახალი ქვეყანა ნახოს: ზარბაზნის ხმა გაიგონოს.

ახ. სულ ერთია: სატრფოთ არა ყავს.  
 მამა არა ყავს, დედა არაოდეს უნახავს.  
 ქონება—ყურგახვრეტელი ჯიბეში უძევს.  
 სულ: ორი მანეთი.

მაგრამ გული მაინც სტკივა: ტფილისი დასტოვა დედასავით ტკბილი. ქართული სიტყვა დასტოვა: აწი სადღა გაიგონებს.

ქართული ენა ამოგლიჯეს და რუსული ხიშტი მისცეს—  
 და ფიქრობს ზესან ტფილისზე:

— ტფილისო, ტფილისო, ჩემო ტფილისო!  
 გაახსენდება:

ვირი პროკლამაციებით დატვირთული, რომელსაც იგი შორი ახლოს მიყვებოდა,

ვარუნი დაატუსაღეს, ის კი გადარჩა.  
 ნეტავი ისიც ციხეში იყოს..

— ცი..ხე..ში!!

ცი—ცი—ცი—ცი—ცი  
 ხე—ხე—ხე—ხე—ხე.  
 ში—ში ში—ში.  
 ციხეში... ბრაბ.. ში.  
 სადგური: 213.

10.

ტატა-ტატა-ტატა-ტატა ტაჰ.  
 ბუუ—ბუჰ ბუჰ, ბუჰ.  
 ტატა, ტატა. ტა—ტა ა.  
 წს. წს. წს. წს. წს.  
 ვაი დედა  
 — უი.





ქართული  
საქართველო

ჭიხვინებს ცხენი..

ასწით!

ითხრება საფლავეები და ასობით ყრიან ზიგ:  
თავეებს, თეხებს, ადამიანებს.

ლოცვილობს მღვდელი:

„მომადლე უფალო, მონასა შენსა“:

სახელები არ ისმის,

და ვინ არჩევს?

ალარაგინ იცის სახელი: მონების.

ისინი ათასობით ინთქებიან.

ერთოდ დაიხოცენ. ერთი მიწა შესჭამს.

ამართულა თეთრი არყის ხის ჯვარი

ზედ წარწერა:

„აქ ასათლავიან: „მონანი ღვთისა“.

და...

მეორე დღეს:

ბუჰ.. ბუჰ.. ბუჰ.. უ.

და ჰაერში მოთხრილი მიწა.

ზევით ყრიან: მიწაში ახელილი ადამიანები.

ჯვარი აღარ სჩანს, წარწერა კი:

„აქ ასათლავიან მონები“. ჰაერში გაბნეულა.

წვიმა მოსულა და ორმოში წყალი ჩამდგარა...

11.

— ყველაფერი ონისთვის!

— ომი ბოლომდე!

— ძირს გერმანია!

— გაუმარჯოს მოკავშირეებს!..

მიდიან პოეოზები,

შიეტანებიან ეტლები, ავტომობილები.

უხ, ახ, უხ..

ჩამოსდის ოფლი მილიონებს.

მირბიან მატარებლები.

გიყდება მიწის ღერძი.

ჭრიალებს სიჩქარისაგან.

ბუჰნ.. ახ.. ბუჰნ.. ახ.

ტა ტა, ტა-ტაა. ტაჰ..

ბუჰნ.. ახ...

ცეცხლი.

საკირე.

სისბლი



კვნესა: ოხ.. ზხ. ვაი.  
 — ეხ, რა გაუძლებს..  
 უკან დახევა. წინ წასვლა..  
 ფოლადის ფეხები..  
 ცეცხლის ქალაქები..  
 ღრუბლის ქსელები:  
 მახრჩობი გაზი.  
 შს ს. ს-ს.  
 ლანდები ეცემიან.  
 მიწას პოტნიან.

— ეხ, რა გაუძლებს!!

12.

ვარშავასთან ქართველთა კორპუსი.  
 თავი ისახელეს. რამდენიმე დღე ქართველი მეომრები წელამდე ქაობში  
 ჩაუღულნი მტრის გააფთრებულ იერიშებს იგერიებდენ.

პრინცი იოზინი გაკვირებული კითხულობს:

— ვინ გვაძლავდება ასე მამაცად ჩვენ?

— ხალხი კავკასიიდან—ქართველები.

და ატირდა პრინცი—ბრაზისაგან.

და ქართველები ომობდენ...

იმღეროდენ და იბრძოდენ...

სანამ არ გაწყდენ..

ბევრს ახსოვდა: საქართველო, ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია..

და ომობდეს: სიკვდილს სწავლობდენ.

ზესან ორმაგიც იბრძოდა. წელამდე იდგა ქაობში და იბრძოდა...

დასჭრეს: მკერდში მოხვდა ტყვია.

დაეცა.

და როცა გონს მოვიდა თავი რბილ ადგილას იგრძნო საავადმყოფოში.

ოვალები გაახილა:

— ვაი... უ

— ვაი დედა.

და ისევ ოვალები დახუჭა.

ორი თვე ებრძოდა სიკვდილს:

მორბა და ტფილისს გადმოგზავნეს.

13.

„ომი ბოლომდის“.

პური გირვანქა ორი შაური.

შაქარი — ხუთი შაური.

ხორცი — აბაჯი.



კუდები გამობშია დუქნებს: ბავშვების, დედაკაცების, დიან.



საქართველო  
ეკლთნუშით

— ახალგაზდა 18 წლის ქალმა თავი მოიწამლა, მისი სატრფო ომში მოკლეს..

ანონს:

იქიდება სხვა და სხვა სამხედრო მოწყობილებანი და კოლექციები.

ღვათი:

„გერმანელთა მხეცობანი: სოფ. ან-ში დატყვევებული ჩვენი ჯარისკაცები ჩამოახრჩვეს, გაატყავეს და მათი ტყავისაგან გააკეთეს პორტსიგარები, რომელნიც მაკენზენმა თავის ოფიცრებს დაურიგა ჯილდოთ...“

ტელეგრაფი.

ტე—ლე—გრა—მა...

გაზეთ: „ბაღის სიტყვა“.

დაქრილ-დახოცილთა სია:

ანთაძე პეტრე: (ოფ.) გარდაიცვალა.

ახელედიანი სიმონ (ჯ. კ.) წევს აბილ. სამხ. საავად.

ენუქიძე თემურ (ოფ.) დაქრილია.

ორმაგი ზესან (ჯ. კ.) წევს ტფ. სამხ. საავად.

დავკარგე ტფ. სამხედრო უფროსი ზესან მოცემული თეთრი ბილეთი № 5721, მნახველს ესთხოვ დამიბრუნოს, ფული ასი მანეთი, რომელიც ბილეთთან იყო მნახველმა დაიტოვოს. ადრესი: რედაქცია. რევაზ ხმალაძე. ორი კვირა ზესანი ტფილისის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს, და აქ მალე სრულიად გაიკურნება.

ერთ დღეს მასთან ვილაც მოწყალების და მივიდა ახალგაზდა 17 წლის ქართულად რალაც უთხრა.

„ზესანს გაუხარდა. გადახედა.“

გუშინ წინ კვასს ყიდდა.

გუშინ ბრძოლაში იყო.

დღეს ვილაც ახალგაზდა „უცნობ“ ასულს გაუღიმა.

გუშინ წინ ორი მანეთის ქონება ჰქონდა.

გუშინ მარტო სული ჰქონდა რომელიც ტყვიამ კინალამ წაართვა.

დღეს ზესანს რალაც მიემატა, რომელიც არაოდეს არ ექონია.

ეს გადმოხედვა და ღიმილი იყო „უცნობი“ მოწყალების დის...

— ხომ არავის შევატყობინო თქვენი აქ ყოფნა?

— არა.

— დედა გყავს?

— არა.

— მამა?

— არა.



— ნათესავები?

— კი.

— ვინ არიან?

— ყველა!

„უცნობი“ ასული გაკვირდა.

— მითხარი, ვის ზევატყობინო თქვენი მოსვლა?

— ყველას... არავის.

ქალი ღიმილით მოშორდა.

და როცა გაზეთში გამოაცხადეს მისი გვარი, ზესანი არავინ მოიკითხა, გარდა კოჭლი სახლის მეპატრონისა, რომლის ათი შაური სახლის ქირა გაყვა ომში წასვლის დროს და ესტუმრა ფინაჩი გონია, რომელსაც დაკარგულ ვირის ბედი აინტერესებდა, სხვა ნაცნობი ტფილისში არავინ იყო, თუ არ სანხეს მისთვის სულ ერთი იყო...

## 14.

გაზეთები ხომ არ გინდათ? ..

ღიმილით მიაწოდა „უცნობმა“.

ზესანმა ჩამოართვა.

კითხვა იცოდა. წაიკითხა. წიგნებიც იშოვა და ყმაწვილი წავიდა კითხვაში. ყლაპაუდა; სჭამდა ასოებს, სტრიქონებს და ვერ ძღებოდა.

მაღე გაიმართა... გაიზარდა.

ახალი ქვეყნები გაიცნო. თვით შეჰქმნა.

მაგრამ ყოველ ფურცელის თეთრ არეში „უცნობი“-ს სახე ეხატებოდა, სტრიქონებს შუა მისი ღიმილი მოკრთოდა. წერტილებთან: მისი შავი თვალები, გაღმობხედა.

მაგრამ ისევე იფიწყებდა.

— ზესან, და ერთ დღეს უცნობმა მოწყობილების დამ, რაღაც ქართული ეურნალი მიაწოდა...

კვლავ გაღიშება და ზესანი დაიბნა.

მადლობაც ვერ უთხრა.

თავი დაბარა...

ფიქრებში წავიდა.

რას ფიქრობდა?

ვინ იცის!

ან რად გვინდა რას ფიქრობდა:

ეს მისი საქმეა და რაც უნდა ის იფიქროს!

## 15.

— გაგანთავისუფლეს ერთი წლით. უთხრეს ზესანს გასინჯვის შემდეგ და საავადმყოფოდან გამოსწერეს.

— შეგიძლიათ წახვიდეთ.









ქართული თეატრი; 191	Казенный театр.	სახალხო სახლი	Цирк №11.
დღეს წარმოდგენი ლი იქნება:	Травиата.	„დაპარცხავული“	ბრძოლის ბრძოლა Борьба
„მ მ ი“ არციბაშვილის.	≈	—	Коста Мансу- რადзе и Вахту- ров.

სასადილო

„ვერდენ“

მწვადებით და კახურიით...

16.

ზესან მიდის.

ნაცნობი ქუჩები... უცნობი სახეები.

რამდენი იაროს ქუჩაში!

და რამდენიც უნდა.

გაიარა ფართო ქუჩები. გავიდა ვიწრო უბანში.

Роспивочно и на вынос.

Бакалейная лавка.

Продажа табаку и папирос.

არღვის ჭრიალი.

— წუხელის ქურდი გადამძვრალა ერემო მუშის ბინაზე და ტაფა მოუპა-  
რავს. ისმის დედაკაცის ლაპარაკი.

ტრახ... ტრუბ... ტრახ.

ბავშვები ომობას თამაშობენ.. ჯოხებს უშენენ ერთმანეთს.

ღრუტ... ღრუტ... ღრუ.

დინგით ნიწის ჩიჩქნა.

ვეჰჰე... ვეჰჰე... ვეჰჰე... ვე.

დაჰკრა საათმა...

მაწვნით დატვირთულმა...

ნახშირი

მაწონი

> კიტრი

მააწონი

ნახშირი

> კიტრი

ითათათ...

„ХОЛОДНЫЙ КВАС“

стакан 5 коп.

ფიქრმა წაიღო.

გააჩსენდა შავი თვალები.. დიმილით გადმოხედდა უცნობი მოწყალების დის  
და ჯიბეში და გულში მთელი სიმდიდრე იგროძნო.

დამისხი!





ქართული  
ლიბრარი

დალია.

ჯიბებზე ხელი მოისვა... გაწითლდა.  
შერცხვა. შიგ ფული არ აღმოაჩნდა.

ბოდიში მოისადა.

გზა განაგრძო.

ვერაფინ ნახა ნაცნობი.

ისევ უკან...

ძილღობა დაედევნენ.

არაფერს არ ფიქრობს.

— სადალაქო.

— ხაში.

— თორნის პური.

— კვასი.

და ისევ:

აუბ... რაბ... რუბ.

ელექტროს ნაპერწკლები:

ერევნის მთედანი № 8.

მიდის. დაიღალა.

ქვაზე ჩამოჯდა.

ფიქრობს...

ჯიბეში ხელი ჩაიყო:

ნაგლეჯი ქალაღი: ნურგის ქუჩა № 10.

„უცნობი მოწყალების და“.

დაჭმუჭნა. ვადააგდო.

ადგა. ისევ აიღო.

გაასწორა. ჯიბეში ჩაიღო.

მოშივდა. ფული არა აქვს.

სამუშაო ვერ იწოვნა.

ნაცნობებიც ნახა, მაგრამ ხელი არ ვაღმართეს, რადგან თვით არაფერი  
ჰქონდათ.

ბოლოს გაზეთების დამტარებელი გახდა.

და ერთი გუჩიდან მვორეზე.

ტელეგრამები... გაზეთები.

ოში: დამარცხება გამარჯვება.

ვერდენი. ვარშავა.

და როცა ყიდის გაზეთებს თავი ვარშივასთან ჰგონია: ყურში ესმის ხარბა-  
სნის ბრაბა-ბროხი. ტყვიების სუზენი.

და მალე:

ზესან გამოჩნდა, ზესან გაცოცხლდა.

გაზეთებს ყიდის, მაგრამ თითონ:









წ. ჯ.  
სახელმწიფო დუმა.  
დ. ფურნეში:  
პური გირვანქა 12 კაბ.  
ომი ბოლომდე,  
ომი ბოლომდე—გაპარჯვებამდე.

- ერთი.
- ორი.
- სამი.

სმენა:

გრიგოლ რასპუტინი.  
ოხ, ხო... ხო: ოხ, ხო... ხო.  
გრიგოლ რასპუტინ.

18

ფრონტიდან აფარებელი დაჭრილები...

ზესან სადგურთან.

თვალი მოჰკრა „უცნობს.

თავი დაუჭრა.

გალიმება.

სიტყვა:

— რათ ჩემთან არ შემოდით... ასე უნდა?!

ავტომობილი. ქალის გვერდით ვიღაც ყმაწვილი:

ჩასხდენ .. წაფიდენ.

წასვლის დროს კიდევ გალიმება...

ზესან ნაძალადევში უნდა წაფიდეს.

იქ კრებაა რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის.

ზესან კომიტეტის დავალებით საპასუხისმგებლო დავალებას ასრულებს.

ის სულ საქმეებითაა გართული.

არ სცალიან.

მუშაობს, მუშაობს...

ეხლა მას ტფილისის მუშები კარგად იცნობენ.

ეხლა მათი ტკბილი ნდობა ზესანის გულშია და ოფალები უცინის. ეხლა

ბეკვასესთან ერთი შაურისათვის აღარ გაწითლდება.

საქმელიც აქვს.

და აქვს დიდი სიმდიდრე: სიყვარული ჩაგრულთაღმძი.

ჯაშუშებმა, რომელნიც ქუჩა-ქუჩა დაძრწიან, ჯერ მასზე ეძვი ვერ აიღეს.

და:

„თანამედროვე აზრი“.

„Рабочая газета“.



„თეზი“.

„Русское слово“.

ერთი ქუჩიდან—მეორეზე,

— ნაძალადევი.

— ყრვენის მოედანი.

გოლოვინი.

თეატრი: რესტორანი: მოედანი: ქარვასლა.

ყველგან ახალი გახეთი.

მერე: დაღლა და ტრამვაი:

— ტა, ტა... ტა. ტა... ტა.

ბრახ... ბრახ...

ქრ. კრ. კრიჭ.

გატეხილი სკამით.

ტახტზე წამოწოლა.

ერთი. აქეთ—თავში:

— ბრძოლის ველი. ევროპა.. ამერიკა.

ვილსონი. ფოსი. ნაკენზენი. რასპუტინი.

პურიშკევიჩი... და .. უცნობი მოწყალეების და... და... და...

გვერდზე გადაბრუნდა.

გალიმედა.

უპ... უპ. ეახ.

ჰხ... ჰხ. ჰხ... ჰხ:

დილაძდე...

19.

გ	პლაკატები:
ო	1. ომი ბოლომდე.
ლ	2. ძირს გერმანია.
თ	3. გაუმარჯოს მოკავშირეებს.
შ	4. გაუმარჯოს საფრანგეთს.
ი	5. ომი გამარჯვებამდე.
ჩ	წამოძახილი:
ხ	ქუდები შიბადეთ.
ც	— გაუმარჯოს:
ძ	— ნიკოლაზ ნიკოლაზისძეს.
წ	სიმღერა:
ჭ	„Боже царя храни“.
ხ	სახეები:
ბ	ძველი ლენერლის: ქარებიან ფეხებს რომ ძღვის შიათრევს.
ვ	კიკანებიანი გრძელი ვბრაგლის.
გ	ღირსეული ნაჭრის.





ს გრძელ ცხეირა ხნეგადასულ მანდილოსნების.  
 ტ ათიოდე ბავწის, რომელნიც მუსიკას მისდევნიან  
 • და ატეხილ ძუენა ძაღლის, რომელიც საგულში ყვებდრე-  
 ბით ურცხვად არშიყობს.

ც  
 •  
 •

გაზეთებში კი ცნობა:

„ტაქტიკური“ მოსაზრებებით ჩვენ დავსტოვეთ ქალაქები 1. 2. 3. სოფ-  
 ლები: 10—15\*.

შტაბი მთავარ სარდლის.

ნერგის ქუჩა; № 2—4—6—8—10.

— ათი.

ზესანი დარეკს: „უცნობი მოწყალების და“ კარებთან.

ლიმილი.

ზესანი შედის.

— თქვენთან საქმეზე მოვედი.

შინ. მდიდრული დარბაზი: სკამები, მაგიდები...

სურათები... ნოხები... ვაზები ყვავილებით.

ლექსტრა. ••

— თქვენთან საჩმე მაქვს.

კიდევ გაიშეორა ზესანმა და თვალეებში მიაშტერდა

— მე ვიცი, რომ თქვენ დაგვეხმარებით.

— სთქვით.

— თქვენ უნდა გახდეთ ერთგული წევრი ჩვენი ორგანიზაციის, თქვენ  
 უნდა ბი—ეს პროკლამაციები დაჭრილ ჯარისკაცებში გაავრცელოთ.

გაწითლება... დაფიქრება.

— მერე მენდობით?

— მე გენდობით და თქვენ გაამართლებთ ჩემს ნდობას.

— ნომეცით ხელი!...

ზერასი ართმევს.

გამოხედვა ცეცხლიანი. ამაყი შუბლი და ასული აზრი: მერი-  
 დიანიდან—მკერდზე.

ელექტრო.

რადიო.

დინამიტი.

და ყუმბარა...

ათასი თვალი.. ათასი ყური..

ოკეანეები. ზღვები. ქარიშხალი და გრიგალი.





ტაკ.

ტუკ.

ტუკ.

ტაკ.

ვული გაება გინაღაისთაბ.

ტაკ. ტუკ.

მარეხ!

ასპიროზ!

და ვარსკვლავები: „ბევრი ათასი“:

ციმ.—

ციმ.—

ციმ!!

მიმოიხედა.

ხესანი შეედგა.

დაეშო სივრცეზე.

მიუჯდა ხესანი და საუკუნეები აიშალენ მათ წინ.

ქვეყნები მომავლის ნგრევით შეკრთენ.

წითელმა ციკლონმა გადიშხუვლა:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“:

21.

აუხ.. უხ. რუხ.

გაჰ.

გუჰ.

ლონდონს—ჩიკაგო.

ტოკიო |—| პარიზ.

ანტვერპენ ჰამბურგ.

და უცნობი და მოწყალეებისა.  
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა.

„შეერთდით“

„უცნობი“ და მარტო დარჩა.

ათამაშდენ ქვეყნები.

ადამიანები დაიმარხენ..

ძონძები.





გამურული სახე.  
სიცივე. გაღურჯებულნი სიციცხლე.  
„ჩვენ მხარი მიეცეთ ჩვენს მშვიდ მოძმეთ“

საქართველო

რუსი.  
ქართველი.  
ებრაელი.  
ხანგი.

გაუმარჯოს ძნობას,  
ერთობას,  
თავისუფლებას.

„ინტერნაციონალ“-ში

ჰპოებთ შეგებასა.  
და ქალი ატირდა...  
ცრემლებით გადაბანა მთელი მსოფლიო.  
პური — გირვანქა სამი შაური.  
ხორცი — ათი შაური.  
შაქარი — სამი აბაჯი.

„უცნობი“ მოწყალების და ავანტიურა ჯარისკაცებს ჩუმად აწვდის ფურ-  
ცლებს.

ამხანაგებო:

ისინი:

ა...ა. მხა — ნა... გე... ბო...

ძირს.

ძირს..

ძირს თუითმპყრობელობა.

ძირს ომი.

გა-უმ. არ...ჯოს რე...ვო...ლიუ-ციას.

გაუმარჯოს რევოლიუციას“..

კითხულობენ

და ელიან.

დაატუსაღეს.

ციხეში ზის.

ზესანმა ეს პირველათ გაზეთში ამოიკითხა.

„უცნობი“ მოწყალების და მეტეხში.

ვ ა შ ა!

ვ ა შ ა!

გაეხარდა ზესანს, მაგრამ ცრემლებიც მოსწყდა.



ვაეხარლა, რომ უცნობმა თავისი სიტყვა შეახრულა.  
და ეწყინა: საყვარელ მეგობრის დატუსაღება.  
მეტები.

მეტები..მ

„ჩვენ მხარი მივსცეთ ჩვენს ჩაგრულ მოძმეთ“.



საქართველოს  
საბჭოთაო რევოლუციის  
სამხედრო-საზღვაო ფლოტის  
სამხრეთ-დასავლეთი ფლოტის  
სამხრეთ-დასავლეთი ფლოტის

22.

ზამთარი.

დაიკუმშა ღრუბელი.

რასპუტინ აბანოში.

— რასპუტინ.. აი რასპუტინ!

— გაუმარჯოს რასპუტინს.

— ძირს პურიწვევიჩი.

ტყვიით გაგმირეს რასპუტინ.

— რასპუტინ, შოი, რასპუტინ!

ძირს! ძირს.

ტრაბ.. ტრაბ. ტრაბ.

პური.

გვშია.

გვწყურია.

გვშია.

პური..

პუ...ური..

ვინ დაგვიდგება წინ!

ძირს ოში..

ძირს.

ამ გზით სიარული აღარ შეიძლება.

გაიგეთ ხალხო!!

გვშია...

გვშია!!

სად არის პური!

პური..

24.

— ჩემო ერთად ერთო...

— ზესან.. ზესან.

მეტებში ფიქრობს „უცნობი“.

სიჩუმე.

ზესან დაღვრემილი დაიარება.

ტფილისი სდუმს.

ტფილისი უცდის.



პეტროგრაფი უანოა.  
უანო ტფილისისათვის:  
თებერვალ: 25—26  
ტფილისი უცდის.  
დასწყდენ მავთულები.  
შეჩერდა ელექტრო.  
დამუჯნდა რადიო.



მილიონი ოვადი გაპყურებს ჩრდილოეთს.  
მილიანი გული თრთის და სიჩუმეს  
ყერ იტანს.

სიჩუმე  
სი-ჩუ-მე.

ხესანმა აბალი ამბები აო იტანს

ტფილისი: პეტროგრაფ!

— აუ პეტროგრაფ  
სიჩუმე..

ელექტრო გაყინულა.

პეტროგრაფი ტფილისს ემდურის.

25.

თებერვალი 28.

ტელეგრაფის მავთულმა გაიჩმორა.

ნაპერწყლები მოედო.

გამოჩნდა მავთულზე რადიო

გოგანტი და დაიბეჭა:

რ. რ. რ;

ე  
ა  
ვ  
ე  
ა  
ა  
ა  
ა  
ა  
ა  
ა





## ტრესტი ღ. ე.

(გაგზავნილება. იხ. „მნათობი“ № 7-8).

20.

### უკროპის პავის გამხრწნელობის უხეხევა.

ბ. ბრიემ სთქვა: „მეცნიერება წინ მიიწევსო“. და ის მართალი იყო. 1932 წელს შვედმა მეცნიერმა რიდელლინგმა აღმოაჩინა სწრაფად მომქმედ კეთრის მიკრობი და ამ საშინელ ავადმყოფობისაგან თავდასაცავი საშუალებანი.

ბ. რიდელლინგის შრომა წარმოადგენდა არა მარტო თეორეტიულ ინტერესს. არა, ორმა ადამიანმა ისარგებლა მით და ტანი ანტიკეთრული შრატით აიცრეს. ეს იყო მისტერ ხარდაილი და მისი საცოლუ, მისს კეტი, რომლებიც ემზადებოდნენ შუა-ევროპის უდაბნოში საქორწინო მოგზაურობისათვის.

ქორწინება მოხდა 12 მაისს 1932 წელს, დილის 10 საათზე. 12 მაისი ეკლესიიდან ახალგაზრდები წავიდნენ პირდაპირ აეროდრომზე, სადაც უცდიდა კომფორტით მოწყობილი ბიპლანი „ვაჟლის“ სისტემისა. 1932 წ. ქორწინება.

მშვენიერი დღე იყო. ძირს ლურჯად მოსჩანდა ოკეანე. ბიპლანის კაიუტა ყოველმხრივ კარგად იყო მოწყობილი ისევე, როგორც ხომალდის ან საწოლ ვაგონების კუბე. მაგრამ მისს კეტი პავის ავადმყოფობით გაბდა ავად, რომელიც ისეთივე აუტანელია, როგორც ზღვის ავადმყოფობა. მისტერ ხარდაილი იძულებული გახდა დაეხმყო ცილებულიყო მხოლოდ ღრუბლების შეჯიბრების კინემატოგრაფიული გადაღებით. საერთოდ, ის შეტად მომომენი ადამიანი იყო. თუ მან ხუთი წლით გადადო ცოლის შერთვა მხოლოდ იმისათვის, რომ კარგი საქორწინო მოგზაურობა მოეწყო, — მაშ უფრო ადვილად შესძლებდა ერთი დღით გადაედო ცოლ-კმრობის ზოგიერთ წესების შესრულება.





ოკეანე ლურჯად მოსჩანდა. ღრუბლები მიჰქროდნენ. კეტი ლი-  
 მონს ლეჩავდა. შემდეგ ამას დაემატა მთვარე, ყვითელი რუგოვანი ლი-  
 კეტის ლიმონი.

მეორე დღით გამოჩნდა ნაბძინარევი მზეთუნახავი ევროპა.  
 ფერმკრთალობით და ნალვლიანი გამომეტყველებით ის მიაგავდა მისს  
 კეტს. მისტერ ხარდაილმა საკვოიაეიდან ამოიღო რვეული და,  
 გრძნობდა რა ამ მოგზაურობის დიდმნიშვნელოვანობას, — დაიწყო  
 დღიურის წერა.

ეს რვეული დღემდე შენახულია და მისტერ ხარდაილის წერი-  
 ლების მოყვანით გვინდა დაეანახოთ ჩვენ მკითხველებს შუა-ხნის  
 ამერიკელის ვაჟკაცურ ცნობისმოყვარეობის ნათელი ნიმუში. ამის  
 გარდა, მისტერ ხარდაილის დღიური საინტერესოა, როგორც ახალი  
 საბჭოთი ევროპის ჰაერის გამხრწნელობის დასამტკიცებლად.

### მოგზაურობა

მისტერ ვ. ხარდაილის.

შუა-ევროპის უდაბნოში.

13 მაისი დღის 11 საათი. გადავიტრინეთ ჯერ კიდევ ცოც- 13 მაისი,  
 ხალი ქვეყნები. პარიზი მადლიდან პროვინციონალურია. კეტი ჯერ კეტი გვირდს  
 ვერ გამოკეთებულა ჰაერის ავადმყოფობისაგან. ცოლის შერთვა რა- უხვევს.  
 მოდენიმედ ხელს უშლის ჩემი აზროვნების სწორ მსვლელობას. მაგრამ  
 მე ვფიქრობ, რომ ასე გაგრძელდება მხოლოდ პირველ პროცედუ-  
 რამდე. ევროპის უდაბნოში, აღბად, მოვინახეთ ხის ჩრდილს. მაშინ  
 ისევ მომეცემა საშუალება, რომ ლოდიკურად ვიაზროვნო.

იმავე რიცხვის 4 საათი. დავფრინავთ უდაბნოზე. ქალაქის  
 ნანგრევები. აუარებელი ძელები. უბერავს ნორდ-ოსტი. ვნახეთ სრუ-  
 ლიად ცარიელი ქალაქი — ნიურენბერგი. გადავიღეთ მისი ფოტოგრა-  
 ფიული სურათი. კეტს მოეჩვენა ეკლესიის ზარების რეკა. მაგრამ ეს  
 სძენის მოტყუებაა (ვათხელებულ ჰაერისაგან). აღვნიშნე ბევრი ხე-  
 ები, ყველა ჩრდილიანი. კეტი ისევ ლიმონს სკამს.

იმავე რიცხვის 5 საათი. როგორც იქნა დავეშვით მიწაზე.  
 ირგვლივ უდაბნოა. მე სრულიადაც არ მეშინია. 15° აღმოსავლეთის  
 სიგრძისა, და 43° სიგანისა. ხეები არ სჩანს. მოცდა მოგვიხდებდა. გა-  
 დავწყვიტეთ სასეირნოდ წასვლა. კეტს სურს მონახოს ევროპიული  
 ყვავილები, რომლებსაც, მგონი, „მიხაკი“ ჰქვია, მე კი — ხის ჩრდი-  
 ლი (სულ ერთია რომლის, ბოტანიკაში სუსტი ვარ. მინდა მხო-  
 ლოდ, რომ მადლიდან არ სცვიოდეს ეკლიანი ფოთლები).

იმავე რიცხვის საღამოს 8 საათი. უცნაური ზნე-ჩვეულებებია!  
 მგონი, ასი წლის წინად აფრიკა უფრო უშიშარი ადგილი იყო. მა-



გრამ სწორედ ეს საშიშროება მიტაცებს. მოვეყვები რიგით. ეს უნდა იყოს მით. ვნახეთ დიდი მდინარე. მას მკონი „დუნაის“ უდაბლენ. მიხაკებს ეძებდა. მაგრამ მოვინახეთ მხოლოდ ოთხი თაფის ჯამი, რომლითაც ევროპიელები, ალბად წვეთსა სჭამდენ. მე ავიღე ჯამი ერთოვტაფიულ მუხეუმისათვის. შემდეგ წავაწყდიან რაღაც პატარა სახლს. წიგ ხალხი არ იყო. კეტის არასოდეს არ ენახა ერთსართულიანი შენობები და ძალიან გაუკვირდა. მან სთქვა კიდევ, რომ დიდი სიამოვნებით გაატარებდა მთელ თაფის სიცოცხლეს ამ პატარა სახლში. მე, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმე, მაგრამ უცებ მონათვაინდა, რომ ამ პრიმიტიულ შენობას თაფის თრიგინალობით შეეძლო ხეების ჩრდილის მაგივრობი გაეწია. სახლში ივეჯი არ აღმოჩნდა. კედელზე ეკადა სურათი, რომელზედაც დასატული იყო ორი ვაშლი. ადამიანები არც ამ სურათზე ეხატა, ვაშლები კი არაფრით არ განსივადებოდი ჩვეულებრივ ნაყოფისაგან. მე არ მივაქცევდი ყურადღებას ამ სურათს, მაგრამ კეტე ნახად ჩანჩურჩულებდა:

— რა მწვენიერია!.. თან წაუიღოს!..

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი მეუღლის ანჩხლი და ექსპანსიური ხასიათი, ცოტა არ იყოს, მაშინებს. მაგრამ მე მკონი, რომ ზემოასესეშული პროცედურის და სპორტით ვარჯიშონის შემდეგ, ეს გაიუღის.

დავიწყე კეტის სამკვავლო პალტოს გახსნა. საკვირველია, რომ კეტე აოხვითარ ყურადღებას არ მატყვევდა და განაგრძობდა ანანასების ჭამას, რომლებიც ჩვენ საკმაოდ წამოყიდეთ. კეტე ვულკრილია.

ამ დროს გაისმა ხმა, რომელიც გარეულ ნადირის ღრიალს წაგავდა. გამახსენდა, რომ უდაბნოში ვიყავი და არა. საკუთარ სახლში, — და კარგად შეიარაღებული გამოვარდი გარეთ. გამომყვი კეტიც, რომელიც განაგრძობდა ანანასების ჭამას.

ჩვენ დავინახეთ უცნაური ცხოველი — მსხვილი ჯიშის მაინტუს წაგავდა. მაგრამ ცხოველის დინჯზე პენსნე შევნიშნე და მივხვდი, რომ ის მაინც ადამიანია. სრულიად ტიტველი იყო, და მე ვახოვე კეტის, რომელიც ფაქტიურად ჯერ კიდევ არ იყო ჩემი მეუღლე. — რომ მიბრუნებულყო. მეგონა რომ ადამიანი, თქმვა ტიტველი, მაგრამ პენსნეში, წერა-კითხვის მცოდნე იქნებოდა და გაუწოდე ჩემი დოკუმენტი, რომელზედაც თითქმის ყველა ენებზე იყო დაბეჭდილი: „ეს არის პასპორტი ჩ. ა. შ. შ. მოქალაქისა“. მაგრამ ტიტველი კაცი უყურებდა არა პასპორტს, არამედ ანანასებით სავსე ქილას.

მან მხეცურად დაიკივლა, დაახტა კეტის და გამოგლიჯა თელიდან ტკბილი საქმელი, შემდეგ დაწვა მიწაზე და სწრაფად დაიწყო ქილის დაცარიელება. მე არ შემეძლო დამეშვა ამგვარი უწყესობა და შევეცადე ფეხსაცმლის წვერით შემერცხვინა ის. მაგრამ მონანიების ნაცელად, მან ფეხის კუნთზე მიკბინა. მაშინ იარალი ვინმარე და ამ მხეცი არსების გვამი დუნაის წყალში ჩავარდა. კეტე სტირო-



და. მე ვამწვიდებდი, რომ ჩემი ქრილობა უბრალოა, მაგრამ მან მი-  
პასუხა:

მე ის კაცი მეცოდება. რატომ არ დააცადეთ, რომელია ანანასის ჭამა?

დიახ, კეტის ხასიათი უფრო მეტად მაწუხებს, ვიდრე ქრილობა, რომელიც ერთი-ორი დღის შემდეგ მოშირჩება.

რასაკვირველია ამ ამბის შემდეგ ზედმეტი იყო ფიქრი საქორ-  
წინო პროცედურაზე და ჩვენ დაგბრუნდით აპარატთან.

14 მაისი, საღამოს 7 საათი. მრავალი ამბებით სავსე დღე. მე  
ვიტყობდი: ძველი ცივილიზაციის კვალის აღმოჩენა. ჩვენ ვსვირნობ-  
დით. უცებ შევნიშნე განცალკევებით მდგომი სახლი. დიდი იყო ჩე-  
ნი გაკვირვება, როდესაც კარზედ წავიკითხე მშობლიური სიტყვა  
„Barber“.

14 მაისი.

მე ამაყად შევედი შიგ და ვცდილობდი მლეუარება არ შემ-  
ჩნეოდა. დაეინახე ცივილიზაციურ ხალხის ჩვეულებრივ სადალაქოს  
ყველა ნიშნები. ჩვეულებრივად და თავისუფლად ჩავჯექი სავარძელ-  
ში, თავი უკან გადაეწიე და დაუწიე ცდა.

აღმოჩენა.

ბოდიშს ვიბდი პატარა ფილოსოფიურ უკანდახვევისთვის. ოჟი-  
ცა ცნობილი პროცედურები ჯერ კიდევ წინ მომელის და ერთგვარი  
გულმაფიწყობა თანა/მდეგს, მაგრამ მე მაინც მინდა ჩავწეოთ ჩემი  
აზრები საერთოდ სადალაქოების შესახებ. როგორი დროსა და სი-  
ვრცის გარეშე მყოფი დაწესებულებაა! არგენტინაში, ავსტრალიაში,  
იაპონიაში, ასეთივე სავარძელი და ასეთივე სარკეა. ამ ტექსტში:  
რომ დაჯდეთ, გადასწიეთ თავი, დახუკეთ თავლები და მარადისობაზე  
ფიქრის დროს, მიანდოთ ლოყები საპნის ფაქიზ ქაფს, ამ ტექსტში  
აზრის რიდაც ეპიური და გრანდიოზული.

ამგვარად, მე ჩავჯექი სავარძელში, დავხუკე თავლები და და-  
ვიწიე ცდა. ვფიქრობდი მიწიურ მატერიის წარმავალობისა და სუ-  
ლის გაუზონნელობის შესახებ, ანავე დროს ვიგონებდი ფრენის დროს  
ნაბულ სხვადასხვა ხეების ჩრდილს.

უცებ გამოვერკვიე, როდესაც ვიგრძენ სამართებლის ნახი შე-  
ხება. ო, ეს სიზმარი არ იყო! მე მპარსავდა სრულიად ჩვეულებრივი  
დალაქი და, როგორც ქვეყნის ყველა დალაქებს სჩვევიათ, მართობდა  
უკანასკნელ ამბებით.

— საში წლის განმავლობაში პიოველად ვხვდავ კლიენტს.  
გთხოვთ ცოტა უკან გადასწიოთ თავი, აქ დროგამოშვებით დადის  
ხალხი, მაგრამ მათ წვერები მოშვებული აქვთ და არ იპარსავენ.  
ამაშია პრიმიტიული ცხოვრების ნაკლი. ვცხოვრობ გაჭირვებით.  
ეპიდემიის დროს მოვასწარი ვენიდან საკმაო თოფის წამლის გამო-  
ტანა. ვნადირობ თხებზე და კურდღლებზე. გულახდილად რომ ვსთ-  
ქვა, ძალიან გაჭირვებულად ვცხოვრობთ. გუშინ მეგელმა დისწული შე-





მიჭამა. ოდესკოლონი გნებავთ? ძველი მარაგია. ძალიან სასიამოვნოა კულტუროულ ადამიანთან საუბარი. აქ მე ევროპის უკანასკნელი წარმომადგენელი ვარ. ეინახავ, როგორც სიწმინდეს, აბრას და შერეულს.

მე ისევ ფიქრებში ვიყავი გართული და ისე უთხარი: გამოსცვალეთ აბრა. დააწერეთ: „სადალაქო მხოფლიოში“.

ეს ორგინალური და ღრმად ფილოსოფიური სახელწოდებაა.

მე დოღარი გავეუწოდე, მაგრამ მან უარი მითხრა და მის ნაცვლად ერთი ქილა ანანასი მთხოვა. უცებ შევნიშნე, რომ კეტი აღარ სჩანდა. როდესაც მე სავარძელში ვჯდებოდი, ის საპარიკმახეროში იყო.

— კეტი! — დაუძახე მეტად აღელვებულმა.

მაშინ ბუჩქებიდან გამოვიდა ჩემი ახალგაზდა მეუღლე. მისი თმები აწეწილი იყო ქარისაგან. შევნიშნე მის ლოყებზე საღი სიწითლე და დავლოცე ევროპის ჰაუა. გაპარსვის შემდეგ გაორკვეცული ვნერგიით დავიწყე ხის ჩრდილის ძებნა, მაგრამ კეტი, დაღლილობის გამო, დაწვა დასაძინებლად და მე ეხლა ვდარაჯობ მის უმანკო ძილს მგლებისაგან, რომლებმაც ცივილიზაციის უკანასკნელ წარმომადგენლის საცოდავი დისწული შეჭამეს.

კეტი ისევ დაეძვბს მიწავეს.

15 მაისი 9 საათი. თუმცა მე მაგარ ნიადაგზე ვიმყოფები, 15 მაისი.

მაგრამ ჩემი თვითმწერავი კალამი ვატერმანის სისტემისა მაინც არათის. მომხდარ ამბების შემდეგ წერა კი არა, მე ღმუილი მინდა ისე, როგორც ღმუიან ამ უდაბნოში ნოხეტიალე გაველუორებული ადამიანები. მხოლოდ პასუხისმგებლობის გრძნობა კაცობრიობის წინაშე მაიძულებს მოვიკრიბო ძალები და აღვწერო ამ საშინელი დღის ამბები.

ღამით ძალიან ცუდათ შეძინა, ძილს არ მანებებდა ველურ არსებათა ყვირილი და აგრეთვე კეტის სიახლოვე, რომელმაც მფრინაის მახლობლად ყოფნის გამო, სრულიად უარი განაცხადა იმაზე, რომ ბიბლანის კაიუტა ხის ჩრდილად წარმოედგინა. ეს იყო თუმცა მოკლე. მა რამ მეტად სამწუხარო დამე.

გაღვიძების შემდეგ კეტიმ მომთხოვა, რომ გასაპარსად წავსულიყავი წინა დღით აღწერილ სადალაქოში. მე შევეცადე სხვა მარშრუტი ამერჩია. ჯერ კიდევ უნახავ ადგილებში და დაუმატე. რომ გაპარსვას შევძლებდი კაიუტაში „ჟილეტის“ სისტემის უებარ სამართებლით.

მაგრამ კეტი დაყინებით მოითხოვდა. ჩემ შეკითხვაზე, თუ რაღა მაინც-და-მაინც იქ სურს წასვლა, სადაც გუშინ ვიყავით. — კეტიმ მიპასუხა, რომ იქ ჰყვავის ევროპიული ყვავილები, რომლებსაც მკონი, „მიხაკი“ ჰქვია, და რომ მას მათი დაკრეფა სურს. მეც არ მინდოდა პროცედურამდე ამეღელვებინა ჩემი სუსტი მეუღლე და დავთანხმდი.





ვაი, ჩემს თავს! რისთვის დაუჯერე კეტის? ამის შემდეგ პროცედურები შექნება და აღარც შეუძლებს შეყოლება.

ამგვარად, მე ვიპარებოდი, კეტი აგროვებდა მიხაკებს თავე პარსვი. კეტი არ სჩანდა. დაუძინე, არავინ მიპასუხა. მაშინ მე კეტი შეიჭრა და ვიწყე თავის მოპარსვა, რამაც მეტად გაახარა ცენტრალურ ევროპულ ავსტრალიან სკნელი დალაქი, რომელმაც ამისათვის მიიღო ანანასები რომლებს მისაცხე ორი ქილა. თავი მოვიპარსე, აუშტა სრულიადაც არ ვაპირებდი ამას ფრინვის დროს ქარისა და სურდოს შიშით. კეტი მაინც არ სჩანდა. უკიდურესში შიშმა ამიტანა: ის შეიძლებოდა შეეჭამათ მგლებს ან დაამიანებსაც კი. ერთ ამ საშინელ ცხოველთაგანმა ხომ მიკბინა ფეხის კუნთზე. საბრალო კეტი! რა მოუვიდა? ვიჯექი საგარძელში და ვტიროდი. გულცივი პარიკმახერი კი, რომელიც აღმად მიჩვეული იყო ამგვარ ინცინდენტებს, მშვიდად ასხამდა ყვეეტალს ჩემს ტიტველ თავზე!

და ბოლოს, ველარ მოვითმინე და კეტის საძებნელად წავედი. მე არ მინახავს ევროპიული ყვავილები, რომლებსაც მგონი „მიხაკს“ ეძახიან, მაგრამ ძალე დავინახე კეტი. ო, ნეტავ არ დამეჩნა ის! ო, ნეტავ მგლებს შეეჭამათ ის, ან თუ გინდ ადამიანებს!

კეტი იწვი ბალახზე და მას ხელ დასწოლოდა ტიტველი ევროპული ჟილეტში თმებით დაფარული სახით. მე დაფიქვრივე: — კეტი!

კეტი ველარის ქვეშ.

მაგრამ არც მას და არც ნადირ-ადამიანს არ გაუგონია ჩემი საკმაოდ ხმაშიღალი ძახილი, ისე იყვნენ ისინი გართული თავისი საქმით.

ეს! არავითარი ეჭვი აღარ შემდის იმაში, რომ ისინი აკეთებდნ სწორედ იმას, რის ვაკეთებაც მე თითონ მსურდა ბის ჩრდილის ქვეშ. მათ არც ერთი ხე არა ჰქონდა და შეუძლეს მზე ძალზე იცხუნებდა მათ ტანს. მე შრცხვენია თვეენი, ვატერმანის სისტემის კალამო და რვეულო, როდესაც ამ სახანაობას ავწერ! კეტიმ დამინახა და განზე გახტა სადირი-კაცი წამოდგა. ის წაავადა გამხდარ მაიმუნს. კეტი მის ზურგს მოეფარა. მე შევეცადე მის წამოყვანას. მოუავგონე პასტორის სიტყვები და ჩვენი საბზობლოს კანონები, მაგრამ, სიცოდავი, უგონოდ სტიროდა და არ შორდებოდა ველურ არსებას.

მე დავინახე, რომ მხეცი-ადამიანი გულუბრყვილოა და უიარაღო და ვესროლე მას. აღელვებულს არ შემეძლო კარგად დამემიზნა და ფეხში მოვარტყი. დაქრილი არსება სდუმდა. კეტი სტიროდა.

გამოუძახე დალიქს. უთხარი, რომ ყველა ცივილიზაციურ სახელწიფოების კანონების ძალით კეტი მე შეკუთვნის და ვთხოვე დამხმარებოდა მის წაყვანაში ბიპლანის კაიუტიმდე. დალაქნა ცბიე-



რობა დაიწყო და მარწმუნებდა, რომ უდაბნოში არავითარ კანონებს არა აქვთ ძალა. მომსახოვა 25 ქილა ანანასებით. იძულებულად დაეთანხმებოდი.

ხელი გაუქარეთ კეტის და ისე წავიყვანეთ. ის წინააღმდეგობას არ გვიწევდა, მაგრამ ისევ განაგრძობდა ტირილს. როდესაც ჩემი უბედური მუშავე კაიუტაში შევიყვანე, გადავწყვიტე მასთან დალაპარაკება:

— კეტი! რა ჰქენით, კეტ!

მაგრამ კეტამ უცხად მიპასუხა რაღაც უაზრო ფრაზებით. აქ ვწერ იმ ფრაზებს, რომლებიც დავიხსომე:

— მე მიყვარს ის, ვილიამ! იცავით დიდ სულოუანი, გამიშვიო მასთან!.. მე მსურს უდაბნოში დავრჩე... მე ეხლა გავიგე, რა არის სიყვარული... ეს, ჰავრს წააგავს... მე შეგვიბუთები ამერიკაში... თქვენ იცით რამე ვარსკვლავების შესახებ?.. თქვენ გაქვთ ნბოლოდ ნავთი და ცნობის მოყვარეობა... ის კი პოეტი იყო... ის ეენაში სცხოვრობდა... ის ლექსებს მიკითხავდა...

„საყვარელი—კრთომა. თდეს პოეტს უყვარს, შეყვარებულია შეუცთომი ღმერთიც“.

ის მშვენიერია!.. მე არ წავალ აქედან! გგსმით. ვილიამ, მე არ მოვშორდები ევროპას!

გავიგონე რა ამგვარი სიტყვებზე, მე მივხედი, რომ ჩემი ახალგაზრდა მუშავე სულით დაავადმყოფდა ბ. რიდელლინგის შრატით აცრან კეთრიდან დაგვიცვა. მაგრამ ევროპის ჰაერი გახრწნილი აღმოჩნდა. ჰაერი აქ გაეღვინთილია ბაწაწა მიკრობებით, რომლებიც იწვევენ ფსიქიურ ავადმყოფობას; ეს ავადმყოფობა გამოიხატება თავშეუკავებელ სასიყვარულო ანთებაში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს არც ჩვენ კანონიერ ქორწინებებთან და არც უცოლო ამერიკელების ღამის გასართობებთან. მრისხანე ავადმყოფობაა! აღმაშფოთებელი ჰავა! ამ ქვეყანამ დაიმსახურა თავისი ბედი!

ამგვარად, მე არ შემიძლია კეტი გავამტყუნო. მე თითონ წამოვიყვანე ამ ქვეყანაში. ის ბოროტ მომქმედი არ არის, ის მხოლოდ ავადმყოფია. ჩემი მოვალეობაა, რომ წავიყვანო აქედან და მშობლებს ჩავაბარო. რასაკვირველია, ჩვენი განჭორწინება აუცილებელია, რადგანაც მორალური აღთქმანი და ჰიგიენური მოსაზრებანი შეუძლებლად ხდიან შემდეგში ყოველივე პროცედურებს ჩემთვის.

მე ვსტირი. მე ვეუბნები ჩემ თავს: ხარდაილ, შენ აღმოაჩინე ევროპის უდაბნო, შენ გააბედნიერე კაცობრიობა. მაგრამ ეს მეტად ძვირად დაგიჯდა, დაჰკარგე ახალგაზრდა მუშავე, რომელთანაც ვერც კი მოასწრე შეუღლება.

კეტი წევს და სტირის. მე ფხიზლია ვარ. ხემოდან დამყურებენ ის ვარსაღავები, რომელზედაც რაღაც იციან ევროპის ადგი-





ლობრივმა მცხოვრებლებმა. სადღაც ტყეში ღმუიან ველურები. ვან-საკუთრებით საშინელია ერთი ხმა. მე თანდათან ვარკვევ სიტყვებსა და მგონი, ეს ის მხეცია, რომელმაც გააუპატიურა კეტი, და ის იმეორებს დაუშვებელ და უაზრო ფრაზებს, რომელსაც ეძახის „ლექსებს.“ რატომ არ მოგვკალი? ეს ღმუილი აღბაღ არ აძინებს კეტის.

ნანგრევებზე დაკიდვ ამერიკის დროშა. დღეიდან შუა-ევროპის უდაბნო ვკუთვნის ჩ.-ა. შ. შტატებს. ამაში მაინც ვპოვო ნუგეში! რამდენი ვარსკვლავი დამყურებს, არ ვიცი. მაგრამ დროშაზე კი იმდენი ვარსკვლავია, რამდენიც ჩვენი შტატია. ვაშა!

დროშა აღ-მართულია.

კეტის ჯერ კიდევ არ სძინავს. ხვალ დილით გადავფრინდებით ამერიკაში.

ამ ადგილას სწყდება დღიური უბედურ მისტერ ხარდაილისა, რომელსაც წინ კიდევ ახალი სატანჯველი მოელოდა.

16 მაისი.

16 მაისს დილის 8 ს. ბიპლანი უნდა აფრენილიყო. კეტიმ რამდენჯერმე სცადა გაქცევა, მაგრამ მისტერ ხარდაილი და მფრინავი დარაჯობდნენ მას.

რამდენიმე წუთით ადრე ბიპლანის აფრენის წინ, ტყიდან გამოცოცდა დაჭრილი მხეცი ადამიანი. ის რაღასაც უყვიროდა კეტის. მისტერ ხარდაილმა ისევე ესროლა და ისევე ააცდინა.

დამწუხრებულმა მეუღლემ, დრო რომ აღარ დაეკარგა, უბრძანა მფრინავს აემუშავებინა მანქანა. ბიპლანი აფრინდა. მაგრამ მშვენიერმა კეტიმ გააღო უცებ კაიუტის კარები და დარყვირა:—მე შენთან ვრჩები, ჩემო სიყვარულო!

და გადაეწევა ძირს.

კეტი ქვე-მოედ მიფრინავს,

ის მკვდარი ეგდო და მას თავს დაღრიალებდა დაჭრილი მხეცი-ადამიანი. ვერ გაარჩევდით, რა იყო ეს: ევროპის უკანასკნელი პროეტის ლექსები, თუ მხეცის ღმუილი.

მისტერ ხარდაილმა ცხვირსახოცით მოიწმინდა თვალები, გაიკეთა სათვალეები და ცნობის მოყვარულობით დაბლა გადაიხედა.

იმ წლებში ამერიკას ბევრი რამ მიჰქონდა მომაკვდავ ევროპიდან; ოქრო და ქანდაკებები, მომლერალნი და მეცნიერნი. მაგრამ ამ დღეს მან მეტად დიდი ხარკი მისცა მკვდარ ხმელეთს, რომელსაც შეეძლო მხოლოდ სიყვარული და ამ სიყვარულის დროს უაზრო ლექსების ღმუილი: ნავთის მეფის ვაჟის, მისტერ ხარდაილის ახალგაზდა მეუღლე წილად ხედა ევროპას.

მისტერ ხარდაილი გლოვობდა მეუღლეს. მაგრამ ერთი წუთითაც კი არ ნანობდა იმას, რომ 5 წლის წინად დასთანხმდა ენს ბოოტის წინადადებაზე. რა უყოთ, რომ საქორწინო მოგზაურობა არ მოხერხდა. კონტინენტ-ამგვარ ვახრწნილ ჰავეთ მართლაც რომ დასაღუპია. 7.000.000.000 დოლარი იხსნის მრავალ კეტის.



როგორც მკითხველი ხედავს, ნაეთის მეფის შვილი ძუნწი იყო. მას გულწრფელად უყვარდა კაცობრიობა.



21.

**ს რ უ ლ ი ბ ა დ ა ტ რ ი ა ლ ე ზ ა ე ბ ნ ო გ რ ა ფ ი ა შ ი .**

დაღუპულ ევროპელებს უყვარდათ ხან და ხან თავის გამოჩენა პარადოქსებით: „რომი ბატუმმა იხსნეს“, „ნაბერწყლით მოსკოვი დაიწვა“ და სხვა. ჩვენ სრულიადაც არა გვსურს მივბადოთ ამ ზერელად მოაზროვნე ფილოსოფოსებს. მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, ხშირად უმნიშვნელო შემთხვევები იწვევენ სხვა, მეტად დიდ-მნიშვნელოვან ამბებს.

(საკმარისია მოვიგონოთ მონაკოს პრინციის გულმავიწყობა და მისი კოლოსალური შედეგები).

დიდი ბრიტანეთი ძლიერი სახელმწიფო იყო. მას ეკუთვნოდა ის ქვეყნები, რომლებიც დღეს ჩვენი პლანეტის უდიდეს სახელმწიფოებად ითვლებიან, მაგალითად: ინდოეთი, კანადა, ეგვიპტე, ავსტრალია და შრავალი სხვა. ჯერ კიდევ 1930 წელს დიდ ბრიტანეთს შეეძლო მეტოქეობა გაეწია ჩ. — ა. შ. შტატებისათვის.

1930 წლის თებერვალში, დაახლოვებით ერთი წლის წინად აღმოსავლეთ ევროპის წინა თავებში აღწერილ დაღუპვამდე, — ათასი ფოსტალიონი, რომლებიც თავის ჩანთებით დილის ფოსტას არიგებდნენ, სხვა წერილებთან ერთად დაატარებდნენ ათი ათასობით ერთნაირ ყვითელ კონვერტებს. ერთ პენნად ღირებულ ფოსტის ნიშნებით.

ყვითელ კონვერტებში ელაგა დაბეჭდილი ცირკულიარები „ინგლისის ფოლადის ტრესტისა“; ეს ცირკულიარები ეგზავნებოდათ მოელი ქვეყნის ბითუმად და წვრილად მოვაჭრე პირებს.

**ინგლისის ფოლადის ტრესტი.**

ლონდონი, დატა ფოსტის შტემბელისა.

მ. ხ.

ამით პატივი გვაქვს გაცნობთ, რომ ჩვენ გვსურს დავაკმაყოფილოთ მყიდველების მოთხოვნილებანი და გავადიდოთ პატივცემულ კლიენტურის რიცხვი, — ამიტომ გადაეწევიტეთ ა. / წ. 1 მარტიდან დავსწიოთ ფასები ყველა ჩვენ ნაწარმოებზე 5% -ით. იმედი გვაქვს, რომ პატივს დაგვდებთ თქვენი შეკვეთებით.

რას იზამ! თუ ძველი რომი ბატუმმა იხსნეს და დაბერებული მოსკოვი ნაბერწყლით დაიწვა, — 450.000.000 ადამიანის შბრძანებელი





ძლიერი დიდბ ბრიტანეთიც დაიღუბა ამ ქვეთელ კონცერტებისაგან ერთ პენნად ღირებულ მარკებით.

ყველაფერი ის, რაც მოჰყვა უშუალოდ ამ ისტორიულ ცირკულარულ ფასების დაგზავნას, ჯერ კიდევ არ მოასწავებდა დაღუპვას. საზოგადოება და პრესა სიამოვნებით შეხვდა ფასების დაწვევას ფოლადის ნაწარმოებებზე. ტრესტის ტარხნების ნაყოფიერება აიხარდა. უმუშევარი ალარ იყვნენ.

ტრესტის კონკურენტები — „ფოლადის კომპანია ფელიქსის“ დირექტორები და ფირმა „ბრეი და კო“-ს მფლობელები — მწუხარებით იყურებოდნენ ფანჯარაში. სადაც ვგულებოდათ ცბიერი მტრები, გაკვარტლული ცა და სავსებით ჯენტლმენი, ქრისტე-ღმერთი, — და მათაც გადასწყვიტეს ფასების დაკლება და წარმოების გაძლიერება.

1930 წლის სექტემბერს, მისტერ გობსი „ეკონომიურ მოამბეში“ სწერდა: „სრულიად განსაკუთრებული აყვავება ჩვენი ფოლადის ინდუსტრიისა აშკარად ატარებს ხელოვნურად გამოწვეულ პროცესის ხასიათს და მძიმე შედეგებს მოასწავებს“. მაგრამ მისტერ გობსს ყურადღებას არავინ აქცევდა. ეს იყო ადამიანი დასნეულებულ ღვიძლით, მუდმივ დიეტაზე მყოფი, რომელიც არ ხმარობდა სოიას და პიკულებს და მაშასადამე, წას არც იმის უნარი ჰქონდა რომ სასიხარულო ამბები შეეთვისა.

ხელოვნური აყვავება.

როდესაც „პიტსბურგის ამბებში“ წაიკითხა ცნობა ინგლისში ფოლადის ნაწარმოებზე ფასების დაკლების შესახებ, — პატივცემული მისტერ ჯეზსი შეტად აღშფოდა.

— რასაკვირველია, გერმანია განადგურებულია, მაგრამ გერმანია ევროპა არ არის! ისინი ყველა ბაზრებს დაიპყრობენ! რელსები ბალკანეთის რკინის გზისათვის; ეს ერთი. დანები და ცელები — რუსეთი. ეს ორი. ზედმეტია ჩამოთვლა, რაღას უყურებს ენს ბოოტი? ამ სულელმა გაანადგურა უბედური გერმანელები და დამშვიდდა. მაშ სად არი ჩემა 7.000.000.000? ეს მოტყუებაა გაიდვერობა! ხრრრ!

აღშფოთებული მისტერ ჯეზსი ისეთ ხმებს უშვებდა, რომლებსაც ვერ მივაკუთვნებთ ვერც ერთ დღემდე ცნობილ ხალხთა ენებს. აღბად, მისი აღშფოთება გაორკეცდებოდა, მას რომ გაეგო, რომ ენს ბოოტმა სხვა პირის საშუალებით შეისყიდა საკონტროლო პაკეტი „ინგლისის ფოლადის ტრესტის“ აქციებისა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ამ წარმოების მუშაობაში და რომ აღმაშფოთებელი ცირკულიარი ფასების დაწვევის შესახებ 50% -ით ატარებდა მისი გენიალური კალამის ნიშნებს.

თუმცა, უახლოესმა ამბებმა გამოიამყარავეს, რომ ენს ბოოტის ლიტერატურული ვარჯიშობანი პატიოსნად ემსახურებოდნენ ბევრ მისტერ ჯეზსის ინტერესებს.



1931 წლის დასაწყისისათვის აშკარად გამოირკვა, რომ ფოლადის ნაწარმოები ზედმეტი რაოდენობისა მზადდება. შინაური 1931 წ. ბაზარი უკიდურესობამდე სავსე იყო და აღარაფერს არ იტყობდა. ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი, რომლითაც აკრძალეს საწარმოებთან ფოლადის ნაწარმოების შემოზიდვა. მეორე მხრით, მოელი აღმოსავლეთი ევროპა, რომელსაც გერმანიის დაღუპვის შემდეგ ინგლისიდან გაჰქონდა ფოლადის ნაწარმოები, — 1930 წ. ზაფხულისათვის წარმოადგენდა სანიტარულ კორდონით შემოფარგლულ ვრცელ სასაფლაოს.

„ინგლისის ფოლადის ტრესტი“, „ფოლადის კომპანია ფენიქსი“ და ფირმა „ბრეი და კო“ მეტად გაწირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. 1 აგვისტოსათვის შრომის ბირჟამ აღრიცხვაზე იყუანა 1.600,000 უმუშევარი ფოლადის წარმოებისა. დანარჩენნი მუშაობდნენ კვირაში სამ დღეს.

ფოლადის კრიზისმა, ამერიკის საბაჟო გადასახადებმა და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრების მოსპობამ გავლენა მოახდინა სხვა სახის მრეწველობათა მდგომარეობაზედაც. ქვანახშირის წარმოება დაეცა 36%-ით. საქსოვი ფაბრიკები ერთი-მეორეზე იკეტებოდა. წლის ბოლოს ინგლისი განიცდიდა ჯერ არ ნახულ საწარმოო კრიზისს. 8.400,000 მუშებისაგან 6.200,000 აღნიშნულნი იყვნენ, როგორც უმუშევარნი.

წარმოებები იღუპებოდა. აფუული ბანკები, ინდუსტრიალურ წარმოებასთან დაკავშირებულნი, გაკოტრების წინ იდგნენ. ინგლისის სახელმწიფო ბანკი შეეცადა აეცდინა კატასტროფა და გაადიდა კრედიტები. ქარხნების, ფაბრიკების და ნავთსადგურების მანქანები არ მუშაობდა. სამაგიეროდ ფულის ნიშნების საბეჭდო მანქანები განსაკუთრებულ ნაყოფიერებით ამუშავეს. დასასრულ, 1931 წ. 3 აპრილს ნიუ-იორკში ერთი დოლარით შეიძლებოდა 470 ინგლ. გირვანქის ყიდვა.

კრიზისი.

გირვანქის ყიდვა.

ლონდონში შეიყარეს თავი ატლანტიკის მიღმა მდებარე ქვეყნებიდან მოსულმა ყველა ლეშის მოყვარულებმა. დასვირნობდნენ პიკადილზე ზოლიანი შარვლებით და მაძლარ ფიზიონომიებით. ფასების ზღაპრულ აწევის გამო, თუ ლონდონის ლარიბებით დასახლებულ აღმოსავლეთ კვარტალში დაინახავდნენ წითელ ლოყებიან, ჩასუქებულ სახეს, — გამვლელები გაკვირვებით მას აჩერებოდნენ და თვალებით ეძებდნენ კინემატოგრაფიულ აპარატს. ამ უბედურებს ეგონათ რომ მაძლარი და კარგად ჩაცმული შეიძლება იყოს მხოლოდ ამერიკული ფირმისათვის გადაცემული არტისტი.

საუკეთესო მაღაზიებში შედიოდნენ ზანტი არგენტინელები, და მოთარეშენი. რამდენიმე პეზოთი ყიდულობდნენ ყველაფერს, რაც კი ზიგ იყო, დაწყებული საუკეთესო მატყლით ნაქსოვ თბილ საცვლებიდან და



გათავებული როსსეტის სურათებით, რომლებიც გამოხატავენ სასია-  
მოვნო სანახავ ანემიურ ფიგურებს.



საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია

ბრიტანეთის მუხეუმის სიმდიდრეთა უმეტესი ნაწილი შეიძინა  
ჩ. ა. შ. შ—მა.

ლიდსი დაარბიეს უმუშევრებში.

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია ხანგრძლივი კამათის  
შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერთად-ერთი ხსნა პროლეტარულ  
მთავრობაშია. მაგრამ კონფერენციამ დაჰგმო „აზიური გზა მისა-  
კუთრებისა“ და დაადგინა: დაუცადონ საპარლამენტო აოჩვენებს,  
რომელიც უნდა მომადარიყო წლინახვევის შემდეგ, ე. ი. 1933 წლის  
ნოემბერს.

თემთა პალატაში პატივცემული დეპუტატი, მისტერ ჩეკენი,  
შეეკითხა პატივცემულ მისტერ ბროვედს:

— იცის თუ არა მისტერ ბროვედმა, რომ ვიღაც დალაქს მანულ  
ბარგენცის, შვიდი კვირის წინად ჩამოსულს რიო-დე-ჯანეიროდან,  
60 მილრეისად შეუსყიდია ლორდის წოდება და ეხლა სხდომებს  
ესწრება უმაღლეს პალატაში?

— არა, მე ეგ არ ვიცი, — უპასუხა მისტერ ბროვედმა.

— იცის თუ არა მისტერ ბროვედმა, რომ შაისის განმავლობაში  
შანჩესტერში შიმშილისაგან გარდაიცვალა 11.400 ადამიანი? — გა-  
ნაგრძობდა ცნობის მოყვარე მისტერ ჩეკენი.

— არა არც მაგის შესახებ ვიცი, — გაიმეორა მისტერ ბროვედმა.

— იცის თუ არა მისტერ ბროვედმა რომ ერთ-ერთ კონტია-  
ნენტის სახელმწიფოთაგანი საჩქაროდ აპირებს ჩვენი ფლოტის გა-  
ნადგურებას?

— სამწუხაროდ, სრულიად გასაგებ მოსაზრების გამო, დღეს  
მე არა მაქვს საშუალება პასუხი გავცე პატივცემულ მისტერ ჩეკენის  
შეკითხვას.

გაზეთები იუწყებოდნენ, რომ თემთა პალატაში მორიგი სხდომა  
შეტად უსიციოცხლო იყო. თუმცა, გაზეთებს არავინ ყიდულობდა —  
ძალიან ძვირი იყო: 5 გირვანქა ღირდა პაწაწა ფურცელი ყვითელ  
შესახვევ ქალაღდისა.

მაინც 18 იელისს 1932 წ. ბევრმა გაიმეტა ფული და იყიდა  
გაზეთი, რომელშიაც მოთავსებული იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნო- ბრიტანეთის  
ბა: კანადის, ავსტრალიის, ახალ ზელანდიის, ინდოეთის, სამხრეთ იმპერიის  
აფრიკის დიდი ბრიტანეთის იმპერიაში შეშავალ სხვა სახელმწი- დაშლა.  
ფოების კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გასწყვიტონ  
ყოველგვარი კავშირი ინგლისთან და აღნიშნული სახელმწიფოები  
სრულიად დამოუკიდებლად გამოაცხადონ.

ამ დღით ლივერპულში, ქალაქის საკანდიტროს მახლობლად,  
მოხდა მცირე შეტაკება. დაიღუპა 614 კაცი.



ლონდონში ჩამოვიდა ამერიკული საქველმოქმედო დელეგაცია. ამერიკელებმა ჩამოართვეს 20.000 ბაუზვი, რომელთა გასინჯვის დროსაც გამოიჩინა, რომ 80% მანსებია მათი შიმშილისაგან ყველაზე მეტი. ქვრივი ანნა აისის შვილი პატარა ჯოჯ არ აიყვანეს, რადგან მხოლოდ 86% ჰქონდა. ანნა აისი ემუდარებოდა, რომ ჯოჯ წაეყვანათ: — მე გაძლევთ სიტყვას, რომ მოკვდება! ანნა აისი გაიყვანეს.

მიუხედავად „ინგლისის ფოლადის ტრესტის“ ცირკულიარის ამ ტრადიკულ შედეგებისა, ლონდონის ცხოვრება გარეგნულად არ განსხვავდება წინანდელისაგან. კონსერვატიზმი ინგლისში შეუდრეკი იყო. სასახლესთან ძველებურად იდგენ დეკორატიული არსებანი, გაპუდრულ პარიკებით, გაიდ-პარკში ორატორები წესიერად ამტკიცებდენ ანარქიის უბირატესობებს, ხოლო დაბერებული ქალები ისევ დაბლა ხრიდენ გახუნებულ თვალებს, როდესაც ხიდზე გავლის დროს შეხედავდენ ფოლადით ჩამოსხმულ ტიტველა ფაგნებს.

ამის გარდა: ზნე-ჩვეულების სიმკაცრე რამოდენიმედ უფრო ასატანი ხდებოდა ინგლისურ ენის განსაკუთრებულ თვისების გამო: ადამიანი, რომელიც მეორე ადამიანს აღრჩობდა ლუკმა პურისთვის, მაინც „თქვენობით“ ელაპარაკებოდა მას.

ნიუკესტლში უმუშევრებმა დაარღვიეს ნუშათა პარტიის დადგენილება, არ დაუცადეს 1933 წ. არჩევნებს და დაიპყრეს ძალა უფლება. პარლამენტმა დაპყრო მათი საქციელი მისი დიდებულების, დიდბრიტანეთის მეფის მთავრობამ გააგზავნა ნიუკესტლში რამოდენიმე ერთგული პოლიცი, რომელმაც გაანადგურა ეს აღმოსავლეთის ველურები.

ბრძოლა ნიუკესტლში

აგვისტოში, კარგ მოსავლის გამო მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა. მაგრამ მისტერ გობსმა, რომელიც მიუხედავად ჭაჭების ავადმყოფობისა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, დასწერა „ეკონომიური მოამბეში“ მწვენიერი წერილი, სადაც ამტკიცებდა, რომ ინგლისს თავისი პური ეყოფა მხოლოდ ორი თვის განმავლობაში. საბედნიეროდ, „ეკონომიური მოამბე“ აღარ გამოდიოდა ქალაქის უქონლობის გამო.

ოქტომბერში შიმშილის გამო ისევ დაიწყო მღელვარება. ქალაქის მცხოვრებლები მიეშურებოდენ ფერმებში და სხვის მანულებში, იტაცებდენ გადამაღულ სახოვავებს და სჭამდენ სასწაულით გადარჩენილ საქონელს. ლორდ ხევის საცხოვრებელში — აიენში შეჭამეს უკანასკნელი ცხენი. ლორდ-ჩარლზ ხეგს ერგო მხოლოდ კუდი და მან ეს საგვარეულო ემბლემა დაჰკიდა თავის ცარიელ კაბინეტში საწერ მაგიდის ზემოდ.

სერ ედუარდ კარსელიმა, ყველაზე უკეთეს ბულდოგების კოლექციის პატრონმა, მოითხოვა მოტლანდელ მსროლაეთა ერთი გუნ-



დი ძაღლების დასაცავად მშვიერ მოქალაქეთა თავდასხმისაგან მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნა. მაგრამ მალე მსროლელლებში შექამეს ბულდოგები.

მდგომარეობა დღით-დღე უარესდებოდა. უკანასკნელ წლებში რიკელები წაუიღენ და თან წაიღეს გრანდიოზული კოფრები.

მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა კანადასთან პურის შესყიდვის შესახებ დარჩენილ ოქროს ფონდით, მაგრამ კანადელები შედგრად იდგენ და საერთაშორისო ფასებს არ არღვევდენ.

ყოველ დღე ათასობით ხალხი იხოცებოდა შიმშილისაგან.

დადგა კიდევ ერთი სამწუხარო დღე: 11 ნოემბერი. თემთა 11 ნოემბერი პალატის ტრიბუნაზე ავიდა მისტერ ბროვედი: 1932 წ.

— ეხლა მე შემიძლია გავსცე პასუხი იმ შეკითხვებზე, რომელიც მომცა 5 თვის წინად პატივეცემულმა მისტერ ჩეკენმა, დღეს დილით საფრანგეთის ფლოტმა ნაწილობრივად ჩასძირა, ნიწილობრივად კი ხელში ჩაიგდო ჩვენი ფლოტი.

საღამოსათი ლონდონში იხმოდა ტყვიისმფრქვეველების სროლა. მაგრამ ეს პოლიტიკური ბრძოლა არ იყო. ერთი ჯგუფი მშვიერ ხალხისა ესროდა მეორე მშვიერ ჯგუფს. შემდეგ მოიქანცენ სროლით და დარჩენილებს ჩაეძინათ.

ღამით მეფემ მიიწვია სასახლეში მუშათა პარტიის ლიდერი მისტერ კარლი. შეხვედრას დაესწრო მისტერ ბროვედი. მეფე ელაპარაკებოდა მისტერ კარლის და უყურებდა მისტერ ბროვედს, რომელიც თვალების ხამხამით თითქოს ხელს აწერდა თავის მონარქის სიტყვებს.

— ჩვენ საყვარელ სამშობლოს ნძიმე მდგომარეობის გამო, წინადადებას გაძლევთ აიღოთ ხელში ძალა-უფლება 1933 წლის არჩევნებამდე თავაზიანად სთქვა მეფემ.

მისტერ კარლმა აგრესივით თავაზიანად გადუხადა მადლობა და უარი განაცხადა. მან მეტად ლაკონურად წარმოსთქვა:

— მერსი—არა.

მისტერ კარლი ქეშმარიტი დემოკრატი იყო. მან დაანახვა მეფეს რასაც ნიშნავს კონსტიტუცია! არ სურს.

საშინელი კვირები მიდიოდა, სპორტსმენები ჰხოცავდენ უკანასკნელ ჭილყავებს. ნავთსადგურებში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, თითქოს კვირის შეიდივე დღიდან ინგლისს წილად ხედა ერთი ხანგრძლივი კვირა-დღე: უბრალო იალქანიან ხომალდსაც კი არ უნდოდა გაღატაკებულ მხარის ნიპირებთან მოახლოება.

ხალხი იხოცებოდა ისე, რომ არ ჰკარგავდა თვის ღირსებას. ჩუმად კვნესოდენ, წესიერად იკლაკნებოდენ და არ ავიწყდებოდათ მოძღვართა გაღიმება. ეს ღირსეული, მაგრამ მაინც სიკვდილი იყო და ხსნა არსაიდან სჩანდა.



პალატის სხდომაზე ცნობისმოყვარე დეპუტატ ჩეკენს ის იქნა განსაკუთრებით საყურადღებო შეკითხვა უნდა მიეცა მინისტრისათვის, მაგრამ უცებ დაეცა და ფეხების თხაკური დაიწყო. ალაშფოთა დეპუტატის საქციელმა. მან დახურა სხდომა. მანტერ ჩეკენი არ იყო დაშნაშავე—ის გარდაიცვალა განლოცვისაგან.

ახლოვდებოდა შობა. ხალხი იგონებდა წარსულ წლებს, თავის საყვარელ უქმეს, დიკკენსისებურ თბილ კუთხეებს, შემწვარ ინდაურებს, ბედნიერ მერის და კეტის ტიტინს ბუხართან.

შობის წინადღით ბურუსმა მოიცვა კუნძული. ეს განგების ერთგვარი კეთილობა იყო. ბურუსი ჰფარავდა ქალაქებს, სახლებს და გამვლელთა სახეებს. ქალაქები ცარიელი და მკვდარი იყო. სახლები გაშავებული, გამვლელთა სახეები კი გაფითრებული.

მაინც, ჩვეულებისამებრ, ხალხი ალაგებდა დაცარიელებულ, გაციებულ ოთახებს და გაღიმებასაც კი სცდილობდა.

მოხუცებულმა ლორდმა ჩარლზ ხეგმა მოიწვია თავისი მეგობრები: ლორდ ვილიამ ჯერსენი და სერ ედუარდ კარსელი. შობის წინადღე.

საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ლორდ ჩარლზ ხეგის სასახლე. ვეებერთელა, ცარიელი, გაყინული ოთახები. დამტვრეულ ფანჯრიდან შემოდინოდა ბურუსი. ლორდ ჩარლზ ხეგი სანათით გზას უჩვენებდა სტუმრებს ამ საშინელ ხეობებში და ყვითელი ცეცხლი კრთოდა ღრუბლებს შორის როგორც მთვარე.

ლორდ ჩარლზ ხეგი მართოდ სუბოვრობდა თავის სასახლეში. მისი მეუღლე გარდაიცვალა ერთ ქვაბ ნოუხარშავ ქარხლის შექმნის შემდეგ. ქალიშვილი მერი გადარჩა და გაემგზავრა კანადაში რომელიღაც ხომალდის უმცროს მზარეულთან ერთად. ლორდ ხეგს შესძულდა ცოლიც და ქალიშვილიც.

— ორივემ შელახეს ძველი გვარუფლობის ღირსება: ქარხალი არ უნდა სჩანდეს აიენის სასახლის მაგიდაზე, მზარეულს ნება არა აქვს ხელი შეახოს ლორდის ქალიშვილს. მოხუცი და უბედური ლორდ ხეგი ინახავდა ღირსებას, სჭამდა იშვიათად ნანადირევ ფრინველს და ერთგულად შეპყურებდა ცხენის კუდეებს.

(ნადირ-ფრინველს ეძახდა ყვავებს, რომლებიც შემოფრინდებოდნ ხოლმე სასახლის დარბაზში).

შობისათვის ლორდმა დაალაგა თავის კაბინეტ ი. სქელი ტონემები ძველებურად ინახავდნ 11.324 ლერბის გამოხატულებას. სანათი ანათებდა სამარისტოკრატის მელოტ თავებს. ბუხარში მხიარულად იწოდა ერთი უკანასკნელი საყარძელთაგანი. მაგიდის ზევით ეკიდა დიდი კუდი „გრეისა“, ლორდ ჩარლზ ხეგის უკანასკნელ კვიციხა, რომელიც ჯერ კიდევ ზაფხულში შექამა საზიზღარმა ბრბომ.

ყველაფერი ნაზად და მომარჯვებულად იყო მოწყობილი და მოხუცების გულუბსაც სითბო მოხვდა. მშვენიერ ძველებურ ლანგარ-



ზე იღო სამი ნატეხი პურისა, რომელიც ლორდ ჩარლზ ხეგს აჩუქა ვილაც კეთილმა დედაბერმა. ორ ლორდს და ერთ სერს ეს პურის ნატეხები ეჩვენებოდა ტრადიციულ პლიუმ-პუდლინგებად.

დაიწყო გულითადი საუბარი, რასაკვირველია ისტორიკოს რეტროსპექტიულ ხასიათს. ლორდ ჩარლზ ხეგმა მოიგონა წინანდელი დოღები. ის აღელვებით იგონებდა ყველა გარდაცვალებულ ულაც და ფაშატ ცხენების სახელებს, რომელთაც პირველობა ჰქონდათ მიღებული დოღში — დაწყებული 1887 წლიდან.

სერ ედუარდ კარსელიმა ამოიღო ფულიარის წითელი ცხვირსახოცი: გარდაცვალებულ ბუღდოგების ნაზი მოჩვენებები თან დასდევდნ მას. სად ხარ ფართემკერდა იუმ? წინწყლიანო ბებ? ოქროს წლების მეგობრებო? დაწყევლილი მსროლელები! და ყველა ანისგან დარჩა მხოლოდ ბეჭედი ძაღლის თავის გამოსატულებით — მე-XXXIV-ე ძაღლების გამოფენაზე მიღებული ჯილდო.

ლორდ ვილიამ ჯერსენი, რომელსაც არასოდეს არ ჰყავდა ოც ჯიშაანი ცხენები და არც ნიჭიერი ძაღლები, მაინც გრძნობიერად იწმენდდა თავის ლურჯ თვალებს. მას შეეძლო სხვისი მწუხარების გაგება. საგნის შესაყვარებლად მას არ სჭირდებოდა ამ საგანის მფლობელობა. ქვეყნის შეასწავლად მას არ სჭირდებოდა მისი დათვალერება. მდიდარმა ფანტაზიამ და იშვიათმა შემთვისებლობამ გამოიმუშავეს მისი ცხოვრების წესები. არ ესწრებოდა დოღსე და არც ძაღლებს აშენებდა. ის გახდა „ინგლისის გეოგრაფიულ საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტი და გაითქვა სახელი საუკეთესო მოგზაურისა მიფარდნილ ქვეყნებში, ისე რომ თავის სახლს არ მოსცილებია, ან და უფრო სწორად რომ ესთქვათ, არ გასცილებია თავის სავარძელს ბუხართან, სადაც უშიშარი მოგზაური აღმოსავლურ ხალათში და ნაქსოვ ქაშვებში სწავლობდა ქვეყნის ხუთივე ნაწილს. თუმცა, დროგამოშვებით მოგზაურობდა: საჭირო იყო ჩასვლა ლონდონში „ინგლისის გეოგრაფიულ საზოგადოების“ სხდომებზე. მოგზაურობა სწარმოებდა საწილ კუბეში და გრძელდებოდა 4 საათი. მაგრამ ლორდს ყოველ შემთხვევისათვის თან მიჰქონდა სანადირო თოფი, ყიბლანი, სანოვაგე და სასმელი წყალი 5 დღის სამყოფი, ორივე ნახევარ-სფეროს რუქა და ბიბლია.

სამწუხარო საშობო საღამოთი, ძველ მეგობართა ცრემლების დანახვაზე, ლორდ ვილიამ ჯერსენმა გადასწყვიტა მათი გართობა თავის სამოგზაურო ამბების მოყოლით.

— ძვირფასო მეგობრებო, — სთქვა მან, — ინლოეთში, ცისტერ მთებში, მე მინახავს გოჯა-კაცები — კურუმბები. ხეებზე სცხოვრობენ, ცრუმორწმუნე ადგილობრივ მცხოვრებლებს ეშინებათ მათი. რასაკვირველია, არა ჩვენ, ინგლისელებს.

ამ, თუმცა მოკლე, მაგრამ მეტად გასართობმა ამბავმა გაამხიან



რულა ყველანი. შემოისმა ეკლესიის ხარების მხიარული რეკა. და-  
 დგა შობა. მეგობრებმა წესიერად შეჭამეს სამი ნატეხი პური და  
 ცუნებაში ზედ რომიც, დააყოლეს. ამ მეტად მცირე საუბრემ და-  
 გაუღვიძა მადა. მწუბარება ისევ აპ რებდა კაბინეტში შემო-  
 მაგრამ დაუღალაფმა ლორდმა ვილიამ ჯერსენმა, იგემა რა პირველი  
 აპბის კარგი შედეგები, — გადასწყვიტა სასტიკი ბრძოლა გამოცე-  
 ბებია მისთვის.

— მე ბევრი რამ მინახავს, მეგობრებო. მინახავს საშინელი ამბე-  
 ბი. მათთან შედარებით არაფერია ის მდგომარეობა, რომელსაც გა-  
 ნიცდის დღეს ჩვენი სამშობლო. თვითონ განსაჯეთ: ჩემ მიერ აღმო-  
 ჩენილ ტბის — დაიშის — ნაპირებზე, ცენტრალურ აფრიკაში სცხოვ-  
 რობს უძველესი კაციკამია ხალხი. ჩემ თვალწინ შეჭამა ერთმა ადა-  
 მიანმა მეორე.

— მართლაც რომ საშინელებაა, — სთქვა ლორდ ჩარლზ ხეგმა, —  
 იმედი მაქვს, რომ ეს ბოროტმოქმედნი ინგლისელები არ იყვნენ?

— ო, არა! რასაკვირველია, არა! ზანგები იყვნენ, ე. ი. შავი  
 ხალხი შავი ვულით.

ამ აპბის შემდეგ იშვიათი გამოცოცხლება დაეტყო ყველას.  
 მეგობრებმა ილოცეს მისი დიდებულების მეფისათვის და ერთი-მეო-  
 რეს მიულოცეს დღესასწაული. ლორდ ჩარლზ ხეგმა შესთავაზა მე-  
 გობრებს საშობაო საჩუქრები:

— თქვენ, ძვირფასო ლორდო, მოგცემთ ბრილის სურას ჩემი  
 ღერბით, გახვეულს ხელსახოცში! მას შეუძლია გასწიოს საგზაო წყლის  
 ქორქლის მაგიერობა, დაგჭირდებათ, შორეულ ქვეყნებში მოგზაუ-  
 რობის დროს. თქვენ კი, ძვირფასო სერ, გადაწყვეტილი მაქვს შეგ-  
 თავაზოთ მცირე საჩუქარი, — მე გიძღვნით ცოცხალ და კარგი ჯიშის  
 ბულდოგს; რომელიც სასწაულით გადარჩა ბრბოს შეჭმისაგან. გამო-  
 მყვით; თქვენ კი, ლორდ, მოისვენეთ ჩვენს მოსვლაძდე.

ლორდ ჩარლზ ხეგი და სერ ედუარდ კარსელი გავიდნენ კაბი-  
 ნეტიდან. ბურუსმა დაძვარა ისინი. ლორდი ძლივს სუნთქავდა.

— მე არაფერს ვხედავ-სად არის თქვენი ძაღლი? — ჰკითხა  
 სერმა.

— ცოტა მოშორებითაა.

ისინი კარგა ხანს დადიოდნენ ბნელ და ცარიელ დარბაზებში.

— უნდა დაბლა ჩავიდეთ ამ კიბეზე, — სთქვა, დაბოლოს, ლო-  
 რდმა.

საფეხურებზე ფეხი სრიალებდა. ზემოდან წვეთავდა. სადღაც  
 დაიწროპინა თავგება. ისინი სარდაფში იყვნენ.

— მე შეშინიან, ლორდ, სად არის ძაღლი?

— იცით რა, ძაღლი დაღლილია. აქვე წევს. თუ დაიბრებით,  
 დაინახეთ.



მაგრამ სერ ედუარდ კარსელი არ ინძრეოდა, მაშინ გაისმა  
 ძაღლის ნამდვილი ღმუთილი. ღმუთოდა ლორდ ჩარლზ ხეგი, რომელსაც  
 ბურის ნატყხის შემდეგ ქამის მადა გაღვიძებოდა. სერი დარწმუნდა,  
 რომ ჯიშიანი ბულდოგი ახლო იყო და დაიხარა.

გაისმა სახსრების ტყხის ხმა და კბილების კრაჭუნი... პროვიანტი

ლორდ ვილიამ ჯერსენი დიდხანს ელოდა მეგობრებს. დაბოლოს  
 გადაწყვიტა მოგზაურობა. მან აიღო ყვეთელი სანთელი და წავიდა  
 მეგობრების მოსანახად. ცარიელი დარბაზები ერთი—მეორეს ჰგავდნენ.  
 ლორდს გზა აებნა. ვერ მონახა ვერაფერი. ველარ მონახა კაბინეტიც  
 დაბერა ქარმა და სანათი ჩააქრო. ლორდი ყვიროდა, მაგრამ მისი  
 ხმა იკარგებოდა ბურუსში. მაშინ დაწვა სველ იატაკზე და ბავშვი-  
 ვით ტირილი დაიწყო.

დაბოლოს ფანჯარაში ოდნავ გამოჩნდა სინათლე. ეს სანუგეშო  
 განთიადი იყო. ლორდ ვილიამ ჯერსენი ადგა და კანკალით ისევ  
 დაიწყო ძებნა. ნალე მონახა კაბინეტის კარები. შეაღო და უცებ შე-  
 კრთა სიხარულისაგან. მაგიდაზე იღო დიდი ჯამი და თეფში საგვა-  
 რეულო დერბებით. ლორდ ჩარლზ ხეგს თეფში განზე გაეწია და  
 ხელსახოცით ტუჩებს იწმენდდა. ჯამიდან ამოდიოდა მშვენიერ შინაურ  
 ბულიონის სუნნი.

— აა, თქვენც მობრძანდით, ძვირფასო ლორდო! მე მაწუხებ-  
 ბდა თქვენი წასვლა. დამეწვიეთ მცირე საუზმეზე.

ლორდ ჩარლზ ხეგის სახე გამოხატავდა ვახშმით დაკმაყოფი-  
 ლებას, სიხარულს, უღარდებლობას, სიმშვიდეს.

— ჩვენი საერსო მეგობარი, სერ ედუარდ კარსელი სადღაა?—  
 იკითხა გამოჩენილმა მოგზაურმა და მაგიდას მიუჯდა.

სახლში წაიყვანა ბულდოგი.

ლორდ ვილიამ ჯერსენმა აიღო კოვზი. დაორთქლილ ფანჯრი-  
 ბიდან შემოდიოდა დეკემბრის დილის მკრთალი სინათლე. შემთხვე-  
 ვით ლორდმა ჩაიხედა ჯამში, ჩუმად შეჰკივლა და წაიქცა.

თავაზიანმა მასპინძელმა თავი არც კი შეიწუხა იმისათვის, თითი ჯამ-  
 რომ სერ ედუარდ კარსელის თითიდან მოეხსნა ცნობილი ბეჯედი  
 ძაღლის თავის გამოხატულებით! წი.

28 დეკემბერი სამუშაო დღეთ ითვლებოდა. ლონდონი განაგრ-  
 ძობდა ჩვეულებრივად ცხოვრებას. მეფის მცველთა რაზმი დასეირ-  
 ნობდა ქალარა პარიკებით, უზუშევარნი ისროდნენ ტყვიის მფრქვეველე-  
 ბს მშივრები ქუჩაში ეცემოდნენ და კვდებოდნენ. ზოგიერთი სულელები  
 სანადღეოს სდებდნენ იმის შესახებ, თუ როდის მოკვდება უკანასკნელი  
 ინგლისელი: პესიმისტები ამბობდნენ, რომ—იანვარში, ოპტიმისტები  
 —მაისში.

მაგრამ ინგლისელები თავაზიანად იხოცებოდნენ, და ცხოვრე- 28 დეკემბ-  
 ბა თავისი წესით მიდიოდა. 28 დეკემბერს შესდგა მთელი რი- რი 1932 წ.





გი საშეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებების სხდომები. გეოგრაფიულ-საზეიმო სხდომა ჰქონდა „ინგლისის გეოგრაფიულ საზოგადოებას“ და საზ-ბის მოხსენების მოსასმენად ზემო ილოისის ნაპირებზე მცხოვრებლების სხდომა. უოფა-ცხოვრების შესახებ.

სხდომა გაიხსნა 3 საათზე მომხსენებელმა, მისტერ გაუმ დაიწყო: როგორც ვიცით...

მაგრამ ამ დროს ოთახში შემოვარდა უცნაური ადამიანი საშინელი თვალებით, გაუპარსავი და უზრდელი. თავმჯდომარემ ძლიერ იცნო „საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტი, ლორდ ვილიამ ჯერსენი.

— მუ უნდა შეყაწყვეტო სიტყვა მომხსენებელს — დაიხრიალა ლორდ ვილიამ ჯერსენმა, — მეტად საგულისხმო ცნობაა! გადატრიალება ეტნოგრაფიაში! ბატონებო! ლორდის ხმა შეწყდა. მიაწოდეს ჰიქით წყალი.

ბატონებო, ყურადღება: ჯენტლმენმა შექამა ჯენტლმენი! ამის მოგონებაზე თავმჯდომარე ჯერ დაიბღვირა, შემდეგ გაიღიმა და ექვიანად დაიწყო კბილების კრაჭუნი. მაშინ „ინგლისის გეოგრაფიულ საზოგადოების“ ყველაზე უფრო ახალგაზდა და ჩასუქებული წევრი, რომელიც ჰოლანდიური რძით იკვებებოდა, წამოიგა და ძივარდა ფანჯარასთან. საზოგადოება მოთავსებული იყო მეორე სართულში, და ფრთხილი ადამიანი ჩანტა დაბლა ისე, რომ არაფერი დაუშავებია.

საგულისხმო ცნობა.

— გამოსავალი კარებიდან არის და არა ფანჯრიდან — სთქვა მეფის სადარაჯოს რაზმელმა და უკმაყოფილოდ გაიქნია თეთრ პარიკიანი თავი.

— ზოგჯერ ასე სჯობს, ზოგჯერ ისე, — სამართლიანად უბასუხა ენს ბოოტმა: მოხერხებული ტურისტი. ჰოლანდიურ რძეზე აღზრდილი, რასაკვირველია დაუღალავი ენს ბოოტი იყო.

ენსის მოხერხება.

**ეს მხოლოდ ცუდი თვის საფეხავია.**

კარგად ჩატარებულ ინგლისის კომპანიის შემდეგ, ევროპის გადარჩენილ ქვეყნებს მოედო და აღელვებდა ხმები ვილაც ყოვლად შემძლე ჰოლანდიელის შესახებ. პარიზის საზეიმო საღამოებზე ლამაზი ქალები ბოდაედენ „მჯრინავ ჰოლანდიელით“. სერიოზული პოლიტიკოსები ბრიჯის თამაშის დროს წაილაპარაკებდენ ხოლმე:

— აი, რა ამბები ხდება ევროპაში... ინგლისი ასე ესთქვათ... ავან-გუტენი არ გეგონოთ!..

„Matin“-ში დაბეჭდილი იყო საეჭვო ხასიათის შენიშვნებით სავსე წერილი:

ვახუთების ჯორი.

როგორც ვეცნობებენ იმ სამწუხარო კატასტროფებში, რომელმაც იმსხვერპლა 1/3 ევროპისა, მონაწილეობას ღებულობს ცნობილი-ავანტიურისტი ეან ბოოტი, ჰოლანდიელი, ბურების ცნობილ ღენერ-





ლის შვილიშვილი. მან შური იძია ინგლისზე იმ შეურაცყოფისათვის, რომელიც მის ბაბუას მიაყენეს.

ზოგიერთ ცნობებით, ჟან ბოტტი მუშაობდა გერმანიის საიდუმლო შტაბში და ხელმძღვანელობდა თავდასხმას ჩვენს ტანკებზე ბერლინში ცნობილ სანქციების გამოყენების დროს.

ჟან ბოტტს ცოლად ჰყავს ამერიკელი მილიარდერის X-ის ქალიშვილი. ის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო „ინგლისის ფოლადის ტრესტისა“.

პროკურატურა ზომებს იღებს, რომ აღმოაჩინოს ამ საშიშ ტიპის საცხოვრებელი ადგილი“.

„Matin“-ის ცნობა გადაბეჭდეს მთელი ქვეყნის გაზეთებში და დაინტერესეს საზოგადოება. გენერალ ბოტტის შთამომავლობამ სასამართლოში მისცა „Matin“-ის რედაქტორი ცილისწამებისათვის. ამერიკიდან ჰოლანდიაში სპეციალურად გამოგზავნილი ყურნალისტები კმაყოფილდებოდნენ ცნობის მიწოდებით ადგილობრივ ნაციონალურ კოსტიუმების სილამაზისა და რემპრანდტის სურათების გატაცების შესახებ, რადგანაც საიდუმლო ავმტურისტის არსებობის ვერაფრითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს.

კლერიკალური „Idea Nazionale“ ირწმუნებოდა, რომ ჰოლანდიელი ნამდვილად რუსია და კომუნისტი, რომელიც ასრულებს მე XVIII კონგრესის პროგრამას. პირიქით, კომუნისტური „Peuple“ იფიცებდა, რომ ბოტტი არის საიდუმლო პირობებში დაკარგული დისწული პრემიერისა, ბ. ვიქტორ ბრანდევო, რომელიც ანხორციელებს საერთაშორისო მონარქიულ დიქტატიურის იდეას.

ლამაზი ქალები არ კანათობდნენ იმის შესახებ, თუ ვინ არის მართალი. საბურავით თვალებს იფარავდნენ და ელოდნენ, როდის მოიწვევდა მათ საცეკვაოდ მფრინავი ჰოლანდიელი. ეს ლამაზები კეთილი კათოლიკენი იყვნენ და სასწაულის შესაძლებლობა სწამდათ.

ქალების ასრი.

მთელი ევროპა ლაპარაკობდა ჟან ბოტტზე. მაგრამ სულ სხვა საუბარი ჰქონდათ ცოლ-ქმარ ბლანკაფარებს ვენეციის პალაცოს მალ ბუდუარში. ლაპარაკობდნენ ტუფლებზე.

— მომეცი 6.000 ლირა რუხი ზამშის ტუფლები უნდა ვიყიდო, წუწუნებდა ლიუსი.

— ფისუნია, არა მაჭვს ფული. ყველაფერი დაგკარგე გირვანქებზე. ფრანკები და ლირებიც ფასს ჰკარგავენ, შეიძლება ხვალ ლუკმა პური გვენატრებოდეს.— აჯერებდა მას ჟანი.

- მე მჭირია ტუფლები.
- შენ ხომ ამ ერთი კვირის წინად იყიდე.
- ის იტლასისა იყო. სახეიშო საღამოებისათვის.
- შენ 100 წყვილი ტუფელი გაჭვს, ფისუნია.





— შენ სტყუი, უსირცხვილოდ სტყუი; მე მხოლოდ 11 წყვილი მაქვს: თეთრი ატლასისა, შავი საზეიმო, შავი ზამშისა, ყვითელი ჩაში სასეირნოდ, შავი ქუჩისათვის, ნატისა, წითელი მასკარადისათვის, ბრიუსელისა პომპონებით, კიდევ ერთი ყვითელი შესაკრავებით, საშინაო და თავის მაგვარი ჩულქების ფერზე. ძორჩა და გათაედა. დანარჩენი ფეხსაცმელებია. ესლა მჭირდება რუხი ზამშისა. 6000 ლირა არაფერი არ არის.

— ფისუნია, არა მაქვს ფული, გაკოტრებულები ვართ.

— შენ თითონ დახარჯე. სულ შენ საყვარლებს შეაქამე—დაი-  
ყვირა მოთმინებიდან გამოსულმა და გაბრაზებულმა ლიუსიმ. მისი უთანხმოება. ქერა ქაჩორი სიბრაზისაგან აიჩეჩა. ეანს არ უნდოდა სკანდალის მოხდენა და მორიდებით წარმოსთქვა:

— ფისუნია, ხომ იცი, რომ ეგ აღარ შემიძლია.

ფისუნიაშ ეს კარგად იცოდა, მაგრამ ეჭვიანობა ლოლიკაზე ძლიერია, და ის განავრძობდა.

— სტყუი! მომეცი 6000 ლირა.

— არა მაქვს. გირვანქებს სრულიად აღარა აქვთ ფასი. ლირა მიფრინავს. სიცოცხლე აუტანელი გახდა. თუ ხვალ ის წყვეული პოლანდიელი ხელს მოჰკიდებს იტალიას, ჩვენ დავიღუპებით...

— რომელი პოლანდიელი?

ეანს გაეხარდა საუბრის საგნის ასე მოულოდნელი შეცვლა.

— განა არ იცი, ფისუნია? მთელი ევროპა იმაზე ლაპარაკობს —ჰქვია მგონი, ეან ბოტტი.

ლიუსიმ ვარდისფერი თითი მოისვა ქოჩორით დაფარულ შუბლზე. ლიუსის კარგი შუბლი და კარგი მესხიერება ჰქონდა.

— ეან ბოტტი?... დაიცა... პო, ეს აღბად, ის თავხედია, რომელიც ჩამაცივდა და შემდეგ წერილიც კი მომწერა...

ლიუსიმ გააღო შკაფი და ამოიღო დიდი კოლოფი, საესე სხვა დასხვა სუვერენებით. შიგ იყო წერილები ქმრისა და 22 საყვარლისა რაღაც ზონარი, ფოტოგრაფიული სურათები, მანდალინისტის თმები და ლამაზ გონდოლერის უღვაშიც კი. ლიუსი ბლანკატარმა ტყუილად არ იცხოვრა ცოდვილ მიწაზე ვნ წელიწადი!

ყველა ამის შორის იპოვა მან ყვავილებიანი ღია ბარათი. „კაფრის დიმილის“ მელანი არ იყო კარგი ხარისხისა. დიდმნიშვნელოვან წერილის ასოები ნახევრად წაშლილი იყო, მაგრამ ხელმოწერა კიდევ გარკვეულად მოსჩანდა: „ენს ბოტტი“.

— რასა გწერდა, ფისუნია?

იმის შემდეგ, რაც ეანს აღარ ჰქონდა საშუალება, რომ საყვარლები პეოლოდა, ლიუსი აღარ უმალაედა მას თავის სასიყვარულო ამბებს. ამიტომ თამამად უპასუხა ქმარს:

— ის პოეტურად სწერდა. ყველაფერს მპირდებოდა. შენ კი





არ გგავდა! გენანება რაღაც 6000 ზამშის ტუფლებისათვის! თუ გინდა-  
ველას მატარებ!

შეჩვენე  
განაგებება

— კარგი, მაგრამ რასა გწერდა?

— მწერდა, რომ საკმარისია ერთი სიტყვის თქმა და რომე-  
ლიღაც სახელმწიფოს, მგონი ფინიკიის, დედოფლად გაგხდით.

ქანმა ცხვირის წვერი დაიფხანა, რაც მოუტიქრებას ნიშნავდა.

— ფინიკია?.. არა, ეგ არ ვარგა. მაგრამ იქნება ამის ნაც-  
ვლად ლირის კურსს ასწევს? მაშინ შეფურად ვიცხოვრებთ... სცადე,  
ფისუნია, იქნება გაგივიდეს რამე.

თავმოყვარეობა ყველა ქალსა აქვს. ბუნებრივია, რომ ლიუსიმ,  
რომლის შემძლებლობაშიაც ქმარს ექვი შეჰქონდა, თანხმობით უპა-  
სუხა. მით უმეტეს, რომ მისმა უკანასკნელმა საყვარელმა, ლამაზ-გო-  
ნდოლერმა, დაუტოვა მარცხენა ულვაში და მარჯვენათი სადღაც  
გადიძალა.

მერე დღეს სხვადასხვა იტალიანურ გაზეთებში დაბეჭდილი იყო  
შემდეგი განცხადება.

„ენს, მოდი! გამხადე ფინიკიის ასული!  
შენი ლიუსი“.

ლიუსი დაე-  
ძებს.

ლონდონის სახლის მეორე სართულიდან თავის დროზე გადმო-  
ბტომის შემდეგ ენს ბოოტი დაუყოვნებლივ წავიდა ნავის საძებნელად.  
მიადწია პარიზამდე და რომ მოაგონდა „გეოგრაფიული საზოგადოე-  
ბის“ თავმჯდომარის კბილების რაჭუნი, ისე გააცოცხლა, რომ დაუყოვნე-  
ბლივ აიღო ბილეთი რომისაკენ.

ენსი სრულიად კმაყოფილი იყო ამ უძველეს ქალაქში ყოფნით.  
ჯერ ერთი მან შესძლო „ტრესტ დ. ე“-ს ზოგიერთ საქმეების, კე-  
რძოდ კი მნიშვნელოვანი კოლონიური ოპერაციების, შესრულება,  
მეორეც ის, რომ რომაელები ჯერ ისევ მაკარონსა სჭამდენ და მას  
არ სჭირდებოდა ზემო სართულებიდან ჩამოხტომა.

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც პიაცა სპანიას თავზე და-  
ფრინავდენ მერცხლები და დაბლა დაშვების დროს მოედანს გრილ  
ჩრდილში ახვევდენ, როდესაც ბრინჯაოს ნიმფებს უმიზეზო ცრე-  
მლები სცვიოდით, ენს ბოოტი დააინტერესა ლირის კურსმა და  
გახეთი იყიდა. მაგრამ დიდი და საშინელია გაზაფხულის მშვენიე-  
რება! ტყუილად სცდილობდა გაზეთის გადაშლას: მეტად შავი იყო  
ყვავილების ვამყიდავი ქალის წამწამები, მეტად ძლიერი სუნის ჰქო-  
ნდა იმბს. მეტად ბევრი სიყვარული იყო ვიწრო პიაცა სპანიაზე.

ენს ბოოტი ჩამოჯდა მარმარილოს საფეხურზე და ჩაფიქრდა.





ვეებერთელა გუმბათებზე, პინიების ბრბოების თავზე, მთელი რომის თავზე ერთო მომაკვდავი, ჯერა ქოჩორი საუცხოვო m-me ბლანკოფარ — ფლამენგოსი.

გადაუშლელ გახეთზე იდო იების კონა. ენს ბოოტი ოცნებობდა. შემდეგ მან აილო გახეთი. იები მიწაზე გაიფანტა. მან არ გაიგო ლირის კურსი. გარბოდა სადგურისაკენ, თან საშინლად ყვიროდა და ეჯახებოდა გამვლელებს, ისე როგორც რამდენიმე წლის წინად გარბოდა იატაკის მრეცხავ ჩუვთან ერთად თოვლით დაფარულ უდაბნოსე ევროპის ასაღებად.

მერცხლები ისევ დაფრინავდენ. ნიმფები სტიროდენ. მატარებელი ვენეციაში გადიოდა 9 ს. 20 წუთზე.

მეორე საღამოს, საათის 8-ზე ცოლ-ქმარი ბლანკოფარები მშვიდობიანად სკანდენ ბრინჯს კამპოტით. მოახლემ, რომელიც მედიდურობით არ ჩამორჩებოდა ყოფილ მარკიზ ფერმუჩინის პალაცოს მოახლეს, — შიაწოდა ლიუსის სადარბაზო ბარათი:

**ენს ბოოტი.**  
„ტრესტ დ. ე“-ს დირექტორი.  
ნაუ — ლორკი. ევროპა.

— აი, ხედავ? წაიჩურჩულა ლიუსიმ და კმაყოფილად დაიქნია ქოჩორი.

— მივდივარ, — ლულღღღებდა ეანი, — მივდივარ. ხვალამდის. გემუდარები, ფისუნია, ეცადე. ღამე მშვიდობისა. მთავარი — ლირის კურსია; მიიღებ ას წყვილ ტოფლებს, მაგრამ ლიუსი ყურს აღარ უგდებდა.

ნახევარი საათის შემდეგ ენს ბოოტი უშვერი ტანით და გამკაცრებული სულით შევიდა იმ მითოლოგიურ მიდამოებში, სადაც ღმერთები ხარებად იქცევიან, ხოლო ხარები კი ღვთაებრივ სახეს იღებენ. ის შევიდა ევროპის შუაგულში.

შორს, რომის თავზე დაფრინავდენ მერცხლები, და თან ჩრდილი და სიყვარული მოქქონდათ. ბრინჯაოს ნიმფები სტიროდენ.

m-me ლიუსი ბლანკოფარის ბუდუარში ბნელოდა. სანათური ოდნავ ბჟუტავდა, როგორც პოლიარული მზე. ის არასფერს არ გამოხატავდა, მაგრამ რუხ სიბნელეში ერთო ღვთაებრივი ქოჩორი. სადღაც საბანაო ოთახში სწვევთავდა წყალი.

(ლიუსი არ სტიროდა. მაგრამ ნიმფას ცრემლები არ ამოუშრა).

მელნის, ხაბეკდ საღებავის, ქიმიურ ლაბორატორიების, სისხლის და გვამების მძიმე ჰერიით სუნთქვას მიჩვეულმა ბოოტმა მხოლოდ ეხლა იგრძნო როგორ სურნელოვანია ვენეციის გახატული.



ეს დაიწყო არხების სამწუხარო სუნთქვით, ეს დათავდა ქოჩორით, რომელსაც ტბის სოსანის და ირისების ჰქონდა.

სანატრი  
სურნელება  
ერქმეშული

ამგვარად, 19 მარტს 1933 წელს ნაშუადღევს ენს ბოოტი ჰკუიდან შეიშალა, მიუწდომელი ნადავლი მოეკიდა ბე-  
კებზე და დარბოდა ვიწრო ბუდეარში, იატაკზე აგდებდა ვენეციის  
კისფერ შუშის ფლაკონებს და ყვაროდა: — გიპოვეთ, ფინიკის ასულო!

19 მარტი  
1933 წ.  
8 ს. 45 წ.  
ენს ბოოტის

ეს ბედნიერება იყო. 40 წლის შრომაში გატარებულ სიცოც-  
ხლის შემდეგ, მრავალ გამოცდილების და იმედის გაცრუების შემ-  
დეგ, ენს ბოოტმა იგრძნო, ბოლოს, ურთი-ერთი სიყვარულის  
მთელი ნეტარება.

კუიდან  
შეშლა.

ის არაფერს ამბობდა. ლიუსიც სდუმდა, მხოლოდ დრო გამო-  
შვებით ამოიოხრებდა ხოლმე: ენს ბოოტი არ იყო ჟან-ბლანკოფარი.  
კოცნის დათვლა შეუძლებელი იყო. ხან გიჟურად მფეფქავეი და ხან  
მიყუჩებული გული არ სცნობდა დროს. ჟენტად ანათებდა პოლიარუ-

შუადამისას ენს ბოოტს უცებ მოაგონდა, რომ III-III ლიუსი  
ბლანკოფარ ფლამენგოს ელოდა 19 წელიწადი. ამათ ერთი წუთით  
დაამწუხრა. როგორც უბრალო ადაშიანს, მას სურვილი ჰქონდა გაე-  
გონა მისგან შონანიების და სიყვარულის სიტყვები.

— ლიუსი, სთქვი: „mersi, შე ვცეკვაე“.

ლიუსის სული ეხუთებოდა გაუგონარ გრძნობებისა და ენს  
ბოოტის მიწოდით, რომელიც 87 კილოგრამს იწონიდა. და მან სა-  
ჩქაროდ გაიმეორა:

დაგვიანებუ-  
ლი დაკმაყოფი-  
ლება.

— დიახ! დიახ! Mersi! შე ვცეკვაე!

რა მოხდა შემდეგ? კატასტროფა? ლიუსის სიკვდილი? საბო-  
ლოდ განადგურება ევროპისა? არა, მოხდა რაღაც უფრო საშინელი  
და ამავე დროს არაფერი არ მომხდარა; ჩვეულებრივად გათენდა.  
ბურუსმა ჩაახრჩო პოლიარული მზე. გარედან ყვიროდნენ: „ფორ-  
თოსლები, შესსინის ფორთოხლები“; ნიშფის ცრემლების ხმა აღარ  
ისმოდა.

განთიადი

ენს ბოოტი გულაღმა იწვა თვალ დახუჭული. ჯერ ისევ ბედ-  
ნიერი იყო. აზრად მოუვიდა დაგნებებია თავი ტრესტისათვის და  
ლიუსისთან ერთად წასულიყო ფინიკიაში, ეჭამა ფინიკები და ამ-  
ბოროში გაეტარებია დრო. გაიღიმა. მაშინ გაბედა ლიუსიმ დალა-  
პარაკება:

— Mon petit Jean! ისე მიყვარხარ! ყოველთვის შენთან ვი-  
ცეკვებ ჩოის. მხოლოდ შენთან. ისე გელოდი—გულში, შე თითონ  
არც კი ვიცოდი, ისე! შენზე არაჩვეულებრივ ამბებს ავრცელებენ:  
თითქოს მთელი ევროპის მეფე იყო. მინდა გთხოვო ერთი რამ: ას-  
წიე ლირების ფასი ერთი კვირით მაინც. ჩვენ ეს ძალიან გვესაჭი-



როება. პატარა სიურპრიზი რომიწყე, mon petit Jean! ამხროული  
გაკოცებ...

ენს ბოოტი იაევ გულაღმა, იწვა დახუჭული თვალებით. ალარ ილიმებოდა, ლიუსი განაგრძობდა:

— არ შიპასუხებ? არ გინდა? ეს აუტანელია! ჩვენ გაკოტ-  
რებულები ვართ? მე არც კი შემიძლია, რომ უბრალო ტუფლები  
ვიყიდო. ეს საშინლებაა! რად სდუმბარ? რასაკვიოველია, მიყვარ-  
ხარ. მაგრამ თუ სიურპრიზებს არ მივიღებ, ისე ვერ გავატარებ  
ამგვარ ღამეებს. ეხლა ძველი დრო აღარ არის. შენ ხომ კმაყოფილი  
დარჩი...

მაშინ ენს ბოოტმა ჩაფიქრებით გაალო თვალები. ის, რაც მან  
ღაინაბა, მართლაც საშინელება იყო. ენს ბოოტმა, რომელსაც ენაბა  
მკვდარი შეყვარებულები ნიურენბერგის აივანზე, გაპუდრული სახე  
ჩუგისა და „ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების“ თავმჯდომე-  
რის დაღრეჭილი კბილები, — ენს ბოოტმა შიშისაგან ისევე დახუჭა  
თვალები.

მან აღმოაჩინა უდ დესი სიჯალბე ისტორიაში: აღმოჩნდა, რომ სიჯალბე აღ-  
III-IV-ე ლიუსი ბლანკოტარ ფლამენგო აღმოჩნდა არა ფინიკიის მეფის მოჩენილია,  
ასული, არამედ დაბერებული, ჩასუჭებული დედაკაცი, რომელიც  
მარსელის და გენუის როსკიპს ჰგავდა. ზეწარზე ჩამოეშვა თხელი  
ქუბუები და გარბილებული მუცელი. პუდრა სახიდან ნაწილობრივად  
ჩამოსცლოდა და ქორთლიან კანის ნაწილები მოსჩანდა. პაწაწა  
თვალები იფლებოდა მსუქან პიროსახის ტყავში.

ენს ბოოტი დაეცა სულიერად. დიდხან იწვა ისე, რომ არც  
ლიუსის უყურებდა, და არც უკმაყოფილო ამოძახილი ესმოდა. სიც-  
რუე 19 წლის განმავლობაში! M-mie ლიუსი ბლანკოტარი ღირსი არ  
არის ღმერთის ვიზიტისა.

უცებ რალაც მოაგონდა და წამოიძახა:

— შეუძლებელია... მაშ, ქოჩორი... საუცხოვო ქოჩორი...

ენს ბოოტმა თვალი გაახილა და უდიდეს შიშით შეხედა უკა-  
ნასკნულ ნუგეშს, საუცხო განთიადს თმებისას. მაგრამ ბედი აშკარად  
დასციხოდა: ქერა თმების შუა მოსჩანდა მწვანე, ქუჭყის ფერი ზო-  
ლები. რომლებიც ქაობის ნალექს მიიგვადნენ.

— ეს რა არის? ეს რა არის? — დაიყვირა ენსმა.

— ხომ ვითხარი, რომ ვაგკოტრდით. ეს ცუდი თმის საღებავია.  
ენს ბოოტი წამოხტა ლოგინიდან. ასწია თარდები ფანჯრე-  
ში მოსჩანდა მკვდარი ვენეცია, არხების აყროლებული წყალი,  
გაუწმენდავი სახლები, სისაძაგლე, ლუწი, სიკვდილი.

მის გვერდით იდგა ბებერი, თავხვდი ქალი კრუზოვიან საცუ-  
ლებში, რომელსაც პუდრის სუნი აღდიოდა, და იძახდა:

მოაწყვე კურსის აწყვა! Mon petit Jean, მოაწყვე!



ენს ბოლოტმა ველარ გაუძლო პუდრის სუნს და ისე ხშამალდა დააცემინა, რომ გატებისაგან გადარჩენილმა ყველა ფლაკონებმა დაიწკრიალეს.



შემდეგ გავიდა ოთახიდან. მიეჩქარებოდა არა ბირვანზე და ცნ- მულ ლიონის ფასის ასაწევად, არამედ საბანაო ოთახში, სადაც ლაზე კაათია მტირალმა ნიმფამ.

თავიდან ფეხებამდე გაიბანა ტანი ცივი წყლით და დასწყევ- ლა სიყვარულის ლამე.

სიყვარულის დაწყველა.

შემდეგ მგედიდურ მოახლის ხელით გაუგზავნა III-III ლიუსი პლანკოდარს 100 დოლარი და გამოვიდა ყოფილ მარკიზ ფერმუჩინის პალაცტოზე.

რა განიცადა საბრალო ენსმა, როდესაც ნავით გადადიოდა ვიწრო არხს და მენავეს სიმღერას უსმენდა უკვდავ სიყვარულის შესახებ.

სადგურის ბუფეტში ენს ბოლოტმა მოითხოვა ერთი ბოთლი მუავე წყალი და ამოიღო საწერი წიგნაკი. შიგ იღო ეგროპის პატარა რუკა.

პატარა ლურჯ-წითელი ფანქარით შეეხო რუკას. მზეთუნახავის სხეული თითქმის თავისუფალი იყო ხალხისაგან.

29 მარტი 1933 წ.

დღეს არის 1933 წლის 29 მარტი,—გაიფიქრა მან. ძალიან კარგი, განვაგრძოთ.

მარჯვენა ხელი წაშლი-

და ლურჯ-წითელმა ფანქარმა გადახაზა თავი, და აგრეთვე მარჯვენა ხელიც სანატრელ მეფის ქალისა.

ლია.

თარგმანი შ. ასათიანის.





## მარსელ მარტინეს.

მათ, გავიგონე მე შენი ყვირილი,  
როდესაც მე მზუთავდენ მატარებლები,  
დატვირთულები ახალი ძმებით.

ცხრამეტი წელი ელოდენ მათ მისთვის, რომ ბოლოს წაეყვანათ ისინი  
კანონის მიხედვით.  
ებლა კი ბავშვებს უცქერიან— ხელით სინჯავენ მათ სხეულებს და იმათ  
კუნთებს

და ვკითხებიან თავს: მალე იქნება, ხომ?  
დედებს ეშინიანთ უცქირონ, თუ ბავშვები როგორ იზრდებიან, მალდებიან,  
რომ შეიძლებოდეს, ისინი დამალავდენ მათ, ქუჩებში სიარულს არ დაანე-  
ბებდენ.

აკვნებში ჩააწვენდენ და დააძინებდენ.

მაგრამ ორი—სამი წელი და აი—გათავდა წუნარი ბედნიერება.

და მეც, ისე ვით ყველა ისინი, იმავე საერთო ცხოვრებით ეცხოვრობდ .  
რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი? განა იგივე, ძნაო ჩემო, არ ხდება ყველგან?  
ყველა მოედნებზე და ყველა ქუჩებში: მკვდრები, მკვდრები, მკვდრები  
მდინარეები გაიბერენ მკვდრებით.

და ცაში ფრინველებივით გაშლილი ღრუბლები სისხლს ანთხევენ.

მე ვიცი: აღარ იქნება აშიერიდან არც დილა, არც საღამო.

ფერძერთალ ბრბოებად შეჯგუფულან ჩონჩხები ყველგან:

ტრამვაებში, ბაღებში, კაფეებში, საუდრებში: ყველგან მათი ნწარე ლა-  
ნდებია.

მხოლოდ ხელები მოევრებიან სარდაფებიდან,

მისრიალებენ არხების მოაჯირებზე და გაშვლელთა შარვალებს ებლა-  
უჭებიან.

და ჩვენს ცარიელ ოთახებშიც:

აი ისინი, სამი, ექვსი, ოცი შრიალეებს ჩემი ხელნაწერთა,

აშვერენ სისხლიან თითებს და ჰყვირიან ზიზღითა: „აი ის!“





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

\* \* \*  
მე ვიცი, რომ შენაც ღამით  
იტანჯები მანდ, ძმაო ძვირფასო!  
შენი ფიქრები ოქროს ფუტკრებად,  
ღამის პეპელებად გვაფრინდებოდენ ჩვენ შებლხე,—  
ვით ღამემ უწყინარმა, ვით მოალარსე დედამ, როგორც აყვავილებულმა  
შენმა სიტყვებმა გამოგლაჯეს ჩემი თავი მანქანის გაგვიკებულ, დაღებულ  
ხახას..

(ო, რა საშინლად გვეჯავრება ჩვენ ეს ხახა, სიკვდილი გაყინული).  
ძირს ტეხნიკა! ძირს მანქანა!  
ძირს თქვენი ჯოჯოხეთური გამოგონებანი,  
თქვენი გაზები, თქვენი ტანკები—თქვენი ნაღმები და თქვენი საფრები,  
წველა და კრულვა: თქვენს კონსტრუქტორებს,  
თქვენს ინჟინერებს, სიკვდილით რომ ვერ გაძაძლარან.  
წველა და კრულვა: მასხარა საუკუნეს, მანქანის და ფაბრიკის იდიოტს.

\* \* \*

აი მე ისევ შენს წინა ვარ, შენ ამიხილე მე თვალები, მომკიდე ხელი,  
ხელს მართმევე მაგოდ: პო, ეს შენა ხარ—ვიცანი!  
მე ვეუბნებოდი ყველას მათ, რომ შენ აქა ხარ და რომ სიძულელი ამი-  
ერიდან აღარ არის,  
რომ მტერი მხოლოდ და მხოლოდ გამოგონილია (მანქანა) და მარტოდენ  
ადამიანია ჭეშმარიტება.  
რომ არსებობს ამ ქვეყნად: ჭეშმარიტება, რწმენა, იმედი და კანონიერება,  
და რომ არ არის: მანქანა! ტეხნიკა! მტერი! განადგურება!  
ისინი უნდა გავაძევოთ, გავაძევოთ,  
ყინაიდან არსებობს მხოლოდ ერთი რამ—ადამიანი!

\* \* \*

გამოვიტყეცით ჩვენ ყველანი —გამოვიტყეცით ტყვეებიდან ფრთიან ფოთლებით,  
ბუბლის თავებზე ვეცემოდით და ხელს ვირტყამდით საბრალო მკერდში:  
პატიება!  
არა მარტო მე, ქუჩებში მოხეტიალე საცოდვავი პოეტი სათვალეებით,  
არამედ ყველა ჩვენ, მილიონები, მილიონები სირცხვილით და სინანულით  
ვიწოდით.  
გვერწმუნეთ: მთელი ეს მოწვევებება, ძალადობა, წყევლა და კრულვა,  
ეს ყვირილი, სიტყვები, ფიცი, დარტყმა, განრისხება—ჩვენა ვართ თვითონ  
ეს არის ჩვენი შიში, სისულელე, უსაქმურობა, ჩვენი სისაძაგლე და ჩვენი  
ურწმუნობა,  
და აი ეხლა ჩვენ არ ვიცით, თუ საით მიემართება ჩვენი გზა.





ქრისტეანული  
გაზაქრებანი დღე.

არ ვიცით, რომ არსებობს დილა და საღამო, გუშინდელი და დღევანდელი

ჩვენ გვდევნის სირცხვილი გაგრიებული.

ო, ძმის წიაღო, — მასწავლე

მე გზები შენსკენ!

ო, ძმის თვალო, — გამაცვილე

მე ამ ბნელ ღამეში!

ო, ძმის გულო, — დამირეკე

თავისუფლება ისევ!

ო, ძმის წიაღო, — მომეცი

სიგნალი საჩქაროდ!

გვითხარი, როდის დაგვირეკს შენი სიტყვა, შენი სიმღერა მარადი?

ვინაიდან ველით ჩვენ, რომ დადგება საათი, რომ ყველა ლაშქრები, ძმები  
და შვილები

გაიგებენ დასასრულ ერთმანეთს და გაუშლიან ერთიმეორეს

შკლავებს მოსახვევნად, და განიდევნება მაშინ საუკუნოდ

მტერი იმათი საკუთარი გულებიდან.

თარგმანი კ. ჭ. ის.





## პარლ ლიგონახტის კანდაკს.

ერთმა,  
როგორც არავინ არასოდეს  
არა ყოფილა ერთი ამ მსოფლიო ჭარბხალში,  
ერთმა მან ასწია თავი  
კასკებით შემოჭედილ საშოცდაათ მილიონ გამხმარ თავთა შორის.  
და შეჰყვირა  
ერთმა,  
რომელმაც დაინახა, რომ წყვედიადი საშყაროს ეფინება,  
შეჰყვირა ევროპის შვიდ ცას  
და მათ დაყრუებულ, მკვდარ ღმერთს, —  
შეჰყვირა უდიდესი წითელი სიტყვა:  
„არა!“

თარგმანი კ. ჯ—ის.



დაბეკ. გ. მოხაჯიძის

ერნსტ ტოლლერი



# კაცი—მასსა.

დრამა შვიდ სურათად  
თემა:  
მკოცვე საუკუნის სოციალური  
რევოლუცია.

შსოფლო რევოლუცია,—  
იგი შობს ახალ ლტოლვებს,  
იგი შობს ახალ ხალხებს.  
წითლად იწვის საუკუნეზე  
სისხლიანი ჩირაღდანი გაზაფხულის.  
მიწა ჯვარზეა გაკრული.

## პროლეტარებს.

### წინასიტყვა.

წერილი რეჟისსორს.

ზოგიერთი კრიტიკოსები გისაყვედურებენ თქვენ: რომ ხილვათა სურათებთან ერთად, რომელთაც ჰქონდათ სიზმარის ხასიათი, თქვენ „რეალურ სცენებსაც“ მიუციოთ ლანდური სახე და მით შეაჩელოთ. ზღვარი ნამდვილსა და სიზმარულს შუა. მაგრამ ხაზგასმით, უნდა ავნიშნო, რომ თქვენ მოიქეციეთ ჩემი ზრახვის თანაბარ, ეს რეალური სურათები სრულებით არ არიან ნატურალისტური „ყოფის სცენები“. მოქმედ პირთა სახეებს, გარდა სოფიას ფიგურისა, აკლიათ ინდივიდუალი შეფერვა. რა უნდა იყოს რეალური ისეთ დრამაში, როგორც არის ჩემი „კაცი-მასსა?“. მხოლოდ სულიერი სუნთქვა.

როგორც პოლიტიკოსი, მე მოვქმედობ ისე, თითქო ადამიანები არსებობდნენ, როგორც პიროვნებანი, როგორც ჯგუფნი, როგორც მატარებელნი რაიმე ფუნქციების, როგორც მაჩვენებელნი სხვადასხვა სამეურნეო თუ საპოლიტიკო ერთიერთობის, თითქო ესა თუ ის ნივთიერი თანაერთიერთობა იყოს რეალურ მოცემული. როგორც ხელოვანი, მე ვიხილავ ამ რეალურ მოცემულობათ დიდი



კითხვის ნიშნის ქვეშ. (საკითხია კიდევ: ვარსებობთ ჩვენ თუ არა, როგორც პროფენებანი?).

მე ვხედავ: საპატიმროს ეზოში ორი პატიმარი ერთნაირ... და მე ვხედავ ჩერბავენ შეშას. ადამიანებია, — ვფიქრობ დღესით, — ის მუშაა, ეს გლეხია, ეს კი შესაძლოა კანცელარისტი... და მე ვხედავ ოთახს, საცა ცხოვრობდა მუშა, ვხედავ მის მცირე თავისებურებათ, მის ნაირ მოძრაობას, როცა იგი, შეიძლება, გააგდებდა ასანთს, ეხვევოდა ქალს, საღამოთი განიდიოდა ქარხნის კიშკარით. ასევე ნათლად ვხედავ მე გლეხის ფართო ზურგს და ვაცრეცილ მკერდჩაფარდნილ კანცელარისტს და აი... უეცრად... ისინი აღარ არიან უკვე ადამიანები: ისინი საშინელი მარიონეტებია, აუცილებლობით და ბედით ამოძრავებულები.

ორმა ქალმა გაიარა ერთსელ ჩემი კამერის ფანჯრის ქვეშ. მე ვუცქერდი მათ, ვიყავე რა ჩამოკიდული სარკმელის რკინულ რიკულზე. მეჩვენებოდა: ერთიცა და მეორეც იყო „ხანგასული ქალწული“ ერთსაც და მეორესაც მოკლედ ჰქონდა შეკვეცილი თმა, ერთისაც და მეორესიც საცმელი იყო ერთნაირი, ერთნაირი ფერის, ერთნაირ შეკერილი. ორივეს ხელში ეკავა რუბი ქოლგა ოეთრი გასაშლელდნით. ორივე თავს აქნევდა... მაგრამ ერთს წამსაც არ მიხილავს მე მათში „რეალური ადამიანები“ მოსეირნენი „რეალურ ნაურენბერგის“ ვიწრო გადასახვევში. „Danse unieaire“ ორი ხანგასული ქალწულის, ხანგასული ქალწულის და მისი ორეულის სიკვდილის — მეჩვენა მე.

დრამა „კაცი-მასსა“ არის ხილვა, რომელიც ორი დღე ნახევრის განანულობაში პირდაპირ „გადმოიღვარა“ ჩემგან. ორი ღამე, რომელიც მე გავატარე ბნელ კამერაში, „ლოგინში“, უძირო წამებით იყო სავსე. მე მწეწდებ მოჩვენებანი, ეშმაკური მოჩვენებანი, რომელნიც გარს მეხვეოდნენ ველური მოარულით. დილით, შინაგან ციებცხელებით აყვანილი, მე ვუჯექ მავიდას, და არ გამითავებია, სანამ აცახცახებულ და მოდუნებულ თითებმა უარი არ მითხრეს. ვერავინ ბედავდა შემოსულიყო ჩემს კამერაში, მე ვუშლიდი — ალაგებას. საშინელი გახელებით მივარდებოდი ხოლმე ამხანაგებს, რომლებიც მომმართავდნენ მე ან კითხვით და თან დახმარებისათვის. ერთი წელი ვაგრძელდა დამალავი და ნეტარი შრომა შეკეთების და გაუმჯობესების.

ებლა „კაცი მასსას“ ვუცქერ საკმაოდ კრიტიკულად. ჩემთვის ნათელია თუობა მისი ფორმის, რომლის მიზეზია უდიდესი შინაგანი გაბმულობა იმ დღეების, ადამიანის რცხვენა, რომელიც ერიდება პირად განცდების ხელოვნურ სხეულყოფას. გაშიშვლებულ აღსარებას, და რომელიც არ იძლევა მაინც ძალას წმინდა მხატვრული ობიექტივაციის მისაღწევად. საშინელება რევოლუციურ დღეების ჯერ კიდევ არ იქცა რევოლუციის სულიერ სურათად. იგი რჩებოდა სულის მტანჯავ მდგომარებად, სულის ქაოსად.

მე ვაკვირებულე ვარ, კრიტიკოსებმა რომ ვერ გაიგეს. მიზეზი (აი ყველაზე უფრო მისაღებია) — დრამის უკმაში გაფორმებაა. მაგრამ შესაძლოა, რომ აქ ვაუღენა იქონია იმანაც, რაც „ბურჟუაზიული კრიტიკოსისათვის“ რჩება „გაზეთის ფრაზად“, „მეთაურის ლოზუნგათ“. ეს არის ის, რაც ჩვენ, პროლეტარიატთან ახლო მდგომით და მის სულიერ არეს გაცნობილთ, ის, რაც ჩვენ, პრო-





ლექტორიატის სულიერ ქვეყნიდან მქნელებს. გვევლინება შემპყრელი, მნგრე-  
ველი, მთელი ადამიანის შემცველი იდეური ბრძოლის ცნობილობა.

ეს ყოველთვის ასეა: ის, რაც სოციალურ არეში და მისი მტკიცებულება ასახ-  
ვაში ადამიანს ბურჟუაზიიდან ერვენება ცალიერ სიტყვებისათვის დაეად, ის პრო-  
ლექტარისათვის წყაროა ტრაგიული კვებების. მტანჯველი პრობლემაა. ის, რაც  
„ბურჟუასთვის“ — „ღრმაა“, „მნიშვნელოვანი“, აესილია დაძახულ სულიერ ბრძო-  
ლით — ის პროლექტარისათვის სულ არ არის გულისამიერი.

არ არის საქარო იმისი გამეორება, რომ პროლექტარული ხელოვნება უნ-  
და გაიღბოს ზოგად კაცობრიულ ხელოვნებაში, რომ იგი უნდა იყოს ღრმა და  
ყოველშემცველი, ვით სიცოცხლე, ვით სიკვდილი. პროლექტარული ხელოვნება  
არს ბოზს იმდენად, რამდენად პროლექტარიატის სიცოცხლის მრავალსახეობა  
გზას უხსნის ხელოვანს მარად ადამიანურის შესაქმნელად.

ერნსტ ტოლლერ.

საპატიმრო ნიდერშენფელდ.

ოქტომბერი 1921.

#### მოკმედნი:

მუშები.  
მუშები ქალები.  
უსახელო.  
ტყვე ქალები.  
აფიცერი.  
მღვდელი,  
ქმარი (მოხელე).  
სოფია — ირენა ლ.  
სილვანი სოფია — ირენასი ლ.

#### სახენი:

სოფია — ირენა ლ.  
თანამგზავრი.  
ბანკირები.  
მოხელე.  
დარაჯები.  
პატიმარნი.  
მოჩვენებანი.

(მესამე და მეშვიდე სურათი — მოჩვენებითი სიშორით).



## სურათი კირველი



სურათი კირველი

ოთახი ნუნათა სარდაფში. შეთეთრილ კედლებზე, ნატანსურ სურათები და პორტრეტები მასსის გმირების. შუაში: უბრალო მაგიდა, მაგიდას იქით — ქალი.

მუშა 1. — ფურცლები დარიგებულია.

კრება: მთავარ ხალაში.

დილიდან დაიბურებინ ქარხნები ხვალ.

მასსები ღელავენ.

მზადა ხარ, ამხანაგო!

ქალი. — მზადა ვარ.

ყოველ სუნთქვასთან მაგრდებიან ჩემი ძალები.

ჰო, როგორ ველოდი წამს —

როცა სიტყვებად იქცევა სისწლი და სიტყვა საქმედ!

სასოწარკვეთილ ვიყავ მე:

ხშირად ხელებს ვიმსხვრევდი

რისხვაში, წვალებაში და სირცხვილში.

წყეული ფურცლები ყვირიან — „გამარჯვება“.

და მილიონი ხელები მიქერუნ

და ოხრავენ: „შენ ხარ დამნაშავე ჩვენს სიკვდილში“.

ცხენებიც კი,

გაოჟლილნი და გაქაფულნი,

ბრალსა მდებენ უბო შებედვით

როცა ხვალ დავიძახებ — „აღსრულდა“ —

და აზრი ჩემი და სევდა ჩემი

კედლებს ააფსებენ, —

ნუ თუ მე ვიკივლებ: „გაფიცვა!“

არა კაცობრიობა, მიწა იკივლებს: „გაფიცვა“.

მე შეჩვენება, რომ გაფიცვისათვის ძალღიკ ჰყუფს,

როცა იგი სახლში წინ შეგებება.

გაფიცვისათვის ოხრავენ ტალღები,

მე ვიცი: მასსები —

დაამსხვრევენ ასოებს და წესდებებს

ხდილ ბატონებისას,

რომელნიც უსხედან შწვანე მაგიდას...

ბრბო ბილიონი

მძიმე ხელით ამართავს

ქვეყნის ცეცხლეულ შენობას.

დროშას წითელს, ამბოხების დროშას.

ვინ ააფრიალებს მას?!  
 ვინ ააფრიალებს მას?!





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მუშა 2.—შენ, შენ...

(სიჩუმე ირხვეა)

ქალი.—საიდუმლოს რო დაიცავდენი

შენა გვონია პოლიციამ არ იცის?

და მერე როცა ჯარები ზალას შემოერთებდნენ?

მუშა 1.—პოლიციამ არ იცის,

იყავ დამშვიდებული,

საიდუმლოდ დარჩა ნამდვილი მიზანი ჩვენი.

დეე: მასებმა ააესონ ზალა და—

არაფითარ პოლიციას ქვეყანაზე

არ შეეძლება შეებას წყალმოვარდნას.

და თანაც: იგი ბრძოლას ვერ გაბედავს,

ხელისუფლებაში გახრწნა შეიპარა.

რახმები ჩვენკენ არიან.

ჯარისკაცთა საბჭოებია ყველგან.

ხვალინდელი დღე გადაწყვეტს ყოველს...

მუშა 1.—ლალატი!

მუშა: 2.—(ქალს)

შენ არ უნდა მოხვდე!

მუშა 1.—მხოლოდ ლა ერთი კარია!

მუშა: 3 — ფანჯარაში!

მუშა 2:— ფანჯარა გადის განთავსებულ ქისაკენ.

ქალი.—ასე... ომის წინადღით!..

(ხმაურობა. კარი იღება. შემოდის ქმარი. პალტოს საყულო აწვეული აქვს. აჩქარებით ათვალისურებს იჭაურობას, ქუდს იხდის).

ქალი.—ის... მეგობარი.. ტყუილია შიში.

შენ აქა ხარ?

მე მნახე შენ?

ქმარი.—სალამო მშვიდობის!

(ჩუმათ)

გონოვთ—მათ ნუ გამაცნობ.

შემიძლია მოგელაპარაკო?

ქალი.—ამხანაგებო...

მუშები.—ლამე ნების.

ხვალ.

ქალი.—ლამე ნების. ხვალ.

ქმარი.—იცოდე: მე არ მოვდივარ, როგორც მოკავშირე.

ქალი.—მაპატიე ოცნება უცხო წამის!

ქმარი.—აქ მოსვლა მე მიბრძანა პატიოსნებამ.

ქალი.—მე ვარ მიზეზი? ახირებულა.

განა პატიოსნება ბურჟუაზიული ჯიშისაა?





ხმები დასვალეს? უმრავლესობას სურს  
გაგადგოს 'შენ თავის რიგებიდან?

ქმარი.—დავანებოთ ხუმრობას თავი. ვთხოვ. იქვეები, შენთვის უცხონი, კანონია ჩვენთვის... მე ვემორჩილები კოდექსს სასტიკი პატიოსნებისას...

ქალი.—რომელიც დაღს გასძევთ თქვენ მაშინებისას.

ქმარი.—რომელიც გვიხმობს მორჩილებისათვის.  
მაგრამ შენ არ ისმენ ჩემს სიტყვებს...

ქალი.—მე გიცქერ თვალეში...

ქმარი.—ნუ ამრევ! ნუ მაცდუნ!

ქალი.—შენ... შენ...

ქმარი.—გეტყვი მოკლედ:

მე ნებას არ ვრთავ შენს მუშაობას.

ქალი.—შენ...

ქმარი.—სწრაფვა საზოგადო საქმისათვის.

ჩვენს წრეებშიაც ნახავს გასაქალს.

მაგალითად: თავშესაფარი უკანონოთ შობილსა.

ასეთი აზრი წარმოშობილია.

შენ მიერ უარყოფილ კულტურისაგან.

შენი ამხანაგებიც ხომ, ფრჩხილებშიც რომ ვახსენოთ,  
ცუდათ უცხვრენ უქმარო დედებს.

ქალი.—ქვევით! ქვევით!

ქმარი.—ქვევითი თავისუფალი არა ხარ.

ქალი.—თავისუფალი ვარ...

ქმარი.—მე მჯერა: თუ გონება არა,

შენ ტაქტი მაინც გაქვს.

ქალი.—მე ვცნობ მხოლოდ ერთ საქმეს,

რომელსაც ვემსახურები, უნდა ვიმსახურო.

ქმარი.—მე განვაწევრებ:

მოქმედების სურვილი გამოძრავებს შენ.

მას აქვს ფესვი მრავალი.

ცხადია: მე სრულიად არ ვფიქრობ,

რომ, ეს ფესვები უკეთილშობილოა.

ქალი.—ჰო! როგორ მიკოდავ გულს ყოველი სიტყვით!

გახსოვს თუ არა

ღვთისშობლის ხატები გლეხთა ქოხებში?

დაშნით განკვეთილი გული სისხლით იცლება.

გახსოვს მათი უმსგავსო და გულამაჩუყებელი სახე...

დიდებული და უბრალო?

შენ... შენ...

შენ ლაპარაკობდი სურვილებზე?

მე ვიცი: ჩვენ შორის უფსკრულია.





საქართველოს  
საბჭოთაო მემკვიდრეობის  
სამეცნიერო ცენტრი

არა... სურვილებს კი არ მიყავარ მე,  
არამედ გაჭირვებას... და ადამიანურ ტკივილებს...  
გაჭირვებას ჩემი სისავსისაგან.  
გაჭირვებას მიყავარ. გაჭირვებას მიყავარ.  
არა კირვეულობას, არა მოწყენის კაპრიზს,—  
გაჭირვებას და ადამიანურ ტკივილს..

ქმარი.— გაჭირვება? განა უფლება გაქვს  
თქვა შენ „გაჭირვება?“

ქალი.— კმარა.. მეგობარო.. გამიშვი..  
აი, მოვეხვეფი ნე შენს თავს..  
აი, გადაგიკოცნი თვალებს..  
შენ...  
დაჩუმდი...

ქმარი.— შე სრულიად არა მსურს გაწვალო...  
მაგრამ აქ? აქ რომ გვისმინონ?.

ქალი.— როცა გვისმინონ ამხანაგმა—  
აქვთ მათ ტაქტი პატიოსნობის გარეშეც!  
ჰო, რომ მიხვდებოდე და გაიგებდე მათ გაჭირვებას...  
გაჭირვებას... რომელიც ჩვენიც... უნდა იყოს..  
თქვენ ისინი დაამცირეთ.  
და რა დაამცირეთ, თქვენ თავი შეიგინეთ.  
თქვენ გახდით თავის თავს ჯალათები...  
გაახილე თვალი და იცავ მოწყალე.  
მე ხომ არა ვარ ჰისტერიული.  
ნე ხომ არა ვარ სანტიმენტალური.  
და მისთვის ვარ მე აბლა მათთან.  
სირცხვილი თქვენს საზოგადო მუშაობას—  
სუსტების და შედიდურების თავშესაფარს!  
ჩემს ამხანაგებს რცხვენიათ თქვენი,  
როცა ისინი თქვენ არ დაგცინიან.  
როგორც ხედავ, მე არ ვიციანი.

ქმარი.— გაიგე სიმართლე ბოლომდის.  
მთავობამ იცის შენი ქცევა,  
მე კი მივეც ფიცი სახელმწიფოს.  
ფიცის ყოველი საერთო საქმეთა გამგებ.  
ჩემი წინსვლა აკვეთილია.

ქალი.— და...

ქმარი.— გადაჭრით გეუბნები.  
იძულებული ვიქნები მივმართო ზომებს,  
რომლებიც იცავი ამაში დარწმუნებულ—  
ჩემს გულსაც მტკივნეულ მოხვდებიან.



მით უმეტეს, რომ ქმარის წინსვლას რო ლუპავ,  
შენ ამით საზოგადო საქმესაც აყენებ ზიანს...

ხელს უწყობ შინაურ მტრებს...

გაყრისათვის საფუძვლები საკმაოა..

ქალი.— მე თუ სახიფათო ვარ შენთვის,  
ცხადია, შენს გზაზე საფრთხეა!

ქმარი — დრო კიდევ არის.

ქალი — პო, მაშინ...

მე შხადა ვარ..

ბრალს მე ვიღებ თავზე..

პროცესსი შენ არ გაენებს: ნუ გეშინია.

შენ.. შენ..

ჩემი ხვევნა განსნილია შენთვის

უკანასკნელ გასაჭირში.

შენ.. ჩემი სისხლი ინთება შენთვის...

უშენოდ ვიქნები მე დამცვენი ფოთოლი.

შენ მზე ხარ, შენ ხარ მაცხოვებელი ნამი.

შენ მარტის ქარიშხალი ხარ,

რაიც ისვრის ცეცხლის ჭინჭლილს წყურვალ ძარღვებში.

პო, წამილე მე მღელღებში, ხეივნებში.

შენს თვალებს დაეკოცნი მე.

მე მეჩვენება, თითქო სუსტი ვიქნები,

შენგახ მიტოვებული, უსაზღვროდ...

მაპატიე: ამ წამს სუსტი ვიყავ მხოლოდ.

მესმის ყოველი და შენ გაპატიებ.

ხვალ კი ავდგები მე მასსის წინაშე.

ხვალ ვილაპარაკებ მე მასსასთან.

მთავრობას, რომელსაც შენ ემსახურები,

მე ხვალ ჩამოგახვევ საზარულ ნიღაბს...

ქმარი.— შენი მოქმედება ლალატია მთავრობის მიმართ.

ქალი.— მთავრობა მართავს ომს.

მთავრობა ლალატობს ხალხს.

მთავრობა ქურდობს, ძარცვავს.

მთავრობა ართმევს ხალხს უფლებებს.

ქმარი.— მთავრობა წმინდაა..

ომი აცოცხლებს მას.

მშვიდობა კი ფანტაზიაა სუსტნერვიანთათვის.

ომი ზავის დარღვევაა მხოლოდ,

რომელშიაც იმყოფება სახელმწიფო —

შინაურის თუ გარეშეს მუქარის ქვეშ.

ქალი.— შეუძლია სიცოცხლე ჭირით დაქმულ სხეულს?



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



გინახავს შენ შიშველი სხეული სახელმწიფოსი?  
 გინახავს შენ კიები, ამ სხეულის მკამელნი?  
 და ბირყები, კაცთა სისხლით გამაძლარნი?  
 შენ ისინი არ გიბილავს—  
 შენ ფიცი მიეც სახელმწიფოს,  
 შენ მსახურობ და შენი სინდისი კმაყოფილია.



ქმარი.—ეს არის შენი გადამჭრელი პასუხი?

ქალი. გადამჭრელი პასუხი...

ქმარი. მშვიდობით:

ქალი.—მშვიდობით:

(ქმარი აპირებს წასულას).

შეიძლება გამოგყვე?

უკანასკნელად დღეს?

უსირცხვილო თუ ვარ?

სისხლით ურცხვი?

(ქალი მიჰყვება ქმარს. სცენა ბნელდება).

## სურათი მეორე

მკრთალად მოსჩანს: საფუნდო ბირყის ზალა, კანტორკებთან—მდივანი. მის გარშემო—ბანკირები და მაკლერები. მდივანი: სახეა ქმარის.

მდივანი.—აენიშნე.

ბანკირი 1.—საიარაღო ქაობენები—

სამასორმოცდაათი.

ბანკირი 2.—გაძლევთ.

ოთხასად.

ბანკირი 3.—ოთხასს—

თანახმა ვარ

(მეოთხე ბანკირი მიათრევს წინ მესამე ბანკირს.

სიღრმეში: ჩურჩული გამყიდველთა და მყიდველთა.)

ბანკირი 4.—(მესამეს)

გაიგეთ?

დახევა

აუცილებელია.

დიდი შეტევა

არ მოხერხდა.

ბანკირი 3.—რეზერვები?

ბანკირი 4.—ადამიანის მასალა

ფუჭდება.



ბანკირი 3.—საზღო არ არის საკმაო?!

ბანკირი 4.—გვეცაა.

თუმცა

პროფესორი უღე

ფიქრობს,

რომ ჭოვი—

(95 პროცენტია)

საზღო არის

განებიერებულ

კუბების.

ბანკირი 3.—სარდლობა?

ბანკირი 4.—ჩინებულა.

ბანკირი 3.—შესაძლოა, აღკობოლია ცოცა?

ბანკირი 4.—არაყის

ქარხნები

ავსილია.

ბანკირი 3.—რაშია საქმე?

ბანკირი 4.—გენერალმა

მოიხმო

კრება

ოთხშობილა ცამეტ პროფესორთაგან.

იქ ჩვენი მხათობებია.

მათ შორის—

საიდუმლო მოთათბირე გლუბერ.

შედგებზე ხმა დადის.

ბანკირი 3.—რაგვარი?

ბანკირი 4.—მცხოვრებთათვის საიდუმლო.

ბანკირი 3.—ჯარისკაცებს თუ ღალაფთ

ვაჟური სიყვარული?

ბანკირი 4.—სრულიად არა...

სიყვარული არა...

სიძულვილია მხოლოდ.

აკლიათ...

ბანკირი 3.—რა?

ბანკირი 4.—ჩვენ წავაწყდით

კოცხალის შარად მექანიკას.

ბანკირი 3.—რა აკლიათ?

ბანკირი 4.—სიყვარული.

ბანკირი 3.—კმარა!

მაშ რა?

იარაღია ჩვენი,



საქართველოს  
საბჭოთაო სოციალისტური  
რესპუბლიკის





დიდი მძლავრი იარაღი,  
რომელმაც აიძულა ხალხები და ტახტები  
მინისტრები და დეპუტატების პალატები,  
გაზეთები, ეკლესიები —  
აიძულა ეცეკვით:  
ეცეკვით ხმელზე,  
ეცეკვით ზღვაზე,  
მაშ ომი წაგებულა!  
ოქვით: ჰო?  
წაგებულა?

ბანკირი 4.—თქვენ ცუდათ იანგარიშეთ.  
შეცდომა ნახულია.

მას გაასწორებენ.

ბანკირი 3.—მაგრამ როგორ?

ბანკირი 4.—საერთაშორისო გზით.

ბანკირი 2.—ჰაა..

ბანკირი 4.—პირიქით.

შინაური გზით.

და თან:

ვალუტის მდგომარების  
დამოუკიდებელ.

ბანკირი 3.—ფონდები საიშედოა?

ბანკირი 4.—უდიდესი ბანკების ტრესტი  
ხელმძღვანელობს დიდ საქმეს.

ბანკირი 3.—მოგება?

დივიდენდები?

ბანკირი 4.—ყველაფერი იქნება დროზე.

ბანკირი 3.—ფორმით — ჩინებულია.

შინაარსი?

ბანკირი 4.—სახელი:

„სანატორია გამარჯვების ნების“,  
საქმით:

სახელმწიფო საროსკიპო სახლი.

ბანკირი 3.—დიდებულია.

ხელს ვაწერ ასი ათასს.

კიდევ ერთი კითხვა:

ვინაა საქმის სათავეში?

ბანკირი 4.—გამოცდილი გენერლები —

საიშედო წესდებათა

მშვენიერი მცოდნენი.

ბანკირი 3.—გეგმა არის?





საქართველოს  
საზოგადოებრივი

ბანკირი 4.—წესდებით,  
როგორცა ვთქვით,  
სამი შკალაა ფასების,  
სამი კატეგორია.  
საროსკიპო სახლი აფიცერთათვის:  
შეხვედრა მთელი ღამით.  
საროსკიპო სახლი შემდეგთათვის:  
ერთი საათით  
უბრალოთათვის—  
ათი წაზით.

ბანკირი 3.—გმადლობთ.  
როდის გაიხსნება ვაქრობა?

ბანკირი 4.—ახლავე.  
(სიღრმეში ხმაური. შესამე და მეოთხე ბანკირი  
შედიან სიღრმეში).

მდივანი. ეხლახან მოიტანეს  
შთაერობის აქციები  
სამხედრო სანატორიისა  
A. O.

ბანკირი 1. არ ვყიდულობ.  
ბანკირი 2.—მე დივიდენდები არ მზიბლავენ.  
ბანკირი 3.—ხელს ვაწერ ასი ათასზე.  
საინველია!

მდივანი.—ჩავწერე.  
ბანკირი 4.—შეც მავდენი!

ბანკირი 1.—(ნეორეს) \*  
მშვილმა მოაწერა...  
როგორ ფიქრობთ?

ბანკირი 2.—დებეში:  
ბრძოლა დასავლეთზე  
წაგებულია.

ბანკირი 1 გაიგონეთ ბატონებო:  
ბრძოლა დასავლეთზე  
წაგებულია.  
(ყვირილი, ხივილი).

ხმები—წაგებულია.  
ხმა—სამხედრო ქარხნები!  
მე ვიძლევი  
ასორმოცდაათად.

ხმა—ცეცხლისმფრქვეველნი!  
მე ვიძლევი.





ბანკირი 3 — ხელს ვაწერ კიდევ  
ასი ათასზე.

ხმა — აჰა!

ამ დაცემის დროს?!  
 ხმა — ვინ ამბობს: ბრძოლა წაგებელია?

ხმა — დასაჯერებელია ამბავი?

ბირუის ტყუილი თუა?

მშვიდი ხელს აწერს

ორას ათასზე.

ბანკირი 2 — ტყუილია!

მე ვყიდულობ

ასორმოცდაათასად.

ხმა — მე ვიძლევი

ორასს.

ხმა — ვყიდულობ

სამასად.

ხმა — ვინ იძლევა?

ოთხასი.

მე ვყიდულობ.

მდივანი — ჩავწერე.

ბანკირი 4 — (მესამეს)

აი ვინ არის უშმაკი...

ბანკირი 3 — მაპატიეთ შეკითხვა:

უძლიერესი იირალი ჩვენი

დაცულია?

ბანკირი 4 — განა საეჭვოა?

ცოცხალის მეხანიკა

ასე მარტივია.

გაიხსნა დენა...

მონახეს იგი

და დასდეს მალამო.

აწევა თუ დაწევა —

დღეს, ხვალ —

ეს არაფერია.

ხოლო არსი:

მეხანიკის კანონი ურყევია.

როგორც შედეგი:

სისტემა ხსნილია.

მდივანი — ჩავწერე.

(შემოდის თანამგზავრი. მისი სახე, რომელიც მაგიურად გავს  
ქალს, სიკვდილის ხაზებია და სიცოცხლის დაძაბულობა. მას მო-



ჰყავს ქალი).

თანამგზავრი — ბატონებო,  
 თქვენ ადრე ჩასწვრეთ.  
 სისხლი და სისტემა!  
 კაცი — სისტემა!  
 საეჭვო კანონი,  
 ერთი მიხლა —  
 და მოელი მეხანიკა  
 თითქო დამსხვრეული სასამაშო.  
 ყურადღება!  
 (ქალს)  
 ილაპარაკე!

ქალი — (ნელა)  
 ბატონებო!  
 ხალხო!  
 მე ვიმეორებ:  
 ხალხო!

(თანამგზავრი და ქალი ჰქრებიან. უცარი სიჩუმე).

ბანკირი 3 — გაიგეთ?  
 მალაროებში უბედურება!  
 ეტყობა,  
 იქ ხალხი დაშავდა.

ბანკირი 4 — მე გაემართავ  
 საქველმოქმედო ზეიმს  
 და ცეკვას  
 საბირეო მაგიდების ირგვლივ  
 ზეიმს გაჭირვებასთან ბრძოლისათვის.  
 შემოსავალი —  
 მათხოვრებს.  
 როცა ვნებავთ!  
 ცეკვა და ცეკვა...  
 ბატონებო!  
 მე ვწირავ:  
 აი აქციები  
 სამხედრო სანატორიის  
 A. U.

ხმა — ქალები?

ბანკირი 4 — რამდენიც ვნებავთ  
 უბრძანეთ შვეიცარს.  
 ხუთასი  
 რჩეული გოგო —



ქართული  
 ენის ენციკლოპედია



აქ...  
მანამ...

**ბანკირები** — ჩვენ ვწირავთ  
და ვკვივავთ.  
შემოსავალი —  
მათხოვრებს.

(ჩხრიალა ოქროების მუსიკა. ბანკირები ცილინდრებში ფოქსტროტს  
(კვივავენ საბირეო მაგიდის ორგვლივ. სცენა ბნელდება)



### სურათი მესამე.

სცენა რჩება ბნელი.

**მასხების ხორი.** — (სიღრმიდან)

ჩვენ მარადის შეკრულნი  
ფრიალო კლდეების ჯურღმულეებში,  
ჩვენ: მიცემულნი  
სისტემების საშინელ მეხანიკას:  
უსახონი მოთქმათა ლამეში,  
მუდამ ჟამ დედებს მოწყვეტილნი.  
ჩვენ ვკივით ქარხნების სიღრმიდან:  
როდის იქცევა სიყვარულად სიცოცხლე ჩვენი?  
როდის გახდება მიღწევაზე საქმე ჩვენი?  
როდის დაეახწვეთ თავს მონობას?  
(სცენა ნათლდება. დიდი დარბაზი. ტრიბუნაზე. ყიწრო გრძელი მა-  
გიდა. მარცხნივ ზის ქალი. დარბაზი ავსილია მუშებით: ვაჟებით და  
ქალებით).

**ჯგუფი ახალგ. მუშების.** — წარმოშობს ბრძოლა ახალ ბრძოლას,

სანამდე მოვითმენთ ჩვენ — ბატონებს?  
კმარა შეთანხმება და იჭვი:  
ჩვენ შემოგვაქვს წინადადება:  
მაშინებში — დინამიტი!  
და ქარხნები ხვალვე ავარდებიან ჰაერში.  
მაშინები გვბუთავენ, როგორც საყასბოში ცხოველებს.  
მაშინები გვწოვენ სისხლს.  
მაშინები აქცევენ ჩვენ სხეულს  
ბურღებად და ქანჩებად  
სამ მილიმეტრიან... ხუთ მილიმეტრიან... ქანჩად...  
თვალებს გვიბნელებენ და ხელებს გვიხმობენ.  
ცოცხლები ვიხრწნებით ჩვენ.  
ძირს მაშინები? ძირს ქარხნები!  
(ყვირილი ცალ-ცალკე)





საქართველოს  
საბჭოთაო რევოლუციის  
სამხრეთ-დასავლეთი

ძირს მაშინები! ძირს ქარხნები!  
(ტრიბუნაზე აღის ქალი)  
ქალი.—უწინ ჯერ კიდევ ბრმა,  
დატანჯული მაშინათა წამებით,  
შეც ასე ვიძახოდი სასოწარკვეთილი.  
მაგრამ სიზმარია ის რაც თქვენ გატყვევებთ:  
ღამის კოშმარი შეშინებულ ბავშვების,  
გაიხსენეთ: ჩვენ ხომ მეოცე საუკუნეში ვართ.  
იციოდეთ:  
ქარხნის დამსხვრევა აღარ შეიძლება.  
მიწის ყოველი კილით მოზილეთ დინამიტი  
და ღამეს ერთსა ააფეთქეთ ყველა ქარხნები,—  
ისინი აღზდგებიან ახალი გაზაფხულით  
და იცოცხლებენ, სასტიკები, როგორც წინად.  
მაგრამ ქარხანა ნუ იწეება ბზტონი  
და კაცი მისი მონა.  
დეე, გადაიქცეს იგი უკეთესი სიცოცხლის მსახურად!  
სული ადამიანის დაიმორჩილებს ქარხანას!

**ჯგუფი ახალგ. მუშების.**—ჩვენ კი—დალუბვა?  
ჩვენ ვიხრჩობით სასოწარკვეთაში და სიღვეში,  
პალატებს აშენებენ თავისთვის ბატონები,  
ჩვენი ძმები კი ლბებიან სანგრეებში.  
გვერდით მხიარულებაა და ცეკვა:  
ჩვენ ვტირით, როცა ღამით ვკითხულობთ მათზე.  
ჩვენ გვწყურია ცოდნა.  
მათ წააკართვეს ჩვენ საუკეთესო ჩვენი  
და აქციეს სიღვიდ რაც იყო უკეთესი.  
მხოლოდ მას ვხვდებით ჩვენ—თეატრებში.  
იგი ღამაზია.. ნაზია.. და სასტიკი.  
მათ ჩააღპეს ჩვენი სიუმაწვილე შკოლებში.  
მათ დატყეს შკოლებში ჩვენი სული.  
აი აქ ვკვივით ჩვენ უბრალო გაჭირვებაზე...  
თქვენ გრძნობთ—ცხელ ორთქლების გასაჭირს!  
ვინა ვართ ჩვენ ეხლა?  
ჩვენ არ მოვიცდით!

**ჯგუფი სოფლის მუშების.**—მათ გამოგვაგდეს ჩვენ დედა-მიწისაგან.  
ისინი მიწას ყიდულობენ, ვით ქუჩის გოგოს.  
ისინი თავს ირთობენ ჩვენ უხვ დედა-მიწაზე.  
ჩვენ გაგვრეკეს მათ საიარალო ქარხნებში.  
ჩვენ ვხმებით—ჩვენს ველებს დაცილებულნი.  
ჩვენს ძალას ამტვრევენ ქალაქები.





ქართული  
ლიბრარი

მიწა გეინდა!

მიწა ყველ სათვის!

მასსა.—(ზალაში)

მიწა ყველასათვის.

ქადი. — მე ჩამოვიარე შეშების უბნები.

ყავრიან სახურავიდან სდიოდა რუხი წვიმა.

კედელზე გაზდილიყო ნესტიანი ობი

შეველ მე ქოხში. იქ იჯდა უფეხო.

იგი ბუტბუტებდა: იქ, გარეთ, არაა უარესი!

აქ ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც ღორების ფარეხში...

ხომ მართალია? როგორც ღორების ფარეხში“...

მისი თვალები მორცხვად ილიმოდენ

და შემოცხვია მე.

ამხანაგებო! თქვენ გინდათ გამოსავალი?!

ერთი გამოსავალი გვაქვს ჩვენ —

სუსტებს, ომის მოძულეთ.

და ეს გამოსავალი არის — გაფიცვა.

ხელს ნუ გავანძრევთ...

დიახ: ჩვენი საქმე გაფიცვაა!

ჩვენ, სუსტები, გავხდებით გრანიტის უმ. გრესი.

ჩვენ ძალადობის გარე გავარღვევთ ბორკილებს,

არ არის იარაღი, ჩვენ რომ დაგვძლიოს.

იხმეთ მდუმარე ბატალიონები!

მე გეუბნებით თქვენ: გაფიცვა!

თქვენ გესმით?!

მე გეუბნებით თქვენ: გაფიცვა!

მეექვსე წელია: ჩვენ სხეულს ომი სჯამს.

ორსულნი ვარდებიან გზაში

სიმშილის გამო მათ აღარ ძალუძთ.

მუცელში ატარონ შთასახულები.

თქვენს ქოხებში ბატონობს ვასაჭირი.

სიგიფე, ავადობა, მწვანე სიმშილი, —

და იქ — გაიხედეთ — იქ კი

ბირეებზე იმართება ვაკხანალია.

შამბანიურით ასველებენ იქ გამარჯვებას.

ხურუშიანი ურცხვობა ცეკვავს იქ

ოქროს ტახტების გარშემო.

ირგვლივ კი თქვენ ხედავთ თქვენ დაღალულ ძმებს?

გრძნობთ თქვენ: როგორ ცახცახებენ მათი სხეულები

საღამოს სინესტეში?

ნოდის თქვენამდე გახრწნის სურნელება?

გესმით თქვენ მათი ოხერანი?



მიპასუხეთ: თქვენ გესმით მათი კივილი?

„ჯერი თქვენზეა:

იარაღების ლულებს მიკრულნი—

ჩვენ უძლურნი ვართ.

ჩვენ გიხმობთ თქვენ:

თქვენ უნდა დაგვეხმაროთ!

თქვენ ხიდი ხართ!“

თქვენ გესმით?

თქვენ გეუბნებით მე: გაფიცვა:

ვინც ასახდოვებს უიარაღო საწყობებს,

იგი ძმის გამცემია.

არა: გამცემი არა—

იგი საკუთარ ძმის მკვლელია.

თქვენ—ქალებო!

თქვენ გეხსომებათ გადმოცემა ქალებზე,

რომლებიც უნაყოფოებით დაისაჯენ

მისთვის, რომ სჭედდენ ჯავშანებს?!

დაივიწყეთ თქვენი ქმრები სანგრეებში!

მე გეუბნებით თქვენ: გაფიცვა!

**მასხა.**—ღიახ: გაფიცვა!

ჩვენ ვაცხადებთ:

გაფიცვა!

(მასხიდან გამოდის უსახელო—ადის ტრიბუნაზე.)

**უსახელო.**—ვისაც სურს ხიდის აშენება,

საფუძველზე უნდა იფიქროს.

გაფიცვა კი: ეს წვრილი, სუსტი ხიდია,

ჩვენთვის ცოტაა გაფიცვა.

უკეთეს შემთხვევაში

გაფიცვით მივალწევთ მშვიდობას.

კიდევ ერთხელ მშვიდობას,

წამიერ შესვენებას, ხოლო არა მეტს.

ომთან ჩვენ საქმე უნდა გავათავოთ:

საბოლოოდ, საუკუნოდ.

მაგრამ უწინარეს—ომი: გადამწყვეტი, უკანასკნელი.

რა სარგებლობაა, რომ ჩვენ ომს გავათავებთ?

მშვიდობა, რომელსაც თქვენ მოიპოვებთ,

არაფრით არ შეცვლის თქვენს ბედს.

ასე: ან მშვიდობა და ძველი შაგი ხვედრი,—

ან ბრძოლა და მასთან სიცოცხლე ლამაზი.

სულელნო! ფუძენი დაღეწეთ!

ფუძენი დაღეწეთ! გეუბნებით მე.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა





და დეე: წაიღოს წარღვნამ  
 დამპალი სახლი  
 ოქროს ჯაჭვებით შეკრული,  
 ჩვენ უკეთესს ავაგებთ სახლს,  
 მუშებს—ქარხნები  
 და არა კაპიტალს ბატონს!  
 წავიდა ის დრო,  
 როცა იგი ჩვენი ზურგებიდან  
 ზვერავედა სხვის საგანძურებს,  
 ამონავებდა სხვა ტომებს,  
 იგონებდა ომს, ყვიროდა გაზეთებით:  
 „სამშობლოსათვის“!.. „სამშობლოსათვის“!..  
 ხოლო ნამდვილ სიმღერას კი მაღავედა.  
 „ჩემთვის“!.. „ჩემთვის“!..  
 ის დრო გადავარდა—  
 და ესლა მთელს ქვეყანაზე მასსების მოთხოვნაა:  
 მუშებს—ქარხნები!  
 მუშებს—ხელისუფლება!  
 და ყველა—ყველასათვის!  
 მე გეუბნებით თქვენ: გაფიცვა არ კმარა!  
 მე ვამბობ: ომი!  
 მე ვამბობ: ამბოხება! ❄  
 იქ, ზევით, ჩვენი მტერი  
 არ უსმენს ლამაზ სიტყვას.  
 ძალას—ძალა!  
 ამბოხება! ამბოხება!

**ხმა.**—იარალი აიღეთ!

**უსახელო.** დიად: იარალი გვინდა ჩვენ.

იშოვეთ იარალი. ყველაფერი შეტევითვის  
 ჩვენი ხმაა: „გამარჯვება“!..

**ქალი.**—ისმინეთ ჩემი.

მე არა მსურს...

**უსახელო.**—ამხანაგო, დაჩუმდით!

ხელის ჩამორთმევით, ხვეწნით და თხოვნით  
 ბავშვებს ვერ გახდით.

ტლექიანებს ვერ მოარჩენთ წყალით.

ტყე რომ გაეჩეხოთ—გვინდა წალღები.

**ქალი.**—ისმინეთ...

მე არ მინდა მკვლელობა.

**უსახელო.**—ამხანაგო, დაჩუმდით!

ჰო, თქვენ რა იცით?





საქართველოს  
საბჭოთაო მემკვიდრეობის  
სამეცნიერო ცენტრი

თქვენ გრძნობთ ჩვენ ტკივილს—თანახმა ვარ,—  
მაგრამ გახდებოდით თქვენ მაღაროებში  
ათი საათი მუშაობა?

ნესტიან კუთხეებში—დაგდებული ბავშვები...  
ათი საათი მუშაობა—შინ—ბავშვები:

და ასე: დღეებზე დღეები.

აი ხვედრი მასსის;

მე ვარ მასსა!

მასსა კი ბეღია!

**მასსა** ჩვენ ბეღი ვართ...

**ქალი**.—მოიფიქრეთ:

მასსა უძღურია.

იგი სუსტია.

**უსახელო**.—ჰო! შეგნებას დასცილდით!

არა: მასსა წინამძღოლია.

მასსა ძალაა.

**მასსა**.—ღიას—ძალაა.

**ქალი**.—გრძნობა რყევადია—

მაგრამ სინიღისი მეუბნება—არა.

**უსახელო**—დაჩუმდით!

დაჩუმდით საქმისათვის.

რას ნიშნავს პიროვნება?

და გრძნობა პიროვნების?

რას ნიშნავს სინიღისი?

ფასეულია მხოლოდ მასსა.

იფიქრეთ: ერთი სისხლიანი ომი—

და შემდეგ მარადი მშვიდობა.

არა მასკარადი, როგორც წინად

თმი ფარული—

თმი ძლიერთა სუსტების წინააღმდეგ.

იფიქრეთ: გათაუდება გაჭირდება.

იფიქრეთ: გაჭირებიან დანაშაულნი.

ამოდის განთიადი ხალხების.

თქვენ გგონიათ: ჩემთვის აღვილია თქმა?

ჩვენთვის საჭიროა თმი.

თქვენ, ამხანაგო, თესავთ განხეთქილებას.

მაშ საქმისათვის:

დაჩუმდით!

**ქალი**—შენ... შენ... მასსა...

შენ... შენ... მართალი ხარ.

**უსახელო**—ამხანაგებო!



ფუძენი ამართულია.  
 ვინც გზახე დავვიდგება — იქნება დამსხვრეული.  
 ჩვენ საქმე ვართ!  
 შასსა — ჩვენ საქმე ვართ!



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

(სცენა ბნელდება)

ს უ რ ა თ ი მ ი ო თ ხ ე

(ხილვა)

მოსჩანს მკრთალად: ღამის სიბნელით მოცული ეზო. გალავანი. ეზოს  
 შუაში, მიწაზე, ფანარი. საცოდავი სინათლე. ეზოს კუთხეებიდან  
 გამოჩნდებიან მუშები-დარაჯები.

დარაჯი 1 (მღერის) — დედამ  
 თხრილში მშობა.

ლა — ლა + ლა — ლა.

გმ... გმ...

დარაჯი 2 — მანამ

მთერალმა

ხელიდან გამაგდო.

დარაჯები — ლა — ლა — ლა — ლა.

გმ... გმ...

დარაჯი 3 — სამი წელი

საპატრიოტოში

შაღობდენ...

დარაჯები — ლა — ლა — ლა — ლა.

გმ... გმ...

(საიდგანაც ლანდური ბიჯით ახლოვდება უსახელო იგი ფანარის  
 ახლო დგება).

დარაჯი 1 — მამილოს

დაავიწყდა

ექვთია ჩემთვის.

დარაჯები — ლა — ლა — ლა — ლა.

გმ... გმ...

დარაჯი 2 — დედილომ

სული

ღმერთს ჩააბარა:

დარაჯები — ლა — ლა — ლა — ლა.

გმ... გმ...

დარაჯი 3 — მოქალაქენი

დღესასწაულზე

შევაწუხე.





ქართული  
საქმიანობა

დარაჯები — ლა — ლა — ლა — ლა.  
გმ... გმ...

უსახელო — ცეკვა!  
მე დაუჯრავ!

დარაჯები — შეჩერდი!  
ვინა ხარ?

უსახელო. — განა მე ვიკითხე  
თქვენი სახელები —  
უსახელონო?

დარაჯები. — ჰაროლი?

უსახელო. — მასსა უსახელოა.

დარაჯები. — უსახელოა.  
ეს — ჩვენია.

უსახელო. მე დაუჯრავ.  
მე მოამბე ვარ  
გადაწყვეტის.

(უსახელო უჯრავს გარმონიკას. რიტმები: გზნებარ მოალერსენი, ხან  
ძალზე ხნიერნი. მსჯავრდებული გამოდის სიბნელიდან. ყელზე — თოკი)

მსჯავრდებული. — მათი სახელით,  
ვისაც მისჯილი აქვს  
სიკვდილი.

მე ვითხოვ უკანასკნელ წყალობას:  
საცეკვაოდ დაპატიუებას.  
ცეკვა არსია ნიფთების,  
და სიცოცხლე.  
ცეკვისაგან შობილი,  
გვიზიდავს ცეკვისაკენ,  
მზიარულ ცეკვისაკენ,  
სიკვდილის ცეკვისაკენ  
და დროისა.

დარაჯები. — უკანასკნელი თხოვნა  
სასჯელდებულთა  
უნდა ასრულდეს:  
ვითხოვთ:

უსახელო. — აქეთ!  
ერთი მფორესთან!

მსჯავრდებული. — (ყვირის სიბნელეში)  
ვისაც სიკვდილი აქვს  
მისჯილი,  
აქეთკენ!  
უკანასკნელ ცეკვისათვის!



შიატოვეო,

კუბოები.

(მსჯაურდებულნი, თოკებით ყელზე, გამოდიან სიბნელედიან, დარაჯე-  
ბი და მსჯაურდებულნი ცეკვავენ უსახელოს ირგვლივ).

დარაჯები. — (მღერიან)

თხრილნი გვშობეს...

(ცეკვა გძელდება. მოკლე პაუზა.)

დარაჯები — დაგვალპეს საპატიმროში..

(ცეკვა გძელდება. უსახელო მკვახკედ შეწყვეტს, გოგოები და მსჯაურ-  
დებულნი ნიიფანტებიან ეზოს კუთხეებში. მათ ღამე ნატაეს.  
სიჩუმე იშმუშნება უსახელოს გარშემო. შემოდის თანამგზავრი და-  
რაჯის სახით. ქალს იბუტებს.)

თანამგზავრი. — გზა.

მძიმეა,

მაგრამ მიღწეულით

გამოისყიდვის.

შეხედე:

ეხლა

დრამა დაიწყება.

თუ გსურს.

იყავ მონაწილე.

(დარაჯებს მოჰყავთ ტყვე. სახე-ქმარის მოჰყავთ იგი უსახელოსთან).

უსახელო. — ტრიბუნალმა

განსაჯა?

დარაჯი. — სიკვდილი

მიუსაჯა თავის თავს თვითონ.

ჩვენ გვესროდა..

ბჰვე. — სიკვდილი?

უსახელო. — გეშინია?

მაშ ისმინე!

დარაჯო! პასუხი!

ვინ გასწავლათ თქვენ

სასიკვდილო განაჩენი?

ვინ მოგცათ თქვენ იარაღი?

ვინ გეუბნებოდათ თქვენ: „ღვაწლი“ და „გმირი“?

ვინ აკურთხა ძალადობა?

დარაჯები. — შკოლებმა.

ყაზარმებმა.

ომმა.

უსახელო. — ძალადობა... ძალადობა...

შენ რად ისროდი?





ქართული  
ბიბლიოთეკა

ღვწე. — მე შევფიცე  
მთაწრობას.

უსახელო. — მოკვდები  
საქმისთვის.

ღარაჯები. — გაეკარ კედელს!

უსახელო. — თოფები გატენილია?

ღარაჯები. — გატენილია...

ღვწე. — (კედელთან)

სიცოცხლე!

სიცოცხლე!

(ქალი გამოუვარდება ხელიდან თანამგზავს)

ქლი. — ნუ ესვრით!

ჩემი ქმარია.

აპატიეთ მას,

როგორც მე ვაპატიე.

პატიება უდიდესია

ვიდრე ბრძოლა.

უსახელო. ისინი კი  
გვაძლევენ ჩვენ პატიებას?

ქალი. — იბრძვიან ისინი

ხალხისათვის?

იბრძვიან ისინი

კაცობრიობისათვის?

უსახელო. — მასის საქმეა!

ღარაჯები. — გაეკარ კედელს!

ღარაჯი. — პატიება სიმბდალვა.

გუშინ მე გაუსხლტი

მტრებს ხელიდგან.

მათ დამაყენეს მე

კედელთან.

შემკრეს თოკით.

გვერდით —

კაცი:

ჩემს მოსაკლავად.

საფლავი

გაკთხარე

საკუთარი ხელით.

ჩვენ წინ

ფოტოგრაფი:

რომელიც იჩქაროდა

აღებულა მკვლელობა



თავის ფირფიტაზე.  
მივაფურთხებ მე  
რევოლუციას,  
თუ ჩვენ მოგვატყუეს  
საზიზღარ მკვლევებმა.

დარაჯები. — გაიკარ კედელს!  
(სახე ტყვესი იქცევა დარაჯად)

ქალი. — (დარაჯს)  
გუშინ იდექ შენ  
კედელთან.  
დღეს კიდევ.  
დგახარ.  
ეს შენა ხარ —  
დღეს  
კედელთან  
კაცი —  
ეს შენა ხარ.  
იკან თავის თავი,  
ეს შენა ხარ.

დარაჯი. მასსა წმინდაა.

ქალი. — კაცია წმინდა.

დარაჯები — მასსა წმინდაა.

ქალი. — მე გნებდებით...

ყველას

(აღი სიცილი დარაჯების. ქალი დგება ქმრის ახლო)

ქალი. — ისროლეთ!

მე უარს ვყოფ!

(სცენა ბნელდება).

### სურათი მესამე.

დარბაზი. ფანჯრებში მოცურავს ალიონი. ტრიბუნა განათებულია  
მკრთალი სინათლით. გძელ მაგიდასთან სხედან: მარცხნივ ქალი,  
მარჯვნივ უსახელო, კარებთან — დარაჯები. მაგიდებთან — ბუშები:  
ვაჯები და ქალები.

ქალი. — არის ახალი ამბავი?

მაპატიეთ ამხანაგებო; მიმეძინა.

უსახელო. — ცნობა ცნობაზე მოდის;

ომი — ომი,

თამაში სისხლიან ძალების

და გაბედულ გეგმების.



სადგური დავიკავეთ შუალაძისას.  
 ლამის პირველზე უკან დავიხიეთ.  
 ეხლა ბიტალიონები მხად არიან  
 იხალ იერიშებისათვის.  
 ფოსტა ჩვენ ხელშია.  
 ან წამს

ჩვენზე უხმობს ტელეგრაფი ხალხებს.

ქალი: — წმინდა სიტყვაა — საქმე!

უხახელი. — წმინდა სიტყვა!

და თხოულობს რკინეული ჯავშანს.  
 და თხოულობს არა მარტო ფიცხელ სიტყვებს,  
 არამედ უსაშველო ბრძოლებს.  
 (სიჩუმე)

ქალი. — არა. არ მუშაძლია მივიღო  
 ძალმოპრობა რკინისა და იარაღის.  
 ძალადობს სულიერი იარაღი.

უხახელი. — ძალადობს უბრალო სიტყვა...

ჰო, ნუ შეშფოთდებით:  
 მე საგნებს მიშველს ვიღებ.  
 თქვენსავით რომ ვფიქრობდე,  
 ბერად ფიქცეოდი მონასტერში,  
 საცა მარადი დუნილია.  
 (სიჩუმე მძიმედ ეფინება ხალას. შემოდის  
 პირველი მუშა).

მუშა 1. — მე მოველ მოხსენებით.  
 სამჯერ შევუტიეთ სადგურს.  
 ცხედრებით ავსილია ნოფდანი.  
 ისინი ჩასხდენ მაგრიად:  
 საიშედოდ იარაღასხმულნი.  
 იქ: მინებია, გაზები, ცეცხლისმფრქვეველნი.

უხახელი. — თქვენ სამჯერ შევუტიეთ.  
 მეოთხეჯერ?

მუშა 1. — მეოთხეჯერ ვერ შევძელით!  
 თეთრები შეტევაზე გადმოვიდენ.

უხახელი. — თქვენ გაუძელით?  
 გქირდებით დახმარება?

მუშა 1. — ჩვენ ძღვეულნი ვართ.

უხახელი. — საჭირო იყო უტეხი დახვედრა.  
 გასწი მეცამეტე უბანში დაიხსომე:  
 იქაა მარქათი ძალა.  
 გასწი იჩქარე!



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა





ქართული  
საბავშვო

(მუშა 1 გადის)

ქალი. — იგი მკვდრებზე ლაპარაკობდა:

ასობით, ათასობით.

განა არ ეკიოდი მე გუშინ ომის წინააღმდეგ?

გუშინ... და განა დღეს

ნებას დავრთავ, რომ მშვებს ხოცავდენ?

უსახელო. — არა, თქვენ არა ხართ მართალი.

გუშინ ჩვენ ვიბრძოდით, როგორც შონები.

ქალი. — დღეს?

უსახელო. — დღეს ჩვენ ვიბრძვით, როგორც მოქალაქენი.

(სიჩუმე კანკალებს)

ქალი. — გუშინ... დღეს... ხალხი...

გუშინ... დღეს... ხალხი...

მუშა 2. — ფოსტა იიღეს.

ჩვენი რაზმები გარბიან.

მტერი უღმობელია:

ტყვეთა ხვედრი სიკვდილია.

(აჩქარებით შემოდის მუშა პირველი)

მუშა 1. — მე მოველ შეტამეტე უბნიდან.

წრომა ფუჭია.

ქუჩები გარს-შემორტყმულია-

უბანა დაივდო იარაღი.

უბანი დანებდა.

მუშა 3. — ქალაქი დაგკარგეთ.

არ მოხერხდა დაცვა.

ქალი. — არც მოხერხდებოდა.

უსახელო. — კიდევ ერთხელ გუშინებით: დაჩუბდით!

გამარჯვება იქნება.

დღეს თუ არ იყო საყოფი ძალა —

ხვალისათვის აღდგებიან ახალი რაზმები.

მუშა 4. (ყვირის) ისინი გვიახლოვდებიან!

ელექტრა საწინელი. ცოლი ჩემი მოკლეს.

მამა დაშიხვრიტეს.

უსახელო. ისინი ჩვენთვის დაიღუპენ.

შეი! მაღლა — ბარრიკადები!

ჯერ კიდევ ძლიერნი ვართ

და ვიბართვით ომისაკენ!

დეე მოვიდენ!

(მუშები შენოცვივდებიან)

მუშა 5. ისინი აწამებენ





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

კაცებს, ბავშვებს და ქალებს.  
ჩვენ არ დაფნებდებით —  
რომ დაგკვლან, როგორც ცხოველი.  
ისინი აწამებენ!

მაშ დავიცვათ თავი!  
მათ საზღვარგარეთ იცავდა კანონი.  
ჩვენზე ნადირობენ, როგორც მხეცვებზე უდაბნოში.  
ჩვენი თავებისთვის ჯილდოებს იძლევიან.  
ჩვენ ხელთაა იარაღი:  
ჩვენთან არიან ბურჟუაზიის მძევლები.  
მე გავუც ბძანება: ნახევარი დახვრიტაო.  
დანაოჩენს დახვრეტენ შემოტყვის დასაწყისს.

**უხახელო.** — თქვენ იძიეთ შური ძმებისათვის.

ჩვენ ვართ შურისძიება მარადი შეურაცხებისვის.  
ჩვენ ვართ შურისძიება.

**მუშები.** — ჩვენ ვართ შურისძიება;

**ქალები.** — თქვენ დაგაბრძანათ ბრძოლის გატაცებამ.

მე თქვენ გაგაჩერებთ.  
თქვენ ხართ ხალხი მოყვარული!  
თქვენ ხართ ერთობა.  
კომმუნა არ არის შურისძიება.  
კომმუნა ამსხვრევს უკანონოების ფუძეებს,  
ტყუს სამართლიანობისას ზღის კომმუნა.  
დაიღუბება შურისმაძიებელი.  
თქვენ ნახევარი დახვრიტეთ.  
დახვრეტა არ არის თავდაცვა.  
ბრმა გახელება არ არის ვალის მოთხოვნა  
თქვენ ჰკლავთ ხალხს.  
და ხელს არ ახლებთ სახელმწიფოს სულს,  
რომელსაც თქვენ ებრძვიათ.

მე ვიცავ ტყვეებს.

დიახ: მე მხად ვყავ

მასისათვის

ძალა მუხმარა უცნობის მიმართ

მაგრამ აი ვიძახი მე:

„დააქციეთ სისტემა“!..

შენ კი ხალხის დაქცევა გსურს.

მე დღეს არ შემიძლია დუმილი — არა!

იქაც ხომ ხალხია,

დედათა ტანჯვით მობილი...

დიახ: აღამიანნი — ძმებია...



უსახელო.— უკანასკნელად, ამხანაგო: დაჩუმდიო!

აი! ძალა! ძალა!

ჩვენ მტრები არ გვიბრალევენ.

სასტიკ ბრძოლაში სირბილით და ალერსით

შეუძლებელია გამარჯვება...

ნუ უსმენთ მას!

ქალის სიტყვებია ფუქსავატი.

ქალი.— მე გეუბნებით თქვენ: „შეჩერდით“!..

თქვენ კი... ვინა ხართ თქვენ?

ნუ თუ დაგათროთ სურვილია ხელისუფლებისამ,

საუკუნო ტყვეობიდან გამოვარდნილმა?!

ვინ... თქვენ...

ჩემი .. ღმერთი... ვინ... თქვენ...

მკვლელი... თუ... მხსნელი... ვინა ხართ თქვენ?

ვინა ხართ თქვენ: უსახელო?

თქვენ?!

უსახელო.— მასსა.

ქალი.— თქვენ... მასსა...

მე არ გამოგყვებით თქვენ!

მე ვიცავ ტყვეებს.

მე მრავალი წელი ვიყავ თქვენი მეგობარი.

თქვენ იტანჯოდით უფრო ვიდრე მე... ვიცი...

მე ვიზღებოდი ნათელ ოთახებში.

მე არ მცოდნია სიძშილი.

დამპალ საკედლე ქალაქის სიცილი არ მსმენია.

მაგრამ თქვენთან ერთად მაქვს გრძნობა

და გიცნობთ თქვენ.

მე მოედივარ თქვენთან ბავშვის ხვეწნით—

გთხოვთ დამშვიდებით:

დაშიჯერეთ მე!

დაანგრეთ ფუქენი უკანონოების!

დალეწეთ ფარული ბორკილები მონობის!

დაამხხვრიეთ მძულვარება!

დალეწეთ შურისძიება!

შურისძიებაში არ არის ნება ქვეყნის ხსნისა.

არ არის მასში რევოლიუცია.

შურისძიება ის რკინაა ხმალის,

რომელიც განკვეთს ცეცხლეულ ნებას—

ელვარე ნებას რევოლიუციისას.

უსახელო.— როგორ ბედავ შენ— იქიდან მოსული

მხდალად სწამლავდე გადაწყვეტის წამს?



ქართული  
ლიბრარი





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შენ სიტყვებში მე მესმის სხვა რამ:  
'შენ ვიცავ მათ, ვისთანაც ვიზღებოდი.  
აი ასსნა.

'შენ გვიღალატე!  
(მასსა მუჭარით შემოეხვევა ქალს).

მასსა. გვიღალატა:

ხმა. — ინტელიგენტია:

ხმა. — გაეკარ კედელს!

უსახელო. მათი დაცვით შენ ჩვენ გვიღალატობ.

ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ.

ყოვლის გარეშე.

ვინც ჩვენთან არაა, იგი ჩვენი წინააღმდეგია.

მასისათვის..

მასსა. — მასსა.

უსახელო. — შენ დაქვრივი ხარ.

ქალი. — შე ვიცავ მათ, ვისთანაც ვიზღებოდი?

არა, არა, შე თქვენ ვიცავთ.

თქვენა ხართ კედელთან.

- მე ვიცავ თქვენ სულებს.

მე ვიცავ ადამიანის გენიას.

შეწლილო ბრალმდებელო!..

რა?.. შიში?..

რომ შე ასე დაბლა...

არა, უმჯობესი იქნებოდა...

შენ სტყუი! შენ სტყუი!

(შემოდის მუშა).

მუშა. — ერთი ტყვე კენესის, კენესის..

კენესის უწყვეტლივ..

სურს ქალის ნახვა..

უსახელო. — აი საბუთიც!

ქალი. — კიდევ ერთხელ გეუბნები: 'შენ სტყუი..

ვინ მამობილობს იქ? ვინ მამობილობს იქ?

შესაძლოა, ჩემი ქმარია...

მას დღეს მე არ გავცემ...

თქვენ თვითონ გავცით თავის თავი დღეს..

მე არა ვიცი რა..

(უსახელო ჩამოდის ტრიბუნიდან და

ჰქრება მასსაში. ზალაში შემოვარდებიან,

მუშების ახალი ბრბოები).

მუშები. — დავიღუპეთ!

ხმები. — გავიქცეთ!





ქართული  
ბიბლიოთეკა

შევეუტით!

(სცენის უკან—სროლა. მუშები კარს მოასკდებიან).

**ხმები.**—კარი დაკეტილია.

უურდგელიყით ვართ ხაფანგში..  
(სიჩუმე სავსე სასიკვდილო შიშით).

**ხმა.** სიკვდილი!

(ვიღაც იწყებს „ინტერნაციონალის“ მღერას.  
სხვები აყვებიან).

**სიმღერა.**—„აღსდევ, ბედშავო, შრომის შვილო,  
ქვეყანავ მშიერ-მონების!

საბედისწერო ომში გვიწვევს.

ჩვენ აღშფოთება გონების.

ცხოვრების ძველსა წესრიგს მოვსპობთ,  
აღმოვფხვრით ძირფესვიანად.

და შემდეგ ახალ წყობას შევქნით,  
დაჩაგრულთ გაგბდით სვიანად.

ეს არის მედგარი ჩვენი.

გადამწყვეტი ბრძოლა.

ინტერნაციონალში.

ჰპოებს შვიბას ყველა“.)

(სროლა შესწყვეტს სიმღერას. კარები იმსხვრევიან.

შეზოვარდებიან ჯარისკაცები თოყებით).

**აფიცერი.** წინააღმდეგობა ხედმეტია.

ჰეი! ხელები-ზევით!

სადაა თქვენი წინამძღოლი ქალი?

შენ არ გცნებდები?

შეჰკარით!

(ჯარისკაცები შეჰკრავენ ქალს. სცენა ბნელდება).

## სურათი მეთექვსე.

(ხილვა).

შუაში—კამერა გნათიებული. დაჩოქილი ქალი (ქალის სახე) იქვე  
თანამგზავრი (სახე მცველის).

**პატიმარი ქალი.**—სადა ვარ  
მე?

**მცველი.**—აღამიანთა  
სამხეცეში.

\*) მიღებული თარგმანი სასამღეროთ  
გამართული.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

- პატ. ქალი.—გაიფანტონ აჩრდილები:  
მცველი.—გარეკე თითონ.  
(გამოჩნდება რუხი მოჩვენება უთავო).
- მოჩვენება 1.—მე  
დახვრეტის  
შენობ შენ?  
მკვლელი?
- პატ. ქალი.— მე დამნაშავე არა ვარ.  
(გამოჩნდება მეორე მოჩვენება უთავო)
- მოჩვენება 2.—ჩემი  
მკვლელი!
- პატ. ქალი.— შენ სტყუი!  
(გამოჩნდება მესამე მოჩვენება უთავო)
- მოჩვენება 3.—ჩემი მკვლელი!
- მოჩვენება 4.—ჩემიც!
- მოჩვენება 5.—ჩემიც!
- მოჩვენება 6.—ჩემიც!
- პატ. ქალი.—პოი: მცველო!  
მცველო!
- მცველი.—ხა-ხა!  
ხა-ხა-ხა-ხა!
- პატ. ქალი.—მე არ მსურდა  
სისხლი.
- მოჩვენება 1.— შენ სდუმდი,  
მოჩვენება 2.—სდუმდი—  
როცა პარლამენტს თავს დაესხენ.
- მოჩვენება 3.—სდუმდი სამხედრო საწყობების  
დანგრევის დროს.
- მოჩვენება 4.—შენ სდუმდი ბრძოლაში.
- მოჩვენება 5.—სდუმდი—  
როცა დახშარება მოდიოდა.
- მოჩვენება 6.—შენ დამნაშავე ხარ.
- მოჩვენებანი.—დიახ: დანნაშ.ვე.
- პატ. ქალი.—სხვები  
მინდოდა მე  
შეხსნა  
სიკვდილისაგან.
- მოჩვენება 1.—თავს ნუ ატყუებ.  
პირველად ჩვენ მოგვკლეს!
- მოჩვენებანი.—მკვლელი!
- პატ. ქალი.—მე... მე...





ქართული  
საქმიანობა

მოჩვენებანი. — დამნაშავეა!

დამნაშავეა სამკეც!

პატ. ქალი. დიახ... ნე... დამნაშავე ვარ...

(მოჩვენებანი ჰქრებიან. საიდვანაც გაჩნდებიან ბანკირები ცილინდრებში).

ბანკირი 1. — აქცია დანაშაულის.

ნე ვიდღევი

ნომინალით.

ბანკირი 2. — დანაშაულის აქცია

ღირს

არაფერი.

ბანკირი 3. — ის დაცა!

ქალაღდის ნახევია —

აქცია დანაშაულის.

ბანკირები. — გასაველში ავნიშნოთ

აქცია დანაშაულის.

(პატიმარი ქალი დგება).

პატ. ქალი. — ჰო... მუ... დამნაშავე ვარ...

(ბანკირები ჰქრებიან).

მცველი. — გულჩვილი

სულელი ქალი.

ესენი რომ ცოცხლობდენ

ცეკვა იქნებოდა

ოქროს საკურთხეველის ირგვლივ.

და მათთან — ათასები.

და მათთან შენც.

პატ. ქალი. — მე ვარ ადანიანი და ვარ დამნაშავე.

მცველი. — დამნაშავეა მასსა.

პატ. ქალი. — მე ორკეც ვარ

დამნაშავე.

მცველი. — დამნაშავე სიცოცხლე!

პატ. ქალი. — ბედია დამნაშავე!

მცველი. — ჩვენ ყველა ვცოცხლობთ.

და ვკვდებით ყველა.

კაციც.

ხეც.

ჩირგვიც.

იარაღები ბედის.

წინგახაზულ გზაზე:

გაიშლებიან

დაიმსხვრევიან.





ერეკლესია

მონასე თვითონ პასუხი:

სიცოცხლეა — ყოველი:

(საითგანაც მოდიან პატიმარნი სიკვდილ-მისჯილნი: სიკვდილ-მისჯილებში თაევზე — იარმინდები, საიდანაც ეწვევიან ჩერები: სახეს პფარავენ თვალუბისთვის ამოჭრილია სათვალენი გულზე ნომერი ყველას. სდგან კვადრატიულ. ჩუმად და ერთნაირ დადიან კამერის ირგვლივ).

პატ. ქალი. — ვინა ხართ თქვენ?

ნომრების ქვეშ?

უსახონი?

ვინა ხართ?

უსახოთა

მასსა?

(შორიდან ყრუ ექო).

ექო. — მასსა...

პატ. ქალი. — ჰოი, ღმერთო!

ექო. — მასსა...

(საჩუბე).

პატ. ქალი. — დიახ: მასსა — ბეღია.

და არ არის დამნაშავე.

მცველი. — დამნაშავე კაცია.

პატ. ქალი. — ღმერთია დამნაშავე.

ექო. — (შორით .

დამნაშევეა...

დამნაშავეა...

დამნაშავეა...

მცველი. — შენი ღმერთი შენშია.

პატ. ქალი. — მე დაუძლევე ღმერთს.

მცველი. — საცოდავი კია!

სიბილწე!

პატ. ქალი — მე წაეზილწე

ღმერთი?

თუ ღმერთმა

წაბილწა

ქმნილი?

საშინელი

კანონი დანაშაულის,

ბჭამელი

ძმების.

ღმერთი... ღმერთი...

სასამართლოსკენ!

მე ბრალსა ვდებ!





საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

ექვ — (შორით)

სასამართლოსკენ!

(პატიმარნი შეჩერდებიან. ხელებს ასწევენ).

პატიმარნი. — ჩვენ ბრალსა ვდებთ.

(პატიმარნი ჰქრებიან)

მცველი. — შენ მორჩი,

გამოდი

კამერიდან.

პატ. ქალი. თაფისუფალი ვარ?

მცველი. არა. \*

— თუმცა — კი.

(სცენა ბნელდება).

### სურათი ეფუძნება

საპატიმრო კამერა. პატარა მაგიდა. სკამი და რკინის ლოჯინი. ფანჯარა. მაგიდასთან ზის ქალი.

ქალი. — პო, გზა — მწიფე ყანების ველებზე

შემოდგომის დილით...

ხამთარში ხეტიალი მოვბში — გათენებამდის...

ელვარე სოჭო შუადღის კლმურში...

პოი, ქვეყანა!

(სიჩუმე მოიცავს ქალს).

ჩემი ბავში?

(სიჩუმე ირხვეა).

ოჰ, სიცოცხლის გაორება:

მე ქმართან შეკრული ვარ და საქმესთან.

დიახ: ქმართან. დიახ: მტერთან...

მტერთან?

მე შეკრული ვარ მტერთან?

თავის თავთან?

მოვიდეს იგი: მე უნდა დავრწმუნდე.

(კამერა იღება. შემოდის ქმარი).

ქმარი. — აი მეც მოველ...

შენ მოხმობაზე მოველ

ქალი. — ქმარი!..

ქმარი...

ქმარი. — მე მოველ სასიბარულო ამბავით:

ველარ გაბედავენ — მე... და... შენ...

გაგმურონ ტალახით მოსყიდულ მწერლუკებმა.

აუბაკო დაკითხვამ გამოარკვია,



რომ დახვრეტებში შენ წილი არ გიღვეს.  
გამაგრდი! განაჩენი ხელმოწერილი არაა.  
სამართალისათვის ცხადია,  
რომ შენი სწრაფვანი მშვენიერია.  
(ქალი ჩუმად ტირის).

ქალი.—ჰო, მე დამნაშავე არა ვარ.

ქმარი.— შენ არა ხარ დამნაშავე.

სამართალისათვის ეს ნათელია.

ქალი.—სამართალისათვის...

მე ასე ავად ვარ...

მე მიხარია, რომ სირცხვილი არ მოგეცხება.

ქმარი.— მე ვიცოდი, რომ შენ არ იყავ დამნაშავე.

ქალი.—ჰო, დიახ: შენ იცოდი..

შენ პატივსა სცემ რწმენას... შენ ზდილი ხარ...

ნათლად გხედავ...

შენ ხარ დამნაშავე... ქმარი...

მკვლელობაში!

ქმარი. მე მოველ შენთან...

შენს სიტყვებში... მტრობაა..

ქალი. მტრობა? არა!

მე ხომ მიყვარხარ შენ, ვით სისხლი ჩემი...

ქმარი. მე გაფროსილებდი შენ მასხის მიმართ.

ვინც აღვიძებს მასხას, ჯოჯობეთს აღვიძებს.

ქალი. მაგრამ ვინ შეჰქმნა ჯოჯობეთი?

და წვალება თქვენი ოქროს წისკვილების,

რომლებიც ფქვავენ დღე და ღამ მოგებას?

ვინ ააშენა საპატიმრო? ვინა სთქვა „ომი“?

ვინ შესწირა მილლიონი სიცოცხლე

შეძენისა და თამაშის საკუროთხვევლზე?

ვინ ჩაჰკეტა ადამიანი ბნელ ჯურღმულებში?

ვინ ჩამოაცალა ძმებს ადამიანის სახე?

ვინ მოჰდრიკა ისინი მებანიკით?

ვინ შეჰქმნა ისინი მაშინების ბურკეტებად!..

მთავრობამ და შენ!..

ქმარი. მე ერთგული ვარ მოვალეობის.

ქალი. ჰო... მოვალეობის.. სახელმწიფოს წინაშე.

ჰო, შენ ზდილი ხარ...

ნათლად გხედავ:

შენ რომ ზდილი ხარ...

გადაეცი მათ, ვინც აზროვნებს სამართლიანად,

რომ ისინი ყოველთვის მართალნი არ არიან...



ეროვნული  
ბიბლიოთეკა





ისინი დამნაშავენი არიან...  
ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ...  
მეც დამნაშავე ვარ ჩემ წინაშე.  
დამნაშავე ვარ ადამიანის წინაშე.

ქმარი. შენთან მოველ მე...

აქ სასამართლოა?

ქალი. დიახ: სასამართლო!

მე, ბრალდებული, — ვისანართლებ.

მე ბრალსა ვდებ... ვამბობ: დამნაშავენი არიან...

ვამართლებ მე...

ბრალი უკანასკნელი?...  
იცი შენ, ვისია უკანასკნელი დანაშაული?

საქმეთა მიმართ იმართვის კაცი —

ვინ შეღება ისინი ადამიანის სისხლით?

სიცოცხლისათვის ილტვის კაცი —

ვინ შეჭმნა ზღვა ადამიანის სისხლისა?

იცი შენ, ვისია უკანასკნელი დანაშაული?..

მოდო ჩემთან.. მომეც ხელი —

ჰო, ჩემო საყვარელო.

მე ვძლიე...

თავის თავი...

ვძლიე... შენც...

(ქმარი კანკალებს. რაღაც უცარი ფიქრი  
ამახინჯებს მის სახეს. ბარბაცობს და მიდის.)

ჰო, მომეც მე ხელი...

ჰო, მომეც მე ხელი, ძმაო.

ჰო, შენ ძმა ხარ ჩემი.

წახველ... შენ უნდა წასულიყავ...

გზა უკანასკნელი თოვლიან ველზე,

გზა უკანასკნელი საყვარელთ გარე,

გზა უკანასკნელი უშობლოთ,

გზა უკანასკნელი განმორტოებულია.

(კარი იღება. შემოდის უსახელო.)

უსახელო. ილიუხიები გაჭრენ?

მორჩი სივითასაგან?

ბასრი დანა შეცნობისა ეკვეთა შეკერდს?

სთქვა მსაჯულნა: „დაჯ“ და „ვაპატიებ“?

სასარგებლოა გაკვეთილი.

ეხლა კვლავ ჩვენი ხარ... მომილოცავს...

ქალი. შენ? ვინ გამოგვჩვენა შენ?

უსახელო. მე? მასსამ.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქალი. მაშ, მე არ ყოფილვარ დევნიებული?

შენ მოიტანე ამბავი... ამბავი...

უსახელო. მე მოწინააღმდეგე — შენ წავიყვანო.

ქალი. განთავისუფლება!

სიცოცხლე!

გაქცევა?

ყველაფერი მზადაა?

უსახელო. ორი მცველი მოსყიდულია მეგობრების მიერ

მესამეს კი მე მოვკლავ კართან.

ქალი. მოპკლავ ჩემთვის?

უსახელო. არა: საქმისათვის!

ქალი. მაგრამ მე უფლება არა მაქვს —

მკვლელობით ვიყილო სიცოცხლე.

უსახელო. მასსას აქვს უფლება შენზე.

ქალი. მცველის უფლება?

მცველიც ხომ ადამიანია?

უსახელო. არ არის „ადამიანი“!

არის ხალხი მასსის!

ხალხი სახელმწიფოსი!

ქალი. შიშველი კაცი.

უსახელო. წმინდაა მასსა.

ქალი. მასსა წმინდა არაა.

მასსა შექმნა ძალამ.

მასსა შექმნა საკუთრებამ.

რაა მასსა? გაქირვების კივილი.

დამდობი სიმშვიდე...

ავი შურისძიება...

უსივალო მონა...

გადამწყვეტი ნება...

რაა მასსა? — მიწაში ჩათვლილი ყანა.

რაა, მასსა? — დასახიჩრებული ხალხი.

უსახელო. საქმე?

ქალი. — საქმე!

საქმეზე მეტი:

ათავისუფლეთ მასსაში კაცი.

ათავისუფლეთ მასსაში ეროობა.

უსახელო. — მძაფრი ქარი ბჭესთან

გაშოგავს ხლებს.

იჩქარე!

წუთები დაგვრჩა.

ქალი. — შენ არა ხარ თავისუფლება,





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

შენ არა ხარ გამოხსნა.

მე ვიცი, ვინცა ხარ შენ:

„მოჭკალ!“

შენ ჰკლავ!

ვინ არის დედა შენი? — ომი.

მისი ბუში ხარ შენ,

„ხიზლმოცული მარშალი ახალი ჯალათების.

ერთი იგი შენ მხოლოდ: „სიკვდილი! გაქრობა!“

მაშ. ჩამოივდუ მოსასხამი შალაღი სიტყვების,

მოსასხამი ქაღალდის თხზულის.

**უსახელო.** შკელელთა ბელადები სახელმწიფოსთვის იბრძოდენ!

**ქალი.** მათ სწამდათ თავისი მოწოდება —

როგორც შენა გწამს.

ისინი აწამებდენ მოწოდებით.

**უსახელო.** — იბრძოდენ საზიზღარ სახელმწიფოსთვის.

ჩვენ კი ვიბრძვით ადამიანისთვის.

**ქალი.** — პო, თქვენ აწამებთ კაცისთვის,

როგორც ისინი აწამებდენ სახელმწიფოსთვის.

და სწამდათ მათ:

რომ სახელმწიფო მათი, რომ მამული მათი —

იხსნის მთელ ქვეყანას.

ნე განსხვავებას ვერ ვხედავ.

ერთნი აწამებენ თავის მხარესათვის

მეორენი — ყველა მხარეებისთვის მთელ ქვეყანაზე.

ერთნი აწამებენ ათასი კაცისათვის.

მეორენი — მილლიონთათვის.

ვინცა ჰკლავს სახელმწიფოსათვის,

იგი ჯალათია?

ვინცა ჰკლავს კაცისათვის,

მას — გვირგვინი: იგი კეთილშობილია,

დიდებულია, განთქმულია, წმინდაა.

თქვენ ლაპარაკობთ წმინდა ძალიდობაზე!

**უსახელო.** — ამტყუნე სხვები

და თვითონ სიცოცხლეს!

მაშ, უღელ ქვეშ დავტოვოთ მილლიონები,

მხოლოდ მისთვის, რომ მტარვალნი კეთილშობილია?

და განა შენ ნაკლებ დამნაშავე ხარ,

როცა სდუმ?

**ქალი.** არა შურისძიების ჩირაღდან გვინათებს ჩვენ გზას.

შენ ჩვენ მიგყავართ საზიზღარ მხარეს,

ადამიანის მონობის უძველეს მხარეს.



თუ შენ ბედმა აქეთ გადმოგისროლა  
და აღვითქვა ხელისუფლება,  
მისთვის, რომ გეწაშა და გეტანჯა ისინი,  
ვინც შენ გელოდდა, როგორც ახალ ქრისტეს, —  
პო, მაშინ ვიცი მე: ბედი მტერია ხალხის.



საქართველოს  
საქართველოს

უხახელო. — წმინდაა მასსა.

და არა კაცი!

არა: შენ არა ხარ ჩვენი რაინდი.

სისხლის სენით არის ყოველი აღნიშნული.

შენ ხარ აღნიშნული ბურჯის სისხლის სენით:

ხარ აღნიშნული: თავის მოტყუებით, სისუსტით.

ქალი. — შენ არ გიყვარს ხალხი.

უხახელო. — ყველაზე მაღლა კანონია!

მე მიყვარს მომავალნი!

ქალი. — არა: კაცია ყველაზე მაღლა.

კანონისათვის.

შენ სწირავ.

ცოცხლებს.

უხახელო. — კანონისათვის უნდა გავსწირო.

შენ ღალატობ მასსას ღალატობ საქმეს.

ეხლა უნდა მივიღოთ გადაწყვეტა.

ვინც ვერ სწყვეტს, იგი სუსტია:

იგი ეხმარება მათ, ვინც ჩვენ გვაწამებს,

იგი ეხმარება მათ, ვინც ჩვენ გვახაბიჩრებს.

იგი მტერია.

ქალი. — მე ვუღალატებდი მასსას,

კაცის სიკვდილი რო მდომოდა.

გმირს შეუძლია გასწიროს მხოლოდ თავის თავი.

იცოდე:

კაცს არ შეუძლია

მოჰკლას კაცი —

თუ გინდ საქმისათვის.

უმართლოა ასეთი საქმე.

ვინც ეძებს კაცის სისხლს,

იგი სისხლის მსმელია.

ღმერთიც სისხლის მსმელია,

სახელმწიფოც,

მასსაც!

უხახელო. — მაშ, ვინღაა წმინდა?

ქალი. — ოდესღაც

კომუნა...





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ხალხი თავისუფალი, შეკრული შრონი...  
თავისუფალი კაცი... ხალხი მშრომელი...

უხახულო. — შენ ვერ ჰბედავ მიიღო თავის თავზე  
პასუხისგება საქმისათვის — სასტიკი საქმისათვის.  
ხალხი განთავისუფლდება მხოლოდ მძიმე საქმით.  
სიკვდილია ხსნა.

ქალი. — შესაძლოა, შენი სიკვდილი სასარგებლო იყოს ჩვენთვის  
ქალი. — მე ვიცოცხლებ მარად.

უხახულო. — შენ აღრე ცოცხლობ. (უხახულო მიდის)

ქალი. — შენ ცოცხლობდი გუშინ.

სცოცხლობ დღეს.

ხვალ კი კედარი იქნები.

მე ვიქნები მარად —

რკალიდან რკალში,

საუკუნედან საუკუნეში.

მე გავხდები უცოდველი ფატიზი,

მე გავხდები ადამიანი (შემოდის მღვდელი)

მღვდელი. — ჯკანასკნელი მოგიტანე მე შენ ნუგეში.

ეკლესია ავაზაკსაც არ ართმევს დაცვას.

ქალი. — ვინ გამოგგზავნათ?

მღვდელი. — მთავრობამ წაცნობა.

ქალი. — განსჯის დღეს სად იყავით? წადით!...

მღვდელი. — უფალი მოგიტევებს.

მე ვიცი, ვინცა ხარ.

„კაცი კეთილია“ — ოცნებობდი შენ

და სოესდი გაუგონარ სიბილწეს

სახელმწიფოს წმინდა სიმაგრეთა მიმართ.

ხოლო ადამიანი: იგი შობითვეა ბოროტი.

ქალი. — მაგრამ სურს გახდეს კეთილი.

მღვდელი. — სიცრუეა,

სასოწარკვეთით და დავარდნით შობილი,

ცვილის ბურვილში გახვეული, —

უმწეო და გამოთხოვილ რწმენის სიცრუე,

ცუდი სინდისით შეკავებული

მერწმუნე: კაცს არც კი უნდა გახდეს კეთილი.

ქალი. — მას სურს იყოს კეთილი.

და თვითონ ბოროტმოქმედებაშიც

იგი ნილაბს იფარებს კეთილშობილებისას.

მღვდელი. — ჩნდებოდა და ჰქრებოდა ხალხი მრავალი.

მიწამ არ იცის სამოთხე.

ქალი. მე მრწამს.





მღვდელი.—გაიხსენე:

ანგარება და ავხორცობა —

ქვეყნის მმართველისა.

ქალი.—მე მრწამს!

მღვდელი.—მიწა—მარადი ცვლაა ქმნილთა.

კაცი უმწყოა

ხსნა ღმერთშია.

ქალი.—მე მრწამს! მე მცივა... წადით! წადით!..

(მღვდელი მიდის, შეპოდის აფიცერი).

აფიცერი.—აი განაჩენი.

მსაჯულებმა სცნეს შემამსუბუქებელი გარემოება.

მაგრამ ნაინც —

ღალატის დასჯას თხოულობს.

ქალი.—თქვენ გიბრძანესთ—დამხვრიტოთ?

აფიცერი — ბრძანება ბრძანებაა—~~და~~ დისციპლინა დისციპლინა.

წესი. სახელმწიფოს იატერესებში. აფიცრის ნოვალეობა

ქალი.—ადაშიანი?

აფიცერი.—ბაა! მე აკრძალული მაქვს.

ბძანება და დისციპლინა.

ქალი —მე მზადა ვარ.

(აფიცერი და ქალი გადიან. რამოდენიმე წუთი კამერა ცარიელი რჩება. შემოვარდებიან პატიმარი ქალები: ორი. შეჩერდებიან კართან).

ქალი 1.—ნახე აფიცერი? ოქროს პაგონებით?

ქალი 2.—ვნახე კუბო საპირფარეშოში. ყვითელი ყუთი.

ქალი 1.—სამჩნევს მაგიდაზე პურს. მივარდება).

აი პური! მე მშია!

ქალი 2.— მომეცი პური! მომეც პური, პური!

ქალი 1.—აი საოკე. აჰ, რა ლამაზი!

გადავმალოთ. ჩუმათ. ღამით.

ქალი 2.—აი აბრეშუმის მანდილი.

ტიტველ ყელზე აბრეშუმის მანდილი.

გადავმალოთ. ჩუმათ. ღამით.

(გარედან მოისმის თოფის სროლა. ქალები შიშით ხელებს სახეზე აიფარებენ. პირველი ამოიღებს ტანსაცმელიდან სარკეს და სწრაფად დებს მაგიდაზე. ტირის. დაეცემა მუხლებით).

ქალი 1.— რად ვწვებით ამას, დაო?

(საშინელი უმწყობით ამართავს ხელებს. პატიმარი ქალი ამოიღებს ტანსაცმელიდან მანდილს. დადებს მაგიდაზე).

ქალი 2.—რად ვწვებით ამას, დაო?

(დაეცემა. თავს მალავს მუხლებში).





საქართველოს  
წიგნითმწიფის კავშირი

# კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები

ჟურნალი „მნათობი“ სდგას ყოველგვარ, დღეს არსებულ, ლიტერატურულ მიმდინარეობათა და ჯგუფებს გარეშე. ჯერ-ჯერობით იგი ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს: საკმაოდ გაშლილ ფარგლებში მოათავსოს თავის ფურცლებზე ისეთი ლიტერატურული მასალები, რომლებიც მზადდება რევოლუციის და კემწმარიტ ხელღვნებისა თვის. ჟურნალის სამხატვრო ხაზიც მხოლოდ ეს არის რევოლუცია და კემწმარიტი ხელღვნება.

რედაქციას საჭიროდ არ მიაჩნია ჯერ-ჯერობით თავისი დაფასება მისცეს სწვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს და კერძო ნაწარმოებთ.

ამიტომ ყველა ასეთი წერილები—რომელშიაც ფასდება ლიტერატურული მიმდინარეობანი, მწერალთა ცალკე ჯგუფები ან კერძო ნაწარმოებნი—გამოსატავენ აზრს და შეხედულებას მხოლოდ თვით წერილების ავტორების და არა რედაქციის.





# 1924 წელი ქართულ ლიტერატურაში.

## შესავალი.

1924 წელი მნიშვნელოვანი თარიღია საქართველო კულტურისათვის.

იგი სდგას იმ ათწლეულის მიჯნაზე, სამხედრო ზარბაზნის კაკაფონიით რომ გაიბნა და თანამედროვე ფრანგი პოეტი „L'Empire Maudit“ რომ უწოდებს.

ეს ომებისა და რევოლუციების პერიოდია, რომელიც მთელმა კაცობრიობამ თბილისში, ყაზანში და ბარსელებზე გაატარა და რომელმაც ძირფულად შეარყია მსოფლიოს ყველა მატერიალური და კულტურული სიმაგრე.

ყუმბარებისა და შრაპნელების დაუსრულებელი კონონადები განანადგურებლად უშენდენ არა მარტო ვერდენსა და დაიდანელს, არამედ სულიერ კულტურის ყველა ფენებსაც, რომელსაც არამტროს არ განუცდია ისე სწრაფი და კარდინალური ცვალებადობა, როგორც ამ უჩვეულო ათწლეულში.

თუ დამტკიცებულად ჩავთვლით იმ მეცნიერულ დებულებას, რომ დრო ფაქტებისა და მოვლენების კონგლომერატია მხოლოდ, მაშინ შესაძლებელი იქნება დაჯერებით ითქვას, რომ წელიწადთა ეს ერთი ათეული გადაიწონიდა მთელ საუკუნეებს ისტორიის იმ ეტაპებიდან, როცა კაცობრიობა კანონიერ ევოლუციის გზებით მიაღწევდა თავის სულიერი და მატერიალური კულტურის ძერვატორებს.

ცხადია ეს დაუცხრომელ ცვალებადობათა პერიოდი შეუმჩნევლად არ ჩაივლიდა გარესსამყაროს ისეთ მკანობიარე სინსმოგრაფისათვის, როგორცაა ხელოვნება, რომელსედაც ღრმად აღინიშნება ხოლმე სოციალურ დონეზე შემჩნეული ოდნავი შერბევაც-კი.

ამ ანალოგიის მართებულებას ფაქტური არგუმენტაციით ამაგრებს მსოფლიო ხელოვნების მდგომარეობა 1914—24 წლებში.

საკმარისია ერთი თვალის გადავლევით მიუახლოვდეთ ამ წლების მსოფლიო ხელოვნებას, რომ დაზარალებულად იგრძნო მასზე ომებისა და რევოლუციების უეჭველი გავლენა, რომ იგი აღნიშნულია ამ კატახტროფების ღრმა ნიშნით.

ჩვენ ვფიქრობთ ამ წერილის მოკლე შესავალში მივსცეთ ფაქტური ილუსტრაცია ამ მტკიცებას, რომელიც აფსურდათ იქცევა ძველ რეაღწელებას



ხელოვნების საზოგადოებრივობიდან იზოლიაციის, მისი გარე არსისგან დამოუკიდებელი თვითშეყოფადი გზების შესახებ.

პარალელურად დამტკიცდება მთელი სიყალბე ხელოვნების კუთვნილებების ბრივი თვალსაზრისის, წმინდა ესტეტიზმის და ფორმულის „Великое искусство неапплезно“, რომელიც სულ ახლო წარსულში სარგებლობდა გაბატონებულ თეორიის მდგომარეობით.

პირიქით უკანასკნელ ათწლეულში ხელოვნება მიდიოდა უტილიტარიზმის ნიშნის ქვეშ საზოგადოებრივ ინტერესებისადმი მიმართებაში.

მსოფლიო ომის პირველსავე დღეებში ხელოვნება დადგამებრძოლ ავანგარდთა რიგებში და მან საპატიო ადგილი დაიჭირა განმანადგურებელ ტანკების დრედნოუტების და ცეპელინების გვერდით, როგორც საუკეთესო სამხედრო იარაღმა.

ომის გამბაფრების დღეებში პარიზის ქუჩებზე დადიოდა სამხედრო ტყაყში ჩაცმული და კრილობა შეხვეული პოეტი გიომ აპოლონერი, მსოფლიო ახალ ხელოვნების საწყისების მომცემათ რომ ითვლება.

ეს იყო სიმბოლო იმ გარემოებისა, რომ ამ დროს ხელოვნება სამხედრო მობილიზაციას განიცდიდა, როგორც ერთგული მებრძოლი და ჯარისკაცი.

შეიძლება მთელი ომის დროინდელს პოეტებზე განზოგადდეს წოდება, რომლითაც მარსელ მარტინემ მიმართა გერმანელ პოეტებს: „Убивающие, вместе со всеми убиваемыми“.

არასოდეს პოეზიას არ დაუნთხევია იმდენი გესლი, ისე ჰანბალური სისხლმოყვარეობით და სიმკაცრით ანთებული სტრიქონები, როგორითაც სავსე იყო ომის პირველსავე წელს ყველა მებრძოლ სახელმწიფოებში მრავლათ მოვლენილი მთელი ანტოლოგიები საომარი ლექსებისა.

რომელ მხრისდაც გახს ჩამოუვარდებოდა ატმოსფეროს მშხამავი გავლენით პოლ ფორის „Poème de France“, მიძღვნილი სასწაულმომკმედ „გენერალ ფონ-პლატტენბერგისადმი“!

როსტანის „les jours des morts“ ერთი კომენტატორის სიტყვით სავსებით გაუტოლდებოდა რენიმონდ პუანკარეს ცნობილ გაღიმებას, როდესაც იგი ომში დაცემულ „თანამომძმეთა“ გვაძებს ათვალღერებდა.

ანალოგიურ ტენდენციებით იწერებოდა პოლ კლოდელის „პოემები ომზე“. ამ ანსამბლს ამშვენებდენ ჟამში, სიუარესი და მთელი ათეულები ფრანგი პოეტების.

რასაკვირველია ფრანგული ლიტერატურის ამ თავდასხმებს შესაფერად უპასუხებდა საფრანგეთის შკაცრი ანტიპოდის—გერმანიის პოეზიაც.

ისეთივე მილიტარიზმით და ბრძოლის სტიქიით ბობოქრობდა გერმანეთის პოეზიაც რიხარდ დემელიდან—ლისაურამდე, რომლებიც ტყვისმფრკვეველთა პათოსით მღეროდენ თავის სამხედრო ლექსებს.

ერთი რუსი მწერალი იგონებს, რომ ყოველ დაქრალ, ან ტყვედ ჩავარდნილ გერმანელ ჯარისკაცს აღმოაჩნდებოდა ხოლმე ლექსების კრებულები, „შე-



ნი ალთქმა“, „მტრები ვერ წაგვივლენ“ და სხ., რომლებსაც ჯარისკაცები ატარებდა ვაზნებთან და თოფებთან ერთად.

იმ წლების იტალიეთის პოეზიაც დაწინაურდა — სოფტის მიხედვით დაუზოგველ თავგანწირვის ენტუზიას „Война единственная тыфена мира“-ს ცნობილი ავტორი — მარინეტტი ამ დროს გაათქვეცებულ ალყრთოვანებით სწერდა ბრძოლის ექსტაზით გაელენთილ ლექსებს.

რუსეთიდან მოდოდა მთელი შტორში ბრძოლის პოეზიისა.

სერგეი გაროდეცკი, რომელიც ეხლა, მოსკოვში შემდგარ რევოლიუციონერ დრამატურგთა კავშირში შედის, მაშინ სწერდა თავის „1914 წელი“-ს, ამ უკიდურესათ მოვინისტურ და მილიტარულ პოემას.

ემილ ვერჰარნის პოეტური ქმედობისათვის ისევე საბედისწერო გამოდგა ომის ზეგავლენა, როგორც მისი ფიზიკური არსებობისათვის მატარებლის ის ბორბალი, რომელმაც ერთი გადასრბოლვით გასრისა ეს პირველი ურბანელი პოეტი და ენტუზიასტი პატარა ბელგიის.

ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ მნიშვნელოვანი სახელები მსოფლიო პოეზიიდან.

რა თქმა უნდა, შეუქლებელია გახსენება ახალგაზდა პოეტების მთელი იმ მასისა, რომელიც მეტი გადაჭარბებით ანვითარებდა ამ ტენდენციებს.

ჩვენი წერილის სპეციალური ტემა — ლიტერატურაა.

ვაკისხენოთ მაინც, რომ ლიტერატურასთან ერთად ამ როლში იყო მთელი ხელოვნებაც.

ილია ერენბურგი თავის წიგნში ამბობს, რომ მარტო საფრანგეთმა ომის დროს დასდგა 50.000 ბიუსტი. ცნობილი ძეგლი „უცნობ ჯარისკაცს“ გვადლევს წარმოდგენას იმაზე, თუ რამ შექმნა ომის წლებში საქანდაკო ხელოვნების ეს პაპერტროფიული მდგომარეობა.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო მხატვრობის პორიზონტზე გაიზარდა ორი გიგანტური, მანამდე თითქმის უცნობი მხატვარი ჟორჟ გროსი და ძრანს მაზრელი.

რაგინდ დიდი არ უნდა იყოს სხვაობა მათ შორის ხელოვნების ვაგებასა და მიღწევების მხრივ, ის მაინც უდავო ქეშმარიტებაა, რომ ეს ორი დიდი ნიჭი დღემდე თანაბრად საზრდოობენ ომის შედეგების გავლენით.

ისევე ლიტერატურა:

როდესაც უმაგალითო ბრძოლებით და სისხლის ნიაღვრებით დაქანცულ და მობეზრებულ კაცობრიობას მოსწყურდა ზავი და მშვიდობიან ცხოვრების აღდგენა იქცა მის იდეალად პოეზიაში, როგორც სპექტრალურ ფოკუსში დაგროვდა მთელი ეს ომის საპროტესტო სტიქია და იგი ყველაზე ხმამაღალი აპოლოგეტი გახდა დაეიწყებული ჰუმანიზმის და ხალხთა შორისო სოლიდარობის.

პოეზიამ უადრეს იგრძნო ამ სისხლის ორგიაზში მოქცეული დამღუპველი ბოროტება და ვუვის „Песни о Великом преступлении“ იყო პირველი ენერგიული ხმა ლიტერატურიდან: ომიდან — ზავისაკენ მიმართული.

თუ წინა წლებში პოეზია ნაციონალურ შუღლის და გამძაფრების კოცონს



ანოებდა, მარსელ მარტინე და კარლ ოტტენი თავის ლექსებში იხსენიებენ შესაძლებლობას და სასურველობას სამკვედროს დაპირისპირებულ ძველებს შორის მშვიდობიანი განწყობილების აღდგენისას.

75 მილიმეტრიან ხარბახნების დიპირ მბეჭიდან გერმანულად გადავიდა შემდეგ დამანასათებულ სტრიქონებზე:

„Долой Технику! Долой Машину!

Долой ваши адекия изобретения.

Ваши газы, ваши танки—Ваши мины и ваши ограды.

Проклятие: вашим конструкторам, вашим инженерам, жадным к уби́йству.

Проклятие: шутовскому веку, идиоту машины и фабрики“.

დამტკიცებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანული ექსპრესიონიზმი გაღრმავდა ომისა და მისი შედეგების ფონზე. ამ მიმდინარეობას სპეციფიური გერმანული ხასიათი, მჭიდროდ დაკავშირებული გერმანიის თანამედროვე მდგომარეობასთან იყო მიზეზი იმ უწყალო გამბრჯყებია, რომელიც ექსპრესიონიზმს წილად ხვდა შიგნით, გერმანიის, ხოლო გეორგს მზიაც იმ კრახისა და დამარცხებისა, რომელიც ამ მიმართულებამ განიცადა უნივერსალური მასშტაბით. ექსპრესიონიზმს ჩვენ ყფიქრობთ ფუძღვნათ ცალკე წერილი, სადაც მოცემული იქნება ამ მიმართულების თავისებური ბუნების სათანადო ახსნა აგრეთვე ომისა და მიმდინარე რევოლუციების შედეგია ია უნივერსალიზმი და კოსმოპოლიტიზმი, რომლითაც აღნიშნულია მთელი დღევანდელი ფრანგული პოეზია.

ომები და რევოლუციები, რომლებიც ახდენენ ადამიანთა მასსიუო დაგროვებას, სადაც იკარგები ადამიანი — ინდივიდი, გზნიდენ შესაძლებლობას იმ კოლექტივისტურ განწყობილებისა, რომელსაც იძლევა ფრანგული უზანიზმი — მეხვედრის, დიუბაშელის, ყოულ რომენის და ასეთთა შკოლა.

რაც შეეხება უკანასკნელი წლების რუსულ პოეზიას, იგი აბსოლუტურად მავტვა მიმდინარე რევოლუციის გაულენიში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო ნაწილს იმ პოეტებისას, რომელნიც მინაგან თუ ვარუგან ემიგრაციაში იმყოფებიან და ფაქტიურად მკვდაოთ არიან ლეტუოატურისათვის, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ რუსეთში არ დაჩინილა არც ერთი ლიტერატურული შკოლა ან ანგარიშ გასაწევი მწერალი, რომელიც თავისებური გაგებით არ ნისულიყოს მიმდინარე რევოლუციასთან და მის ასეთს თუ ისეთს ხეგაფლენაში არ მოხვედრილიყოს.

ეს იმდენად ცნობილი გეშმაოიტებაა, რომ ფაქტებია დასახულება საჭიროების გარეშე

დღევანდელი რუსული ხელოვნება მიდის რევოლუციის ეტაპების პარალელურად.

მთელი მებარცხენე ყრთა რუსული პოეზიის, მხატვრობის, დრამის, ქანდაკების, დღეს მიემართება ერთიან სოციალურ ფუნქციით. იგი გამოდის ახალი საზოგადოებრივობის, ახალი ფსიხიკის, ახალი ყოფის ორგანიზატორის როლში.

მველი ტრადიციების ლიკვიდაციიდან — მყობადური რყალობის ფორმა-



ცოცხავენ. ესაა გზა ახალი რუსული პოეზიის, ასეთივე იყო ოქტომბრის მიზან-  
თება: სამხედრო კომუნიზმიდან - მშენებლობითი დღევანდულობაში.

აქ დავსვანთ წერტილს უცხოეთის ლიტერატურის ამ უმთავრეს ქვეყნად სოციალი-  
ეკსკურსიას, ეს წმინდა სოციალური გენეზისი იმისა და გენეზისს პე-  
რიოდის ლიტერატურის, ისეთი პერიოდის, რომელიც ჩვეულებრივ მაჩვენებელია  
საუკეთესო მომენტად სოციალურ ექსპერიმენტებისათვის, არკვევს არა ე-თ სე-  
ინტესტის ლიტერატურულ პრობლემას.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს რომ: თანამედროვე პოეზია მიმდინარე-  
ობს გარე არსთან უშუალო კავშირში, რომ ხელაწეობას აქვს თავისი ფტილი-  
ტარული მისსია და რომ ჩვენი რეკლამური ციფრის თანამედროვეობის პოეზია  
უნდა ამარბლებდეს თავის თავს იმ სოციალური ფუნქციით, რომელზედაც ხე-  
მოდ ვიღ. პარაკეთ.

1924 წელი არის რეზიუმე გასული ათწლეულის. ამიტომ ამ წლის ლიტე-  
რატურაში თავმოყრილია ყველა იმ ძიებათა და მოღწევათა გავლენა, რომელ-  
საც ადგილი პქონდა უახასკნელ წლებში და ამავე დროს 1924 წლის ლიტე-  
რატურის ანალიზი შლის ახალ პერსპექტივებს ლიტერატურული მოძაველისა.  
ქართულ ლიტერატურაში არასადრეს არ ყოფილა იმდენი მრავალ-  
გვარობა და სხვაობა ლიტერატურულ გემოვნების, გაგებისა და მიღწეების  
მხრივ, როგორც გასული წელს.

მოელი ეს წერილი იქნება ამის ფაქტიური ილუსტრაცია.

რადგან ეს წერილი იწერება არა რომელიმე ლიტერატურულ კრებას აბო-  
ლოგინა და შეკლათა შორისა ბრძოლისათვის, არამედ გასული წლის ძილ-  
წივების ჯამისა და რეზიუმეს მოსახაზავით, ჩვენ შევეცდებით, შესაძლებელი  
ობიექტივობით წარმოვიდგინოთ მთლიანი სურათი გასული წლის ჩვენი ლიტე-  
რატურის.

აქვე საჭიროა აღინიშნოს ერთი ფაქტი: გასულ წელს ქართულ ხელოვ-  
ნების ყველა ფრონტი გამოვიდა საგანგებო დეკლარაციებით რეკლამური  
ორიენტაციისა და თანამედროვეობაზე პრეტენზიებით.

უან კლკტოს თქმა: „საზოგადოება გეკითხებათ, უპასუხეთ შემოქმედებით  
და არა შაბიფესტებით“.

რამდენათ კაპიტალი ქართულმა ლიტერატურამ გასულ წელს თავისი  
პროქტივით ამისი დეკლარაციული აღიარება?!

ეს საკითხიც დაე, ამ წერილში მოცემულმა მიმოხილვამ გამოარკეიოს,  
ტენიკვირი მოსახრებით ჩვენი მიმოხილვა იყოფა ორად: წარმოდგენილ  
იქნება ცალკე პოეზიის და შემდეგ პროზის ანალიზი.

მწერალთა განხილვის დროს თანმიმდევრობის მეთოდით სრულიად შემოხ-  
ვევითია და არც ქრონოლოგიური, არც ღირსებრივ თვალსაზრისს არ ემყარება იგი.



### 3 მ ე ზ ი ა.

„ცისფერი ყანწების“ პოეტებისათვის 1924 წელი გაცილებით უშედეგო და მკრთალია ვიდრე რომელიმე სხვა წელი მათი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისიდან. ეს ითქმის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ლიტერატურული თვალსაზრისითაც.

გასულ წელს ამ შკოლას არ ჰქონია საკუთარი ორგანო და მხოლოდ ზოგიერთ, ასე ვთქვათ, „ექლექტიურ“ სალიტერატურო ჟურნალებში ვხვდებით მათ.

გრივად რომაქიძე უკანასკნელად განსაკუთრებით დრამატურგიით განისაზღვრა. შეიძლება ეს მისი შედეგი იყოს ექსპრესიონიზმით გატაცებისა. ცნობილია, რომ ექსპრესიონიზმი პროორიტეტულად მიეკედლა დრამას და თითქმის ყველა ძლიერი ნიჭი გერმანულ ექსპრესიონისტ პოეტების მოგვცა დრამატურგიის არეში.

ამ გაოცდებებს აქვს თავისი ახსნა მიმდინარეობის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით.

დრამას აქვს თავისი ორმაგობა.

ერთია მისი თეატრალური ღირებულება—დრამა როგორც საწყისი, იმპულსი თეატრალური შენების, როგორც სცენიური სანახაობა; სულ სხვაა მისი ლიტერატურული რეზონი—დრამა, როგორც ფორმა პოეზიის.

რასაკვირველია, ამ წეოილის ფარგლებში რომაქიძის პიესები განიხილებიან, როგორც ლიტერატურული მოვლენა მათი სცენიური თავისებისაგან დამოუკიდებლად.

„ლონდა“, რომელიც გასულ წელს დაიბეჭდა „კავკასიონის“ № 3-4-ში (დაწერილია შედარებით ადრე) არის დაპირისპირება „მიწის სჯულის“ და პიროვნულ ნების; პირველი სახიერდება ღმერთის—სადდასაის კაპრიზში, მეორე კი—თამაზისა და ლონდას ურთიერთ სქესუალურ მიზიდებაში. კოლლიზია სრულდება პირველის გამარჯვებით.

ქაბულა ვითარდება ძველ კოლხეთის ფონზე, ხანა—წარმართობის დასასრული.

აქაც აღსანიშნავია გერმანულ ექსპრესიონისტულ დრამატურგიის შეთოდი—ანტიურ სიუჟეტებს ძიება.

„ლონდა“-ში მოცემულია მისტერია მზის, როგორც უაილდის „სალომეიაში“—შთვარის. „სალომეია“-დან არის ფორმული შესრულება ქადაგის ბერსონის. საერთოთ „ლონდა“ მრავალ-წერტილში ხვდება „სალომეია“-ს. (ცხადია საგრძნობია სხვაობაც).

ქართული ლიტერატურიდან „ლონდას“ ეწინამორბედება ფაბულური ხეულებით „სინათლე“, „სურამის ციხე“ (მოსალოდნელი უბედურება; საჭიროება მსხვერპლის; მსხვერპლი უძვირფასესი და ძნელად გასაღები; დაპირისპირებაში „სულების“ ნების გამარჯვება“).

სტილის მხრივ რომაქიძეს აქვს თავისებური სტილი, სიტყვიერი მასალა. კარგადაა შესრულებული მაგალითად ოთარის შაირი. არის აუტანელი ადგილებიც. მაგ.:





შენ ხარ შვილი თამაზ, მეც ვარ შვილი,  
მამაჩემიც იყო შვილი და მამის მამა იყო შვილი,  
და ასე ზევით და ზევით.  
მე ვარ მამა შენი თამაზ, მამა ჩემიც იყო მამა.  
მამის მამა იყო მამა. შენც მამა იქნები  
და ასე ქვევით და ქვევით\*.

(აქ შთაბეჭდილებითი ასოციაცია კაიხურის „გაზის“ ერთ მომენტთან).  
გასულ წელს ეკუთვნის რობაქიძის **მალშტრემ**.

ავტორისავე განმარტებით პიესის იდეაა მოგვცეს თანამედროვე დასა-  
ვლეთის ცივილიზაციის ბუნება; დაწოდება მიწიდან; დაკარგვა ქატუშის; მექა-  
ნიზაცია და სხ.

აქაც ექსპრესიონისტული ჩვეულებრივი ტენდენცია.

ძირფული სიუჟეტი — ტაციტის ქრონიკა. ამერიკაში, დაპირისპირება  
მასთან პრიმიტივის: სოფლის პეიზაჟი, წისქვილი განცდებითა და ფსიქოლოგი-  
ზმით სავსე. კეთროვნების აჯანყება და სხ.

რამდენად დაძლეულია იდეა შესრულების მხრივ, ეს იქიდან სჩანს, რომ  
ავტორი იძულებული გახდა საგანგებო კომენტარებით გამოხდულიყო პრესაში  
და აუდიტორიაში თავის პიესაში მოქცეულ „ფილოსოფიის“ გასარკვევად.

ჩვენის ფიქრით ხელოვნებაში ნაწარმოების მთავარი მარცხი იწყება იქ,  
სადაც იგი ახსნა-განმარტებას საჭიროებს და ისიც თვით ავტორისაგან.

საერთოდ „მალშტრემის“ დაახლოვებით განხილვა მის დაბეჭდვას უცდის.  
„კავკასიონი“ № 1—2-ში რობაქიძემ დაბეჭდა „კენტავრები“.

ეს არის პატარა ნაკეთი ჯერ გამოუქვეყნებელ დრამიდან „კარდუ“.

აქ სიტყვიერი შერჩევა და მაგარი, ნაქედი სტილი სავსებით შეეფერება  
მომტკმედთა რაინდულ განწყობილებას.

მე ვფიქრობ: ეს პატარა ფრაგმენტიც ბევრითაა დავალებული კახიშირ  
ედშიტიისაგან. საერთოდ გრ. რობაქიძის გასული წლის ნაწერები კომპილიაციის  
შთაბეჭდილებას ჰქმნიან.

**ვალერიან გაფრინდაშვილი** 1924 წლის განმავლობაში დაბეჭდილ ლექ-  
სებით არ გასცილებია მისი „დაისება“-თ შემოსახლერულ ქმედობით არეს.

„მადონა მუქტით, აბანოზის შავი კედელი,  
ბრუნავს ოთახი ალანძული და ნესტიანი

ვუცქერი ფარდას — ნაღვლიანი, კარჩაკეტილი

და ველი ისრებს, ვით ფარული სებასტიანე“

(„ოთახი — ბალდახინი“).

„გიჟი მავსტრო ველარ ავლაგმეთ,  
და როგორც მთვარე შიდის ბაგარა,

კარტს დაგვირიგებს ჩვენ ლედი მაკბეტ

დატრიალდება სხვა ნიაგარა“.

ეს სტრიქონები ცხადყოფენ, რომ პოეტი არ დაღატოვს თავის წარსულს.



თითქოს ამ უკანასკნელ წლებს არაფერი შეეცვალოს, ან პოეტისთვის არ იყოს ხელსაბეჭდი ასაღო ცხოვრების განსხვავებული ტემპი.

„ნაქტალინის ქალბატონი“ „ოფელიების“ რეზონანსი ამ უკანასკნელ წლებს გაფორმდაშვილმა ლექსები უძღვნა სამ ვეტერანს და დაუცხროს მათი ცხოვრების ბუღაღს: ლენინს, მაქსიმილიან რობესპიერს და მიხეილ ბაკუნინს. უკანასკნელი-სადნი მიძღვნილ ლექსში შედარებით კარგია სტრიქონები:

„ერთ ვებებიანი რეკისორი დაეხეტება,  
რომ კიდევ დასდგას აჯანყება ლეგენდა უღლი“.

ან:

„ჩამოხეცს ღამეს, გაშმაგებით, როგორც აფიშას.

გაფორმდაშვილის ლექსებში აღსანიშნავია სხვათა შორის ერთი სერიოზული უხერხულობა: ლექსის საკუთარ სახელებით ჭაობი დატვირთვა.

ჩვენი საშიშროებელი წლის განმავლობაში მხოლოდ იაშვილმა დაბეჭდა მხოლოდ ოამოდენიმე ლექსი. აღსანიშნავია „ლენინ“, „L'iris“, „წითელი სარი“-სა და „ფარშავანგები ქალაქში“-ს ავტორი დანაშურ, ნეტუზისტურ პათოსიდან ამ ლექსებში დასულია წმინდა სენტიმენტალურ ლირიკამდე.

გასულ წელს მან თვისი ნიჭი სცადა პროზაში. ამაზე ქვემოთ.

„მნათობისა“ და „დროშის“ ნომრებში იბეჭდებოდა კოლაჟ ნადირაძე-ნადირაძე ცნობილია, როგორც ქეშმარიტი სიმბოლისტი დეკადენტი. თავია „ბაღდაჩინი“-თ მან სავსებით გააჩრთლა ეს პრეტენზია.

გასულ წელს დაბეჭდილ ლექსებშიც იგი აგრძელებს თავის პოეტურ ვხას. ლექსში „ნიმარათვა ბავშვებს“ სცენს წოდული ლირიკის ნერვი.

„თქვენზე დარღობა მაწევს ტვირთებით  
იზრდებით ობლათ და უალერსოთ.  
რამდენჯერ გული აძიტირდება  
რამდენჯერ გული ცრემლით ამევსო“.

ან კიდევ:

„მე აღარ შემწევს, მეტი ურჩობა  
დაგისძიბდებათ თვილის უბები  
ტუბერკულოზით დედა გეპრჩობათ  
და ბნულ ქუჩებში მეც ვიღუპები“.

იგივე სპლინი, სენტიმენტალობა, ტუბერკულოზისა და დაღუპვის ავონია. პოემა „წითელი მოედანი“ არის ცდა — მოვეცეს რუსეთის გენეალოგია.

„მოდის და მოდის  
მოდის ძახილით  
გულმოდლელი  
წითელ პერანგით  
დიდა რუსეთი  
ვინ დააკავებს“.

„წითელი მოედანი“ — კრემლის ისტორია: თვითმპყობელობა; სტენვა



რაზინის თავის მოკვეთა; 905 წლის რევოლუცია, 917 წლის ოქტომბერი; ვლადიმერ ლენინი.

როგორც სჩანს, თემა აღებულია ფართოდ და იძლევა დიდ შედეგებს. შესაძლებლობას.

უნდა ითქვას, რომ ნადირაძისაგან მოსალოდნელი იყო თემის შეტი დაძლევა. პოემა სტოვებს „სახელდახელოთ“ დაწერილის შთაბეჭდილებას. მაგალითად, რით შეიძლება გამართლდეს ასეთი ადგილები:

„ეს იყო წინათ  
 უთვალავ წლებში  
 ბევრი რამ გაჰქრა  
 და დაივიწყა.  
 ბედნიერება ბევრი დამიწდა  
 და უბედობაც  
 არაუის ახსოვს“

(თ ა ვ ი V)

პოემა შთაგრძელება დაჯერებული ოპტიმიზმით მსოფლიო ოქტომბრის მოახლოებაზე:

„ეს წუთი მოდის, ეს წუთი მოდის  
 არ გვიანდება.  
 საუკუნეთა გაუძლებს გრძელს  
 კრემლის კედლები“.

ლექსი „1905 წელი“ დაწერილია თავისუფალი ლექსით. თავისუფალი ლექსი არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ თითქოს ამ ფორმაში ლექსი იკარგებოდეს სავსებით და აღარ რჩებოდეს პროზისაგან გამმიჯნავი სპეციფიკა. ნადირაძის „1905 წელი“-ს, ისევე მართებულად შეიძლება ეწოდოს ნინიატაურა ან ნოველა.

აქ გადმოცემულია პოეტის სუბიექტური განცდები, რომანტიული მოგონებანი და ყველაზე ნაკლებად იგრძნობა თვითონ 905 წლის ბოხოქარი დღეები.

დროისა და ადგილის ეკონომია გვიკარნახებს დავემაყოფილდეთ „ცისფერი ყანწების“ პოეტების შესახებ. გ. ლეონიძის „ჩათახი“ და გვეტაძის „ვირჯის შესსია“ შედარებით უმხიშვნელო მოვლენაა. აღნიშნულიდანაც შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად გამართლებულია ხსენებულ პოეტების მიერ დეკლარაცია, რომელიც მათ გასულ წელს გამოაქვეყნეს, და რომელშიაც „ცხოვრების ახალი რიტმის და რევოლუციის“ გაგების და შემარცხნეობის მოზოპოლიური პრეტენზიებით გამოდიოდნენ.

გალაკტიონ ტაბიძე, რომლის ლიტერატურულ პოპულიარობას 15 წლის ისტორია აქვს, ჩვეულებრივ გაგებულია, როგორც სევდის რომანტიკონი.

ძიება მიუწვდომელის; უსახლო სივრცეები. შორეული ნაპირები, ცის სალაგვარდე, უძილო ღამეები — ეს იყო ჩვეულებრივი ფონი მისი შემოქმედე-



ბის. გალაქტიონ ტაბიძის გავლენაში მოექცა არა ერთი ქართველი მწერალი. ერთ დროს იგი „ცისფერი ყანწები“-ს მთავარ ციტადელს წარმოადგენდა. მის უშუალო გავლენაში აღიზარდა მთელი რიგი ახალგაზდა „მწეველები“ პროეტების, რომელთაც პოეზია ნევრასტენიულ წუწუნამდე დაიყვანეს.

1924 წელს ტაბიძისათვის აღმოჩნდა ახალი ტემა: — რევოლიუცია.

გასულ წელს მან გაარღვია ძველი მისი შემოქმედებით შემორკალული წრე და სხვა შესაძლებლობათა წინაშე დადგა.

აღსანიშნავია, რომ ამ პოემებსა და ლექსებშია გრძნობა რევოლიუციის მხოლოდ გარეგანი პათოსი; რევოლიუცია — როგორც ნგრევეთი დინამიკა. აქ არ სჩანს მეორე მოგონება რევოლიუციის, მეორე სახე ამ იანუსის, რაც მთავარია და არსებითი — რევოლიუციის იმანენტური აზრი და იდეა.

ამიტომია, რომ რევოლიუციას ანალოგიათ ყოველთვის აღებული აქვს ქარი, ამღვრევა, სისხლი ცეცხლი — საერთო მსხვრევა და განადგურება. ასევეა გაგებული რევოლიუცია აღ. ბლუკის „თორმეტ“-შიაც.

მისთვის რევოლიუცია უმთავრესად ათვისების ობიექტია და იგიც იძლევა მის აღწერილობითი ქრონიკას. შეასრულებს თუ არა გალაქტიონი რევოლიუციის მე-2 მხარეს, მისი შინაარსის, მისი იდეის და ამ იდეის განხორციელების მოცემას? პასუხი ძნელია. თუმცა მისი ლექსი — პოემა „აღმოსავლეთი“ ამის შესაძლებლობას აადვილებს. ყოველ შემთხვევაში ეს მომავლის საქმეა. ჩვენი სურვილი კი იქნებოდა რომ ეს ასე მომხდარიყო. ქართული ლიტერატურა და თვით ტაბიძეც ამით ბევრს მოიგებდა.

ლექსი „ჩვენ პოეტები საქართველოსი“ შესრულებულია მეტი სიფრთხილით და სიყვარულით, დამახასიათებელია და შედარებით კარგი სტრიქონები:

„წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრით ას სანტიმეტრის მკაცრი სახელი, ხევიდან ხევზე გადიგრიანებს — ხევიდან ხევზე გამოძახილი“.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ სანდრო შანშიაშვილი არ არის ჩვენი საუკუნის პოეტი — თანამედროვეთა შორის იგი მხოლოდ ქრონოლოგიური კრიტერიუმ შეიძლება მოექცეს.

მე-20 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ არ იცის მეორე მწერალი, რომელსაც ეწეროს ასე სიმრავლით და ნაკლები პასუხისმგებლობით, როგორც შანშიაშვილს.

1924 წლის განმავლობაში მან დაბეჭდა რამოდენიმე პიესა ლექსები, პოემა.

„მიკვირს ასეთი უდიდესი მარტო მე რად ვარ, თანამედროვეს ოცნებაც კი ვერ მომწევია“.

პირდაპირ თავხედობათ გვეჩვენება ეს პრეტენზია, როცა ამას სწერს „ლატავრა“-ს და იმ წვრილ ლექსების ავტორი, რომელიც, არ ვიცით რამდენი ათეული წლები უნდა იყოს ჩამორჩენილი თანამედროვეობის, ოცნებას კი არა, — ლიტერატურულ სინამდვილეს.

ნათქვამის ილიუსტრაციისათვის:

„სახელად ჰქვია პატარძალს დალი ლამაზის სახისას.“



გულს სიყვარული უდაგავს ძე-ხორციელის ნახვისას.

მაქანკალია აგუნა ლოთი თხის-წვერებ-ნაცარა.

ჰყავს დამქაშები დამკვრელად: ჩხიტა, ბუცო და ცხენი  
სხვა თუ ბევრს დააღვევინებს, იცოდეთ, საქმე დაცარა!

(„დალი“ ჟურნ. „კავკასიონი“ № 1—2).

ან კიდევ:

“იქნებ ანაზდათ მტერი დაგვეცა?”

ალამი ჩვენი წმინდა დაკეცა?

ჩემთან აფრინეს შიკრიკი თადე!

— მსახურო ჩემო, არ გესმის? ადე!”

(„Vita nuova“ „კავკასიონი“ № 3—4).

ან კიდევ:

„სქამს მიდიანად დაობებულს დიდი ხნის ხშიადს

თითქოს მშიერი შექცეოდეს შემწვარ სუკს ცვრიანს.

(„პიმნი გლახს“, ჟურნ. „დროშა“).

ეს სტრიქონები აღებულა არა არჩევით, არამედ სრულიად შემთხვევითად. ასეთია შანშიაშვილის ლექსის ტენიკა: სტილი, რიტმი. საკვირველია, რომ ამდენ ნაწარმოებში არ მოიპოვება არც ერთი პოეტური მიგნება, მხატვრული ანალოგია, სახე, ესტეტიურად გამართული სტრიქონი. კონცეპციის მხრივ: ნუ თუ ჩვენი ეპოქის მოქალაქეს შეუძლია დასწეროს „ლატავრა“? აქ ერთი ქალისათვის სახელმწიფოები ებრძვიან ერთმანეთს; მათელი „შრომის რესპუბლიკის“ მოსახლეობა ლატავრას ღათმობას მიიჩნევს სახელმწიფოებრივ დაღუბვად და თავგანწირვით იცავენ მას. შემდეგ იმავე ლატავრას სიყვარულით თანამომძე სარდლები ხმლებით ფატრავენ ურთიერთს. ბრძოლაში მხარეების გამარჯვება და დანარცხება დამოკიდებულია პიროვნებათა მიკერძოებაზე. ყოველ მოვლენას იწვევს „incubus“.

თავი რომ დავანებოთ სტილსაც, შესრულების ფორმალობასაც: თვით ეს მსოფლმხედველობა, არის თანამედროვე ადამიანის გაგებასთან შეუარდებული თუ საშუალო საუკუნეების განწყობილებიდან გამომდინარე?

და ეს პიესა ატარებს რევოლუციონურ და თანამედროვე დრამის პრეტენზიებს.

ილლიუსტრაციისათვის საკმარისია. სხვათა შორის, შანშიაშვილს სთვლიან ქართული ენის დრმათ მცოდნე მწერლად, ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცი მეორე პოეტი რომელიც ეხლა ხმარობდეს ქართულ ლექსში ამ სიტყვებს: „რემენი“, „კასირი“, „კაჩეგარი“, „სუკი“ და სხ.

აღსანიშნავია ისიც, რომ შანშიაშვილი გლახის აპოლოგიის მიზნით დაწერილ ლექსებში „პიმნი გლახს“ და „სალეწი მანქანა“ მეტად უარყოფითად ახასიათებს ქართველი გლახის ბუნებას.

მწერალთა იმ ჯგუფიდან, რომელიც გაერთიანებული იყო ჟურნალ „ციხარტყელას“ გარშემო, გასულ წელს იბეჭდებოდნენ: ს. აბაშელი, ვარდოშვილი, სოლომონ თავაძე, გ. ქუჩიშვილი, ვარლამ რუხაძე. ამ პოეტებს აქვსთ თავისი



წარსული როცა მათი შემოქმედება იწოდებოდა დემოკრატიულ პოეზიას და მართლდებოდა თავისი სოციალური დანსახურებით. მაგრამ შემდგომში დათ თავისი ლიტერატურული დანი ამით აიხსნება, რომ ამის შემდეგ მათი სიგანი უფროდ მიექცა „ცისფერი ყანწები“-ს და გალაკტიონ ტაბიძის გავლენაში და ერთ დროს ბრძოლისა და რევოლუციის პოეზიის პოეტუნდენტები ეხლა სიმბოლიზმს დაგვიანებულ ეპიგონებად გვევლინებიან.

ფაქტები:

„როს საფარცეები ცეცხლის გველით  
დაიტრიალებს  
და ნე მივფრინავ უზოგველად  
როგორც ხრიადლი,  
მოჩვევებები დაფეთებით  
ჩემთან წივიან  
და შეწამული ნაფლეტები  
თავს დამცვივიან“.

ხარიტონ ვარდოშვილი („სივრცეები“)

ხოლოშით თავაძე:

„მეტად ხსნა მაინც არ გვიწერია,  
დღეების მწყავე ფერის ცვალება  
ნისლია მხოლოდ და ნამჭერია  
აზლევებულ ბძლე გრიგალებით.  
უნდა ვაირღვეს ცეცხლის ფარდებე  
და დედამიწის ახალ რუქაზე,  
უცხო ელევებით განაშუქარზე  
ზეცის კალთებით  
დაეშვას მადლი და ნეჯარება,  
რომ გაჰქრეს ჯანლი, ცად ამართული უღვთო კარებად!  
(კურსივი ჩვენია, ბ. უ.)

„მეწვევა ფიქრი, სულის მძედავი,  
თანვე მოიტანს სეედათა კოცონს  
და ურცხვად, როგორც ქალი მძედავი,  
გადამეხვევა და გადამკოცნის“.

(ვარლამ რუხაძე)

ს. აბაშელი დასახელებულ პოეტთა შორის განირჩევა ლექსის კულტურით და ტემპერამენტით. მისი შარშანდლი ლექსები აღბეჭდილია მეტაფიზიკისა და მისტიციზმის კოლორიით. ლექსში „უძილო დამე“ პოეტი ფიქრობს გადაჭრას სიცოცხლის ღირებულების პრობლემა:

„წარშავალია ღბინიც და ქირიც  
ო, ყველაფერი მიდის და ჰქრება!  
რა მიზანი აქვს სიცოცხლის ჯირითს  
თუ არ ხელების გულზე დაკრება.“



მოჩვენებაა მიხნის მიღწევა.  
სახეთა მუდმივ ფერის ცვალებითა.  
ბოლოს მატლების მონად იტყევა  
დღეს შალალ აზრთა სარკე-თვალები.



ასე ლუბავს პოეტს—ფილოსოფოსობა.

ბევრია საინტერესო მიღწევა პოეტურ მეტაფორების ლექსი „ქარი სარკეში“.

გიორგი ქუჩიშვილი შერჩა თავის ძველ ტენდენციებს. იგი განაგრძობს რევოლუციონურ ლექსების წერას ზუსტად პოეტის პრეტენზიებით. აღსანიშნავია „პიშნი პროლეტარიატს“, „ჩვენი გულისთქმა“ და სხ.

„ქავკასიონის № 3-4-ში კონსტანტინე გამსახურდიამ დაბეჭდა ლექსი: „რისტე პარიზში 1929 წელს“. ამ ლექსში წარმოდგენილია ფანტაზია რევოლუციის, რომელიც ხდება „უფლის ენით და მაცხოვრის შიშით“. რესტავრაციის, რელიგიის, დამბობა თანამედროვე დასავლეთის, რომელიც „სულს ფულზე ეკოვას“ და რენესანსი ახალი რელიგიით.

„ახალი მოდგმა ადამის ტომის  
შალალ ღვთაეაას უმღერს ოსანას.  
ახალ სამყაროს,  
სამყაროს შრომის  
ტრისტე უბოძებს შისტორ

შანას“

ეს ლექსი არის ჯერჯერობით მთელი პრაქტიკული რეზონანსი ექსპრესიონიზმისა ჩვენში; რომლის პირველი აბოლოგეტი და პოპულიარიზატორი გამსახურდია. რამდენათ ახლოა რევოლუციის თანამედროვე გაგებასთან ამ ლექსში ნაოცნებარი რევოლუცია, ეს უკომენტარიოთაც ნათელია აქ მოყვანილ სტრუქტურებიდან.

კონსტანტინე ჭიჭინაძისათვის გასული წელი ნაყოფიერი იყო.

„ქავკასიონის“ და „მნათობის“ ნუმრებში მან 1924 წლის განმავლობაში დაბეჭდა პოემები „რიონის აპოლოგია“ და „Finis“ და ლექსი: „ვალერი ბრიუსოვს“. სამივე შეიძლება შედეგად ჩაითვალოს იმ ლექსებისა და პოემების მიმართ, რომელიც მოთიფსებულია მის წიგნში „რჩეული ლექსები“ (გამოვიდა 1924 წ.).

წიგნის სახელიდანაც სჩანს, რომ ამ პოეტისათვის არ არსებობს მემორცხენეობის პრობლემა. იგი სწერს კლასიკური სტილით და იცავს წმინდა ლიტერატურულ ტრადიციებს.

პოეტი შექცევრებულია ანტიურ კულტურას და ხშირათ იხედება წარსულისაკენ:

„გზაზე სივრცენი მეშლებიან ლურჯ კამარებათ,  
და აღარ ვიცი დასასრული სადმე თუ არი.  
ბრძოლებს უთვალავს და უთვალავ დასამარებას  
მძლავრად დასხდებილ შურდულივით გადავჯარე“.  
(„მოგზაურობა ანთებით“)



ეს ერთი ტაეპიც საკმარის წარმოდგენას იძლევა ჭიჭინაძის გამბრთულ სტილზე, სიტყვიერ შერჩევაზე და მოხერხებულ ანალოგიებზე.

პოემაში „რიონის აპოლოგია“ თემა ბრუყინვალეთაა დასაბუთებული, მოკვლევი სტრიქონი შესრულებულია განსაკუთრებული ოსტატობით და სიფრთხილით. პოემაში მრავლადაა გარდაუვალი სახეები. ილლიუსტრაციისათვის:

— და შენ დაჭრილი სახარელი რუხი ნადირი  
ხიდის ბურჯებში ძლივს გაძვერი ჩაზნექილ წელით;  
ზედ შეგრჩა ხიდი, ვით გავარდნილ ცხენს უნაგირი  
და შემოგსალტა დაკირული სიმტკიცით ძველით...  
ან კიდევ:

„დაბლა მოიწევს ცა მუქარით და დაფეხებით  
მძლავრი გუგუნით ახმაურდენ ტოტები ნუხის;  
ძირს დაცემის დროს ფრთებსა შლიან წვიმის წვეთები,  
როგორც ურიცხვი წიწილები გიგანტურ კრუხის!“

ლექსში ვალერი ბრიუსოვს“ კარგია ბოლო სტრიქონები:  
„თავზე დაგედვა, ვით სიზმარში აწვდილი ზვინი,  
ზავი კონუსი დედაშიწის ბნელი ღამისა“.

ვასო გორგაძემ გასულ წელს „მნათობი“-ს ნომრებში დაბეჭდა რამდენიმე ლექსი „ლენინი— ბავში“ და „სიმქონია მწუხრის“ დაწერილია იმპრესსიონისტული მანერით. ასეთია ამ ლექსებში, როგორც განსახების მეთოდი, აგრეთვე ობიექტის მიმღეობის გზაც.

„პროლოგია“ არის დაპირება „ბრძოლის ბარიკადების“ ლიტერატურულ რეპროდუქციის მოცემისა. ჩემის დაჯერებით დასახელებულ ლექსებს შორის უკეთესია „ექსპრესს“, აქ უფრო მაგარია სტილის გამძლეობა და ტემა საკმაო ინტენსივობითაა დაძლეული.

ამ ლექსში მეტი აღფრთოვანება და შეყვარება მაშინოლოგიის, ვიდრე გოტფრიდ ბენის ლექსი, რომელშიაც დაქანცების და მობეზრების პულსი სცემს.

ამ ქუთათელი თავის ლიტერატურულ კარიერას იწყებს გასული წლიდან. დებიუტი მეტად გაბედული: 4-მოქმედებიანი დრამა „ხრისას გველი“ რომელიც დაიბეჭდა „სახიობა“-ში. დრამა ემყარება ლამაზ ლეგენდას ბერძნული მითოლოგიიდან. აღსანიშნავია, რომ დრამით ქართულ ლიტერატურაში პირველადაა მოცემული — „კენტავრა“ რომლითაც შემდეგ ხშირათ სარგებლობს გრიგოლ რობაქიძეც. ქუთათელი სწერს ლიტერატურაში დამკვიდრებულ მეთოდით.

მემარცხენეობის თვალსაზრისს გარეშე მისი ლექსის ტენიკა ხშირათ კარგ შთაბეჭდილებას იძლევა. ლექსი „ჩალვადრები“ არის ცდა პრიმიტივთან დასვლის. აქ აღებულია სვანების, ამ ყველაზე პრიმიტიული ხალხის, საშობაო მოგზაურობა ყველა თავისი ტრადიციულობით. როგორც აღვნიშნეთ ქუთათელისათვის 1924 წელი—სადებიუტოა. ამიტომ მასზე დასრულებული დასკვნა—ნაადრევეა.

1924  
1982



ი. გრიშაშვილი გასულ წელს დაიბეჭდა, როგორც სხვა და სხვა/ეჟურნალებში, აგრეთვე საკუთარ „ლეილა“-ში. საჭიროა მხოლოდ ემის, თქმა, რომ მას ოდნავათაც არ გადაუხვევია იმ გზებიდან, რომლებზედაც იგი დაიწყო კიდევ მისი ჩვეულებრივი პოეტიკა კი იმდენათ ცნობილია, რომ აღარ საჭიროებს კომენტარიებს.

„პროლეტარულ პოეზიის“ კავშირიდან ჩვენი სამომხილვეო წლის განხილვაში მოცემულია გაცილებით ცოტა ვიდრე წინა წლებში. თავისი ლიტერატურული და სოციალური საქმიანობის ავალსებამ მიმდინარეობის პოეტებს ატარონ პრეტენზია „რევოლუციის პოეზიის“. აღსანიშნავია, რომ ქართველი პოეტები, ამ მიმართულების, უფრო სწორედ რევოლუციანზე, ხოლო ნაკლებათ ფიქრობენ თავითონ რევოლუციის მოხდენას იმ არეზე, რომელშიც ისინი ტრიალებენ. ლენინის ცნობილი თქმა პრიორიტეტს ანიჭებს პეოლეს. სამოქალაქო ომსა და ეკონომიურ საკითხების გადაჭრის შემდეგ პარტიისა და სახელმწიფოსათვის ნორიგი ამოცანა იდეოლოგიის, ყოფისა და ხელოვნების ახალი ფორმაცია და მაშასადამე მისი შორეული გარდაქმნა. ქართველი პროლეტარული პოეტები კი ჯერ კიდევ სამწუხაროდ წარსულის ტრადიციებით იკვებებიან. მოკლეთ: ეს მკოლა ჯერ ვერ იძლევა „ხელოვნების ოქტომბერს“.

გასული წლის განმავლობაში აღსანიშნავია: სანდრო ეულის ლექსები, ზომლეთელის ლექსთა კრებული: ინასარიძე და იონა ვაკელის „ვერობა“. უკანასკნელში არის ცდა ბურჟუაზიული დასაველეთის ყოფა-ცხოვრების ასახვისა. ატორი მთელ პოემაში იძლევა იმ კოლლიზიის ეპიზოდურ სურათებს, რომელიც არსებობს თანამედროვე დასაველეთში მოპირდაპირე კლასთა შორის. ზოგჯერ მიზანი საკმაოთაა მიღწეული.

აღსანიშნავია მაშაშვილის ლექსების წიგნი, სადაც მეტი განბედაობისა და რევოლუციონიზმის შთაბეჭდილება იქმნება.

პროლეტარული პოეზიის ნიშნის ქვეშ გამოვიდა ახალგაზრდობის ეჟრნალი „დინამიტი“. ეს ეჟრნალი მის პრეტენზიებით სავსე, დეკლარაციას რომ გვერდი ავუხვიოთ, რჩება, როგორც ლიტერატურული ვარჯიშობა. აქ დაბეჭდილი პოეტები შედიან ახლად ჩამოყალიბებულ „პროლეტარულ“ ჯგუფში; რომლის ლიტერატურულ მიღწევებზე ლაპარაკი და წერა ახლო მომავლის შესაძლებლობა იქნება აღბად.

(დასასრული იქნება)





# ლიტერატურული სილუეტები

ა.

## კონსტანტინე ჭიჭინაძე.

კონსტანტინე ჭიჭინაძე არის პოეტი მხედველობის, და არა სმენის. მას არ აქვს ხმა და ფონეტიკა. ამიტომ ლექსებში ამოღებულია რომანტიზმის მახასიათებელი ატრიბუტები: ირრეალიზმი, ფანტასტიკა, მუსიკა. იგი უფრო კლასიკია. შემდეგ რეალისტი. მაგრამ არა ფოტოგრაფი: რეალობა მასთან წარმოდგენილია ოდნავი სახეცვლით. აგრეთვე მასში აღსანიშნავია: გაკურით მისტიკა; პლიუს ბუნების დეკორატიულად გაგება. კ. ჭიჭინაძე განსაკუთრებით ძლიერი ალექსის ტექნიკურად გამართვაში. მისი ლექსების არქიტექტონიკა ბრინჯაოს მასალით არის აშენებული. მაგარი ტექნიკის ხელი თითქმის ყოველგან მოსჩანს ამის მაგალითი:

\*უკვე ჩაველის ხიდიკარი რისხვით და მტრობით,  
შენც მიაშურე და სწორედ იქ, სადაც ზამთრობით  
უცხო ზმანებით დატვირთული, როგორც ფიორდი,  
წყლა იშლები აბრეშუმის ლურჯ კაშნეებათ,  
შენი ტალღები კვლავ ღრიალით კლდეებს შეეება,  
მაგრამ ზევიდან პირდაღებულ ვეშაპს ვეებას  
შეებით დაგატყდა ველიეთის წმინდა გიორგი.  
და შენ, დაჭრილი სახარელი რუხი ნადირი  
ხიდის ბურჯებში ძლივა გაძვერო ჩაზნექილ წელით,  
ზედ შეგჩა ხიდი, ვით გავარდნილ ცხენს უნაგირი,  
და შემოგსალტა დაკირული სიმტკიცით ძველით\*.

(„რიონის აპოლოგია“).

კ. ჭიჭინაძის ლექსები უფრო მეტათ დალაგებულია შინაგანი რითმიულობით, და სათანადო რიტმით. ამიტომ იქ ძლეულია ლექსის დაყრუვება. მაგრამ მას შეუძლია: ხან რბილი, ხან კი წელმაგარი სტრიქონების დამზადება. ამიტომ ლექსებში ასეთი კონტრასტიული პოლიუსები მოსჩანს: ფოლადი, აბრეშუმი, ანთება და სინაზე. ყველა ეს გადასელები და ზიგზაგები მისაღები პროპორციით



არის შედგენილი. შემდეგ ახასიათებს; მინუს ლირიკა. თემებს კონკრეტულად მოჭრა. ლექსის კულტურა. სახეებს ხმარობს მოზომვით და სიძუნწით. შედეგად: ლექსები ელასტიურია, მოქნილი და არა მძიმე. ხოლო თემების მსჯელობები მაგნიტია თავისთავად. და ზომიერი სათბობი მასალების მიზანტენით სარმელო პოზაშია ჩამდგარი.... ამგვარად კ. ჭიჭინაძე უპირველესად არის ძლიერი ტალანტი, ერუდიტი, შემოქმედების დიდი შესაძლებლობით და გამძლეობის მაგარი კუნთებით. კ. ჭიჭინაძე არ არის ქალაქის პოეტი. ამიტომ ლექსებში არ არის ნაჩვენები: ქარხნების მკვეთრი კივილი, ყორნისებური ფოლადის ფერით შეღებული ზეცა, სიჩქარის კულტი. მასთან არ შეიგრძნობა საუკუნე—დინამიკის, რადიოს, ელექტროს, ცეპელინების და ჯავშნიან ტანსაცმელში ჩამსხდარი ავტომობილების. იგი უფრო „ამწყვანებული კორდიდან მხირალი“ პოეტია (იხ. „ვაჟას“); მისი პოეზიის ძირები—ბუნების ჰარმონიულად გამრთვლებულ და სტატიურ სახეობაში იმყოფება. მასთან არის ასახული: ბუნება, რადგო-ც არა უტილიტარული ნივთი. ყველგან მოცემულია პრიმიტივი ვ. ფშაველას და ნ. ფაროსმანის გაგების. ამიტომ მასთან ერთი წუთითაც არ არის ნაგრძნობი ურბანიზმით ბუნების გატეხის ხაზი. თვითონ კი პრიმიტივში ისეთი სიღრმით არ იხედება, როგორც ეს ვაჟამ იცოდა. მის ლექსებში ბუნება და მისი მოვლენები უფრო დეკორატიულ ხაზებშია წარმოდგენილი. შედეგად: მეტი პოზა და ეესტია ნახმარი. ამის მაგალითი:

„..... შემოდგომის ცბიერი სენი  
გულს უხიბლავდა არე-მარეს ყვითელ ქარვებით,  
ნელი სიამით და ნალექის ჩუმ მოქარვებით  
ღობილებივით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს დღენი.  
უკანასკნელი გაღიმებით სუნთქავდა ველი  
და დასუსტებულ ტყეს ეცინა მკვდარ მოსვენებით.

(რიონის აპოლოგია).

საზოგადოდ კ. ჭიჭინაძე თითქოს დანამიურია. მაგრამ მისი დინამიკა უფრო ნიშნავს გავარდნილ სირბილს, ვიდრე მოძრავი სახეების სიჩქარეს. ქალაქს არ განიცდის. ამიტომ მასთვის თითქოს არ არსებობს რევოლიუცია, რომელმაც სწორედ ქალაქში მონახა თავისი თავი. რევოლიუციის კალენდოსკომიურ სანახაობაში კ. ჭიჭინაძე მიკროსკოპითაც ვერ ხედავს სოციალურ თემებს. იგი კოსმიური საკითხებით რევრანსს აკეთებს და უდიდესათ შორდება სოციალური საკითხების ფონს. „მოგზაურობა ანთების“ მესამე ნაწილში მან მოისურვა მეცნიერული ჰიპოტეზის პოეტურად ათვისება. შორეულ მომავალში მზის ჩაქრობის და ჩვენ პლანეტაზე სიცოცხლის მოსპობის ჰიპოტეზა—მან გამოიყენა თავის პოეზიის მასალად. იგი ასე მიმართავს მხეს:

„როცა რაშები დაგებოცონ ფიცხელ ჭენებით.  
როდესაც სითბო და სინათლე გამოგელიოს“.  
მაშინ:

„თვალი დახუჭე ნაომარი და ნაჯაფარი;  
სულყველაფერი მოჩვენება, ღამის ლანდია“.



აღარ იქნება მარხილები, კოჭლი ჩაფარი,  
მადაგასკარი, საქართველო და ისლანდია!"



აქ მართლაც არის მოცემული მზის სისტემის მოძველებული მუდმივი ცვლილებით ჩვენება. ნაგრძნობია მისი დიალექტიური გზა. მისი ტრადიციული ცხოვრება, თვითონ პოეტის პესიმისტური ტკივილები კი აყვანილია კვადრატში... მაგრამ ამ კოსმიზმის კაპსულები მისტიკაში არის გახსნილი. თვითონ პოეტი მიწის ცხოვრებას თითქოს აღმაცერად უცქერის. მას აწვალებს კოსმოსის ამოცანები. ანტიომაც ცივად ხვდება იგი რეალური ცხოვრების პრობლემებს. აქ არის მისი შემოქმედების მასკა. და სულიერი რიტმის სხვაგვარ ორბიტში გადახრა. კ. ჭიჭინაძეს აქვს საკუთარი კულტი. მაგრამ ეს კულტი არ არის სოციალური ხასიათის, არც ეთიურის. იგი ესტეტიური თვისებით ხასიათდება: კ. ჭიჭინაძე კლასიკური საბერძნეთის და რომის კულტით არის დატყვევებული. თუმცა მისთვის წარსული სიყვარული არ არის ეკვივალენტი რომანტიული ცრემლების. კ. ჭიჭინაძეს არ აწვალებს შატობრიანის რენეს ტრადედია. იგი რეალობით არ არის დამარცხებული, და მაშასადამე მას არ ახასიათებს: სულის გათრება: პესიმისმი, მისწრაფება არა ჩვეულებრივისადმი. იგი უფრო მკრთალი ფერის „რომანტიკოსია“: მხოლოდ წარსულის სიყვარულით ანთებული. ჟ. ჟ. რუსოს სეზონი ხასიათდებოდა: კულტურის სიძულვილით და ახალი პაროლის გადმოსროლით: უკან ბუნებისაკენ, უკან წარსულში. კ. ჭიჭინაძესთან კი წარსულზე ზიარება არ გამოდის კულტურის სიძულვილის შედეგად. მისთვის წარსულის სახეების საკუთარ პოეზიის თემებად გამოცხადება უდრის: კოსმიურ საკითხებთან დაბრუნებას და არა სინამდვილის უარყოფით წარსულისაკენ რომანტიულად მიბრუნებას. მხოლოდ ასეთ ოკალებში ცხადდება კ. ჭიჭინაძის „რომანტიკა“. აქედან: თემებში და გაგებაში იგი ხშირად ხვდება ვ. ბრიუსოვს. კ. ჭიჭინაძე თავის თავზე სწერს:

„ღრმა წარსულისკენ მიმაქანებს ცხელი ანთება“ო.

და ანტიომ უკანასკნელი სიხარულით იწყებს—ძველი რომის და საბერძნეთის სახეების გაცოცხლებას. „მოგზაურობა ანთების“ პირველ ნაწილში მოქანდაკის ხელით არის გაშოქრალი ძველი საბერძნეთის სახეები. პოემაში თითქოს საფლავებიდან ხელმეორედ დგებიან: ხმლის ლესვით თემისტოკლე და მილტიადი, მეფურ დიდებით შემოსილი დინჯი პერიკლე და მრავალი სხვა. უცებ გამოჩნდება თვითონ ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც თავის ფალანგებით და ბევრეფალით საბერძნეთის დიდებას საბოლოოდ გადატებს და.

„რომი ველური წინ წამოდგა ქვეყნის მფარველად  
და დაიფარა დედამიწა შუბის ტარებით“.

ამის შემდეგ იწყება ძველი, კლასიური რომის სახეების გაცოცხლება. პოეტური სიტყვით და პაფოსით აცოცხლებს: მესალინას, კალიგულას და გამოყავს მთვრალი ნერონი ბარბაცით და მუქარით. აქვე გამოდის კორინა:

„თავდახრილი დაღლილი შვენებითა,

და კაბის კალთებს მტვერს არიდებს ლეთიურ სინაზით“.

აღსანიშნავია: კ. ჭიჭინაძე ამ წარსულის სახეებს უყურებს, როგორც წარა-



დიულის სიმბოლოებს. აქ იგი უსათუოდ ვ. ბრიუსოვს ენათესავება. მართლაც ვ. ბრიუსოვმა დიდი ოსტატობით გამოაქანდაკა წარსულის სახეები მან დაგვანახა: ასსარგადონი, ალექსანდრე მაკედონელი, ფარაონები, ბაბილონი, მიდია, ტოგროსი და სხვა. ხოლო მთელი ამ სახეების ელიზიუმს იგი უყურებდა, როგორც მარადისობის სიმბოლოებს... მარადი სიცოცხლით განათებულ ნიშნებს. ვ. ბრიუსოვის ეს გაგება კარგად აქვს გახაზული კ. ჭიჭინაძეს მისდამი მოძღვრულ ლექსში:

... სიკვდილი არის ყველაფერის დაბოლოება  
ასსარგადონი, ბაბილონი, ტოგროს, მიდია  
ჩამქრალი სულის სარკვეებში ჩუმად მიდიან  
მარადისობის ვაჟითრებულ სიმბოლოებად“.

(იხ. ურ., „შნათობი“ 6).

კ. ჭიჭინაძე სხვა მხრივაც ენათესავება ბრიუსოვის პოეზიას. ვ. ბრიუსოვმა იცოდა სინამდვილესთან დაბრუნება, ამ სინამდვილეს იგი ისე დაწერავდა, რომ მას გარდატეხნიდა წარსულის მოგონებად. მაგალითი მისი თემა: ლენინი და პერიკლ. კ. ჭიჭინაძეც ასეთი გზით მიდის. „რიონის აპოლოგია“-ში უმთავრესად იღებულა სინამდვილე რიონის სახით. „შენი სათავე ვინახულე ღღეს მეორეჯერო“. და აქვე აკავშირებს მას წარსულთან:

„შენს მოგონებას იტაცებდა ამბავი ძველი:  
ძვირფასი ვერძი, მეღუა და არგოსელები“.

იგრედვე მასთან აკავშირებს: კახაბერის, სოლომონის და თამარის ეპოქის მოგონებას და ამით იგი იძლევა სინამდვილის წარსულთან დაკავშირების ცდას. თუმცა კ. ჭიჭინაძემ ხანდახან იცის სინამდვილესთან წმინდათ დაბრუნებაც და მას არ აკავშირებს წარსულის მოგონება. მართლაც: „აკვარელში“, — „მოგზაურობა ანთების“ მეორე ნაწილში და რიონის აპოლოგიის „ზოგიერთ ადვილებში“ წარსულზე ზიარების ხაზი სავსებით ამოღებულია. მის მაგივრად მოცემულია სინამდვილესთან წმიდა დაბრუნება. კ. ჭიჭინაძე არ არის ნამდვილი რომანტიკოსი. ამიტომ მასთან წარსული და არსებული არ არის წინააღმდეგობით დაპირისპირებული როგორც არსებული სინამდვილის სახეებს, ისე წარსულისას იგი უყურებს, როგორც მარადიულის სიმბოლოებს... ასეთი იდეოლოგიურ წრეშია კ. ჭიჭინაძე. მისი მსოფლ გაგება პოეზიის სახომით გამართლებადი მიდის. მაგრამ თანადროულობის მიხედვით კ. ჭიჭინაძეს ბევრი რამ მოეთხოვება, რომელსაც იგი ჯერ-ჯერობით არ გვაძლევს. ის უსათუოდ უნდა დაუბრუნდეს თანადროულობის დინამიურობას თორემ აღრე ჩაბარდება მოგონების მტვერიან არქივს. ამიტომ კ. ჭიჭინაძემ უნდა ჩამოიხადოს მასკა. ახლა იგი ყოველ შემთხვევაში დროსა და სივრცის გარეშე იმყოფება, და შიგადაშიგ ისეთი პოზით მოსჩანს, რომ ხანდისხან იმედი იკარგება მიწაზე მისი დაბრუნების... დაბრუნდება? ნუ ვიწინასწარმეტყველებთ. მომავალში თვითონ გვეტყვის.

ასეთი სახით წარმომიდგა კ. ჭიჭინაძის პოეზიის უმთავრესი ხაზები.





## ლიბიტრი უაზგების და ალექსანდრე უაზგების გიორგ- რაჭიის მასალები.

(გაგრძელება \*).

თავი მეთორმეტი.

ერთს საღამოზე, ჩაის სმის დროს ბიჭი შემოვარდა და დაიძახა: მოვიდნენ! ჩვენ წამოვსცვივდით, შეიქნა ერთი შესვლა-გაძოსვლა, ხურჯინების და ყუთების შემოლაგება. იორდანე წარმოხდგა თავის ბატონების წინ, მრავალი წერილები ამოიღო ჯიბიდან და გარდასცა. ძალუა და ძია ხსნიდნენ თითო-თითოდ, კითხულობდნენ. ტყობულობდნენ თბილისის ახალს ანბებს, მუსაიფობდნენ, ზოგს ანბავზე ჯავრობდნენ, ზოგზედ კი იცინოდნენ. ახალის გუბერნანკის გამო ერთი ნაცნობი სწედათ, რომ ეს ქალი ნამდვილი ფრანგის ქალი არისო და თავისი დედაცა ხელმიწევნით იცისო. „მადლობა ღმერთსა, საჩქვა ძალუამ, ნამდვილი მადმახელა მოგვივიდა!“

სამოვარი ხელშეორეთ გააჩაღეს და შემოიყვანეს ახლათ მოსული სტუმარი ქალი; ის იყო მაღალი ტანისა, უფრო შავგვრემანი, იქნებოდა 25-ს წლისა, შავი, მომცრო, ბრწყინვალე ცელქი თვალები. ალერსით გამოიყურებოდნენ. სანდროს ჯერ არ ეძინა. შინ იყო და ამის გამო ძებნა არ მოუხდათ, რომ მადმახელასთვის გაეცნოთ სახლის ბატონი, მთელს სახლობას დარბაზში თავი მოეყარა და ყველანი ახალს მოსულს ქალს ეალერსებოდნენ და თავს აცნობებდნენ.

— აი, თქვენი მოწაფე! მოჰკიდა ძალუამ სანდროს ხელი და მიიყვანა გუბერნანკისთან, — გთხოვთ გიყვარდესთ და სწყალობდეთ! ცოტა გიყვი კი არის, მაგრამ ჩქარა მოჰკვიანდება, თუ რომ თქვენ ამის სიყვარულს და თქვენის ხელობის ცოდნას გამოიჩინთ.

ქალმა ალერსიანათ შეხედა, ხელები მხრებზე დაადო და თავისკენ მიიწია, რომ ბავშვისთვის ეკოცნა; სანდრომაც თავი დაუკრა მაგრამ საკოცნელათ არ დანებდა და ხელიდან ჩქარა გაუსხლტა. ამ მოსულს ფრანგის ქალს, საზოგადოთ ისეთი სასიამოვნო შეხედულება ჰქონდა, რომ თითქმის ყველანი დაიმოწინილა; სანდროც კი ალერსიანათ უყურებდა.

\*) ის, „მნათობი“ № 7—8.



ჩაი დააღვინეს და თავისი ოთახი აჩვენეს, რომ მოესვენა დაღუპულ გამოსაღმების დროს დაუმატა: „დღეს დაღალული ხართ და ხვალ, როდესაც სანდროს ჩავაბარებთო“. თოლმაჯი ისევ ნინო იყო და წარმოდგენილი უნდა გამეჩქვინეს, თუ რა ლამაზი კილოთი ეტყოდა.

მეც, ჩემის მეგობარის სალომეთი, რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარ საოჯახო საქმეში მონაწილეობას ვიღებდით. ჩვენს აზრს ერთმანეთს უზიარებდით და კუთხიდან უალერსებლით ლამაზათ შეყრილს და ზდილს ფრანგის ქალს.

მეორე დღეს, აუღვევი თუ არა, ჩვეულობისამებრ მივეშურებოდი ძალუა ჩემის ოთახში, სადაც მოსული ქალის ლაპარაკის ხმაც მესმოდა, მივედი კარებთან თუ არა, და ხელი მივატანე გასაღებათ, სალომანა ბიჭი გარდმომეღობა და მითხრა. რომ ქალბატონმა ბრძანა არაეინ შეუშვა, საჭმე აქვსო. მე რა შეთქმოდა ამაზე—უკანვე დავბრუნდი, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გავიქეცი ძალუას ოთახისაკენ, მაგრამ ძალუა ოთახში აღარ დამხვდა.

მე გაჩერებული ვიდევნი და არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, ვისთვის მიმემართა, რომ ჩემი საჭმე და ალაფი ეჩვენებინა, დიდი ხანია შემჩნეული მქონდა, რომ რაც უფრო სანდროს სწავლაზე ლაპარაკი გახშირდა, იმდენათ ჩემი სწავლა: ჩვეულებისამებრ ლოცვა და ანბანის კითხვა ყველას ავიწყდებოდა და მე ამით თანდათან ეშორებოდი, ვირიყებოდი, სახლობის წყობილებიდან. თანდათან უფრო ძრიელა ვგრძნობდი, რომ მე თითქო მეტი ვიყავ, ყველასათვის სამძიმო ტვირთი. შიშ, ძალუა და იმათი შვილი ალექსანდრე: ყველას გვესმოდა ამათი უფლება და ძალა, მაგრამ მე რაღა ვიყავ? რა მერქვა? ჩემი ალაფი და ოჯახში მნიშვნელობა როგორც მე არ მესმოდა, ისე სხვებს.

რამდენიმე დღემ გაიარა, სანდროს თითქო მიეჩვია თავის მასწავლებელი, რამდენიმე ფრანგული სიტყვა ისწავლა; ძალუა ალტაცებაში მოვიდა და გახარებულმა ფორტოპიანიც დაიბარა თბილისიდან.

ძალუამ და ნინომ ჩუროჩულ კურკური მოუხშირეს. იმათი ლაპარაკის აზრი, აღარ მესმოდა...

პირველ ხანებში, როგორც ხეშოთა ვსატვი, ლოცვის დროს, ყოველს მინაობის ანბანს გავიგონებდი ხოლმე და ეხლა, როგორც ურუ და მუნჯი ისე დავიარებოდი, ოჯახობისა აღარა ვიცოდი რა, სანდროსაც დაუშორდი: ჩემთან აღარ უშვებდნენ, პირდაპირ არაეინ მეუბნებოდა. სანდროსთან ნუ ძიხვალო, მაგრამ, როგორცვე სანდროსთან დავაპირებდი შესვლას, რაღაც მანქანებით ვინმე გადმომეღობებოდა: სანდროც როგორცვე მომიკითხაუდა, ან ჩემკენ გამობოდა მაშინვე, ვითომც შემთხვევით, სხვა მხარეს გაატანებდნენ, მე ამგვარმა მდგომარეობამ ძრიელ დამაღონა და ხშირათ მოწყენილი კუთხეში მივიკუნტებოდი ხოლმე. მხოლოთ პურსა ესკამდი იმათთან და სხვა დროს სრულებით ველარაის ვხედავდი. რაღა გავაგძელოთ: ჩემდამი მოვალეობა ყველას დაფიქრებოდა....

ერთს დღეს დაღონებული თანჯარასთან ვიდევ და არაგვისკენ გავიყურებოდი: რასა ვფიქრობოდი მე თითონაც არ მესმოდა, მხოლოთ დაღონებული კი ვიყავ. ჩემს შემჩნეულათ უკანიდან ვიღაც მომეპარა და ალერსიანათ მითხრა:?



„რას დალოცებულხარ? მოდი ჩემთანა!“ უეცრათ მოვტრიალდი და ჩემდა/მოულოდნელათ ბიძა ჩემს კალთაში ჩაუარდი, მე გაკვირვებასთან ერთად შემრცხვა, ბიძა ჩემი ძალიან მოყვარდა, მე ვგრძნობდი, რომ უნებლად, მაგრამ ისეთი შიში და შორიდება მქონდა, როგორც ძველებურს დროში იცოდნენ უფროსებისადმი, მე ეს გრძნობა სტეფან-წმინდიდან გამომყვა, სადაც მამიჩემისაგან ყოველთვისა ვხედავდი ბიძიჩემის პატივისცემას; მახსოვდა, რომ მამაჩემი მუდამ თავს ადგა ხოლმე და მანამ ძია არ უბრძანებდა „ნიკოლოზ, დაჯექიო“ ის არ დაჯდებოდა. მამაჩემი მიხვილას სახელსა ფიცულობდა და მე, რაკვრელია, დიდის შიშით და მოწიწებით შევეყურებდი; მინამ თითონ ბიძაჩემი არ დამიძახებდა და არ შიალერსებდა, ჰე ვერც ალერსს და ვერც ლაპარაკს ვერ უბედავდი.

— რათა ხარ დალოცებული? ხომ არავინ გაგაჯავრა?—ალერსით მეკითხებოდა ძია და თავზე ხელს მისვამდა.

— არა!... უთხარ თავდაღუნულმა გაჯავრებულიც არა ვარ.

მა ამ დღებში თბილისს მივდივარ, რას დამაბარებ? საკაბე მოგიტანო? რაფერი? თქვი, რას გაჩუმებულხარ? ხელით ნიკაბი ამიწია და თვალეში შემოწყურებდა მე უფრო თავსა ვლუნავდი. ვიდევ გაჩუმებული, თითქო ენა ყელში ჩამივარდა შეთქი, ტირილი მომივიდა, თვალეში ცრემლში შემსებოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი, ვერა ვბედავდი.

— შენ კი არა სწავლობ ფრანგულსა?

— არ მასწავლიან! — ძლიერ მოვახერხე თქმა

— არ გასწავლიან?!... შენ თითონ მიდი და ისწავლე. ძალუა შენს შეხვეწე, რომ შენც გასწავლონ.... ნუ გეშინიან, ყოჩაღათ იყავ, ვინც გაგაჯავროს მე მითხარი... გულთან მიშიკრა და ოჯელ-სამჯერ თავზე ხელი დამისვა, მეც გავთამამდი და ალერსით ხვევნი და კოცნი დაუწყე. ძალუა ჩემი კარებში გამოჩნდა. ბიძაჩემი თითქოს შეკრთაო. ხელიდან გამიშვა და პითხრა: „მამა შენი ჩქარა მოვა ფეშქეშებს მოგიტანს, ჭკვიანათ იყავ. წამოდგა და თავის კაბინეთში გავიდა. ძალუა მამიახლოვდა და უშმაკურის ღიმილით მეკითხა:

— რას ველაპარაკებოდა ბიძა შენი?

მე თითქო მომიპარავს რამეო, გაწითლებული და შემკრთალი ვიდექ. მე ვიგრძენ რომ ბიძა ჩემს არ იაშა ძალუასაგან ჩვენი თავს დაცემა და არ ვიცოდი იმისი ცნობის მოყვარეობა როგორ დამეკმაყოფილებინა.

— ძიამ მიბრძანა ჭკვიანათ იყავი და კარგათ ისწავლეო, ძალუას სთხოვე, რომ შენც გასწავლონ ფრანგულიო....

— ფრანგული შენთვის სრულებით საჭირო არ არის! ფრანგული რათ გინდა?! სტეფანწმინდას ვისთან უნდა ილაპარაკო? მამიშენის სურვილია, რომ შენ სამლთო წერილი კარგათ ისწავლო. ხელსაქმე, ოჯახის მოვლა. აი, ესენი არის საჭირო გასათხოვარი ქალისთვის. შენ, სანდროს რას უყურობ? სანდროს სხვა არის: ის მამაკაცია, ვენაცვალე, ის რომ დაეაჟაკადება, იმისთვის ენების ცოდნა საჭირო იქნენა... შენ როცა ღოცულობ ხოლმე, სანდრო კი არ დაგავიწყდეს? მე შენ ლამაზი ზორნების ქსოვას გასწავლი, თქრო მკერდით კერვას,



ოჯახის კარგათ მოელას, სხვა რაღა გინდა? შენ იცი, ჩემო ლიზა, როცა მამა შენი ნოვა... ეხლა ხომ ძიამ გიბრძანა ჩქარა მოვარო? პო, ჩემო მამა! მამა ლიზა მობრძანდება, შეგხვეწე დალუას საოსტატოთ ქურქისთვის შენთვის! აჩუქეთქო... ხომ იცი იმას ბევრი აქვს თავისი ნანადირევი... მე შენ ისეთ კაბას შეგიკერავ, სანდროს სიცოცხლემ, რომ სულ წითდეს... დალუა ჩემის ალერსი ჩემზედ საკვირველათ მოჭმედებდა!... რაც უნდა გულჯავრიანათ ვყოფილიყავ რამწამმს დამიტკებოდა მეც მსწრაფლათ გადვიყრიდი. დალუაც ამით სარგებლობდა: როცა ანბავი მოუვიდოდა მანიჩემის ნოსვლისა მაშინვე დამიტკებოდა და ამით დამაფიწყდება სურვილს მამისთვის გარდამეცა დალუაზე ჩემი უსიამოვნოება და სურვილი, რომ წავეყვანე. სწორეთ მოხიბლული ვიყავ და დამონებულნი... როგორც ბოლოს მივბედი და მკითხველიც, რასაკვირვლია, მიხუდვია, დალუას ამ საგანზე თავისი განსაკუთრებითი მოაზრება ჰქონდა: სხვათა შორის, შავი მელის ტყავები დალიან უნდოდა მიეღო, რომლებიც, საწყალი მამიჩემის კუთხები სავსე იყო.

ეხლაც ამისთანა ძიას და დალუას ტკბილბა ალერსმა, მე განამხიარულა და უნარი მამინატა. მამას ლოდინმაც ცოტა იმედი მომცა, რომ ჩემი მდგომარეობა გაუმჯეესდებოდა და ბავშვმა ადვილათ გადვიყარე ის ღრუბლები, რომელიც სვედის ზეწარივით შემომახვიეს.

სადამოზე ზალაში ვიჯექი, ნინო შემოვიდა და მაცხოვრის ხატთან კვირადლის სანთელი აანთო, მივედი და სასოებით პირჯვარს ვიწერდი. ამ დროს წივილით სანდრო შემოვარდა, რომელიც ოსტატს გამოჰქცეოდა, ისიც უკან მოხდევდა ფრანგულის ლაპარაკით და, როგორც კილოზე შევამჩნიე, — ჯავრობით. შემოსვლის და უმაღ, მადმაზელამ სანდროს ხელი წაავლო და უთხრა:

— სულ ერთია, აი, აქ ილოცე. აქაც ხატი ასვენია და სანთელიც ანთია. დადევ, ესე! (თითონ დააყენა) დაიწვრე პირჯვარი! (სამი თითი დაატერინა და თითონვე შუბლზე ადებინებდა თითებს) თქვი!...

სანდრო ისევ ხელიდან გაუსხლტა და სკამზე შეხტა, ქალი რომ შემოტრიალდა თეალები პირდაპირ მე შემომაცეცა. დამაშტერდა, თითქო პირველათ დღეს დამინახაო და შემდეგ, უერათ ხელი მტაცა, მიმიყვანა, ხატის წინ დამაყენა, ისე, როგორც სანდროს სამი თითი დამატერინა და მითხრა ფრანგულათ: „როგორც მე ვასწავლო შენ განიშეორეო“.

თქვი: ონონ დუ პერ, ედუფის, ედუ სან, დუსპრი, ამინ!  
 მე მაშინვე დაემორჩილდი, განვიმეორე იმისი სიტყვები და ეხლაც ორმოც და ათის შემდეგ, მადსოვს, თუმცა ფრანგული ენა არც ვიცი და უეჭველათ ამ სიტყვებსაც სხვა კილოზედ გადასხვაფერებული ვანბობ. აი, სიმართლე იმ, პირებისა, რომელნიც ანბობენ, რომ ენები ადამიანმა ბავშობაში უნდა ისწავლოსო.

— აი, შენ მაგიერთ ამას ვასწავლი! უთხრა გაბოროტებულს სანდროს, რომელიც სკამზე შემბტარი გაკვირვებით შემოგვყურებდა.

ეს ისე მსწრაფათ მოხდა, რომ ვერც მე მოვიაზრე: რა აზრით მიმათრია



ხატთან მასწავლებელმა და ვერც სანდრო მიხვდა: იმის მაგივრათ მე რათ მალოცებს?..

— აი, შენ რადგანაც არ მიგონებ, არ გინდა რომ გასწავლო, მე მადმაზელ ელიზას ვასწავლიო.. უთხრა ისევ ისე განცვიფრებულს სანდროს.

მე ისევ ხატთან ვიდევ და გახარებული ვიმეორებდი იმ ლოცვას, რომელიც ესე ხელ და ხელ მასწავლეს, როდესაც ძალუა ჩემი შემოვიდა, რასაკვირველია, მიხვდა მასწავლებლის და სანდროს ლაპარაკის აზრს და უკმაყოფილო კილოთი უკანასკნელს მიმართა: „მე კარგათ ვიცი, რომ ამ ქალსაც გააქცევ და არას ისწავლიო“.

— კნენა, მე ნება მიბოძეთ, რომ მადმაზელ ელიზასაც ვასწავლო ხოლმე, რადგანაც სანდრო, როგორც ყველა ბაშვი, ჯიბრზე ამასთან უფრო კარგათ ისწავლის.

— მოდი! (მიმართა სანდროს) შენ და მადმაზელ ელიზამ ერთათ ილოცეთ, — მოჰკიდა ხელი და მოიყვანა. ჩემდა სასიამოვნოთ სანდროც დამორჩილდა. დაგვაყენა ერთ და ხელ მეორეთ „სახელითა მამისათა“ ფრანგულს ენაზე განგვამეორებინა. მე და სანდრო სხაპასხუბით ვიმეორებდით ლოცვებს თითქო ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

ჩვენი მასწავლებელი დამშვიდდა და თითქმის ძალუაც გამხიარულდა.

— მიდი ეხლა დედასთან, აკოცე და დასაძინებლათ წადი — უთხრა მასწავლებელმა.

სანდრო რამთენჯერმე გადახტა — გადმოხტა, დედას აკოცა და წავიდა დასაძინებლათ ნინოს ხელმძღვანელობით. მე ისევ იქვე ვიდექი, როდესაც მასწავლებელი მივიდა ძალუასთან და უთხრა:

— კნენავ, მე აღრევაც მოგახსენეთ და ეხლაც გიმეორებთ, რომ თუ თქვენის შვილისათვის სიკეთე გსურთ და გინდათ რომ კარგათ ისწავლოს, მაშინ ნება მიბოძეთ, ღიზას და იმას ერთათ ვასწავლო.

რადგანაც, როგორც ზემოთა ვხატევი, ფრანგის ქალმა ძალიან მცირეთ იცოდა რუსული და ამას კიდევ ის ემატებოდა, რომ გამდელი — ნინოს და ლაქია სიმონას თოღმაჯობით უნდა ვიდაეცა მასწავლებელს თავისი პედაგოგიური შეხედულება და აზრი; ამის გამო შეუძლებელი ხდებოდა სრულათ, მკაფიოთ გამოეთქვა ძალუასთვის ჩაეგონებინა — უსწავლელის, მაგრამ ბუნებითი ტკვიანის დედაკაცისათვის, ის დასკვნილება რომელიც მასწავლებელს შავთვისებინა. მე ეხლაც მიკვირს: ან კი რასაც ერთმანერთს ეუბნებოდნენ როგორ მიხვდებოდნენ ხოლმე!..

იმათი მდგომარეობა, მართლაც საცოდაობა იყო, მუნჯებს მიუმხგავსებოდნენ!..

ამ ლაპარაკის და ლოცვის შედეგი ის იყო, რომ მეორე დღეს ნინო გამდელმა მეც მომართო და სადაც სანდროს ასწავლიდნენ იმ ოთახში შემიყვანა ჩემ სიხარულს და სიამოვნებას აღარ ჰქონდა საზღვარი, როდესაც წიგნი გადმიწავა. იმ კურთხეულმა ფრანგის ქალმა, რომლისა არც სახელი ვიცი და არც გვარი (მეც ისე მეგონა რომ მადმაზელასთვის არც ერთი საჭირო



არ იყო), და დამაწყებინა კითხვა. მე ისეთი სურვილი მქონდა სწავლინ, რომ მთლიან სმენათ ვიყავე გარდაქცეული და რასაც სხვას ეუბნებოდნენ და ასწავლიდნენ, ჩემზე რღმა შთაბეჭდილებას ახდენდა. როგორც დაწვენილი ვიყავი, ბოდა საზრდოს, როგორც მწყურვალი დაეწაფება ანკარა წყალს, ისე მე დავეწაფე იმას, რასაც ეს დალოცვილი აღამიანი მეტყოდა და მასწავლიდა.

კურთხულებიც იყავ უცხო ტომის მანდილოსანო, რომელმაც ჩემში პირველი სწავლა განათლების ნაპერწკალი შემოავდევ...

მე ვეტრფოდი და ფარვანასაფით ვეველებოდი ამ შავგრემანს ცქრიალა ქალს და ყველა იმის მოძრაობა, სიტყვა სურვილი, — შეურყეველს კანონათ მიმაჩნდა. ამ გვარმა ჩემმა დამონებამ ის პატიოსანი ქალიც დამიხლოვა: შემითვისა და შემიყვარა. თუმცა ჩემმა ამგვარმა ბედნიერებამ დიდ ხანს არ გასტანა, მაგრამ, მაინც რაც დრო ამ ქალთან ვიყავ, სასიამოვნოთ და სასარგებლოთ ღრმით აღიბეჭდა ჩემში, და ეხლაც სიამოვნებით და მადლობით ვიგონებ უცხო ტომის მანდილოსანს.

ჩვენი ამ გვარი მეგობრობა და ჩემი გულმოდგინეთ სწავლა, რასაკვირვეელია, ძალუა ჩემმა შენიშნა და არ ესიამოვნა: წამდა-უწუმ, როგორც ნინოსთან დრო შერჩებოდა, მაშინვე იტყოდა ხოლმე:

— მე ფრანგის ქალს ფულს ვაძლევ სანდროს გულისთვის და მარტო ღიზა კი სარგებლონს, ჩემი შვილი არა სწავლდბს, არ ეკარება, სულ ბიჭებთან გდია. აქლუნობასა თამაშობს და ვგენი კი სწავლა მუსაიტში ბრძანდებიან! უყურე მაგ ეშმაკსა, როგორ ჩქარა დაიწყო ფრანგულათ ლაპარაკი?!, არა, მე უნდა უთხრა ამ მადმაზელას, რომ მე სანდროსთვინ მომიყვანია და არა ღიზასთვის.

სანდროს სწავლა თანდათან იჩარხებოდა: ფრანგის ქალის გარდა, რუსული ენის ოსტატიც დაუჭირეს, სამლო წერილის მასწავლებლათ იქაური პრიხოდის მღვდელი, ახალი კურსოვნიკი მოიწყიეს. ეს ყმაწვილი მღვდელი ტომით ქართველი იყო და ძალუა ჩემი ძალიანა სწყალობდა და ხშირათაც ემუსაიტებოდა ხოლმე. როგორც შემოთაცა ვსთქვი, ძალუა ჩემი კეკე ძალიან ღვთის მოყვარე იყო და სამლო წერილი კარგათ იცოდა, ამ მღვდელს დაისვამდა ხოლმე ვვერდით და მთელი საღამოები ემუსაიტებოდა. ლაპარაკში და ბაასში ძალუა ჩემი დასძლევდა ხოლმე და ყმაწვილ მღვდელს უკვირდა მანდილოსნის ამ გვარათ ბაასში ვავარჯიშება. რაც ეს მღვდელი ძალუას დაუშინაურდა, მას ატეთ თოლმაჯობაც იმან დაისაკუთრა; რადგანაც კურსოვნიკი იყო, რუსული კარგათ იცოდა, თუნცა ისიც გ. მაგივრათ ღ-სა ხმარობდა, რასაკვირველია, ეს არ უშლიდა ამროვანით გადმოთარგმნას. ამ კარგის თოლმაჯის შემწვობით ძალუას ლაპარაკს უცხო ტომის ხალხთან აზროვანთ კილო შეექნა.

ერთს საღამოს მხიარულათ მივეშურებოდი ჩემის ღმერთის ოთახში. გასავალს პერეღნაში უეცრათ შევეკრათი, შეეჩერდი: აშკარათ მომესმა ძალუასი და მადმაზელას აღშფოთებული ლაპარაკი მღვდლის თოლმაჯობით, მე უნებურათ შევხდევ და, აი, რა ვავიგონე-

— „შაშაო, გთხოვთ გარდასცეთ და შეაგონოთ, რომ მე ეს მომიყვანია ჩენის ალექსანდრეს გუბერნანკათ. მე აშკარათა ვხედავ, რომ ეს ალექსანდრეს



ყურს არ უგდებს, არ ასწავლის და მარტო ლიზას შესჩერებია! მე დღევანდლიდან პირობას ვართმევ, რომ ლიზას თავი დაანებოს, მაგას ფრანგული ენის სწავლა არ ეჭირება; განსაკუთრებით ჩემს სანდროს უნდა ასწავლია და ელაპარაკოს, უთხარით მამაო!

მღვდელმა ძალუას სიტყვები გარდასცა და პასუხი აი რა მიიღო:

— მე, კნეინავ, ჩენს მოვალეობაზე არას დროს უარს არ ვაშბობ. თუ სანდრო ჩემთან ცოტა დროს ატარებს, თქვენვე ხართ ამისი მიზეზი: წოლით, თქვენ გვერდით არის, მოვლით ნინო უელის, მასწავლებლები ჩემს გარდა კიდევ ორი და სამი ჰყავს. მე თქვენის განკარგულებით დღეში ერთი საათი უნდა ვასწავლო, სხვა დროს არ მაკარებთ და, აბა, ჩემი რა დანაშაულია? მე რამდენჯერმე მოგახსენეთ, რომ ამ წესით, რომელზედაც ჩვენ დავდევით და ვასწავლით თქვენს შვილსა, არა გამოვარა! თვალსაჩინო გავლენას სანდროზე გვრც ერთი ოსტატი მოახდენს, რადგანაც ყველანი, თითქმის ერთსა და იმავე დროს ვასწავლით; გინდათ, რომ ყველაფერი ბავშვმა ერთ დროს ისწავლოს და ამასთან ისიც გინდათ, რომ არ დაიღალოს, არც თქვენ მოგშორდეთ ნინოსთანაც ნახუქებისა და მურაბების ჭამით დრო ატაროს. როცა ვაკვეთილების სწავლის დროა, აქლემზედაც იაროს... უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წესს-წყობით მე სანდროს ზნეობაზე გავლენას ვერ ვიქონიებ!.. ნუ გამიწყურებით სიმართლისთვის ბიჭების ბრბო შეგიყრიათ და ამასთან ბავშვს ყველაფრის ნებას აძლევთ... განა შესაძლებელია, რომ ბავშვმა ჩემთან დრო სიამოვნებით გაატაროს?! თუ რომ გინდათ, კნეინავ, რომ საქმე უკეთ წავიდეს, მაშინ თქვენი შვილი მე ჩამაბარეთ, თქვენ ისე მოიქეცით რომ ჩემს შევირდს ჩემი დარიგება ესმოდეს, მე მაგზე გავლენა მქონდეს და შენდევ მოითხოვეთ ჩემგან, ჩემის მოვალეობის აღსრულება. სანდრო ძალიან კარგი ბავშვია, ნიჭიანიც არის, მიყვარს კიდევ, მაგრამ თქვენ ისე ანებობრებთ, რომ ბავშვი თავის თავს ბატონათ გრძნობს, არავის არათ აგდებს და არც არავის უგონებს.

რაც შეხება მადმაზელ ლიზას მე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს რომ არ იყვის ჩემი მდგომარეობა ძალიან გასაჭირი იქნებოდა: მთელი 24-ი საათი მარტოკა, მუნჯათა ვარ და იმასთან ვატარებ დროსა“.

— „მე ვიმეორებთ, რომ ჩემის ალექსანდრესთვის მყევხართ დაჭერილი და ჯამაგირს მარტო იმისთვის გაძლევთ. არაფერს თქვენს გარეგან შრომას კაპეიკათაც არ ჩავაგდებ“.

— გადაეცი მამაო!

— „ნე ჩემის მხრით აღვიარებ კნეინავ, რომ მე მადმაზელ ლიზას ჯაკვეთილებისთვის არა შექვს მხედველობაში რამე სასყიდელი მივიღო. მე თქვენს ვთხოვთ დიდის თხოვნით, რომ ნება მიბოძოთ მადმაზელ ლიზასთან საუბრისა და იმისი სწავლისა. მე გვედრებით, არ აღმიკრძალოთ, რომ ჩემი მოვალეობა აღვასრულო და თქვენი ფული მუქათ არ შევირჩინო: რადგანაც სანდროს ვერ მოუტან სასურველს სარგებლობას, ნება მიბოძეთ ლიზას მაინც ვარგო რამე...“

ეს სიტყვები ისეთის გრძნობით და სიმართლით წარმოსთქვა ამ უცხო



ტომის ქალმა, რომ მღვდელს თვალეში ცრემლები მოერია; ~~ძალუას~~ ჩემმაც სიმართლე იგრძნო და გაოცებით შეჰყურებდა. მე ხომ მეორე ოთახში სადაც ვიდექი, იქვე გავწვავდი: მესმოდა ეს ყველაფერი ჩემზე დაპარაკანდამდლო-ბამ და სიყვარულმა აღივსო ჩენი ნორჩი გული, ამ პატიოსანის ღრმის სიჭაბუკეობით აღესილის უცხო ტომის მანდილოსანისადმი... ვიგრძენ, რომ ობოლი და უბატონო ვიყავ და ეს უცხო ქალი მფარველ-ანგელოზად ღმერთს ჩემთვის მოველინა. ვიდექ და ცრემლები ღაპა ღუპით ჩამომდიოდა. ვილაცის ფეხის ხმა შემომგესნა და საჩქაროთ უკანვე შემოვტრიალდი, შევედი ჩემს ოთახში მოვინახე ბნელი კუთხე სადაც ჩემი ქვეშაგები იყო, მივსწექი და ბალიში ცრემლით დავასველე. იქვე დამძინებო. იმათ როგორ გაათავეს თავიანთი საუბარი, აღარ ვიცი, დილით რომ გამეღვიძა, ენახე რომ ტანთ არ ვიყავ გახდილი; ჯერ გამიკვირდა ჩემი ტანისამოსით წოლა და შემდეგ მომაგონდა. წინა ღამის უსიამოვნო ანბანი: ძალუას და მადმახელას ბაისი, მთლათ ის შთაბეჭდილება, რომელიც იმათმა ღაპარაკმა ჩემსედ მოახდინა, გამახსენდა და კიდევ დავსტირე ჩემს ბედს...

ამ ღაპარაკის შემდეგ ორი სამი დღე თითქოს ყველანი გაბუტულები დავდიოდით: ნინო უფრო მეტის ენერგიით ხშირათ შერბოდა ძალუას ოთახში, თითო საათობით თავს ადგა და რაღასაც საიდუმლოებით ჩასჩურჩულებდა, მასწავლებელი ქალი დაღობებული კუთხეში იჯდა და წიგნიდან თავს აღარ იღებდა; მე როგორც იმის აჩრდილი, შორიდან ფარვანასავით უვლიდი, მინდოდა ახლოს წისვლა რადგანაც გაჯავრებული იყო ვერა ვბუდავდი. მე თითქოს ვგრძნობდი იმასთან, ჩემს დანაშაულს რადგანაც ვიცოდი, რომ ჩემის გულასთვის უსიამოვნოება მიაყენეს კუთხიდან თავს ვადევნებით: წიგნის კითხვას თავი დაანება და თავის კრაოტზე წამოწვა და ასევე დაფიქრებული კარგა ხანს ოცნებობდა. მე შევამჩნიე, რომ ნამტირალევი თვალეში ჰქონდა მინდოდა მივსულვოყავ, და მეკოცნა იმისი მიმხიდავი სახე, მაგრამ მყუდროების დარღვევას ვერა ებუდავდი. თითონ შემამჩნია ეს იღუმალი თავყანება და მიმიხმო. მე მსწრაფლ გავექანე და ერთის თვალის დახამხამებამდინ იმას უბეში ჩავეკარ და კოცნა დაუწყე!.. კოცნის დროს შევამჩნიე, რომ სახე სველი ჰქონდა, რაღაც სიმლაშის გემო ვიგრძენ და ახლო თვალეში შავბუდე; იმას ცრემლები ღაპალუპით ვადმოხდიოდა!.. მე ეხლაც მიკვირს, როდესაც იმაზე ვფიქრობ და მომაგონდება ხოლმე, რითი დავიმსახურე იმისგან ესრეთი ერთგულობა, და ჩემდამი ღრმა დედობრული სიბრალული?!, ვინ იცის იქნება იმის წარსულს ცხოვრებაში, რა საიდუმლოება იყო ჩაქსოვილი, რას აგონებდა, ჩემი ამგვარი უსამართლოთ დაჩაგვრა?... მე არ შემხედრია და ვერც წარმომიდგენია, რომ უცხო პირს, სხვის შვილზედ ასეთი თბილი და უანგარო გრძნობა ჰქონდეს, როგორსაც ის ჩემზე იჩენდა, მე რადგანაც დედა აღრე მომიკვდა, იმისი ალერსი აღარ მახსოვდა, მაშაჩემს, რომელსაც ძალიან უყვარდი, ხშირად ველარავბუდავდი, ჩემი ბიძა ქურდულათ მიაღერსებდა და ხშირად ისე მეტყეოდა, როგორც დიდს და უცხო სულს. ამისთანა სულიერს შევიწროვებაში ვიყავ, როდეს-



საც ამ ამ ქალის ალერი ვიგრძენ და მაშასადამე მსმენელითვის ადრეილი წარ-  
მოსადგენია თუ რა სასოებით ვეკროდი იმის თბილს მკერდსა.

— დედა აღარ გახსოვს მადმაჩელ ლიხა?  
— არა! — უბასუხე მე.

— მამაშენი ხშირათა ვნახავს ხოლნე? ვიყვარს? ძალიან ღარიბია?  
მე მამა ძალიან ვიყვარს და იმასაც უყვარვარ. მე რასაც ვახოვხოლ-  
მე, მაშინვე ამისრულეზს, ბევრი ფული აქვს მამასა (მე მაშინ ასე მეგონა, რად-  
განაც მოსამსახურებმა ასე ჩამაგონეს)

— მე კნეინამ მითხრა, რომ მამა შენი ძალიან ღარიბია, მაგრამ ნუ შე-  
სწუხდები, არა უშავს რა, თუ რომ უყვარხარ, უთხარი, სთხოვე, რომ აქედან  
ჩქარა წავიყვანოს, შენ აქ არას გასწაყლიან და ტყუილად კი დროს დაჰქარ-  
გავ. გესმის? როგორც მამა შენი მოვა: მაშინვე ასე უთხარი.

— კარგი, ვეტყვი, მაგრამ შენ რომ აქ იქნები, მე როგორ წავიდე ყაზ-  
ბეგში? შენ აქ უნდა მართო დარჩე?

— ეგ სულ ერთია, მე ეხლა ჩქარა წავალ თბილისში. მე შენზე ყვიჭობ  
რომ შენც წახვიდე მე მუქათათ სწავლება ირ შემოძლიან და მამა შენს ფული  
არა აქვს, თორემ მე წამოგვეყვებოდი და შენ გასწაყლიდი.....

ჩემი მწუხარება და ვაება დიდი იყო როდესაც მითხრეს, რომ მადმაჩელა  
მიდის, გააგდესო, ის რომ წავიდა მოყლი დღე პური აღარ ვქამე, ხმა მალლა  
ტირილს ვერა ვბედავიდი, ვიცი გამიჯვარდებოდნენ. „შენი თავი ამოიქამეო“,  
— მაგრამ ისადაც მივდგებოდი, — ნამეტანავათ იმ ოთახში, სადაც ის იდგა — სულ  
ვტიროდი და ჩემს გულის საყვარელს ვიგონებდი, ეხლა ორმოც და ათის წლის  
შემდეგ, მაგონდება ვიდევ ეს კეთილი სული და შეენატრი იმათ, ვისაც აბის-  
თანა ხელმძღვანელს ბედი არგუნებს. იმის წასვლის შემდეგ ძალუამ ძიას უთხრა:

— ბატონო, სანდრო ეხლა დიდია, ღმერთმა დღე მისცეს! ქალებს აღარას  
გაუგონებს და გუბერნიორი უნდა მოვიყვანოთ, კაცი უფრო კარგათ ისწავლის,  
უფროს ყველგან თან მიჰყვება, მასწავლებელი ქალი ჩვენ აღარ გამოგვადგება...

— კარგი კვამი, ამ დღებში მე თითონ თბილისს წასვლას ვაპირებ და  
სანდროს გუბერნიორს მოეგერი სანდრო ეხლა მოხდილია, ეგ ქალებს ჩქარა  
არშიყობასაც დაუწყებს და გუბერნიანკა რაღათ გამოდგება.

— უცნაური კაცი ხარ! რა არის ბატონო, სანდროს არ გააგებინო მაგი-  
სთანა სიტყვა... რა დროს ამისთანა უსუსურის ბაშვის არშიყობაა?!...

ამას მოჰყვა ოხუნჯების კილოთი ლაპარაკი და გარდაწყვიტეს, რომ მა-  
სწავლებელი ქალი აღარ მოიყვანონ.

**თავი მცხამე.**

ძალუა ჩემის ზნეობა და მიმართულება, თითონ თავის თავათ ე. ი. გარე-  
შე სანდროს აღზდისა და იმისადმი თავყვანებისა — ძალიან საინტერესო იყო;  
რასაკვირველია ეს ინტერესი მით უფრო ორკეცდება, როდესაც წამოვიდგენს,  
რომ ის არის მშობელი ჩვენი უკვდავი მოჩუბარბისა.

რადგანაც გაქიანურების მეშინიან ამის გამო ყველა გარემოებას ვერ ავწერ,





მაგრამ მაინც ზოგი რამ კი, უეჭველათ, უნდა მოგიტხოვროთ, მისთვის, რომ და-  
**უჯერებელი** მისი მოქმედებანი **შესაძლებელად** მაინც ჩაიღვალეთ, დიდათ  
 ოსტატურათ ძეტველი, კარგად მოქნილი და მოხეშიღვივებული ამ  
 იშვიათის დედაკაცის სახე ზნეობის დახატვას, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ რა-  
 დგანაც თითონ თავის-თავად ისეთი ღია ფერებით არის შეხამებული, მე რაც  
 უნდა სუსტათ ავწერო, მაინც საკმაო ფერი შერჩება.

ეს აღამიანი მეტის-მეტათ ბოროტი და გესლიანი ნიმართულებისა იყო!  
 ამასთან ბუნებრივ ჭკვიანი გასაოცარი გამბედავი და მოხერხებული! უზომო  
 ძედიდური და შურიანი... ვისაც იმასთან ერთხელაც არის საქმე ჭკონია დაჭერი-  
 ლი, ისინი ჩემგან გამოთქმულ აზრს უარს ვერ ჰყოფენ.

იმისი მოხერხება საარაკო იყო და მწერალს (ვამე რომ ვერ შეხვდა!),  
 რომელმაც დააკვირდებოდა იმოდენა მასალას მისცემდა, რომ შეიძლებოდა მოტე-  
 ლი ტონები აეშსო, კერძოთ ჩემი მდგომარეობა იმის ოჯახში, ჩემის სწავლა-  
 განათლების თითზე დახვევა, ქმარ-მამლის ამ საგნით ოვალთმაქცური მოტყუ-  
 ება—ნათლათ გვიხატავს იმის მაცდურს ნიმართულებას.

თუმცა ამისათვის ჩემი სწავლა-განათლება ძრიელ მოსახერხებელი იყო,  
 არა ნაირს მსხვერპლს არ ითხოვდა,—მაინც გახზრახ არის მასწავლიდი, წინ შე-  
 ლობებოდა მაშინაც კი, როდესაც შემთხვევით უფასო მასწავლებლები მიინდე-  
 ბოდნენ! შურდა სხვის სიკეთე, სხვის შეილის სწავლა და ნიჭი და როდესაც  
 დაინახავდა თავისთვის არა სასიამოვნო გარემოებას, მაშინ შური გონებას  
 უშხავდა და მოშხამულის გველივით,—ბოროტს ანთხევდა.

მისთვის რომ დავასაბუთო ჩემგან გამოთქმული აზრი, ჩემს თავს ნებას  
 მივცემ გავიხსენო კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც ნამდვილათ თავლები  
 ამიხილა.

როდესაც ჩემი ტრანჯის-ქალი გაისტუმრეს და მე ხელმეორედ დაეობლდი,  
 ძალიან ეწუხნდი და ხშირათ დაღონებული დაუდიოდი ხოლმე, ერთხელ ჩენი  
 მოძღვარი მღვდელი ჩემგან შეუშინებლად, ახლოს მოვიდა და თითქმის ჩურჩუ-  
 ლითა ნკითხა: „გალო, რათა ხარ აგრე დაღონებული? მე მითხარი, შენი მო-  
 ძღვარი ვარ“ დაუმატა ღმობიერად.

— რა ვქნა მამაო, მე თითონაც არ ვიცე რა მემართება... ურაც ის გუბე-  
 რნანკა წავიდა, მე ძალიან გული მიწუხს: აღარც სიცილი მეხალისება, აღარც  
 თამაშობა, მარტო ის კი მინდა რომ მუდამ ვისწავლო, ჯერ სწავლის ხალისი  
 არ დამკარგვია, მაგრამ არავინ მასწავლის...

— მაშ თუ აგრეა, მე გახწავლი რუსულს გინდა? (საკვირველია: სწავლას  
 როგორც ჩემი უფროსები ისე მეც, მხოლოთ რუსულის, ტრანგულის ანუ სა-  
 ზოგადოთ უცხო ენებს ვეძახდით, ასეთი წარმოდგენა გვქონდა).

მე მადლობით შევბედე და გამიკვირდა, რომ ნანატრის აღსრულებას მე-  
 კითხება კიდევ. მე ვიფიქრე, რომ იქნება სმენამ მომატყუა მეტეტი და ლაპარა-  
 კში მინდოდა გამომეკითხნა.

— მამაო, როგორ არ მინდა ვისწავლო რუსული, მაგრამ შენც გაგიჯავ-  
 რდებიან, როგორც გუბერნანკას გაუჯავრდნენ და გააგდეს. შენც...



— არა შეილო, — მითხრა, — იმისი საქმე სხვა იყო. ხვალ სწავლის დროს შემოდი და გაკვეთილს მოგცემ, წიგნი გაქვს? თუ არა გაქვს, იმასვე დაწვინიანის გამგონებ, სიხარულით აღვსილმა, ის ღამე ძღვეს ვაფაფუნეს გული მიძვერდა, სიამოვნებით ძილი აღარ მეკიდებოდა, დილით აღრე წამოვარდი, ჩავიცვი, რაც საუკეთესო მქონდა, მოვირთე, თითქო სადღესასწაულოთ ვემზადებოდი და მოუთმენლათ ველოდი როდის დაიწყებოდა ღვდლის გაკვეთილები.

— რა ანბავია ღიზა, რომ ღღეს აგრე ადრე ადგი? — მკითხა სალომემ, — აუთმყოფს არა გეგხარ, მხიარულათა ხარ და ისეც მორთულხარ, თითქოს წვერის სპარს-ანგელოზში სალოცავათ ვმზადები. — გარბენის დროს მითხრა და თავისებურათ დაიკასკასა.

მე თითქო შემრცხვა, პასუხი ვეღარ მივეცი, ჩემი აღელვება ვცდილობდი რომ დაშეჯარა, მაგრამ ვგონებ ვერ ვახერხებდი, რადგანაც წამდაუწუმ გკითხულობდი: სანდრო ვისთანა სწავლობს? მღვდელი როდის მოვა? და სხ. ჩემდა შესაწუხებლათ გავიგე რომ მღვდელი ნალორევის ეკლესიაში მწირველია (4 ვერსის მანძილი იყო ქვეშეთზე, სოფელი ნალორევი, სადაც მღვდელი იდგა) და სადილობის დროს მობრძანდებაო; გაკვეთილების შემდეგ სადილსაც აქ მიირთმევს... დოღინში დრო, რასაკვირველია, უფრო განგრძელდა.

აი მღვდელიც მობრძანდა. მე ჯერ ქურდულათ მიუღიოდი, მაგრამ როდესაც ვნახე, რომ მღვდელი მასპინძლურათ დაძიხვდა, გაკვეთილი მომცა, დამაწერინა და საზოგადოთ ისე მომეპყრა, როგორც ოსტატი შევირდს მაშინ კი ცოტათი დავმწვიდდი. თუმცა ცალკე სტოლზე კი დამსვა, რადგანაც სანდრო ბევრით წინ იყო ჩემზე; წავლა რომ გათავდა, მაშინ მე და სანდრო მეგობრულათ შევიყარენით და თითქო დაკარგულებმა ერთმანერთი ვიპოვნეთო, ისე სიამოვნებით შევყურებდით ერთმანერთს, მე ჯერ კიდევ არა მჯეროდა ჩემი ბედნიერება და როდესაც საერთო სტოლზედაც, ძალუას და ძიას დასწრებით, დაიწყეს ჩემს სწავლაზე ლაპარაკი, მაშინ დავრწმუნდი, რომ შემთხვევით არ მომცა მღვდელმა გაკვეთილი და ძიას და ძალუას ნება იყო ჩემი სწავლის დაწყობა.

სიამოვნებით გული მემოსებოდა ხოლმე, როდესაც ჩემის წიგნით გაკვეთილების დროს შევიდოდი კლასში. მღვდელს დიდის ნადლობით უყურებდი და აღარ ვიცოდი რით და როგორ გამომშეთქვა ჩემი გრძნობა. მე ძალიან ღვთის მოყვარე ვიყავ ყოველ დღე სასოებით ვლოცულობდი: ულოცავათ დაძინება ან რამე საქმის დაწყება — შამაკვდინებულ ცოდვათ მიმაჩნდა. და ვხლა ლოცვის დროს ჩემს მახლობლებ შორის მღვდელსაც არ ვივიწყებდი და უფალსა ვსთხოვდი ხოლმე ჩემის მოძღვრის სიცოცხლეს და ცოდვების მიტევებას...

ერთს დღეს ჯილდოზე ლაპარაკი ჩამოვარდა და მღვდელმა გვიქადაგა, რომ „სიკეთის ქმნა დაფარვითა სჯობსო“, მე ვკითხე: „მაშ ადამიანი რომ მეორისგან დავალებას, სიკეთესა გრძნობს, როგორ უნდა გადაუხადოს დაფარულათ მეთქი?“ მოძღვარმა მითხრა: „იმისათვის უნდა ილოცოსო“. მე უცებ გავწითლდი, მღვდელმა შემამჩნია (ოხუნჯიც იყო) და ხუმრობითა მკითხა: „შენ ჩემო ვილას-



თვისაც ლოცულობ და იმიტომ გაწითლდით“. როდესაც ჩემგან თავდახრით და მოწიწებით მოისმინა რომ იმისთვის ვლოცულობ, გაუკვირდა და მითხრა:

— რა სიკეთე მიქნია შვილო, რომ ჩემთვისა ლოცულობ? მართალია ყველა მართმადიდებელმა კი უნდა ილოცოს საყოველთაოთ ცოდვილებისათვის, დაუმატა თითონვე.

— მაშ თქვენ რომ რუსულს მასწავლით, მე რითი უნდა გადავიხადოთ, თუ არ ლოცვითა.

— შვილო, შენ რომ კარგათ ისწავლი, ის ჩემი ჯილდო იქნება...

ამგვარათ მიდიოდა ჩვენის სწავლის დღეები: მკუდროს და სიამოვნებით. მე ერთისთვის განმავლობაში ისე გავიმართე რუსულ წერა-კითხვაში, რომ მღვდელმა მე და სანდრო ერთს სტოლზე დაგვსხა. და ჩვენ ერთმანერთის ხალისით უფრო კარგათ ვსწავლობდით.

ერთხელ სწავლის დროს სანდრომ მახარობით მკითხა! „შენი ბეჭზე დაწერილი ანბანი, რა უყავითო? მე უნბე, რომ რაც იმან თანჯრიდან გარდასტყორცნა, მას აქვთ გაქრა მეთქი! ძაღლებმა ტყეში შეათრიეს და ისე მადიანათ ისწავლეს რომ სულ დაღრღნეს მეთქი.

— მაშ ძაღლებმაც ბეჭზე სწავლა ისურვეს!—დაუმატა სანდრომ.

ამ მოგონებაზე ვოსუნჯობდით, ვნახვილობდით, როდესაც სადილათ მიგვიწვიეს.

ძალუა ჩემი როცა გაჯავრებული იყო ხოლმე, იმასთან მართო სანდრო გაბედავდა თამამათ ლაპარაკს, —სხვა ვერავინ. ამ დღეს გუნებაზე ვერ იყო და სადილათ რომ დავსხედით ლაპარაკი ვერა ჩარხდებოდა. სანდრო ყოველთვის ხომ თამამი იყო და ეხლაც თავისებურათ აინუნში არ მოხდებოდა დედის უგუნებობა და აკი ლაპარაკის დროს თავის დედას დასცინა: „დედა, შენ რომ ღიზას ძროხის ბეჭზე დაწერილს ანბანზე ასწავლიდი რა იქნა? ძაღლმა შეჭამა?“ —სიცილით ჰკითხა.

— თქვენმა მზემ გაიცინეთ! ჩვენ თუ ძროხის ბეჭზე გვისწავლია, თქვენზე უგუნურები ვართ?—სთქვა ძალუამ და გაჯავრების ნიშნათ თავი გაიქნია.

— რათა ჯავრობ დედავ, მე მოგაგონე იმიტომ, რომ დაკარგულა და მონახე. ეშმაკურის კილოთი ცეცხლს ბზე შეაყარა სანდრომ.

— ამისმა თავის გახეთქამა (ჩემზე აჩვენა), ამისთანებს უსწავლიათ ბეჭზე?!. აი ეხლა ტეტრატებზე სწავლობს და ენახოთ რას ისწავლის?..

მე ძალიან უმადური დავრჩი სანდროს ხუმრობისა. ძალუა ჩემი იმ დღეს ძალიან გაჯავრებული იყო და ჩემკენ ძალიან იბღვირებოდა. ჩემთვის ეს ლაპარაკი კარგს არას მოასწავებდა—მაშინვე გულმა მიგრძნო. ძალუა ჩემის ღრუბლები ქექა-ქუსილის შემდეგ ცრემლის—ნიაღვარად უნდა გადაქცეულიყო... ამას ყველანი ვგრძნობდით და სადილის გათავებას თითქოს ვეშურებოდით.

— დედა, დღეს ძალიან გაჯავრებული ხარ, ვინ გაგაჯავრა? წამოდი ჩემს ოთახში, ფრანგული ზღაპარი ვისწავლე და ყური დამიგდე, ოსტატს როგორ კარგათ ვეტყვი!..

— მე ეხლა ვარ გაჯავრებული, მაგრამ შენ კი მუდამ გიგი და უტკუო





ხარ... თუ ჭკუა გაქვს ისწავლე რაზე. თორემ თვალი შენვე დაგიდგება, მე რა შენადვლება!... ეგენი (ჩემზე აჩვენა), ყველგან და ყველათუქანს, ნი- გითვინ ნუ სწუხარ...

მე ძალიან შეესწუხდი, სათაკილოთაც მივიღე - და ამის გამო კინაღამ ღრიალი მოვრთე; თავი ჩავლუნე (ჩვეულებათ დამჩემდა: წყენას თავის ჩალუნვით ვამოვსატყვამდი ხოლმე), გაბრაზებული, გავეწითლდი და აღარ ვიცოდი როგორ მამეკავებინა თავი. ბიძაჩენი ვაჩუქებული იჯდა და ხან მე შემომხედავდა და ხან ძალუას. „რა ღმერთი გიწყობა ქექე? ორჯერ — სამჯერ დაბაღის ხმით ჩას- ჩურჩული. სანდრო კი რას დაერიდებოდა, თავისას არ იშლიდა...

— რა ვქნა, მაგათ რას მიუარდი, რა დაგიშავეს?! მე ხეჭის ანბანზე გელა- პარაკებოდი და შენ სხვებს რათ გადასწვდი? მოგიარეს?!

(ძალუას დედა სულთა ავანტიურა იყო იმაზე მიუთითა).

ძალუა ჩემი ნამეტურათ გაანჩხლდა, ჩვენ ყველანი სადილიდან უსიამოვნოთ წამოვსცვივდით და დავიფანტენო. ბიძა ჩემი დარჩა ცოლთან და ამშვი- დებდა. მხოლოდ სანდრომ უდარდელათ გამოიარა კარი, სიმღერით და ხტომით: იმას ყველაფერი ფეხებზე უკიდა. მე ჩემის კუთხისაკენ გაეძვრო და ამღვოეუ- ლის გრძობით ქვეშაგებთან მივიკლტე. ძალუას მაღაღის ხმით ლაპარაკი ვი- დევ კარგა ხანს მესმოდა:

— თქვენ რა იცით ადამიანის ყადრი, თქვე მუეიკებო?! ვაი ჩემი ბრალი თქვენს ხელში!..

— ქალო, რა მოგივიდა? გაგიყდი?! რა დაგმართვია?.. — სიტყვა ყელში ადგებოდა ბიძაჩემს.

— თქვენ ხელში ვინ არ გაგიყდება? ის დღე დაიქცეს, როცა მე თქვენს ოჯახში შემოვედი...

დაიწყო ტირილი და ვაი ვავლახი, ბიძა ჩემსაც მოსწყინდა დაყვავება და გაჯავრებულმა უთხრა:

— შენმა მხემ, ჩემს ოჯახში შემოსავლით ჭკუა წაიკე!.. — უთხრა და გა- ჯავრებულმა კარი გაიარა.

ნინოს დიდი სირბილი გაუჩნდა: შეპტონდა ცივი წყალი. ოდიკალონი და როგორც ახერხებდა ისე ამშვიდებდა. მთელს სახლობას უსიამოვნება დაეჩუო. მე აღარ შევედი. ისე რომ მეორე დღემდინ აღარავინ წინახავს, ორი დღე მღვდე- ლიც აღარ მოვიდა, არ ვიცი რა მიზეზით; შემდეგ მოსვლისა და გაკვეთილის მიცემისა, აი ჩემის. ყურებით რა გავიგონე: ძალუას ვრცელ ოთახში შიშმა იდგა რომლითაც იმისა კრაოტი გადალობილ იყო და იქვე კუთხეში ჩემი ყუთი იდგა სადაც ხელსაქმის მასალა მელავა. სადილთ უკან იქ შევედი, ყუთში რაღასაც ექებდი და რასაკვირველია შიშმა მფარავდა, მეორე მხრიდან არა ვჩანდი, ძა- ლუა ჩემი და მღვდელი შემოვიდნენ ლაპარაკით.

— არა მაშაო, ღიზასთვის სრულებით საჭირო არ არის, რუსული ენის სწავლა. ერთი მიბრძანეთ ყაზბეგში ვის უნდა ელაპარაკოს?

— რა ვქნა ბატონო, კნიაშმა მიბძანა, ღიზასაც ასწავლეო, და თუ თქვე- ნი სურვილი არ არის — აღარ ვასწავლი!..



— მე თქვენა გთხოვთ მამაო, რომ ღიზას სწავლას თუვი დაიწყოთ, მაგისტრის ეგ ები საჭირო არ არის, მარტო სანდროს ასწავლეთ... და ეინკობაა ჩემმა ქმარმა გკითხოსთ უთხარით, რომ ღიზამ თითონ უარა თქვენ სწავლანს... ეგ ისე არის თავის ძმაზე და ძმისწულეებზე გადაგებული, რომ ქვეყანას თავს შემთავლებსთ. გესმით მამაო? მე გთხოვთ...

— ბატონი ბრძანდებით! — უთხრა მოწიწებით მღვდელმა

— მამაო, სწორეთ მითხარით: ღიზა როგორა სწავლობს?

— ძალიან კარგათ, ძალიან ნიჭიერია.

— ჰო, ვიცე, ეგ ისეთი ჯიშისა არის, ისეთი ბუდის ბარტყია; რომ თავისთავათ ისწავლის: მაგას არ უნდა მასწავლებელი...

ცოტა ხანს გაჩუმდა ძალუა, თითქო რაღასაც ფიქრობდა; ეინ იცის იქნება კიდევ შერცხვა მღვდლისა. მოაზრების შემდეგ განავრძო:

— უნდა ვავიტყდეთ მამაო, რომ ღიზა ეხლა მოიხარდა და შინ შენახვა ველარ მოშიხერხებია: გაეგზავნი მამასთან და რაც უნდა უყოს... მეორეც ესა, სწავლის შემდეგ უფრო გაუძნელდება ყაზბეგში წასვლა, იქ ამისთანა ფუფუნებაში აღარ იქნება... ეგრე მამაო, მე გთხოვთ. — სთქვა და ავიდა თავის ტახტზე მოსაკეცათ.

მე ამ სიტყვების გამგონე იქვე მუხლები ჩამეკეცა, თავი ძალუას ლოგინში ჩაეყავ და ვქვითინებდი: ნაკუწი რომელიც ხელში მქონდა თვალეებზე ნივიტარვ, მალათ ორივე ხელით ბირო მავრა დავიჭირე, რომ ჩემი ტირილი არ გაეგონათ და ამ გვარათ რამთენიმე ხანი სული ველარ მოვიბრუნე, რას მერჩის? ვამბობდი ჩემსათვით. რა დაუშავე? ეს არის სიყვარული, რომ ამბობს სანდროსათვით მიყვარხარო? არა, არ უყვარვარ. სტყუვის, ვეჯავრები... თუ კი ნავის შვილება გამოადგებათ რუსული და ფრანგული, მე რატომ არ ვამომადგება? შურიანი, შურიანი! და სადაც შურია იქ სიყვარულს ალაგი არა აქვს... ვიმეორებდი და ტირილისაგან და სიანჩხლისაგან სული ველარ მომებრუნებინა, ეხლა როგორ ვავიდე? იტყვის: განგებ დამალულა, ჭურს მიგდებდაო. არცკი დამიჯერებს რომ ვსთქვა. სრულებით მხედველობაში არა მქონდა ამ ნდგომარეობაში ჩავარდნი და ამისთანა სასიამოვნო ანბების გავონება, ვიდექი ასე გამწარებული, თვალცრემლიანი და დროს ველოდი, რომ გამომძვრალყავ ჩენის საფარავიდან. ჩემსა საბედოთ ნინო შემოვიდა და რაღაც წნილის და მურაბის ანბავი უანბო; ძალუამა სთქვა: „მე თვითონ დავხედამო“ და ერთათ გავიდნენ.

ამ ლაპარაკის შემდეგ მღვდელმა მითხრა: „შენის სწავლისთვის დრო აღარა მრჩებაო“ და თავი დამანება.

### თავი მეთოთხმეტი.

ბიძა ჩემი თბილისში წავიდა რაღაც საქმეების გამო და ძალუამ დაიბარა: „ბატონო ხომ დამბირდი, გენაცვალე, კარგი მასწავლებელი მოპვარე ჩენს აღექსანდრეს!“.

როდესაც ბიძა ჩემი დაბრუნდა, ერთი ქერა უნაწვილი კაციც თან მოიყვანა და თავის ცოლს მხიარულებით უთხრა:



— კვკვ. სანდროსთვის მასწავლებელი მოვიყვანე. შენს ~~საქველს~~ საც მოვრჩი!

ყმაწვილი კაცი კარგათ მიიღეს, გაუმართეს ცალკე ~~კლასი~~ <sup>კლასი</sup> და ~~სანდროს~~ <sup>სანდროს</sup> სანდროს: იასთან უნდა ყოფილიყო წოლითაც და დგომითაც. სწავლის გარდა ამ ყმაწვილს დაავალეს სანდროს ლაღობა: სადაც სანდრო წავიდოდა, უნდა ისიც ფეხდაფეხ დახდევნილიყო.

პარველ დღეებში თითქო ერთი ერთმანეთისა კმაყოფილნი იყვნენ: მოსული ყმაწვილი დღეში ერთს საათს რუსულს ასწავლიდა და სირბილ-თამაშს არ უშლიდა. სანდრო ამით, რასაკვირველია, კმაყოფილი იყო და ჩქარა შეჩვიდა. უფრო ხშირათ სეირნობის დროს კაიშაურის დაღმართისაკენ გასწევდნენ ხოლმე; (აღრევ გზა იქით მიდიოდა) იმ მთის ძირას ერთი საცოდავი დღუჭანი იყო, სადაც გაკრეხილი მგზავრი არაყით ვათბებოდა ხოლმე. ამ ახალმა მასწავლებელმა, თურმე იქით მიავიწო და განსაკუთრებულის ხალისით იქით მიძუნძულებდა ხოლმე. ჩქარა შეამჩნიეს, რომ სეირნობის შემდეგ მთვრალი ბრუნდებოდა. პარველ ხანებში იმსუნათ თავს იმაგობდა, რომ შინაურები ვერ ამჩნევდნენ და მარტო გვერით ლაპარაკი კი უხეუსულათ მიიჩნდათ, მაგრამ როგორც დრო გადიოდა, თამამობას უმატა და თავისი მავნებელი ზნეობა ყველას აშკარათ დაანახვა. ერთს დღეს ისე მხიარულათ დაბრუნდა და ისე თამამათ, მოურიდებლათ შესვლა-გასვლა და ხმაურობა დაიწყო, რომ შინაურები იძულებული გახდნენ ყურადღება მიექციათ. ამ დროს ბიძა ჩემი შან არ იყო და ძალუას ძალიან შეეშინდა მთვრალისა.

გოგო, ნინო! — მორთო ძალუამ კვილი — წადით სანდროს კრიატი გამოიტანეთ ჩემს ოთახში; მთვრალმა კაცმა შვილი არ მომიკლას!..

შეიქნა ოჯახში მოძრაობა და რამდენსამე წუთის განმავლობაში, სანდროს რაგანდარა ძალუას საწოლში გადმოაღაგეს. ოსტატი მიხვდა, რომ ლოთობა შეამჩნიეს და გაჯავრებულმა თქუთურები უფრო აუშვა: ჯიბიდან კიდევ ერთი ბოთლი ოტკა ამოიღო და დაუწყო ეჩინიანი სმა! ოთახი რომ დაიგულა თავის საკუთრათ, დაამწკრია სკამები, და ვითომ სტუმრები წარმოიდგინა: ხელების შლით ელაპარაკებოდა წარმოდგენილს სტუმრებს, ასმევდა გულუხვი მასპინძელი და რასაკვირველია, ყველას მაგივრათ თითონა სვამდა... ეს ბოთლი, რაღა თქმა უნდა ჩქარა გამოცალა, ტახტ ქვეშ თურმე მეორე და მესამე ედგა და მანამ სანამ ენა და ფეხი არ მოეშალა გიჟივით აღარ ისვენებდა: ლაპარაკობდა, მღეროდა და სხ. და სხ. თურმე ის უბედური, ძალიან ეჩინიანი ლოთი იყო.

— აბა ქალბატონო, — ზმუკუნებდა იორდანე — ეგ რომ მე მომეყვანა, ხომ გამიჯავრდებოდით. მაღლობა ღმერთს თითონ ბატონმა მოიყვანა!..

— მე მაშინვე შევნიშნე შენს ბატონს: რატომ ფრანგი არ მოიყვანე მეტქი?.. არ გამიგონა, ახირებული კაცია. კარგი რომ ჩემი ალექსანდრე დროზე მოვაშორე, თორემ მომიკლავდა...

— შვილი გახარდე მტრულათა, მოყრულათ გამოგადგება, — წაიბზუკუნა იორდანემ. ყველა შემთხვევისათვის, ეს ლექსი მხათა ჰქონდა.

ბიძა ჩემი როცა დაბრუნდა, რასაკვირველია, ძალუა ჩემში გაზვიადებით



გადასცა ყველაფერი რაც მოხდა. საყვედურები ბევრი უთხრა, რომ თავის ურთაო ერთი შვილისთვის კარგი გუბერნიორი ვერ აარჩია. ბიძა ჩემი შეწუხებული და თითქოც დაძნაშავე ძალუასთან თავს იმართლებდა.

— რა ვქნა კეკე, სანდრო არ მომიკვდება ძალიან ბევრი ვეძებე შეც, და ყველა ჩემმა ნაცნობებმა, მაგრამ უკეთესი ვერ ვიშოვნე! ის იყო წამოფედი კიდევ უოსტატოთ; ჩემმა რამდენიმე კარგმა ნაცნობებმა და მეგობრებმა ვერის „თეთრ დუქნამდე“ გამოძაცილეს, იქ საუბრის შემდეგ, ლამაზ ჩრდილოს ქვეშ განცხრომის დროს, როდესაც ნაცნობებს ველაპარაკებოდი და შეეჩიოდი, რომ სანდრო უოსტატოთა მყავს მეთქი, ეს უმაწვილი მოვიდა და მითხრა „მე წავალ კარგი ოსტატა ვარო“ და დეპლომიც მაჩვენა. ერთმა ნაცნობმა მითხრა რუსული ჩანებულათ იცისო. იქვე გაურიგდი და წამოვიყვანე.

— აბა, მამა ნუ წაგიწყდება, დუქანში ნაქირაფები ოსტატი რაში გამოგადგებოდა? ან კი როგორ ენდე? ვინ იცის ვინ არის და საიდან გადმოკარგული?.. ჩქარა გაისტუმრე, თორემ შვილს ვაგირყენის... ცი, წუხელის დამთურალი რას ანბობდა?! ლისას მოვიტაცებოქ... ჩქარა გაისტუმრე მამა ნუ წაგიწყდება, ვე ოჯახში რა შესანახია!.. ჩემს ალექსანდრეს კი უთუოთ, ფრანგი გუბერნიორი უნდა მოუყვანოთ.

მეორე დღეს ტროიკაში ჩასვეს და გაისტუმრეს. არაფერი არა ებადა რა გარდა იმ სერთუკისა, რაც ტანზე ეცვა. გზის ხარჯი, რასაკვირველია ბიძა ჩემმა გადაიხადა.

იმის შემდეგ მოიყვანეს მუსიო კორბო, თავის პატარა შვილი სამოილითა. ეს იყო შუა ტანის კაცი, მელოტი, შუა ხნისა, შავი უღვიაშები და ნიკაბზე პატარა ისპანიონკა ჰქონდა. მიხრა-მოხრა, და ქცევა ძალიან დინჯი ჰქონდა; ვაგიფებით უყვარდა თავისი პატარა სამოილი და სადაც სცხოვრობდა ყველგან თან ატარებდა. ფრანგულის ენის მეტი სხვა ენაზე არა ლაპარაკობდა და თურმე თავისი დედა ენა ხედმიწევნით იცოდა. თბილიაში არ ვიცი ვის პანსიონში ვაკვეთილებს თურმე აძლევდა და სამოც თუმნამდე ფულს იღებდა. ბიძა ჩემმა ერთი ორათ მეტი მისცა და მოიწვია. როგორც გამოცდილმა კაცმა, კორბამ თავისი ინტერესები ლამაზათ შემოთარგლა: კანტრაქტი გაუკეთა თავისი ნეუსტოიკებით, განმარტა პირობაში, რომ მართო ფრანგული ენა ესწავლებინა და სხვა არაფერი. ეს რომ მოვიდა, მართლა სხვა ფერი დაედო სანდროს სწავლას: პროგრამა შეარდგინა, რა დროს რა უნდა ესწავლებინათ, რამდენი საათი და თუმცა სხვა საგნებს ის არ ასწავლიდა, მაინც ყველაფერი სანდროს შესახებ იმისი რჩევით და ზედამხედველობითა ხდებოდა. იმისი შვილი სამოელიც იმასთან სწავლობდა, რომლის შემწეობითაც სანდრომ ჩქარა დაიწყო ფრანგული ლაპარაკი. ჩემს ძიას და ძალუას ძალიან უხაროდათ სანდროს სწავლის დონეზე დაყენება; კორბოსა ხედავდნენ ამ სასიამოვნო მოვლენის მიზეზათ და რასაც კორბო ბრძანებდა, იმის სიტყვას არ გადადიოდნენ. იმ დროს კორბოს გარდა, კიდევ ოთხი მასწავლებელი ჰყავდა სანდროს: მატემატიკისა, რუსული ენისა, სანდროთო წერილისა და მუსიკისა. „ჩემი ალექსანდრე ისე უნდა გავზარდო, რომ სამაგალითო იყოს“ — იმეორებდა ძალუა.



სანდრომ ფრანგულს ენაზე ტიტინი დაიწყო, ზოგიერთი სიტყვა შეპირათ ისწავლა და ძალუა ჩემი აღტაცებაში მოდიოდა და ამბობდა: *კიდევ...*

აბა შეილო, მითხარ: დილამ შეიძობისა როგორ ითქმის... *მითხარ?*

სანდრომ ეტყოდა, მაკოცე, როგორღა ითქმის?

— სანდრომ ეტყოდა. — ჩემო საყვარელო შეილო! როგორღა ითქმის? — კიდევ ეტყოდა. — მერე თითონვე ძალუა, სანდროს შემწეობით შეარდგენდა ფრანგულს ენაზე ფრაზას, ეტყოდა და სიამოვნებით ხარობდა და იცინოდა.

— აბა შეილო, კარგათ ისწავლე, შენმა სიცოცხლემ ჩემს სულს არ დავიშურებ შენთვის, არც მე და არც მამაშენი. კარგათ ისწავლე, გენაცვალე, რომ სამაგალითო გამოხვიდე.

სანდრომ ნიჭიანი ბაშვი გამოვიდა, კარგათა სწავლობდა; მაგრამ პირველათ დანერგილს მიმართულებას კი თავისი ალაგი მაგრა ეჭირა: თავის თავსა ბატონათა გრძნობდა, თავისი ნათქვამი უსაულო უნდა აესრულებინა. ბავშობის სიცოცხლის გარდა, დედ-მამის მასხარათ აგდება ინათი მოტყუება ხასიათათ შეიჩა. იმავე ყმაწვილობიდანვე, სულ მშობლებზე ნახვილობდა და მრავალ რიგათ ატყუებდა.

— დღეს რა უნდა ისწავლო, შეილო? — დედა დილით ჰკითხავდა.

აბა, რა გესმის, რომ მკითხავ?

— რას მიჰქარავ? ვია უბედავ მაგისტანა პასუხს, შე ბრიყო! სანდრო მოწყვებოდა ხუმრობას, დასციანებდა და ფრანგულს ენაზე სათაკრლოს რასმე ეტყოდა.

— აბა, გაიგე დედა რაც გითხარ?

— შენ თლოხდ ისწავლე და მე რაც გინდა მითხარ... ეტყოდა და თვლებში ცრემლები მოეჩეოდა.

ხანდახან გაჯავრებული ძალუა, სწავლის დროს თითონ აღარ შევიდოდა და ნიხოს ეუბნებოდა:

— ერთი, შედი ნინო, რასა სწავლობს სანდრო? შემატყობანე. ნინო რომ შევიდოდა გაკვეთილების დროს, სანდრომ იცოდა რისთვისაც შევიდა, მასხარათ აგდებდა და ნინო გულ ნატყენი ქალბატონთან მოეშურებოდა:

— რა ვიცი ქალბატონო, რაღაც დაასახელეს და მე ვერ დავიხსომე. ქალბატონო, შენი ჭირიმე, ნუღარ გამგზავნით ხოლმე, სანდრომ მასხარათ ანიგდო და მითხრა: ბევრი გესმისთ ან შენა და ან შენს ქალბატონსაო...

— ჩეტავი არ მიჰქარავდეს! — იტყოდა ძალუა და ჩაიციანებდა.

ძალუა მაინც ძალიან ხალისობდა სანდროს სწავლას ყურის-გდებას.

ერთს დღეს ძალუან შოადრევეებით დაიხურა თავი, შევიდა კლასში, დაჯდა და ყუონს გდება დაუწყო. იმ დროს გეომეტრიის ასწავლიდნენ სანდროს, სანდრომ სწავლა შესწყვიტა და დედასთან თბუნჯობა მოიხსო.

— დედა, რასაცა ვსწავლობთ იმ საგანს რა ჰქვია?

— შენ უნდა იცოდეს შეილო, მე რასა მკითხავ?

— არა, აქ რომ ხიხარ, რა უნდა გაუხწორო მასწავლებელს?! რათა ჰქარ-



გავ დროსა: მანამ შენ აქა ზიხარ, მე ვერას ვისწავლი.—საქვა და გახმორებით სკამზე გარდაწვა.

— რაგბს ლაპარაკობ ყმაწვილო, რომ არ გაგიყდი? მე ~~დღეს~~ ~~ვარ~~ და უნდა ვიცოდე რას გასწავლიან, რა საგანს ასწავლით ყბლა? ჰკითხა ძალუა ოსტატს მღედლის თოღმაჯობით.

— გეომეტრიას, კნეინავ უბასუბა ოსტატმა.

— მეოე, დედა, გეომეტრია რა არის, გესმის? ფლაგია თუ ბოზბაში?

ძალუა ჩემს ეწყინა და თვალეზი ცრემლით ავესო. თუმცა კორბოს არ ესმოდა ქართული, მაგრამ, მაინც ძიხვდა, რომ შეილი უბატურათ ექცეოდა და ფრანგულს ენაზე ჯაურობა დაუწყო. სანდრო თავისას არ იშლიდა და ფრანგულისავე ენით მასხარათ იგდებდა.

ძალუა ჩემი თავის ჭმარსაც იწვევდა ხოლმე სანდროს სწავლის დროს, კლასში შესასვლელათ.

— ბატახო, არ შეიძლება: უნდა ხან, შენ, ხოლმე და ხან მე, შევიდეთ ხოლმე, დავესწროთ სანდროს სწავლას.

— მეოე ქეკე, რა გვესმის, იმისი რასაც სანდროს ასწავლიან? სახელებიც არ ვიცი, არამც თუ საგანი.

— მაინც, რაც უნდა იყოს, ოსტატებს ჩვენი შიში და შორიდება ექნებაო.

— მე კი არა მცალიან და შენ, შენი იცი წაიბუტბუტებდა ძია.

სანდროს დედ-მამის დაცინვა ბოლომდენ შეტყუა: პირველი თავისი მწერლობა „აღმზრდელეზიცი“ ამ კილოთი დაწერილი.

სანდრო ამჩნევდა დედას, რომ სწყინდა იმისგან შკვაზე მახვილობა და განკებ აღარ ეშვებოდა ხოლმე.

— დედავ, დღეს რატომ არ შემოხვედი, გეომეტრიასა ვსწავლობდი? დედა, რა არის გეომეტრია? ეტყოდა სიცილით.

— შენც შეგარცხვინა და შენი გეომეტრიაცა! ხან და ხან შეუტევედა ძალუა.

— იოსიან, დავითიან, სოლომონიან და პანკრატოვანი! თითებს ჩამოსთვლიდა სანდრო, რაძთენჯერმე შეხტებოდა და გავარდებოდა.

ერთი წელიწადი მეტი მყუდროთ მიდიოდა სანდროს და კორბოს მეზობლობა. ერთს დღეს ეს მყუდროება დაირღვა: კორბო გაჯაყრებული გამოვიდა თავის ოთახიდან, სანდროს შშობლებთან საჩივლებლათ:

სულ იალუპასთან (ასე ეძახდნენ იმ ბიჭს, რომელიც იმათ ხელზე ემსახურებოდათ და სანდროს, დიდი საყვარელი და ავან—ჩაეანი იყო), თამაშობს და ლაზღანდარაობს! ფრანგულს ცოტასა ლაპარაკობს; ოუ ვეტყვით და გაუჯვარდები ფრანგულს ენაზე, ის ქართულათ იალუპას დაუწყებს ლაპარაკს და ჩემს ვიცხვას მოჰყვებიან, დანცინიან. მე დავტუქსე; იალუპა გამოვავდე და სანდრო ოთახში დავსვი... აბა შეხედეთ იქაობას ამტერებს და ანგრევს! კორბო თავისუფლათ ვერა ლაპარაკობდა რუსულს, და ებლა, სისხლი ყელში მობჯენოდა და ფრანგულს და რუსულს ურევდა, სიკაპასით სიტყვები თითქო ახჩობსო ისე ლაპარაკობდა.



— ვაიმე დედავ! — ისმოდა სანდროს ხმა. კორბონა მცემა, გულზე ჩამამტვრია! გიკვდები დედავ!..

ძალუა ჩემი ცარიელი ჩულქებით ტახტიდან წამოიჭრა და მუხტანის შვილოს! — ძახილით მიბოძა. ბიძა ჩემიც იქითკენვე მიეშურებოდა „რა არის? რა მომხდარაო? — გადაფითრებულები შეცვივდნენ კორბოს ოთახში და ნახეს: სანდრო თავის კრაოზე გულ აღმა იწვა; ხელები გულზე დაეწყო, ფეხებს იქნევდა და გასძახოდა: „დედავ მოვკვდი! დედავ გიკვდები!..“

— რა არის შვილო? დედა გენაცვალოს, ნუ გეშინიან, აქა ვარ!.. წყალი წყალი ჩაყლაპე, ჩაყლაპე წყალი შვილო!..

ყველანი ამ ხნაურობაზე თავთავის კუთხიდან გამოვცვივდით, მივეხვიენით სანდროს: ზოგი წყალს ასმევდა, ზოგი გულზე ხელს ადებდა და გასძახოდა რომ სანდრო შეშინებულია და გულსა უნდა შეულოცოთო.

კორბოს თავისი ანხლობა დავიწყებოდა და გაშტერებით უყურებდა ამას მით უფრო, რომ აღბათ არ მოულოდა ამგვარს ეფექტს თავისი პედაგოგიური დასჯისთვის.

— რათ მაშიკალი შვილი?! — ეუბნებოდა გაჯავრებით ბიძა ჩემი კორბოს.

— მაშ ნურას ვეტყვი? მაშ რილასთვის მაძლევ ჯამაგირს, თუ კი თქვენს შვილს არას ვასწავლი, ნურაფერს გაუსწორებ? მე მეგონა თქვენც დასტუქსავდით და ჩემს მხარეს დაიჭერდით და თქვენ მასთანვე, მე მიჯავრდებით... ეგ კარგი საქციელი არ არის! — სთქვა თავის ენაზე.

— წამოდი შვილო ჩემს ოთახში, დედა გენაცვალოს! მე მოსაკლავათ ხომ არ მიშიბარებიხარ შვილო...

წამოიყვანეს სანდროს ხვეწნით და გაიყვანეს ძალუას საწოლში. სანდრო იკლაკნებოდა და თითქო ველარ ახერხებდა გავლას, ისე მოიზნიქებოდა.

— უი შენს წინოს! ძალიან ჩაუკრავს მაგ გარდასაშენებელსა! თვალები დამიდგეს! ველარცკი გაუეღია სანდროს... რაღაც ატკინა, მაგ გულმკვდარმა!...

მანას მახდილოსნები სანდროს ეხვევოდნენ და ავითნყოფივით მიპყვანდათ გადაფითრებულს და ვაცოფებულს ბიძა ჩემს, თავიზე უფრო გადაფითრებულს კორბოსთან ხმა მაღალი ლაპარაკი ჰქონდათ.

— რათ შინდა თქვენი სწიავლა, თუ კი შვილს მაშიკლავთ, დამისახიჩრებთ?!

— მე არ მინდა თქვენი ფული თუკი ნებას არ მომცემთ ჩემი მოვალეობა შევასრულო. დღევანდელის სცენის ზემდეგ, მე იძულებული ვარ თქვენს სახლს თავი დავანებო. შშვიდობით!...

— შშვიდობით! უთხრა ძიამ — მაგრამ თუ აღექსანდრეს აუტყდა რამე, ცოცხალი აღარ წახვალ!..

თუმცა კორბომ წასვლა გადასწყვიტა, მაგრამ კარგათ იცოდა, რომ ბიძა ჩემსგან დაბრკოლება მოელოდა: სოფლიდან წამსვლელს ფულის გარდა კიდევ ცხენები და ეტლი ეჭირებოდა, რომელსაც თუ ბიძა ჩემი ხელს არ გაუშართავდა — ვერ იშოვიდა. ამას ყველას დრო უნდოდა. სანდრომ რომ ნახა თავისი გამარჯვება, გამხიარულდა, გადიყარა კორბოს გაწყრომა. სანდრო რომ დამშვიდებული ნახეს დედ — მამაც გამხიარულდა.



სანდროს თავის დედის ქვეშაგებში ლამაზი ზონარ მოვლებული მოვის პერანგით-შეენოდა. თუმცა 11-12 წლისა იყო, მაგრამ, როგორც ვეფხისტყაოსნის იმეორებულ სვეს ისე ართობდნენ: დაუძახეს იმის სვიტას,-ბიჭებს, ისინი მოვლებულნი, წრავალს გასართობთან ერთად ხმელ ხილში ჩაფლულს სანდროს ძველებურად ათამაშებდნენ.

— დედა ღიზას დაუძახეთ, რატომ აღარ მეკარება, სად არის?

— შეილო, ის შენზე უფროსია, უკვე გასათხოვარი ქალია, უნდა ისწავლოს, რამე, ბიჭებთან სათამაშოთ სადა სცალიან?—უთხრა ძალუამ, მაგრამ თითქოს ნათქვამი უნდა გადაეთქვა, გოგოს მიუბრუნდა და უბრძანა „წადი ღიზას დაუძახეო“.

გოგოს ჩემი ძებნა დიდხანს არ მოუწდა: იქვე კარებთან ვიდევცი და შორიდან სანდროს უაღრესებდი. მისვლის უმაღლეს სანდრომ მისაუყუებდურა, რომ აღარ ვეთამაშები და თავს გარიდებ. მთხოვა კრაოტზე ამოდიო. ავედი, დაეჯექი იმის გვერდით და მეც შინჯვა და ტრიალი დაუწყე იმ საგნებს, ნივთებს, რომლებიც იქ ეყარა „აი ეს მამამ მაჩუქა, ეს დედამ ასახელებდა სანდრო. „შენ თვალები ნამტრიალვევი რათა გაქვს?“

— წელან შენ რომ კუნესოდი და შუოთავდი, მეც მეგონა რომ ავითა ხარ შენა და ვტიროდი.

— ნუ გეშინიან, მე არა მიჭირს რა. აბა რე რომ ეგრე არ მეყვირნა, ამ-სუნს თქროებს ვინ მომკვამდა? აი რამთენია!—მაჩვენა ვერცხლის კოლოფი, რომელშიც ათზე მეტი პოლიმპრიალი ეყარა. აი ესენი დედამ სულ მე მაჩუქა, თლონდ კი ნუ იტირებო, ნუ ქყიტინებო. მე შენ კაბას გიყიდი, ჰო, გინდა?..

— მე კაბა არ მინდა, შენთან სშირათ ყოფნა მინდა ხოლმე, გენაცვალე, ჩენო სანდრო!..

შერე რატომ მერიდები, ჩემთან რატომ აღარა თამაშობ ხოლმე?

— არ მიშვებენ...

— ჰო. შენ გასათხოვარი ქალი ხარ, დედამ ასე თქვა გახსოვ?

მოვეხვიეთ ერთმანეთს, ერთმანეთი კიდევ ვიპოვნეთ! სანდრო დამპირდა, რომ შემდეგშიც თითონვე დამიძახებს ხოლმე.

ჩემს ბიძა-ძალუას, კობას გადაეყარათ ერთმანეთის წყენა და ისევ შერი-გდნენ, ისევ ისე მოაწყეს სანდროს სწავლა.

მე და სანდროს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. მე თუმცა ოთხი ალა-ლი ძმა მყვანდა, მაგრამ მაინც სანდროს მზეს ვფიცილობდი; სანდროსაც უკეთესი დროს გატარება, სიამოვნება. არ უნდოდა, რომ სშირათ ჩემს საზოგადო-ბაში ყოფილიყო. ერთმანეთს ველტოდით და ჩვენი ერთმანეთის სიყვარ-ლი,—ბავშური აღარ იყო, უფრო მეგობრული და ახროვანი იყო. ძალუასა ჩემს არ მოსწონდა საზოგადოთ სანდროს ბიძაშვილებთან დაახლოვება, გვხვევრავდა, თითქო რიდასიც ეშინოდა, და ყოველთვის ისე ასერხებდა, რომ სანდროსთან ცოტა ხანი დაერჩენილყოყავ.

ძალუა ჩემის გულის სიღრმეში ეინ ჩაიხედავდა, რათა ცდილობდა ჩვენს განშორებას? რათა გვაშორებდა განგებ ერთმანეთს? (ამ საგანზე თითონ მოჩუ-



ბარიძეს ჯიბის წიგნში ამოვიკითხე კითხვა: ჩემს ნათესაებს ხიყმაწვილი დახვე-  
რათ დამაშორეს? მე არ მესმოდა, რა ძალითა ხდებოდა, რომ მე და სანდრო  
ერთს სახლში, ერთ ქერქვეშ ასე იშვიათათა ვხვდებოდით ერთმანეთს? არც  
სანდროს ეუბნებოდა დედა, არც ქმარს უბედავდა ერთგვა რამე ამ საგანზე, მა-  
გრამ ყველაფერსკი ახერხებდა: ძალუა ჩემი ამითი ნისპობდა იმ წყაროს, საიდა-  
ნაც სწიელას შვევიძენდი; სანდროს აკლბდა ჩემს საზოგადოებას და თითქო  
ამითი ჩემს სიყვარულს და პატივის ცემას უცხოვლებდა. მხოლოდ ამას მივაწერ  
იმ სიამოვნებას, როგორითაც ერთმანეთს ველტოდით და და ძმურათ ერთმა-  
ნერთი გვიყვარდა. კორბოს გამოცდილმა თვალმა შეგვაჩინა ანგვარი ერთმა-  
ნერთის სიყვარული და ერთხელ სადილობის დროს მთლათ ჩვენის ოჯახობის-  
თვის, შემადრწუნებელი აზრი წაომოსთქვა...

მე და სანდრო სადილის დროს ერთათ ვისხედით. (სანდრო იმითონ ირჩე-  
და ალაგს) კორბო და სამოელი ჩვენს პირდაპირ. სანდრო ცელქი იყო, თამამი,  
უბედი და როდესაც გუნებახე იყო, ყველას გვაძხიარულებდა. დედ მამას იმისი  
ქმედობა არა სწყინდებოდა, იმასაც მასალა არ ელყოდა.

როდესაც სანდრო რაღასაც მახეილობდა და ჩემკენ მოტრიალებული საკუ-  
თრათ მე მელაპარაკებოდა, ნაშინ კორბო თურმე ჩვენ ჩაციებით გვიყურებდა.  
შემდეგ ბიძა ჩემს ბიძართა ამ სიტყვებით:

პოლკოვნიკო, მე რომ თქვენნი ვიყო, შემდეგშიც თუ ასეთი ერთობა  
და სიყვარული ექნებათ ერთმანეთისა ლიზას და სანდროს. — ერთმანეთს შეე-  
რთაყდი.

— ვისა? რასა ანბობთ?! — გაკვირვებითა ჰკითხა ბიძა ჩემმა... ძალუაც სმუნ-  
ნათ ვარდაიქვა; ჩვენც ყველანი თითქოს გავქვაყვდით, ამისთანა მოულოდნელი  
სიტყვით.

— ლიზას და სანდროს. — უთხრა დამწყვიდებულის ხმით ყრანგმა — აი ასე  
შეთვისებულნი უნდა იყვნენ ცოლ-ქმარნი! უცხო პირები როცა ერთმანეთთა  
წვირთავენ, ვერ მიხვდებიან ერთმანერთის ხასიათს, ცხოვრებას და ხშირათ  
უბედურნი აოიან ხოლმე. ერთათ გაზარდეთ, ასწავლეთ და შემდეგში, როდესაც  
დრო ექნებათ — დააქორწილეთ!.. ვინამ უცხო შვილის შემოყვანას ოჯახში, ეს  
არ გირჩევიან, რომ თქვენზე შვილი, ნათესავი იშვილოთ?!

ძნელი წარმოსადგენია რა რიგი სამძიმო, დამჩაგვრელი შთაბეჭდილება  
ნოახდინა ამისთანა ლაპარაკმა, ძველებურს ქართველის ოჯახში, სადაც ძმობა და  
ბიძაშვილობა წმინდათა წმინდათ მიაჩნიათ... მკონი ბიძა ჩემს ამისთანა საქმე  
სიზნარში რომ ენახა, ელდით გული გახეთქიყო!.. რა საშინელება უთხრა ამ ურ-  
ჯულომ?!.. სანდრო, იმიად ერთათ ერთი სასოება შვილი და ლიზა, იმის საყვა-  
რელი ძმის ნიკოლოზის შვილი, რომელიც ნამდვილ შვილათ მიაჩნია, უხარიან  
მამობრიულის გრძნობით, როცა ეს ორი ბაშვი ერთათა ცელქობს. კმაყოფილია  
რომ ამ ორს ბაშვში ძმობას და ერთობას ხედავს... ურჯულო! ეუბნება — ერთ-  
მანეთი შართეთო?!.. საშინელი ხვთის წყრომა იყო ქართველის ძველებურის  
ოჯახისთვის ამ გვარის მებაის დაცემა, ამ გვარის უხთობის და უწესობის გა-  
გონებას.



ჯერ გაყვითლდა ბიძა ჩემი, მერმე ცეცხლივით აენთო და შირისთანე სა-  
ხით და ხმით დაიღოილა:

— უჟალო კორბო!.. თუ რომ ნაგვარი უხდელი და უხელო ლაპარაკი  
კიდევ გაგიბედნიას, შე და თქვენ საუკუნოთ ერთმანერთს განგზოოდებით...  
განგზოოდებით ნტრულათ და არა მოყვრულათ!.. მე გახოვთ, რომ ამ ბაშეებს  
შაგვარი გარყენალება აღარ გაავონოთ, ესენი და ძმახი არიან და და ძმათ უნდა  
დარჩნენ. თქვენ... თქვენ... იხრჩობოდა ბიძა ჩემი სიანჩხლით და ველარა ეთქვა  
რა... გარდაადგო სალფეთკა წამოიჭრა და ქართულათ დაიძახა: ეს უხთო შამა-  
ძალები, შინ შემოსაშვები არ არიან!.. კაცს სისხლს გაუმრომენ; უბედურებას  
შეამთხვევენ!.. გაცოდებულმა, სადილი აღარ შეასრულა და ტორტმანიო, თაბრუ  
დახვეული თავის კაბინეთში გაიქრა, რამთენსამე წუთის შემდეგ ცხენზე შეჯდა  
და სოფლისკენ წავიდა.

ეს წინდაუხედავი კორბოს სატყვეები მთელს სახლობას მუხათ დაეცა: ძა-  
ლუა ჩემი დიდი ხვთის მოყვარე აღამიანი, გაყვითლებული, პირჯვარის წერის  
მეტს ველარას ახერხებდა, ლაქია სოლომონს ბლუდი კინალამ ხელიდან გავარდა,  
დიდი და პატარა, სტუმარი და შინაური პირჯვარის წერით თავიანთ განცვიფ-  
რებას წარმოსთქვამდნენ, ხვთის რისხვათ მიიღეს ამისთანა გაუგონარი სიტყვა  
და ერთის ხმით გასძახოდნენ: რა უხთო და გარყენილი რამ არისო?!.. შე და  
სანდრო ერთმანერთს შევეყოებდით, თითქო ერთმანერთის შავუკითხებოდით, ეს  
რა თქვესო?

ეღახდელს დროში ამ გვარს თქმას აღარავინ გაიკვირვებს, მაშინ კი კორ-  
ბოს სატყვეები ელყასავით მთელს სახლობას მოედო: სამზარეულოში ყველას  
უკვირდა, ბიჭებმა და გოგოებმა თავთავის კილო გამოაბეს და ერთის ხმით  
კორბოს ლანძღავდნენ და ქვით ჩაქვაგებას უპირობდნენ.

თითონ კორბოც გაკვირვებული დარჩა, არ მოელოდა რომ იმისი აზრო-  
ვანი და უბრალო სიტყვები ასე წყრომით მიიღებოდა; იმის შეხედულებით ამ-  
გვარი ქორწინება ყოვლად შესაძლებელი და გონივრული იყო და ვერ მიმხვდა-  
რიყო ასე საწყენათ რათ მიიღეს!?

შენდეგში როდესაც ნახა, რომ ამისთანა არეულობა და საერთო ზიზღი  
გამოიწვია იმისმა ლაპარაკმა—მაშინ ხელების ფშენეტით სულ პარდონს გაიძი-  
აოდა.

ეს ამბავი დიდ ხანს არავის დაავიწყდა, და ისეთ ნაირათ იმოქმედა, ნა-  
შეტნავათ ბიძაჩემზე, რომ კორბო შეუჯავრა, და პირდაპირ ველარ უჯურობდა,  
ძამა ჩემს რომ უანბეს, ხანჯალზე ხელი დაიდო და სთქვა:

— შამა ჩემი არ წანიწყდება და მიხეილ არ მომიკვდება, შარტო მაგ სი-  
ტყვებისთვის მოვკლავდიო.

შე და სანდრო, როდესაც მოჩხუბარიძეთ გახდა, ხშირათ მოვიგონებდით  
ხოლმე ამ ამბავს.

კორბოსადმი პატივის ცემა და რწმენა ამ დღეს შემდეგ შეირვა: ყველანი  
უღვთო, გარყენილ კაცათ უჯურობდნენ. მოიგონეს ის დღეც, როდესაც სანდრო  
უნდა დაესაჯა და თუმცა არც დალურჯებული ნახეს იმისი ტანი არც დამა-





ხინჯებული, მაგრამ იმათი წარმოდგენა ნამდვილ ფაქტად აღიარეს და კორბოს სანდროს ცემა შესწამეს. ძალუა ჩემი როგორც უფრო მეტად მამიანი, მაინც ცდილობდა, რომ როგორმე კიდევ კორბოსთვის უჩინდელი სახელი და მდგომარეობა დაემკვიდრებინა, მაგრამ აღარა ხერხდებოდა. სანდრომ ამითი ისარგებლა და აღარა სცენდა პატივს, აღარ ემორჩილებოდა. კორბომ თითონაც იგრძნო, რომ დაჰკარგა ის პირველი ავტორიტეტი და ხელმეორეთ იმ სახელის და განვლენის მოხვეჭა ძნელი ლა იყო, გარდასწყვიტეს, რომ თუმცა კორბო ჩინებული ოსტატია, მაგრამ ჯერ ერთი რომ სცემს და მეორე კიდევ საშინელი გარყვნილი და უხთო კაცია და მისი შინ შენაიყა შევნებელია.

რამათენისამე ხნის შემდეგ კორბო თავისი საშოილით თბილისში წავიდა. კორბოს შემდეგ კიდევ, ორი სანი ფრანგი გამოიცვალეს, მაგრამ ვერ იწყნარებდნენ ერთმანეთის ჩვეულებას: ერთს ძალლი ჰყვანდა, რომელიც ჩვენს სუფრაზე შემოყვანდა და რასაც მოიტანდნენ ის პირველათ იმას დაუდგამდა: თუ ძალლი სკამდა, (ერთხელ ლობიო დაუდგა) ისიცა სკამდა, თუ არა და ანბობდა არ ვარგაო. ეს ოსტატი რამთენსავე დღის შემდეგ დაითხოვეს ზოგი ლოთი იყო, ზოგმა არა იცოდარა, და ამ რიგათ ოსტატები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, და დროც გადიოდა, ერთი კიდევ მახსოვს მუსიო დორე, მაღალი ტანისა, ქერა ფრანგი, კოხტა, ლამაზათ ჩაცნული მუდამ შუა გაყოფილი და დავარცხნილი თმებით, გოსტინების რაინდს უფრო გვანდა.

როდესაც ძია ძალუას მობეზრდათ ამდენი ოსტატების გამოცვლა და დაინახეს, რომ ვერც ერთმა ოსტატმა იმათ სახლში ფეხი ვეღარ მოიკიდა, მაშინ მოხერხებულმა ძალუა კვკემ შეურჩია თავის ქმარს და უთხრა:

— ბატონო, ისევ კორბო მოვიყვანოთ....

— კვკე და როგორ მოვიყვანო იმ ამბებს შემდეგ? მევე უნდა ვსთხოვო, მობძანდრ მეთქი?!

— რა გაეწყობა, ბატონო, ჩვენს შეილის სიკეთისათვის ყველაფერი უნდა ვიკისროთ! შესაძლებელია იმ ფასათ აღარც კი მოვიდეს... მაშინ უნდა მოუმატოთ...

(გაგრძელება იქნება)





საქართველოს  
ენციკლოპედია

# მეცნიერება და კუბლიცისტიკა





# ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან.

(1850 1920 წწ.)

## შესავალი.

დრო იყო, ჩვენს წინაპრებს ეგონათ, და დღესაც შეიძლება მოიპოვებოდეს ისეთი ქართული, რომელსაც ჰგონია, ვითომც სალიტერატურო ქართულს, მწერლობის დაარსებიდან დღემდე, არაერთარი საგრძნობი ცვლილება არ განიცდის, ვითომც სამწერლო ქართული საერთოდ დღესაც იგივე იყოს, რაც შთაწმინდლებისა, შავთელ-რუსთველისა, თეიმურაზ-არჩილისა, ანტონ-გაიოხისა, ბარათაშვილისა და ორბელიანების დროს იყო.

მაგრამ დღეს უკვე დაშტკიცებულ დებულებად შეიძლება ჩაითვალოს ის კეზმარიტება, რომ სალიტერატურო ქართულმა, მწერლობის დაარსებიდან დღემდე, სულ მცირე, სამი შთავარი ხანა, განვითარების სამი შთავარი საფეხური, მაინც განვლო. ამ სამი საფეხურის მიხედვით, დღეს მეცნიერება სამწერლო ქართულს სამ გვარად ჰყოფს: ძველ ქართულად, საშუალო ქართულად და ახალ ქართულად.

დეტალურ კვლევასა და მტკიცედ განსაზღვრას მოითხოვს მხოლოდ დრო, როდესაც ერთი პერიოდი თავდება და მეორე იწყება. მაგრამ, უკვე ცნობილი მასალისდა მიხედვით, აქაც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საშუალო ქართულის დასაწყისი მწერლობაში დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის, ხოლო ახალი სამწერლო ქართულის დასაწყისად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი კვლევის საგანს ახალი სამწერლო ქართული შეადგენს.

ახლად გვაქვს წარმოვადგინოთ ის ეტაპები, რომელნიც განვლო ახალმა სალიტერატურო ქართულმა თავისი სამოცდაათწლოვანი არსებობის მანძილზე, როგორც პრაქტიკაში ისე თეორიაში, განსაკუთრებით კი თეორიაში: ეგულისხმობს იმ თეორიულ ბრძოლას, რომელიც გამოიწვია მწერლობაში ახალი ენის შემოტანამ, მისმა ძველ სალიტერატურო ნორმებთან შეჯახებამ, ძველის საფუძველზე ახალი ნორმების ერთმანეთთან შეხვედრამ და მოურიგებლობამ, ან უკეთ,



იმ შინაგანმა დუღილმა და ანარქიამ, რომელიც ფორმების შორის ახალ სალიტერატურო ქართულს ახასიათებს.

უფრო სპეციალურად ჩვენი გამოკვლევების საბოლოო პოინტი-პუნქტისა და პროექტების კრიტიკული შეფასება, რომელიც ამ უკანასკნელი 30 თუ 35 წლის განმავლობაში სხვადასხვა პრაქტიკოსისა და თეორეტიკოსის მიერ წამოყენებული იყო ახალი სამწერლო ქართულისა და მართლწერის მოსაწესრიგებლად.

ეს გამოკვლევა მზად გვქონდა უკვე ამ ოთხი წლის წინეთ იმ კონფერენციისათვის მოსახსენებლად, რომელსაც უნდა განეხილა და მოეწესრიგებია სალიტერატურო ქართულის სადავო ფორმები. სამწუხაროდ, კონფერენციის მოწვევა დღემდე ვერ მოხერხდა და ჩვენი მოხსენებაც დაუბეჭდავი დაგვირჩა. ახლა ვბეჭდავთ მას იმ იმედით, რომ მომავალი კონფერენციისათვის იგი უშნიშვნელოდ არ დარჩება და კონფერენციის მოწვევამდეც სარგებლობას მოუტანს იმ წრეებს, რომელთაც ქართული ენის სადავო ფორმებთან უხდებათ ბრძოლა.

1924, X, 12

## პირველი საფეხური

(1850—1860).

როგორც ზემოთ მოვახსენეთ, ახალი სალიტერატურო ქართულის დასაწყისი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. არსებული მასალები ნებას გვაძლევს ეს თარიღი უფრო ზედმიწევნით განვსაზღვროთ: სახელდობრ ეს გახლავთ 1850 წელი, როდესაც დაიუგა და დაიბეჭდა, ე. ი., სცენისა და სტანბის საშუალებით, პირველად მოველინა ქართულ საზოგადოებას ახალი ენის დაწერილი ვრცელი სალიტერატურო ნაწარმოები და მასთანავე პირველად გამოჩაჩვა მწერლობაში ახრი ახალი სალიტერატურო ენის „დაბადების“ შესახებ. ეს ახრი ეკუთვნოდა პლატონ იოსელიანს, ხოლო ის ნაწარმოები გახლდათ გიორგი ერისთავის კომედიის „გაყრა“.

მარსალია, ახალი ცოცხალი ენის ნორმები მწერლობაში კანტიკუნტად წინეთაც შემოდიოდა, როგორც, მაგალითად, სულხან ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ნაწერებში ვხვდებით. მაგრამ ამ უკანასკნელი მწერლის მოღვაწეობა უმთავრესად საქართველოსა და ქართული ლიტერატურის გარეშე წარმოებდა, ხოლო პირველის სამაგალითო პიონერობა მწერლობაში ანტონ კათალიკოზის ავტორიტეტმა და სალიტერატურო (საგრამატიკო) სკოლამ დაჩრდილა. და ამ სკოლის გავლენა იმდენად ძლიერი და ხანგრძლივი გამოდგა, რომ არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა, არამედ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის სალიტერატურო ქართულიც არსებითად საშუალო ქართულის ნორმებს არ ვასცილებია: ბესარიონ გაბაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ლექსებში ჩვენი დებულების უტყუარ დასაბუთებას იძლევიან; ხოლო კერძოდ გრიგოლ ორბელიანს, მია თანამოგვარე





ალექსანდრე ნობელიანთან ერთად, ჩვენ ქვემოთ ახალი ენის მოწინააღმდეგეთა და საშუალო სალიტერატურო ნორმების დამცველთა ბანაკში შედიან. თვითონ გიორგი ერისთავიც თავის ახალგაზრდობაში, როგორც მისი ლირიკული ნაწერებიდან ჩანს, იმავე საშუალო ქართულის ნორმებს ემორჩილებოდა და მხოლოდ კომედიებში და სატირებში გადასდგა რადიკალური ნაბიჯი იდაბიო ხალხური ენისაკენ. მართალია, მისი სატირები 1850 წელზე ადრე დაიწერა, მაგრამ ახალი სალიტერატურო ქართულის დასაწყისად ჩვენ მიიხსიან ეს წელი მიგვაჩნია, რადგან მხოლოდ ამ წლიდან დაიწყო ქართულ მწერლობაში ფართო და შეუწყვე "ელი დენა ახალი ენის ნორმებმა, მხოლოდ ამ წელს გამოითქვა საჯაროდ მოწონებითი ახრი ახალი სამწერლო ენის წარმოშობის შესახებ და ახალმა ენამ მწერლობაში ამიერიდან დაიპირა სასურველი ხიზნის მდგომარეობა, მაინც კი ახალი ენის ნორმებს, მწერლობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემთხვევითის და უცნობი სტუქტურის ადგილი ექირა.

ასე დაიწყო ახალი სალიტერატურო ქართულის პირველი საფეხური, ანუ „ხიზნობის“ ხანა, რომელშიაც დაახლოებით 1860 წლამდე გასტანა.

ისტორიამ სოკჯერ დიდი კურიოზები იცის; და ალბად ერთი ამგვარ კურიოზთაგანი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ ახალი სამწერლო ქართულის მიმრქმელობა ბუდმა პლატონ იოსელიანს არგუნა, ე. ი. ისეთ პირს, რომელიც მუდამ ძველი ენის ნორმების თავყახისმკემელი იყო და მთელ სიცოცხლეში მხოლოდ ძველი ენით, უკეთ რომ ვთქვათ, საშუალო ქართულით სწერდა, რადგან, როგორც ჩანს, სხვა ენით წერა არც ეჭვრებოდა. შესაძლოა სულაც ამ საკუთარი უმწერობის შეგნება ყოფილიყოს იმისი მიხედვით, რომ პლატონ იოსელიანი გულწრფელის აღტაცებით შეეგება გიორგი ერისთავის კომედიის დაბეჭდვას და მის პირველ გამოცემას წინ შემდეგი საგულისხმო სტრიქონები წარუდღვანა\*:

„მიხედვით სოჯათა ხალხთა ევროპისა და აზიისა, ვიტყვი გაბედვით, შეთერაშეტე საუკუნემდე, ქართულნიცა მდიდარნი იყუენ მწერლობითა.— მაგრამ მწერლობა ძესლთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხუათა, არა იყო ჩუქულეებითი საუბარისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა.— დამწერმან ამა პირუტლისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, საეადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათგს.— სახელმან მისმან ქართულთათგს ესრეთვე მიიღო დირსება, რომლისათგსცა ეკვირვებინ ბერძენთა და რომაელთა კომიკთა: არი-ატოფანეს, კრატინს, პლატუსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხუათა.— მაქლს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგან ახლისა გუარისა მწერლობისა მოწონებასა არაეინ მიიღებს პირმოთხეობითა თქმულად და თვითოეული კეთილგანმზრახი ქართული სიხარულით და სიამოვნით წაიკითხავს ამ კომედიისა და სხუანიც ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგლითსა მისსა“ 1.

\* ხაჩს უდღვან მენ კლავთ, სტამბაში „მ-ბეჯუს“ უქრანლობისა გამო ჩეუდებრიცს უს ვბეჭდავთ.

1 იმ „გაგრა“ გ. ერისთავისა, თფილისი, 1850 წ. 3 (იოსელიანის) წინასიტყვაობა. რომელიც წინასიტყვაობა იაფ მთელ კომედიის ტექსტი დაბეჭდილია ძველი თარგმანებით.



გიორგი ერისთავის შაგალითსა და პლატონ იოსელიანის მოწოდებას მართლაც ძალით გაუჩნდენ მიმდევრები ჩვენს მწერლობაში. ძალე მწერებს ბერძნული ადგილი ქრონოლოგიურად ჩვენს მეორე დრამატურგს **ზურაბ ანტონიძეს**, ეკუთვნის, რომელმაც 1851 წელს გამოსცა თავისი კომედია „მე მინდა ენეინა გავხდე“, და შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, გაბუნწვეტლივ იბეჭდებოდა მისი თხზულებანი ცალკე გამოცემებად.<sup>1</sup>

ამავე დროს დაიწყო გამოსვლა გიორგი ერისთავის „ცისკარი“, რომელმაც, მართალია, სულ ორ წელს იარსება (1852-53 წლები), მაგრამ საკმაოდ მტკიცე პოზიცია მოუპოვა ახალ ენას ჩვენს მწერლობაში: აქ იბეჭდებოდა, სხვათაშორის, ვრცელი მოთხრობა მოლანურიისა, თვით გიორგი ერისთავის მიერ მდებრი ქართულით ნათარგმნი („ცისკარი“ 1852 წ. №№ 2, 3, 4 და შემდეგნი), აგრეთვე ბერძნულ მოთხრობა „სიმე ამისთანა უნდა“, ესეც მდებრი ქართულით გადმოღებული უსახელო მთარგმნელის მიერ („ცისკარი“ იგივე წელი, №№ 9 და შემდეგნი), და სხვანი.

მართალია, შემდეგ, სამი წლით, შეწყდა ამ ჟურნალის გამოცემა, მაგრამ, როცა იგი ივ. კერესელიძის რედაქტორობით განახლდა (1857 წ.), ახალმა ქართულმა აქაც ჰპოვა თავშესაფარი, თუმცა ძირითადი გეზი ამ ჟურნალისა ახალი ენის სასარგებლოდ არ იყო მიმართული: მისი გავლენიანი თანამშრომლები და თვით რედაქტორიც ძველი ენის ნორმებისა და ძველი მართლწერის მიმდევარნი იყვნენ, ნამდვილად კი საშუალო ქართულით სწერდნენ, თუ კი შეიძლება „საშუალო ქართული“ ვუწოდოთ ძველისა და ახლის იმ უცნაურ ნაზავს, რომელსაც ამ მწერალთა ენა წარმოადგენს.

ერთმა ამ მწერალთაგანმა, სახელდობრ თავადმა ჯამბაკურიან-ორბულიანმა, განსაკუთრებული წერილიც კი უძღვნა ახალი ენის მოვლინებას ჩვენს მწერლობაში იმავე 1857 წელს და ფრიად სკეპტიკურად შეხედა ვრცელისა და სერიოზული მწერლობის შესაძლებლობას ამ ენაზე.

ეს წერილი იმდენად დამახასიათებელია განახლებული „ცისკრის“ შესვეურთათვის, რომ საჭიროდ მიგვაჩნია იქიდან ზოგიერთი ადგილი სიტყვასიტყვით მოვიტანოთ.

„ამ რამოდენისამე წლის წინად, — ამბობს ავტორი, — ლაბარაკი იყო ზოგიერთის პირებისაგან, ვითომც ახალი ქართული ენა დაებადოს თავადს გი-

<sup>1</sup> აი მათი სია: „თხზულებანი“ ცალკე გამოცემულნი, ტფილისი, 1851-52 წლები; „ქართული კომედიები“, ტფ., 1852 წ.; „ქრონოლოგი“ ტრალედია 4 მოქმედებად, 1853 წ. ტფილისი; „ტივით მოგზაურობა დიტერატორთა“ ნამდვილი კრებულია 2-ის მოქმედებით, ტფ., 1854 წ. და სხვანი ამ გამოცემებში ყურადღებას იქცევს „ქართული კომედიები“ (1852 წ.), რომელშიაც მოთავსებულია სამი პიესა: „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ და „ქორწილი ხევსურთა“. პირველ პიესაში გამოყვანილი არიან საქართველოს თითქმის ყველა მთავარი კუთხის წარმომადგენელნი: თფილელები (მოურავი, მამასახლისი, მსაჯულეები, ქართლელი აჯნაური (სვიმონ გვარდელაძე) და მისი ხუთი ცოლი: ერთი იმერელი, მეორე ქართველი, მესამე სომეხი, მეოთხე ოსი და მეხუთე კიდეც ქართლელი (დეშელი); ყველა თავთავის კილოზე ლაპარაკობს. მესამე პიესა „ქორწილი ხევსურთა“ ამითაა შესანიშნავი, რომ აქ პირველად ვხვდავთ ქართულ მწერლობაში ხევსურული კილოს შემოტანას.



ორგი ერისთავს. ეს აზრი პლატონ იოსელიანმაც დაწერა თ. გ. ერისთავის გაყრდობის წინასიტყუაობაში.. და ერისთავმაც ნება მისცა დაბეჭდულიყენებოდა.

შემდეგ ავტორს მოაქვს პლ. იოსელიანის სიტყვები, <sup>1</sup> რომლებშიც შემოთამბოვრებით, და მისი უკანასკნელი მოწოდების გამო: „მაქუს იმედი, სხუანიცა ახალნი მწერალნი შეუდგებან მაგალითსა მისსაო“, გაკვირვებით შენიშნავს:

„როგორ ითუ მაგალითსა მისსა?— შეგვიძლიან ჩუენც ესა ვსთქუათ თამამად, რომ იმის კამედია ახალი ქართული არ არის მწერლობისათვის“.

ამ უკანასკნელი სიტყვების ნათელსაყოფელად ავტორს მოაქვს სანიმუშოდ ერთი ადგილი კომედიიდან, სახელდობრ ანდრუყაფარ დიდებულისძის პირველი მონოლოგი, და იძლევა ორგვარ დასკვნას:

ა) ამგვარის ენით შეიძლება მხოლოდ „დაკუწვილი ლაპარაკი, კითხვა-პიგვების მსგავსი“, ხოლო რთულისა და სერიოზული მსჯელობის გადმოცემა შეუძლებელია: თუ ეს არ არის, რატომ იოსელიანი თვითონ არა სწერს თავის წინასიტყუაობას ამ კომედიისებური ენით? „გავს, ვერ მოუხერხებიაო“ <sup>2</sup>).

ბ) მეორე დასკვნა, რომელსაც ალ. ორბელიანი იძლევა, მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: არ არის მართალი, ვითომც ამ კომედიის ენა ახალი რამ და გიორგი ერისთავის მიერ „დაბადებული“ ენა იყოს: ეს ენა ის ენაა, რომელსაც, ავტორის აზრით, ყველა „ძველი თავადი და კიდევ სხვები“ ლაპარაკობენ „როგორც ყმაწვილობითვე უსწავლიათ ქართული ლაპარაკი, კარგად თუ არა კარგად, ანუ ნაკლები, ანუ ნაკლები, ანუ ნაკლები“. მაშასადამე გ. ერისთავს სხუა ქართული არა დაუბადებია რა მწერლობისათვის: ის ქართული იმათი საკუთარი ყოფილა იმ ქართულებსათო“ <sup>3</sup>.

დასასრულ, ალ. ორბელიანი გამოსთქვამს ეჭვნარევი სურვილს, რომ გიორგი ერისთავმა დასწეროს იმ ენით „ერთი მოთხრობა“ მაინც და ამით დაგვიმტკიცოს, რომ შესაძლებელია ამგვარის ენით ვრცელის გაბმითი მოთხრობის გადმოცემაო: „გულითა მსურსო,—ათაყებს იგი,—ჩუენი ქართული ენა უფრო და უფროსად საუკეთესო იყოს და მაგალითად სამაგალითო“ <sup>4</sup>.

რა თქმა უნდა, ეჭვმიუტანელია ალ. ორბელიანის გულწრფელობა, მაგრამ მისი სკეპტიციზმი კი ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული: როგორც მოგახსენეთ, გიორგი ერისთავს უკვე 1852 წელს ჰქონდა „ცისკარში“ დაბეჭდილი ახალი ენით ნათარგმნი ვრცელი მოთხრობები, ხოლო თვით იმავე წელს, როცა ალ. ორბელიანის სკეპტიკური წერილი გამოვიდა, „ცისკარში“ უკვე კაიხნის დაბეჭდილი იყო არა ერთი და ორი, სრულიად ახალი ენით დაწერილი, ნაწარმოები, რომელთაც საერთო არა ჰქონიათ რა კომედიების „დაკუწვილ ლაპარაკთან“. ამ ნაწარმოებთაგან საკმაო იქნება დავასახელოთ: დიმიტრი ბაქრა-

<sup>1</sup> „რამოდენიმე სიტყვა გაყრის კამედიაზე“ („ცისკარი“ 1857 წ. წიგნი 2-9, სექტემბერი, გვ. 45—46).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 47.

<sup>3</sup> იქვე 23. 48.

<sup>4</sup> იქვე 48.



ძის ვრცელი წერალი „საქართველოს ისტორიის წყაროები“<sup>1</sup> ვინც კი — ანა მათხოობა „ვაკის შვილი“<sup>2</sup> და განსაკუთრებით რაფიელ ქრისტაფეს ვრცელი მათხოობა „ხინო“<sup>3</sup>.

ეს მასალები თვალ წინ ჰქონდა ალ. ორბელიანს, მაგრამ მისი მსჯელობა იმდენად ძლიერი იყო, რომ არ სჯეროდა ქრისთაეუბისებურ მდაბიო ხალხურ ვნაზე ვრცელი მწერლობის შესაძლებლობა. შემდეგნა წლებმა კიდევ უფრო ნათელ ჰყო მისი სკეპტიციზმის უსაფუძვლოება, განსაკუთრებით როცა იმავე „ცისკარში“ დაიბეჭდა დანიელ ჭონჭაძის ცნობილი მათხოობა „სურამის ცხე“ (იხ. „ცისკარი“ 1859 წლისა, დასრულდა 1860 წლის № 1-ში).

ყველასთვის აშკარა შეიქნა, რომ პლატონ იოსელიანის მიერ მიჩვენული ახალი ენა მწერლობაში უბრალო ხიზნისა და სტუმრის ადგილს აღარ სჯერდებოდა, არამედ თანდათან ფართო ასპარეზისა და მტკიცე მდგომარეობის მოპოებას ჰლამოდა მაშინ ახალი ენის მოწინააღმდეგეთა ცნობიერებაში ცოცხლად წამოიჭრა საბი ენის თეორია: ძველისა, საშუალოსი და ახლისა, და პირველია და უკანასკნელის შორის გაიმართა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ასე დაიწყო მეორე საფეხური ახალი სალიტერატურო ქართულისა, ანუ მისი „ბრძოლის“ ხანა. ამ ხანამ გასტანა დაახლოებით 15 წელს (1860—1875) და დასრულდა „ცისკრის“ დახურვითა და ახალი ენის სრული გამარჯვებით.

<sup>1</sup> ცისკარი 1857 წ. № 2.

<sup>2</sup> იქვე № 3, გვ. 41—54.

<sup>3</sup> იქვე № 5 და 6.





## სისხლიანი კვირა

1905 — 1925

ვუძღვნი ამხ. ვალია ბახტაძეს.

ისტორიულ ამბებს შორის უჩინარი ძაფია გაბმული. „ისტორიას უყვარს ანალოგიები“.

უამრავია ამის მაგალითები.

საფრანგეთი: 1870 წ. სექტ. 4. მლელვარება.

6 თვის შემდეგ: „გაუმარჯოს პარიზის კომუნას!“

რუსეთი: 1917 წ. ივლისის გამოსვლები.

4 თვის შემდეგ: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას“.

ისტორიულ მოვლენებში რაღაც კანონია გამეფებული. „ოკინის კანონი“.

1905 წელი იანვრის 9(22). სისხლის ღვრა. დამარცხება. ეს იყო გამოცდა, „რეპეტიცია“.

1905 წელი ოქტომბერი. გრანდიოზული გაფიცვები. „მანიფესტი“ დამარცხება ეს იყო „გენერალური რეპეტიცია“.

1917 წელი ოქტომბერი. დრამის დასასრული...

დიახ. „ისტორიას უყვარს ანალოგიები“.

\* \* \*

„რევოლუციონური ხალხი რუსეთში არ არსებობს“ სწერდა პეტროვ სტრუვე „სისხლიანი კვირის“ წინაღობებში. ამას იმეორებდა რუსეთის მაშინდელი ლიკვიდატორული „ინტელიგენცია და ლიბერალური ბურჟუაზია“.

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციონერ განწყობილების შეფასებაში, უფრო „საღად“ ჟანდარმერია მსჯელობდა. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის ცხოვრებაში ახალი სიო ქროდა. სამოციან წლებიდან რუსეთმა გადადგა დიდი ხაზი ახალ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობისაკენ. ყირიმის ომის გაკვეთილებმა ძველი ბატონ-ყმური რუსეთი საბედისწერო დიდების წინაშე დააყენა: ან კაპიტალიზმი, „ახალი კულტურა“, სახალხო მეურნეობაში ახალ წესებზე გადასვლა, ან სიკვდილი და განადგურება. უძლეველია ეკონომიურ განვითარების კანონი. პატრიარქალურ რუსეთსაც ეწვია ამ კანონით დასჯის უბედურება.



კაპიტალის ამოქმედებას რუსეთში თან მოყვა ახალი კლასის პროლეტარიატის დაბადება და აღორძინება. როგორც ვიცით, კაპიტალიზმის მეურნეობის განვითარება მოხდა განსაკუთრებულ პირობებში. *სუსტის* დაჩაინდა საკუთარი საშუალებანი. საკუთარი ძალით იგი ვერ შესძლებდა „ეროპის ფანჯრის ჩამტვრევას. თავი წამოჰყო უცხოეთის კაპიტალმა. ეროპის კაპიტალისტები უშუალოდ შეუდგნენ რუსეთის სიძლიერის ექსპლოატაციას. ამან შექმნა შინაგან ძალების განსხვავებული განწყობილება: წარმოიშვა საკმაოდ ძლიერი მუშათა კლასი, ხოლო ეროვნული ბურჟუაზია ერთობ „უღლეური“ და უსუსური გამოდგა. (ახალია, ამის მიზეზი იყო ეროვნული კაპიტალის განუვითარებლობა.

ისტორიულად საზოგადოებრივ ცხოვრების განსაკუთრებულ საფეხურზე, ბურჟუაზია რევოლუციონური ძალას წარმოადგენდა. კაპიტალიზმი რევოლუციონური მოვლენა იყო თეოდორ-პატრიარქალურ წყობილებასთან შედარებით. დიდი „რეფორმების“ შემდეგ რუსეთის ცხოვრებაში საგრძნობი ცვლილებები უნდა მომხდარიყო, ცვლილებები პოლიტიკურ ხასიათის. ყმების განთავისუფლება ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენდა. რუსეთი გადაიხარა ეროპის კაპიტალისტურ კივილიზაციისაკენ. ამუშავდა მღაბრები, ფაბრიკა-ქარხნები აგუგუნდა პროლეტარიატი. ეს იყო „გადატრიალება“ სამეურნეო ცხოვრებაში, კომწიად გამოწყობილმა თავადმა თავი დაუტოვა წილა გაცვეთაღ, თმებ აბურძგენილ მევახშეს, შემდეგ კაპიტალისტს, ბოლოს კი მთელ თავის ავლა დიდებასაც ნელ-ნელა გამოეთხოვა. მოხდა დიდი ცვლილება იველი რუსეთის ეკონომიურ ვითარებაში პოლიტიკური კი არა, ახალი დღინო ძველ გუდაში მოექცა. ისტორია გრძნობდა ამ წინააღმდეგობას, მაგრამ სხვა გზა არ სჩანდა: ახალი კულტურის მატარებელი კლასი — ბურჟუაზია „ძვირობდა წინაურ ბაზარზე“, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მუშათა კლასს უნდა დაეწყო. სამართლიანად ამბობდა გ. პლუხანოვიც: „მოძრაობა რუსეთში გაიმარჯვებს როგორც მუშათა მოძრაობა. სხვა გზა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“.

რუსეთში აბსოლიუტური მონარქია საშიშროებას ბურჟუაზიაში არ ხედავდა. მას ეშინოდა ქალაქის პროლეტარიატის. პროლეტარული მოძრაობა ადრე დაიწყო. სამოცდაათიან წლებიდან რუსეთის მუშათა კლასში გახშირდა „ჩოქოლი“. ვხედავთ აქა-იქ ფაბრიკა ქარხნებში გაუიცვას, მუშაობაზე უარის თქმას, ქარხნის ადმინისტრაციასთან წინააღმდეგობას. მეორთ მხრივ სოფლის ღარიბ-ლატაკებშიაც ვითარდება „ბუნტური“ განწყობილება.

ყოველივე ამას კარგად ამჩნევდა „ობრანკა“ და პოლიცია. რუსეთის მუშათა მოძრაობის ტალღები ჰპოვებდა გამოძახილს დესპოტიზმის რადიო-სადგურში, მხოლოდ პეტრე სტრუვე არ გრძნობდა დიდი ეპოქის მოახლოვებას, არ ხედავდა რუსეთის ხალხში რევოლუციონურ გამოშეტყველებას.

რასაც ვერ ხედავდა სტრუვე, იგი ზუბატოვმა შეამჩნია.

\* \* \*

ცხრასიანი წლები ცნობილია რუსული „მოდლიციური ხოციალიზმის“ ხანად. ნეფის თანდარშერიამ თვითონ მოკიდა ხელი „მუშათა ორგანიზაციების“



დაარსებას. მუშათა ორგანიზაცია „ობრანკას“ ხელმძღვანელობით — ხუბატოვის გეგმა შეფუთვით რუსეთის დასაცავად.

მუშათა კლასში ძლიერდება ორგანიზაციულად შეკავშირების სურვილი. ამას ხელს უწყობდა მუშაობის პირობები: ფაბრიკა-ქარხნები თავს უყრიდა რამოდენიმე ათას მუშას. მუშები ერთ დროზე მოდიოდნენ სამუშაოდ, მიდიოდნენ მუშაობიდან, ხშირად ერთად სადილობდნენ და წებობდნენ. ფაბრიკამ მუშებში შეიტანა ორგანიზაციულად დარაზმების აზრი.

ბიუროკრატიული მთავრობა შეუდგა მუშების „დაკავშირებას“. 1901 წ. გახადეს ულსე. ქ. მინსკში პოლიციის დეპარტამენტის საშუალებით ჩაეყარა საფუძველი „ებრაელთა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის“, რომლის მიზანი იყო ეკონომიურ ორგანიზაციების განვითარება, აგრეთვე „მუშათა კლასში მეცნიერულ და პროფესიონალურ ცოდნის გავრცელება“.

მოსკოვში „პოლიტიური სოციალიზმის“ მოძრაობამ მიიღო უფრო სერიოზული სახე. შექანიკური წარმოების მუშებმა შეიმუშავეს „მუშათა საზოგადოების“ წესდება, წარუდგინეს იგი „ობრანკას“. „ობრანკამ“ ცოტაოდენი ცვლილებებით დაამტკიცა წესდება. დაიწყო მუშების ღია კრებები. კრებებზე კითხულობდნენ მოხსენებებს პროფესორები, ექიმები, მღვდლები და სხ. კრებებში მიიღო სისტემატიური ხასიათი. მუშები ირჩევდნენ კრებების მომწყობ კომისიას. კომისიის წევრებს წინდაწინ იხილავდა და ამტკიცებდა პოლიციის დეპარტამენტი.

მონარქიული მთავრობა არ აღსცდებოდა ანგარიშში. კრებებს მასსიურად ესწრებოდნენ. ისინი ისვენდნენ, რომ „მეფე ღვთისაგან მოვლენილია“, არსებული წყობილება — ყველაზე საუკეთესო წყობილებაა და სხ.

1902 წ. თებერვლის 19-ს მოსკოვში სადემონსტრაციოდ გამოვიდა 50.000 მუშა. დემონსტრაციამ მიუძღვნა გვირგვინი ალექსანდრე მეორეს ძეგლს. ეს იყო პოლიტიური სოციალიზმის და „ხუბატოვჩინის“ უდიდესი მიღწევა.

მუშათა „საზოგადოება“ დღით-დღე იზრდებოდა. ამის მიზეზი თვით „საზოგადოების“ პრაქტიკულ ნაბიჯებში იმალებოდა. „საზოგადოება“ იყო ლეგილური. მის წევრებს არ მოელოდათ „განსაცდელი“ ადმინისტრაციისა და ხელისუფლებისაგან. „საზოგადოება“ დაარსებული იყო მთავრობის ნებართვით და მარტოდებდა „ობრანკის“ ხელმძღვანელობით. მუშები „საზოგადოებაში“ ხელაგდენ ორგანიზაციას. მეორე მხრით, თვით „საზოგადოება“ მიზნად ისახავდა „მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას“. ფაბრიკა-ქარხნის ადმინისტრაცია ავიწროებდა მუშებს, ეპყრობოდა მათ უდიერადა, როგორც მონებს. „საზოგადოება“ იმადლებდა ხმას უსამართლობის წინააღმდეგ. მოითხოვდა ადმინისტრაციის შემადგენლობის შეცვლას, ხელმეტი მუშაობის მოსპობას, სშირად ხელფასის გადიდებას, ზოგან — სანუშაო დროს შემცირებასაც. ქარხნის ადმინისტრაციასთან შეტაკებაში „საზოგადოება“ თავს მაგრად გრძნობდა. „ობრანკა“ მას ზურგს უმაგობდა. მექარხნეები იძულებული ხდებოდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. ყოველი დათმობა „საზოგადოების“ დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა.



„საზოგადოება“ იზრდებოდა, ვითარდებოდა. მისი „განყოფილებები“ ყველა ფაბრიკა ქარხნებში არსდებოდა.

მთავრობის ახალმა პოლიტიკამ ბურჟუაზიულ წრეებში აღიქმულ გამოიწვია. დამცირავებელნი ვერ გაერკვიენ ვარემოებაში. ფაბრიკა-ქარხნის მებატრობენი აწყობდნენ კრებებს და რეზოლიუციას რეზოლიუციასზე აცხობდნენ „ახალი კურსის“ საწინააღმდეგოთ. ფაბრიკანტები აღნიშნავდნენ „საზოგადოების“ მავნებლობის „თვით მეფისა და ეკლესიისათვისაც კი“. ფინანსთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილში ისინი ამბობდნენ: „თუ მუშათა ორგანიზაციების შექმნაში მხედველობაში გვაქვს მუშებრს ჩანოშორება მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებისაგან, არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს ამ მუშების ჩაბმა ანტიკაპიტალისტურ მოღვაწეობაში“.

ბურჟუაზიის გამოლაშქრებასთან ერთად მთავრობის „ახალი პოლიტიკა“ წააწყდა სხვა წინააღმდეგობასაც. ვლადიმერის გუბერნიის ფაბრიკის ინსპექტორი ოფიციალურ მოხსენებაში ამბობდა, რომ „ნოსკოვის მუშების ყველა მიღწევები იციან ადგილობრივმა მუშებმა და მუშებშიც იწყებენ აღელვებას“-ო.

მთავრობამ იგრძნო „ახალი კურსის“ „სიტკბოება“, მაგრამ მაინც უარი არ განაცხადა „ახალი პოლიტიკის“ მთლიანად უარყოფაზე. შეცვციეს, ფროები შექრეს, კუდი მოუგრიხეს „საზოგადოების“ უფლებებს. შინაგან საქმეთა მინისტრ პლევეს ბრძანებით, მუშათა საზოგადო კრებები უნდა გამართულიყო ოფიციალურ ხელისუფლების წარმომადგენლების დასწრებით, პოლიციის დეპარტამენტის საათანიდო ნებართვით. ურთიერთ-დამზნაროყ კასტის დაარსება აკრძალულ იქნა საერთოდ, ბოლო კერძო ფაბრიკა-ქარხნას მიუცა ასეთი კასის შექმნის უფლება.

ასე დაიწყო „პოლიციური სოციალიზმის“ ისტორიის დასასრული რუსეთში 1901-903 წ.წ. ხოლო ამ „ისტორიის“ ნამდვილ დაბოლოვებას წარმოადგენს მღვდელი გიორგი გაპონის „ფაბრიკა-ქარხნების რუს მუშების კრებები“.

\* \* \*

რუსეთის მუშათა მოძრაობაში „გაპონოვჩინა“ ყველაზე უფრო მახინჯი მოვლენა იყო როგორც ფორმით, ისე შინააოსით. კაპიტალის წინააღმდეგ მეფის საკეთილდღეოთ—ასეთი იყო გაპონის მიერ შემუშავებული და რამდენიმე ათასი ბუშის შეგნებაში შეჭრილი ფორმულა. ბრძოლა ფაბრიკა-ქარხნის პატრონებთან სრულდებოდა არ კნოშნავდა, — გაპონის აზრით, — ბრძოლას მეფური რუსეთის წინააღმდეგ. ამ აზრს იზიარებდა პეტერბურგისა და მოსკოვის მრავალრიცხოვანი მუშათა ორგანიზაციები.

მთავრობის ოფიციალური თანხმობით გაპონმა 1904 წლის აგებოვალში პეტერბურგში საფუძველი ჩაუყარა „ფაბრიკა-ქარხნების რუს მუშების კრებებს“. ამ კრებების წესდება დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სამინისტრო გაპონის განზრახვებში არ ხედავდა „კანონიერების“ საწინააღმდეგო საქციელს. როგორც ნათქვამია პოლიციის დეპარტამენტის უფროსის პოპუხინის მოხსენებაში „იანვრის 9-ში მომხდარ ამბების შესახებ“, „კრება სასტიკად იცავდა წესდებაში გათვალისწინებულ ამოკანებს და წარმოადგენდა მაგარ დასაყრდენს



შემათა წრეებში სოციალისტურ მოძღვრების შექმნის საწინააღმდეგო „კრებებს“ ფარულ ხელმძღვანელობას „ობრანკა“ უწევდა. დროგამოშვებით „მამა“ გაპონი პოლიციის დეპარტამენტს უდგენდა მოხსენებას თაუის მუშაკების შესახებ.

სულ მალე ხნის განმავლობაში გაპონის „მუშათა ორგანიზაციები“ საგულისხმოდ გამოავლდა. კრებები ვწყობოდა 11 სხვადასხვა საწარმოო ორგანიზაციებში. „განყოფილებები“ დაარსდა პეტერბურგის ყველა ფაბრიკა-ქარხნებში. „მამა“ გაპონის სახელი მეტად პოპულარული გახდა პეტერბურგის მუშებში. გაპონის გავლენა და ავტორიტეტი დიდი იყო, ესავტორიტეტი იზრდებოდა ყოველდღიურად.



ს. გ. ივანოვი.

მიტინგი.

„კრებები“ ატარებდა წმინდა ნაცონალურ ხასიათს. საზოგადოების წევრი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ რუსი, წმინდა რუსული სისხლის მქონე მუშა.



სხვა ეროვნების მუშებს არ უშვებდნენ კრებებზე. ამიტომ გაბონის მუშებმა ვიწრო „ნაციონალურ“ ხასიათს ატარებდა.

გაბონის მთავარ ძალას პუტილოვის ქარხანა წარმოადგენდა.

1903 წ. მიწურულში პუტილოვის მუშათა შორის გაუფრთხილდა ხმა ოთხი მუშის დათხოვის შესახებ. მუშების დათხოვნაში ბრალს სდებდნენ ვინმე მუშა ხელოსანს, რომელთან მუშებს ხშირად ჰქონდათ უთანხმოება. ამ ხმების ნიადაგზე დეკ. 27-ს (ძვ. სტ.) მოწვეული იქნა საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება. კრებას თვითონ გაბონი ხელმძღვანელობდა. გამოიტანეს კატეგორიული დადგენილება ოთხივე მუშის უკანვე დაბრუნებისა და ხელოსანის დაუყოვნებლივ დათხოვის შესახებ. მაგრამ დადგენილება ვერ განხორციელდა. პუტილოვის მუშებმა გადასწყვიტეს იანვრის 3-ს (15-ს) გაფიცვის მოწყობა დათხოვილ მუშა ამხანაგების თანაგრძნობისათვის. გაფიცვა მართლაც სისრულეში იქნა მოყვანილი. მოეწყო კრებები სხვა „განყოფილებებში“. ყველგან გადასწყვიტეს მხარის დაჭერა. „ერთიან ფრონტის“ შექმნა. იანვრის 4-ს გაფიცვა გამოაცხადეს „საფრანგეთ-რუსეთის საზოგადოების“ ქარხნის მუშებმა, იანვრის 5-ს შეწყდა მუშაობა გეშთამშენებლებში. იანვრის 7-ს უკვე გაფიცული იყვნენ მთელ პეტრობურგის მუშები.

მუშაობის მოძრაობამ მიიღო სტიქიური ხასიათი. სტიქიის შუაგულში მოექცა „მამა“ გაბონი. მოძრაობამ ჩაითრია იგი.

მუშების მოთხოვნების პროგრამა თანდათან გაფართოვდა. დათხოვილ მუშების შესახებ ლაპარაკი მიწვევდა. წამოაყენეს უფრო ღრმა და სერიოზული პირობები: 1. ოვა საათის სამუშაო დღე; 2. ზედმეტი მუშაობის მოსპობა; 3. ხელფასის მომატება; 4. ქარხანაში სანიტარული წესების შემოღება და დაცვა; 5. უფასო საექიმო დახმარება; 6. პრეტენზიების განმხილველი კომისიის დაარსება და სხ.

გაბონი არწმუნებდა მუშებს, რომ „მეფე მოწყალეა, მაგრამ ჩვენი გაჭირვება ვერ აღწევს მისდამი“. ბიუროკრატ ჩინოვნიკები, პოლიციელები, მექარხნეები უშლიან ხელს „ყოველად მოწყალე მეფის სათნო და კაცთმოყვარულ განხრახვებს“. ამას ამბობდა მღვდელი გაბონი მთელი თავისი გულუბრყვილობით. პოლიტიკური ანაბანის სრული უცოდინარობით. „ძირს სამინისტრო, რომელიც ხელს უშლის მეფეს“ — ამბობდა მუშების მასსიურ კრებაზე გაბონი. მუშებს სჯეროდათ, სწამდათ რასაც ეუბნებოდნენ. გაბონიც გარკვეული იყო იმაში, რომ მუშების „ბრძოლა“ ატარებს ეკონომიურ სარჩულს. გაბონი არ იყო მარქსისტი და მან არ იცოდა ან ავიწყდებოდა ის, რომ „ყოველი ეკონომიური ბრძოლა არის იმავე დროს პოლიტიკური ბრძოლა“ და პიროქით ატაც — ეკონომიურ ნიადაგზე მოძრაობამ მიიღო პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი.

\* \* \*

გაფიცვებმა ვერ გასჭრა. „კრებების“ პროგრამა — minimum-ი დაუკმაყოფილებელი დარჩა. არც ქარხნის დირექტორმა მიაქცია მას ყურადღება და არც პოლიცია-ჩინოვნიკებმა. მოძრაობამ მიიღო უფრო მწვავე ხასიათი. მუშები გა-



შაგრდნენ. შეაგროვეს ფული ურთიერთ დახმარებისათვის. მოთხოვნების პი-  
რობებშიც გაფართოვეს გააღრმავეს. ლოზუნგები, რომლებიც მოითხოვდა მხო-  
ლოდ ქარხნის ცხოვრების რეფორმებს, პოლიტიკურ რადიკალიზმის კონკრეტულ  
აკოცდა. ახლა „ურჩი ხელოსნის“ მოხსნას ვი არ მოითხოვებ, არამედ მთელი  
მინისტრთა კაბინეტის გადადგომას—**დამფუძნებელ კრების მოწვევას**. გაპონს  
არ ქონდა ნათლად წარმოდგენილი ის შედეგი, რომელსაც მისი „პროგრამა“  
შეულისწობდა. დამფუძნებელი კრების მოწვევა მარტო მინისტრების გადადგომას  
როდი უდრიდა. ეს იქნებოდა მონარქიული დინასტიის დამხობა. მარჯვენამ  
არ იცოდა, რასაც აკეთებდა მარცხენა!



სისხლის მხმელი მეფე (უცხოეთის ეურნალ. 1905 წ.)

მოძრაობის ბელადმა გადაწყვიტა პირისპირ მეფესთან წარდგომა. „ძეგბო,  
ამხანაგებო,—უბნებოდა გაპონი მუშებს,—ალარ ისინებს ჩვენი სამართლიანი





მოთხოვნა. მივმართო ჩვენს მოწყალე მამას. მეფე დააკისრებდა თავის ერთგულ სამწყოს თხოვნას.

— მივმართოთ, მივმართოთ! — ჰქუხდა ერახშიდ მრავალმეტყველმა მუშათა კრებები. გადაწყდა პეტრიცით მიმართვა „მოწყალე ხელმწიფეს. დამი“ შედგინეს პეტრიცია. დღესაც არაა გამორკვეული პეტრიციის ავტორი, მაგრამ ცხადია, მისი შედგენის აზრი და გეგმა გაპონს ეკუთვნის. თანამედროვე თვალსაზრისით რაც გინდა უაუტურო იყოს იტიქტიურად შედგენილი პეტრიცია, მაინც შევალსაჩინოა მისი დოკუმენტალი დირებულება. პეტრიციის „ისტორიული მნიშვნელობა ტექსტში კი არ არის, არამედ ფაქტში“ — სწორად ახ. ტროცკი სიასლის დურის მეორე დღეს.

აი პეტრიციის ნოვლე შინაარსი:

„ხელმწიფევ! ჩვენ — ქ. პეტერბურგის მუშები და ნებოვოენი სხვადასხვა წოდების, ჩვენი ძვილები, ცოლები და მოხეტ მშობლები მოვედით შენთან, ხელმწიფევ, სიმართლისა და დაცვის საძებრად. ჩვენ გავლატაკლით, გვაწამებენ აუტანელ შრომით, გვაგინებენ, ადამიანად არ გვაყვლიან, გვეპრობიან როგორც მონებს. ჩვენ ვითმუნდით, მაგრამ უფრო და უფრო გვალატაკებდნენ, გვართმევდნენ უფლებას, სიბნელეში გვაგდებდნენ. ჩვენ გვხეობს დესპოტიზმი, ძალმომრეობა. მტრის ნოდმენა არ შეგვიძლიან, ხელმწიფევ! მოიმენის ღიალა აივანო. ჩვენთვის დატვა ის საშინელი მომენტო, როდესაც გვიჩვენია მოკვდელთ, ვინემ განვიგრძოთ აუტანელი მწუხარება...“

„ხელმწიფევ! ჩვენ აქ ვართ რამოთენიქე ასასა, მაგრამ მხოლოდ შეხედვით გარეგნულად. — ნაუდვილად კი ჩვენთვის, როგორც ძველ რუსეთის ხალხსათვის არ ცნობენ არავითა უფლებას, არც ლაბარაკის უფლებას ჩვენი მდგომარეობის დასაუმჯობესებლად...“

„მოელა ხალხი, მუშები და გლეხები თათახალობენ ჩინოენიკური მთავრობის ხელში, მთავრობის, რომელიც შესდგება ხახინის მძარცველებისა და უჩალებისაგან... ჩვენ, მუშებმა და ხალხმა არ ვიცით სად მიდის ჩვენ მიერ გაიანდელი ფულები... ხალხს არ აქვს საშუალება გამოსთვეას თავისი სურვილი... მუშებს არ აქვს ორგანიზაციულად შეკავშირების და თავის ანტერესების დაცვის საშუალება. ხელმწიფევ, განა ეს შეუფერება ღვთაებოივ კანონებს, რომელიც წყალობით მეუობ შენ?... ნუ უკუავდებ შენი მორჩილი ხალხის თხოვნას.. შენ ხომ ხალხია საკეთილდღეოთ ხარ გაჩენილი, და ამ კეთილდღეობას ჩვენ გვტა ებენ ხელიდან ჩინოენიკები, ის ჩვენამდე არ აღწევს, ჩვენ ვღებულობთ მხოლოდ მწუხარებას და დამცირებას...“

„რუსეთი დიდია და მართო ჩინოენიკებით არ შეიძლება მისი მართვა-გამგებლობა. აუცილებელია ხალხის წარმომადგენლობა, აუცილებელია, რომ თვით ხალხი განაგებდეს თავის საქმეებს... ჩვენ გულწოდვილად გეუბნებით, ხელმწიფევ როგორც მამას, მთელი მშრომელთა სახელით“.

ქვევით ჩამოთვლილია მთელი პირობები, რომლებიც თითქმის შეიცავს თანამედროვე მენშევიკური კალიბრის პიროგამას: 1. აშნისტია; 3რესის თაფისტებლება; პიროვნების ხელშეუხლებლობა; სანდისის თაფისუფლება; უფასო სა-



ხალხი განათლება; მინისტრების პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და მართვა-გამგეობის გარანტია; თანასწორობა კანონის წინაშე; ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. II. უარყოფა არა პირდა-პირი გადასახადების დაწესების შემოღება შემოსავლის კვალობაზე; ხელსაყრელი კრედიტი ხალხისათვის და ნიწის თანდათანობითი გადაცემა გლეხობაზე; ომის შეწყვეტა. III. ფაბრიკის ინსპექტორების ინსტიტუტის გაუქმება; დარსება ფაბრიკებთან მუდმივი მუშათა კომისიების, რომლებიც ადმინისტრაციასთან ერთად გაარჩევენ პროტენზიებს; თავისუფლება მონუმენტულ-საწარმოო მუშათა კავშირების დაუყოვნებლივ; მ საათის სამუშაო დღე და ზედმეტი სამუშაოს განსაზღვრა; შრომის კაპიტალთან ბრძოლის თავისუფლება; ნორმალური ხელფასი; — მუშების წარმომადგენლების მონაწილეობა სახელმწიფო დაზღვევის კანონპროექტის შემუშავებაში.

— „აი, ხელმწიფე, ჩვენ მთავარი საჭიროებანი... უბრალოდ შეგეისრულონ ისინი და შენ გააბედნიერებ რუსეთს, ხოლო შენს სახელს აღბეჭდავ ჩვენი შთამამავლობის გულზე. არ გამოეხმაურები ჩვენს გასაჭირს, ჩვენ მოვკვდებით აქვე, ამ მოედანზე, შენი სასახლის წინაშე. ჩვენ არ გვაქვს მეტი გ... ჩვენ გვაქვს მხოლოდ ორი გზა: ან თავისუფლება და კანონიერებისაკენ, ან სამართლისაკენ... გახდეს ჩვენი სიკოცხლე განაწამებ რუსეთის მსხვერპლად. ჩვენ ხალხსით მივიტანთ ამ მსხვერპლს.“

და მსხვერპლიც მიიტანეს!



იანვრის მ-ს (21) მუშები ათასობით აწერდნენ ხელს პეტრიციის „მოთმევა“ გადაწყვეტილი იყო მეორე დღის-კვირისათვის, საათის 2-ზე. მუშები რაღაც აღფრთოვნებით ემზადებოდნენ. „მაშა ხელმწიფის, ბატუმკას“ შესახებ დრო აღაღ ტანსაცმელში, სადღესასწაულოდ ეწყობოდნენ.

„22“ გამოჩნდა ორი წერილი დასწერა. ერთი — შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, მეორე — მეფისა. მინისტრს წერდა: „ოქცენით მაღალი აღმატებულება კ. პეტერბურგის მუშებს და მცხოვრებთ სურათ მეფის ნახვა იანვრის 9-ს, სასახლის მოედანზე რათა გამოეცხადონ მას მთელი რუსეთის ხალხის გასაჭირი. მეფეს არ მოეღობ საშიშროება. მე როგორც „კრებების“ თავჯდომარე, ჩემი თანამშრომელი — ანბ. მუშები, იგრეოვე ყველა ე. წ. რევოლიუციონური ჯგუფები ვიძლევიტ ნეფის ხელშეუხლებლობის სრულ გარანტიას, გამოვიდეს მეფე, როგორც ქეშმარიტი ხელმწიფე, ვაჟკაციური გულით, და მიიღოს პეტრია აშას მოითხოვს მისი კეთილდღეობა, კეთილდღეობა პეტერბურგის მცხოვრებთა, მთელი ჩვენი სამშობლოსი. წინააღმდეგ შემთხვევებში დაირღვევა ის ხნობრივი კავშირი, რომელიც არსებობს რუს ხელმწიფესა და რუს ხალხის შორის“...

წერილი მეფეს:

„ხელმწიფე, არ იუპრო, რომ მინისტრებმა გათხრეს სიმაართლე თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ხალხი მთლიანად თანავიგრძობს შენ. მან გადასწყვიტა წამოდგეს შენ წინაშე ხვალ, ნაშუადღევს, რომ გაგაცნოს თავისი



ვასაქირი. ოუ შენ, გაუბედაობით, არ გამოჩნდები ხალხის წინაშე, ვაწყვიტ კავშირს, რომელიც არსებობს შენსა და შენს ხალხს შორის, ნდობა რომელსაც ხალხი იჩენს შენდამი, დაიკარგება. შენსა და შენს ხალხს შორის უფიქრობა სისხლი. გამოჩნდი ხვალ ხალხის წინაშე და მიიღე წმინდა გოდნობით ჩვენი პეტრიცია. მე თავმჯდომარე მუშების, და ჩემი ამხანაგები, — გაძლევთ შენ პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიას“.

ამ წერილის ასლი, როგორც „ზნეობრივი ხასიათის, გასამართლებელი დოკუმენტი“, დაეგზავნა „კრებების“ ყველა განყოფილებებს.

მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა იანვრის 8-ს გაეგზავნა დელეგაცია შინაგან საქმეთა სამინისტროში. დელეგაციის გაგზავნის საქიროებას იმით ასაბუთებდნენ, რომ მთავრობა ახდენს სამხედრო ძალების მობილიზაციას. დელეგაციაში შევიდა სხვათა შორის, მაქსიმე გორკი. მინისტრმა მიიღო დეპუტაცია. მწერლები სთხოვდნენ მინისტრს მოეხსნა „საალკო წესი“. მინისტრმა დელეგაციას მხრების დიპლომატიური აწევით უპასუხა, თან განაცხადა: „სამწუხაროდ, ჩემგან არაფერი არაა დაშოკიდებული. საქმე გადაწყვეტილია „მალიდან““.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მოითხოვა გაპონის დატუსაღება. პეტერბურგის ქალაქის უფროსმა ვერ შეასრულა მინისტრის განკარგულება. უფროსის ახრით გაპონის დაქვეა გაამწვავებდი მდგომარეობას, გამოიწვევდა უფრო მეტი აღელვებას, გააღიზიანებდა მუშათა ორგანიზაციებს. ქალაქის უფროსმა გამოსცა ბრძანება, სადაც აღნიშნული იყო, რომ წესიერება არაფის არ უნდა დაერღვია. წესიერების დამრღვევნი სასტიკად დაისჯებოდნენ. ბრძანება გაკრულ იქნა ქარხნის კარებზე, გაპონის განცხადების გვერდით, სადაც ეწერა: „მუშები უნდა გამოცხადდნენ 9 იანვარს ხელმწივე იმპერატორისათვის თავიანთი გაკიროვნების შესახებ თხოვნის წარსადგენად“.

\* \* \*

გათენდა „სისხლიანი კვირა“...

დილიდანვე იწყო დენა მუშების მასამ თაბრიკა ქარხნებისაკენ. გაიძართა კრებები, კრებებზე მოხსენებები. მუშების სახე ბრწყინავდა ლანგარო სიხარულით. მუშებთან ერთად მოვიდნენ რამდენიმე ათასი მუშების შვილები, ცოლები, ძმები, დედები და მამები. გაპონის გამოსვლას თავბრუდამსხმელი ჟრიამულით ეგებებოდნენ.

— ძმებო, ამხანაგებო! — ამბობდა გაპონი, — არ იტონიოთ არაფითარი იარაღი, არც ქვა არც დანა და არც ჯოხი. ჩვენ მივდივართ ჩვენ მამასთან და ვანა შვილი უნდა წადგეს მამის კარებთან შეიარაღებული? მოსპეთ პროკლამაციები, წითელი დროშები, თუ ეს თქვენ შორის გაავრცელეს...

ხატებით, მეფის პორტრეტებით, საეკლესიო დროშებით, სიმღელით: „Боже царя храни“, „Спаси господи“ და სხვებით რამდენიმე ათასი ქალი და კაცი, — თაბრიკა-ქარხნის ნამდვილი მუშები, გაემართნენ სასახლის მოედნისაკენ. ვერ მიაღწიეს მოედანს...

არ სძინავდა მეფის რეგულიარულ ცხენოსან ჯარს. მკვლევები, სისხლის-



მწოველ მეფის ერთგული ქოფაკები ჯანდარმები და ყაზახები ხიშტებით ტყვი-  
ის სისინით, ხმლების ტრიალით შეხედენ უიარალო, შრომიასა და შიმშილსა-  
გან ქანც-გამოღებულ მუშათა ითვისებს. ნწყობრად, დალაგებულ მუშაკებით მე-  
ფის სასახლისაკენ მიწაეფას.



ვ. ა. სეროვი.

პირველი შეტევა.

არაკრაკდა ვინტოეკის ლულები... დაეცა ხალხის წინა რიგი... კიდევ განა-  
გრძობენ პროცესიას, ახლა უკვე სამგლოვიაროს...

— ასეულო, თაფ! გაისმა იუბიტერის ბრძანება.

— წელში ჩაიკეცა ხალხის ახალი რიგი... კენესა... სისხლის ჩუხჩუხი...

ხალხი მიხედა, რომ მასთან არ ხუმობდნენ. გაბონმა გაქცევა დააპირო. მაგრამ საითკენ? ყველგან ყაზახები, მეფის „გოლოვორეზები“, ვერსად შეაფა-  
რებ თავს ეზოების კარებებიც კი დაკეტილია, განგებ დაუკეტიათ...

დასრულდა ბრძოლა შეიარაღებულებისა შეუიარაღებულებთან, ფოლადის  
ხიშტებისა და ტყვიის ბრძოლა განიშვლებულ, გაწავებულ, შრომის ოფლით  
მორწყულ მუშათა მკერდებთან...

„Таковы события: днем 9 января, без всякого законного повода  
стреляли, вечером — рубили, а в последующия два дня — просто били“ —  
ასეა ნათქვამი ნაფიც მსაჯულთა კომისიის მოხსენებაში, იანვრის ამბების შე-  
სახებში\*).

მსხვერპლის რაოდენობა: მთავრობის ოფიციალური ცნობით, მოკლულ  
იქნა 130 კაცი, დაიჭრა — 299. ეს რიცხვები სწორი არაა. სისხლის მსმელმა

\* კომისია არჩეულ იქნა ნაფიც მსაჯულთა კრებაზე პეტერბურგში იანვრის 19-ს (ძვ.  
სტ.), „ამბების“ გამოაძიებლად. მოხსენება დაიბეჭდა და გამოიცა, მაგრამ მთავრობამ მას  
კონფისკაცია უყრა.



მთავრობამ დაიწყო სისხლით სპეკულიაცია... უცხოელმა ჟურნალისტებმა ფარდა ახადეს „ზნეობრივ სისაძავლეს“. იანვრის 13 (26) რეპორტიორებმა წარუდგინეს მთავრობას 4.600 (ოთხიათას ექვსასი) მკვდრებისა და დაზარალებულთა ცხადია, შეუძლებელია ეს რიცხვი სინამდვილის სწორ გამომნატველად მივიჩნიოთ.



6. ფუშინი.

სრული გამარჯვება.

„თვითმპყრობელობის გამარჯვება უიარაღო ხალხზე სწერდა ამხ. ლენინი, იანვრის 18-ს (31) (Вперед № 4, 1905 წ.).—დაჯდა თავისი მსხვერპლით იმაზე მეტი, რაც მანჯურიაში დიდი ბრძოლები. როგორც უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან, ტყუილად არ უკვიროდნენ პეტერბურგის მუშები ოფიცრებს, რომ ისინი (ოფიცრები) უფრო მამაცად ებრძვიან რუსეთის ხალხს, ვინემ იაპონელებს“.

იანვრის ამბებით დასრულდა რუსეთის რევოლუციონური დრამის პირველი აქტი.

როგორია „სისხლიანი კვირის“ შედეგები და გაკვეთილები? ამ კითხვაზე ამხ. ლენინი მოკლედ გვიპასუხებს: „პროლეტარიატის რევოლუციონურმა აღზრდამ ერთ დღეში ისეთი დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელი იყო მთელი თვეებისა და წლების განმავლობაში“. რომ ეს ასეა, რომ რუსეთის მუშათა კლასმა „ნახტომი გააკეთა“ პოლიტიკურ შეგნებასა და მოქმედებაში, ამას მოწმობს ის სულიერი განწყობილება, რომელიც გამეფებული იყო პეტერბურგისა და მოსკოვის მუშათა ორგანიზაციებში პირველი რევოლუციის განთიადზე.

„პოლიტიკურმა სოციალიზმმა“ ღრმად გაიდვა ფესვები მუშათა უბნებში. მონარქისტული პროპაგანდა შეიჭრა მუშათა ორგანიზაციებში. მეფისადმი „ნდობა და სიყვარული“ ძვალ რბილში გაუჯდა პროლეტარულ მასას (\*). „მანათი გაბონი და მისი „კრებები“ მეფის დეოაგებრიობას ქადაგებდნენ, დესპოტიური რეჟიმის წინააღმდეგ დაპარაკი შეუძლებელი იყო როგორც სამხედრო ყაზარ-





მუშაში, ისე ფაბრიკა-ქარხნებში. ეს იყო მეტად საბედისწერო პერიოდო რუსეთის მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში.

იანვრის ამბები მომზადდა და ჩატარდა პოლიტიკურ პარტიულ-საზოგადოებრივ-კანკალის კიდევ მეტი—რეალური გავლენის გარეშე. მუშათა კრებებსა და გაფიცვებში არ ისმოდა სოციალისტების ჭაჭანი. „სოციალ-დემოკრატებს უსმენდნენ კრებაზე მანამ—სწერს ამბ. სვერჩოვი, — სანამ ისინი არ დაიწყებდნენ ლაპარაკს გაპონის შესახებ. შემდეგ—სტვენა, ყვირილი „საკმარისია“, „ძირს“ აკრუებდა ორატორს და იძულებულს ხდიდა მას შეეწყვიტა სიტყვა... შემდეგში შეუძლებელი შეიქნა გამოსვლა პარტიის სახელით. საკმარისი იყო გეწოდებით თავისათვის სოციალ-დემოკრატო, რათა დაუყოვნებლად წაგრთმევოდით სიტყვა“.

სოც-დემ. ორგანიზაციების სავალალო მდგომარეობის შესახებ საკმაოდ უცვლელ და დასაბუთებულ წერილებს სწერდნენ ამბ. ლენინს ჟენევაში პეტერბურგელი ამბანაცები. ერთ-ერთ წერილში იწერებოდნენ: „დღეს შეგვიძლია ჩვენ ნათლად დავინახოთ პარტიის დეზორგანიზაცია. ამ დეზორგანიზაციის შედეგის არის, რომ ჩვენ, პეტერბურგის ორგანიზაცია, საესებით უძლურნი ვართ ბუშათა სტიქიურ მოძრაობის წინაშე. საკმარისია გამოხვიდეთ ქუჩაში და გაიგოთ რა ხდება ჩვენს ირგვლივ და რამდენად უსუსური ვართ ჩვენ“. ქვევით კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მღვდელი გაპონის გავლენისაგან მუშების განთავი. აუტლებისათვის საჭიროა ათეული ორატორები. „ფურცლები როგორც ჩვენი (ბოლშევიკების, გ. მ.); ისე მუშაობის (მენშევიკების), კრებებზე დაფლეთილ იქნა. 500 მან. გამოთმევაზე, რომელიც გადასდო ჩვენსა კომიტეტმა გაფიცულ მუშების სასარგებლოდ, უარი განაცხადეს“. ამბ. ლენინიც სწერდა მისთვის უჩვეულო სევდიან კილოზე: „თავის სიდიდით არ ნახულ გაფიცვის სტიქიურმა ზრდამ დიდად გაუსწრო წინ მოძრაობაში ორგანიზაციულად შეკავშირებულ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას“.

პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ამბობს თავის მოხსენებაში: მუშების კრებებზე ზოგიერთების ცდა, რომ ნისცემოდა მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი, მარცხით თავდებოდა. მოძრაობა „იდგა პოლიტიკურ განზრახვებისა და არალეგალურ რევოლიუციონურ ორგანიზაციების აგიტაციის გავლენის გარეშე. ამას ამტკიცებს თვით მუშების დამოკიდებულება რევოლიუციონურ მოძრაობის წარმომადგენლებისადმი. მუშათა კრებაზე დეკემბრის 27-ს მუშებმა გააძევეს კრებიდან ებრაელი, რომელიც სცდილობდა პოლიტიკური ხასიათის საავიტაციო სიტყვის წარმოთქმას და პროკლამაციის გაფანტვას. დაიჭირეს სამი ებრაელი ქალი პოლიტიკურ ნიადაგზე აგიტაციისათვის. იანვრის 8-ს კრებაზე სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ერთ წარმომადგენელს სცემეს მუშებმა და გააძევეს კრებიდან“. ასეთივე ფაქტი. მუშათა მოძრაობა ნოექცა წმინდა

\*) „რუსეთის ხალხი—სწერდა ფრ. ეხგელსი,—ახდენდა აუარებელ გღენურ აჯანყებას თავად-ახნაურებისა და კერძო მონებულების წინააღმდეგ, მაკამ ის არასოდეს არ ამხედრებულა მეფის საწინააღმდეგოდ გამოხაკლისს წარმოადგებს შემთხვევები, როდესაც ხალხის სათავეში სდგებოდა პირი, რომელიც აცხადებდა მეფობის პრეტენზიას“. რუსეთის ხალხის თვალში „მეფე მოაწაგებს მიწიერ ღმერთს: „до бога выше, до царя далеки—ასეთია მისი სურათის ხალხის ტანჯულ გული კენესის“ (Фридрих Шмелер. О России, 1916 წ. გვ. 28)



წყლის მონარქისტულ-მაგრაზულ, აპოლიტიკური კალაპოტში. პრიპაენდიით, ავტაციათ, სიტყვით, მუდარით შეუძლებელი იყო მისი დახსნა შემოქმედებურ კალაპოტიდან.

მაგრამ საინტერესოა ერთი გარემოება. პეტიცია, რომელიც მუშებმა გამოიმუშავეს, პოლიტიკურ ხასიათს, პოლიტიკურ შინაარსს ატარებდა. საიდან შეიქრა „პოლიტიკა“ მუშათა ორგანიზაციებში? განა დარჩა ხერხი „ჩინურ კედლებში“, რომლითაც გარშემორტყმული იყო მუშათა შეგნება? არაფერ არ უარყოფს იმას, რომ მუშების „მოთხოვნისება“ პოლიტიკური შინაარსით იყო გაუღენთილი“. ამაში წვლილი მიუძღვას სოც.-დემოკრატების მუშაობას „უჩინ-მარჩინის“ ქუდით.

სოც.-დემოკრატია, საერთოდ სოციალისტური პარტიები, გარიყული იყო მოძრაობის ხელმძღვანელობისაგან. მაგრამ არაპირდაპირი გავლენა მაინც აღი-ბეჭდა პეტიციაზე. სოც.-დემ. ავტატორები ერთობ მოხერხებულად იტყუოდნენ. მართალია ისინი არ გამოდიოდნენ პარტიის სახელით. არც პო-ლიტიკურ ვინაობას ამცლავნებდნენ. ლაპარაკობდნენ გაბონის აზრებას დამოწ-მებით, გაბონის შეხედულებების „მიხედვით“, სიტყვაში აქა-იქ საკუთარ პარ-ტიულ პროგრამას ანვითარებდნენ. ერთ ძველ ამბ. ბოლშევიკს მოყავს სოც.-დემ. ორატორის სიტყვა, რომელიც მუტად დამახასიათებელია მთელი იმ-დროინდელი ეპოქისათვის:

„ამხანაგებო! მანა გიორგი გაბონი ლაპარაკობს ასე: მუშებს ახრჩობენ ყოველმხრივით. ამას შერება მთავრობა და კაპიტალისტებიც. ჩვენ უნდა ვიფი-ქროთ, როგორ განთავისუფლდეთ ამ ორმაგ სამარისაგან იმისათვის, რომ იბრ-ძოლო ორივეს წინააღმდეგ, საჭიროა ეშკაეშირება. ამის შესახებ ლაპარაკობდა მამა გაბონი. მაგრამ შეკავშირების საშუალებას ჩვენ არ გვაძლევენ პოლიციური წყობილებაში. და, აი, მამა გიორგი გაბონი, რომ ყველაზე ადრე უნდა მივიღოთ თავისუფლება კავშირების, სიტყვის, ბეჭდვის და გაფიცვების. ყოველივე ამის მიღება, როგორც ამბობდა მამა გიორგი გაბონი, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დამ-ფუძნებელი კრების წყალობით. რა არის დამფუძნებელი კრება? მამა გიორგი გაბონი ლაპარაკობდა, რომ ჩვენ მასში უნდა დავინახოთ ყოველის უწინარეს, კაპიტალთან ბრძოლის საშუალება“. ცხადია, გაბონი არაფითარ ასეთებს არ ლაპარაკობდა. კრება კი სოც. დემოკრატის სიტყვას, — „გაბონოუჩინის“ ნიშნის ქვეშ, — აღტაცებით ეგებებოდა. ამიტომაც მიიღო იანვრის მოძრაობამ პოლი-ტიკური ხასიათი. მუშათა მოთხოვნისებათ თვალსაჩინოდ გადააჭარბა „ეკო-ნომიზმის“ საცოდავ უტოპიას.

\* \* \*

გაბონი მუშებს არწმუნებდა: „თუ მეფე ჩვენს მოთხოვნისებას არ შეასრუ-ლებს, ის ჩვენი მეფე არ იქნება“. იანვრის სისხლის ღვრამ მუშები გამოაღვიძა. გამოაფხიზლა, გაანთავისუფლა „გონებრივ ბურუსიდან“. მუშებმა შეიგნეს, რომ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პეტიცია-თხოვნა კი არ კმარა, არამედ საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა როგორც მოხელე-მინისტრებსა და მექარ-



ხნეებთან, ისე თვით „მოწყალე“ მეფის წინააღმდეგ. მუშები გუშინ მეფის სურათს ასულთავეებდნენ, ელოლიავეებოდნენ, ეთაყვანებოდნენ. ამ სურათით ხელში ისინი გაეგზავრნენ სასახლისაკენ. მაგრამ ამით... მუშებმა დააპროტესტეს მეფისადმი ნდობა. ახლა მათ მეფე შეეზარათ, შეეზიზღათ. იანვრის 10-ს მუშები გლეჯდნენ მეფის პორტრეტებს. ეს იყო, როგორც სიტყვა ამხ. ლენინმა. — Поворотный пункт в истории России“.

იანვრის ამბებმა მოახდინა ნამდვილი რევოლუცია რუსეთის მუშათა კლასის შეგნებაში. კაპიტალისტიდან მეფისაკენ — ასეთი იყო რუსეთის პროლეტარიატის ლოზუნგი. „სისხლიანი კვირის“ მეორე დღესვე ეს ლოზუნგი ყირამალა გადმოტრიალდა. ახლა მუშათა ორგანიზაციებმა გამონახეს ნაყოფიერი ბრძოლის ნამდვილი ლოზუნგი: ნეფე-კაპიტალისტიდან სოციალ-დემოკრატიისაკენ“. რა დიდი მანძილია ამ ორ ერთმანეთის გამანადგურებელ ლოზუნგებს შორის! რამდენი ხანი იყო საჭირო ამ მანძილის დასაძლევად რუსეთის მუშათა კლასის მიერ მშვიდობიანი აგიტაცია პროპაგანდით! მეფის მუხანათურმა პოლიტიკამ, უმანკო სისხლის დაღვრამ — ცხოვრების პრაქტიკამ გაბრიყვებულ, გულუბრიყვილო შეხედულებით გამსჭვალულ რუსეთის პროლეტარიატს თავში ჩაკრა პერკულესის ნუჯლუგუნი და ერთ პლანეტიდან მეორეზე გადააფრინა. რასაც ვერ შესძლებდა „მშვიდობიანი“ ათეული წლები, ეს შესძლო „მშფოთარე“ ათეულმა საათმა.

აი, ამ „ეპოქალურ გარდატეხის“ ისტორიული დოკუმენტი:

„მშობლებო, სისხლში გახვეულ მუშა ამხ. ნაგებო! სწერდა გაპონი იანვრის 9-ს, ღამის 12 საათზე, თავის მოწოდებაში. — ჩვენ მივედით მეფესთან სიმართლისათვის... მხეცმა მეფემ, მისმა ჩინოვნიკებმა, — ხაზინის მძარცველებმა შეგნებულად განიზრახეს უიარაღო ჩვენი ძმების, ცოლების და შვილების განადგურება. მეფის ჯარისკაცების ტყვიებმა, რომელმაც ერთბაშად მოკლა 300 მუშა, — ამით მოკლა ჩვენი რწმენაც მეფისადმი. სამაგიერო გადაუხადოთ, ძმებო, ხალხის მიერ დაწვევლილ მეფეს, მის მინისტრებს და უბედურ რუსეთის მძარცველებს. სიკვდილი მათ ყველას! ვინც ხალხთან არ არის, ის ხალხის წინააღმდეგია მოგუწოდებ ინტელიგენტებს, ყველა სტუდენტებს, ყველა რევოლუციონურ ორგანიზაციებს. ძმებო, ამხანაგებო, მუშებო მთელი რუსეთის! ნებას ვიძლევი აიღოთ ყველგან, სადაც შეგიძლიანთ — ბომბები, დინამიტები... გამართეთ ბარიკადები, დაარბიეთ მეფის სასახლეები, გაანადგურეთ ხალხისათვის აუტანელი პაუდიცია. ჯარისკაცებს და ოფიცრებს, თავის ძმების და დების მკვლელებს, ჩემი წყევლა. ჯარისკაცებს, რომლებიც დაეხმარებიან ხალხს თავისუფლების მოპოებაში — ჩემი კურთხევა... გააგრძელეთ ეს წერილი მთელ რუსეთში, რომელიც მოუწოდებს ყველა დამონაევებულს, შევიწროებულს და დაჩაგრულს აჯანყებისაკენ თავისუფლების დასაცავად... გაუმარჯოს რუსეთის ხალხის მომავალ თავისუფლებას“. დილის 12 საათზე „მამა“ გაპონი პეტროვის ქარხნის ეკლესიაში წირვას იბდიდა „მოწყალე მეფის“ სადიდებლად, მოუწოდებდა მუშებს უბრალო დანაც არ ჩადვით ჯიბეში. იმავე რიცხვის ღამის 12 საათზე „მამა“ გაპონი უკვე მთელ მონარქიულ წყობილებას „დინამიტით, ყუმბარით, აჯანყებით“ ემუქრებოდა!



ისტორიას არ ახვიეს ასეთი სწრაფი, კარდინალური მასსიური გარდატეხა! ინგლისელი კორესპოდენტი გადმოგვცემდა ერთ მეტად დასაშინებელ საუბარს მუშებს შორის მოსკოვში:

— „ნაჯახი“! — ამბობდი ერთი მუშა.

— „ა“: ნაჯახით ვერას გააწყობთ ხმალიან. ნაჯახი ხმალს ვერ მოერევა, დანა — მით უმეტესად. არა, საჭიროა „რევოლვერები, ყოველ შემთხვევაში მაინც რევოლვერები. — თოფი კიდევ უკეთესია“ — ცხალობდა მეოთე.

\* \* \*

„სისხლიანი კვირა“ — ასე იწვევა რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლის ისტორია.

ამხ. ლენინმა 9 იანვრის ამბებს უწოდა „რევოლიუციის დასაწყისი რუსეთში“. მართლაც, ეს იყო დისაწყისი დიდი ბრძოლების, დიდი ამბების, პირველი მერცხალი თავისუფლების გახაფხულის.

იანვრის ტრაგედიას არ აქვს ვიწრო ხასიათი. მისი მნიშვნელობა იზომება მსოფლიო მასშტაბით. „ცარიზმის დამხობა რუსეთში — სწერდა ლენინი. — რომელსაც სცდილობს რუსეთის გმირული მუშათა კლასი, იქნება ახალი ეპოქის დასაწყისი მთელი ქვეყნის ისტორიაში. ეს იქნება მუშებისთვის ბრძოლის შემსუბუქება ყველა/ერებში, ყველა სახელმწიფოებში, მსოფლიოს ყველა კუთხეში“.

ბუნტი მოხდა თუ რევოლიუცია? — სევამდა კითხვას მთელი ქვეყნის მოახროვნე კაცობრიობა. დიან, მოხდა „ბუნტი“ ლენინისტური გაგებით:

„ბუნტი — დამარცხებული რევოლიუცია, რევოლიუცია გამარჯვებული ბუნტია“.

„ბუნტმა“ გააკეთა ისტორიული საჭმე. მან შეასრულა თავისი დანიშნულება. რუსეთი გაიპო ორ მოწინააღმდეგე ნაწილად. მუშათა კლასმა გამონახა საკუთარი ვხა, დამოუკიდებელი, კლასიური ბრძოლის, სამოქალაქო ომის საშუალებები. სამუდამოდ მოკვდა „პოლიტიკური სოციალიზმის“, „ზუბატოვშჩინის“ და „გაპონოვშჩინის“ „მომხიბვლელი“ აზრი მუშათა მასსების ცნობიერებაში. ამ აზრის ნაცვლად რუსეთის გაძვალტყავებულ პროლეტარიატისა და გადატაკებულ გლეხობის პოლიტიკურ შეგნებაში მიღწევად შეიჭრა რევოლიუციონური, ბარკადური ბრძოლის, შეიარაღებული აჯანყების — არა მარტო ნაჯახით, რევოლვერით და თოფებით — ჯავშნოხნებით, ტანკებით, ზარბაზნებით — აუცილებლობის თეორია.

— „После девятого января — сწერდა ამხ. ტროცკი, — революция уже не знает остановки. Не заботись о военной тайне, открыто и шумно, издеваясь над рутинной жизнью, разгоняя ее тишиной, она ведет нас к своему кульминационному пункту“.

„კულმანაციური პუნქტი“:

25 ოქტომბერი.





## ლენინი ტრიბუნაზე.

ოქტომბრის შენდევ ფოტოგრაფები არა ერთხელ იღებდნენ ლენინს. იღებდნენ აგრეთვე კინემატოგრაფებშიც. მისი ხმა აღბეჭდილია ფონოგრაფის ფირფიტებზე. მისი სიტყვები სტენოგრაფიულად შერჩენილია და დაბეჭდილი. ამგვარად თვალწინ არის ვლადიმერ ილიჩის ყოველი ელემენტი. მაგრამ მხოლოდ ელემენტი. ცოცხალი პიროვნება კი განუმეორებელ და მუდამ დინამიურ თანაწყობაშია.

როდესაც ძე ოცნებაში ვცდილობ თხიზელი თვალით და ყურით, თითქოს პირველად, მოვისმინო და დავინახო ლენინი ტრიბუნაზე, — მე ვხედავ საშუალო ტანის ჩასკვნილ, ელასტიურ, ფიგურას და მესმის წყლიანი, ძლიერ ჩქარი, ოდნავ ბორძიკი, შეუწყვეტელი, თითქმის უპაუზო და პირველ დაწყების ხანს უინტონაციო ხმა.

პირველი ფრაზები ჩვეულებრივად ზოგადია, ტონი მშინჯავი, მთელმა ფიგურამ თითქო ჯერ კიდევ ვერ იპოვა წონასწორობა, ეესტი ჩამოაუყალიბებელია მხედველობა შიგნით იძირება, სახეზე სჩანს რალაც სიქუშე და თითქოს გულის ცემის დაკლება — აზრი ეძებს აუდიტორიასთან მიდგომას. ეს შესავალის პერიოდი გრძელდება რამდენიმე ხანს, აუდიტორიის, საკითხის, ან ორატორის სულიერ ვანწყობილების მიხედვით. მაგრამ, აი, მან ნაწიბურს მიატანა. იწყება საკითხის გამოსახულება. ორატორი ტანის ზევითა ნაწილს წინ წამოხრის, თითებს ჩაიღებს ელექტის გამოკრილუბში და ამ ორმაგ მოძრაობით უცბად წინ წამოსწევს თავს და ხელებს. ამ საშურო, მაგრამ ღონიერ, კარგად ჩამოსხმულ, რიტმიულ ტანზე თავი არ მოსჩანს. მაგრამ ვეებერთელად გეჩვენება თავზე შუბლი და შიშვლად გამობერილი ქალა. ხელები ძლიერ მოძრაეია, მაგრამ ფუსფუსის და ნერეოზია გამოკლებით. ნაჯა ფართე, მოკლე თათებიანი „პლებეური“, მაგარი. მასში, ამ ხელში არის ხაზები იმავე იმედიანობის და ვაეკაცური გულკეთილობის, როგორც მთელ მის ფიგურაში.

ეს რომ დაინახოთ საჭიროა, მაინც, შიგნიდან განათდეს ორატორი, გამოიცნოს მოწინააღმდეგის ცბიერობა, ან თვითონვე წარმატებით შეიტყუოს ის ხატანგში. მაშინ შემძლებელ შუბლის ქალას საჩეხიდან გამოჰსდგებიან ლენინის თვალები, რომელიც ოდნავ გადმოცემულია ერთ ბედნიერ ფოტოგრაფიაზე



1919 წ. განურჩეველი მსმენელიც კი, დაიჭვრდა რა პირველად მის ხედვას უცდიდა რა იქნება შემდეგ. ასეთ წუთებში კუახოვანი ლოსყენი მანძილებოდა და რბილდებოდა ძლიერ გონიერ შემწყნარებლობით, რომლისადასრულებას უკმაყოფილოდა ადამიანების, დამოკიდებულების, მდგომარეობის, დიდი ცოდნა ყოველგვარ სი-  
 ლრმემდე, სარჩულამდე. სახის ქვედა ნაწილი წითურ—მონაცრისფერო თითქო ჩოდილში რჩებოდა. ხმა რბილდებოდა, დიდ სიმარჯვეს და—ხანდახან ცბიერ შემპარაობას იღებდა.

მაგრამ, აი, ორატორს მოჰყავს საგულეებელი პასუხგება მოწინააღმდეგ ის მზრით, ან ღვარძლიანი მუხლო მტრის წერილიდან. ვიდრე მტრის აზრის გარ-  
 ჩევას მოასწრებდეს—ის გაგაგებიებს, რომ პასუხგება უხიადაგოა, ხერელე და ყალბი. ის ამოიღებს ხელებს ეილეტის გამოჭრილებიდან, ოდნავ უჭან გადა-  
 იგდებს ტანს, დაიხვეს წვრილ ნაბიჯებით, თითქო გასარბენი ადგილი დასცა-  
 ლოს თავისთვის. ხან და ხან ირონიულად, ხან სასოწარკვეთილების გამოსახვით  
 —სწევს მრგვალ მზრებს და აფენს ხელებს, სტოვებს რა დიდ თითებს ნათლად  
 გამოსახატავად. მოწინააღმდეგის გაკიცება, თრგუნვა, ან შერცხვენი მისი მო-  
 წინააღმდეგის და შემთხვევის მიხედვით—ყოველთვის წინ უსწრებს საბუთების  
 დარღვევას. მსმენელი თითქო წინასწარ იტყობს რაგვარ საბუთებს უნდა ელო-  
 დეს ის და რომელ კილოზე უნდა მოჰმართოს თავისი აზრი. ამის შემდეგ იწ-  
 ყება ლოლიკური შეტევა. მარცხენა ხელი ისევ ეილეტის გამოჭრილში მოექ-  
 ცევა ან, უფრო ხშირად შარვლის ჯიბეში. მარჯვენა კი აზრების ლოლიკას  
 მიჰყვება და მის რიტმას აღნიშნავს. საჭირო წუთებში მარცხენაც დაიძვრება  
 დასახმარებლად. ორატორი ეკვეთება აუდიტორიისკენ, მიიწევს ესტრადის კიდე-  
 მდე, იხრება წინ და წორეთ მოძრავ ხელებით მუშაობს სიტყვიერ მასალაზე. ეს  
 იმას ნიშნავს, რომ საქმე ცენტრალურ აზრზე მიდგა, მთელი სიტყვის უმთავრეს  
 პუნქტზე.

თუ აუდიტორიაში არიან მოწინააღმდეგები, დროგამოშვებით, ორატო-  
 რის მიმართ, გაისმის კრიტიკული და მტრული ამოძახილები. ათზე ცბრა შემ-  
 თხვევაში ისინი უპასუხოთ რჩებოდნენ. ორატორი იტყვის იმას, რაც მას სჭირ-  
 დება, ვისთვისაც არის საჭირო, და ისე, როგორც საჭიროდ დაინახავს, შემთხვე-  
 ვით პასუხისგებისათვის განზე გადახვევა მას არ უყვარს. გაკვრითი მოსწრებუ-  
 ლი სიტყვები არ ეგუება მის გონება დაპყრობილობას. მხოლოდ მისი ხმა, მტრულ  
 ამოძახილების შემდეგ ხდება უფრო მძაფრი, სიტყვა უფრო კომთაქტური, და-  
 წილილი აზრი უმახვილესი, ეესტები უმკვეთრესი, ის იჭერს მტრულ დაძახილს  
 ადგილიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უპასუბებს აზრების საერთო  
 მსულელობას და ეხმარება უფრო ადრე მიაღწიოს სიჭირო დასკვნამდე. აქ მისი  
 პასუხი სრულიად მოულოდნელია—თავისი გამნადგურებელ უბრალოებით. ის  
 პირწმინდათ აშიშვლებს სიტუაციას იქ, სადაც, მოლოდინის მიხედვით, თითქო  
 მას ნილაბი უნდა აეჯარებია. ეს არა ერთხელ გამოსცადეა თავის თავზე მენ-  
 შვეიკებში რევოლიუციის პირველ პერიოდში, როდესაც დემოკრატიის დარ-  
 ღვევას ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი თავის სიახლე. „ჩვენი გაზეთები დახუ-  
 რულია.“ „რასაკვირველია, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ყველა არა! მალე ყველა



იქნება დახუროული (მჭუხარე აპლოდისმენტები.) პროლეტარიატის (რეპრეზენტურა საბოლოოდ აღმოუხვრავს ძირფესვიანად ბურჟუაზიულ ოპიუმს (მჭუხარე აპლოდისმენტები). ორატორი სწორდება. ორივე ხელი ჯიბეებში ჩაქუჩავს არ არის პოზის, არც ხმაშია ორატორული მოდულიაციები, — სწავლიეროდ მთელ უიგურაში, თავის აღებაშიც მოკუმულ ტურებშიც, ლოყის ძვლებშიც, და ოდნავ ჩახლენილ ტემბრშიც — არის შეურყეველი დარწმუნება თავის სისწორეში და თავის სიმართლეში. «თუ გინდათ ხხუბი, მაშინ მოდი ვიჩხუბოთ, როგორც რიგი და წესია!»

როდესაც ორატორი სცემს არა მტერს, არამედ თავისიანს, მაშინ ამას გრძნობ მის ეესტშიც და კილოშიც. ასეთ შემთხვევაში უმდაყრესი შეტევაც კი შეიცავს მტკიცე ნიადაგზე დგომას. ხან და ხან ორატორის ხმა მალალ ნოტაზე წყდება: ეს მაშინ, — როდესაც ის მდაყრად ამხილებს რომელიმე თავისიანს, აოცხვენს, ამტკიცებს, რომ ოპონენტს ამ საკითხში არაფერი არ ესმის და თავის პასუხისგებათა საფუძვლად ვერაფერი ვერ მოუყვანა. აი, ამ დროს მისი ხმა ხანდახან ფალცეტამდე წვრილდება და სწყდება, და ამის გამო გაჯავრებული ტირადა მოჟლოდნელად გულკეთილობის ელფერს ღებულობს.

ორატორმა წინ და წინ მოიფიქრა თავის აზრი ბოლომდე. უკანასკნელ პრაქტიკულ გამოსვლამდე, — აზრი და არა მისი გადმოშლა, არა მისი ფორმა, გარდა რამოდენიმე შეკუმშულ, ნიშანში გამართულ. ნოყიერად გამოთქმულ წინადადებების და სიტყვების გამონაკლისით, რომელნიც შემდეგ შედიან პარტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და წკრიალა ფულივით ტრიალობენ. ფრაზების აგებულება ჩვეულებრივ მძიმეა. ერთ წინადადებაზე ეფინება მეორე, ან, პირიქით, მის შიგნით ძვრება. სტენოგრაფებისათვის ასეთი აგებულება სამძიმო სასჯელია, და იმათ შემდგომ — რეპარტიორებისათვისაც. მაგრამ ამ დამძიმებულ ფრაზებზე დაჭიმული და მფლობელი აზრი იკვლევს თავისთვის, მაგარს, საიმედოდ ვხას. მართალია განა, რომ ამას ლაპარაკობს უღრმესად განათლებული მარქსისტი. თეორეტიკოსი — ეკონომისტი, უზარმაზარ ერუდიციის ადამიანი? აი, ხომ გვევონება, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ წუთში, რომ შენს წინაშე გამოდის არაჩვეულებრივი თვითგანვითარებული, რომელმაც ყველა ამას შიადწია თავის ქყუის, ყველაფერი რიგიანად დაიფიქრა, თავისებურად, სამეცნიერო აპარატის, სამეცნიერო ტერმინოლოგიის დაუხმარებლად, და ამას ყველაფერს თავისებურათ შლის. ჰმარტავს. საიდან არის ეს? აი, იქედან, რომ ორატორმა გაიფიქრა საკითხები არა მარტო თავისთვის, არამედ მასისთვისაც, თავისი აზრი იმათ ცდებში გაატარა, და სუფთად გასწმინდა განმარტება იმ თეორეტიკულ ხარაჩოებიდან, რომლითაც თვითონ სარგებლობდა საკითხის მიდგომის დროს. ხან და ხან, სხვათაშორის, ორატორი ძლიერ სწრაფად არბის თავის აზრების საფუხურებზე : ეს ხდება მაშინ. როდესაც მისთვის მეტად ნათელია დასკვნა, აგრეთვე პრაქტიკულად გადაუდებელია, და საჭიროა რაც შეიძლება მალე, დაითანახმოს მსმენელი. მაგრამ აი მან იგრძნო, რომ აუდიტორია ვერ ეწევა მას, რომ მსმენელებთან ძაფი გასწყდა. მაშინ იგი უცბათ მოერევა თავისთავს, ჩამოეშეება ძირს ერთიანი ნახტომით და ხელახლა იწყებს მალლა ასვლას, მაგრამ



ეხლა მშვიდ და წყობილ ნაბიჯით, თვით ხმაც კი მისი სხვანაირდება/ თავისუფლდება ზედმეტ დაჭიმვებისაგან ჰლებულობს შემსახვრელ დაძვინჯვებლობას. სიტყვას აგებულება უკან დაბრუნების გამო, რასაკვირველია შეეჩვევა. მაგრამ სიტყვა განა კონსტრუქციისთვის არსებობს? განა სიტყვაში ფასდება სხვა ლოლიკა, გარდა ისეთი ლოლიკისა, რომელიც იტაცებს მოქმედებისათვის?

როდესაც ორატორი მეორეჯერ მიაწევს დასკვნამდე, წაიყვანს რა ამ შემთხვევაში თავის მსმენელებს, ისე რომ არაფერს გაგზავნა გზაში, ხალხში ფიზიკურად შეიგრძნობა ის მადლობის სიხარული, რომელშიაც გადაწყდება კოლექტიური აზრის დაკმაყოფილებული დაჭიმვა. ეხლა დარჩენია კიდევ ორჯერ-სამჯერ მიაღწიოს დასკვნამდე - გასამაგრებლად, მისცეს მას მარტივი, მკაფიო და სახიერი გამოთქმა, დასამახსოვრებლად, და შემდეგ კი შეიძლება ნება დართოს თავის თავს და სხვებსაც.

გაიხუმრო და გაიცინო, რათა კოლექტიურმა აზრმა ამ დროს უკეთესად შეირიგოს ახალი მონაპოვარი.

ლენინის ორატორული იუმორი ისეთივე უბრალოა, როგორც სხვა მისი ხერხი, თუ შეიძლება აქ ხერხზე ლაპარაკი. არც მით უმეტეს ენამახვილობა ლენინის სიტყვებში არ მოიპოება, არის მხოლოდ ხუმრობა, წინიანი, მასისთვის მისაწდომი, ერთი სიტყვით ნამდვილი ხალხური. თუ პოლიტიკური მდგომარეობა ცოტად თუ ბევრად ურყევია, თუ აუდიტორიის უმრავლესობა "თავისია", მაშინ ის არ გაურბის გაკვრით იოხუნჯოს. აუდიტორია მადლობით იღებს მზაკვრულ მარტივ სიტყვის მასალას, გულკეთილ-დაუზოგავ დახასიათებებს, ამასთანავე გრძნობს, რომ ეს ტყვილი არაა, არც მარტო ლამაზ სიტყვებისთვისაა, არამედ ყოველივე ეს მიმართულია მთავარ მიზნისაკენ.

როდესაც ორატორი ხუმრობას მიმართავს, მაშინ სახის ქვედა ნაწილი უფრო წამოიწევა, განსაკუთრებით ტუჩი, რომელსაც შეუძლია სხვასაც გადასდოს სიცილი. შუბლის და ქალას ხაზები თითქო რბილდებიან, თვალი განათდება მზიარულებით, ძლიერდება ენის ბორძიკობა, ვაჟკაცური აზრის დაჭიმვა რბილდება ადამიანურ სიმზიარულით.

ლენინის სიტყვებში, ისე, როგორც მთელ მის მუშაობაში, უმთავრეს ხაზათ რჩება მიზან-მისწრაფება. ორატორი სიტყვას კი არ აშენებს, არამედ, მიჰყავს გარკვეულ მომქმედ დასკვნისაკენ.

ის თავის მსმენელებს შრავალ გზით უდგება: კიდევ უხსნის, კიდევ არწმუნებს, კიდევ არცხვენს, და ისევ არწმუნებს და ისევ უხსნის. ის, რაც მილიანს ხდის მის სიტყვას, ფორმალური გეგმა კი არ არის, არამედ ნათელი, მიმდინარე დღისათვის მკვეთრად გამოსახული პრაქტიკული მიზანი, რომელიც ეკალივით უნდა შეიჭოს აუდიტორიის შემეცნებაში. აუდიტორიას ემორჩილება მისი იუმორიც, მისი ხუმრობა უტილიტარულია. მოკიაფე სიტყვას აქვს თავისი პრაქტიკული დანიშნულება: ერთნი დააბას, მეორენი შეამაგროს. აქ არის „хвостизм“, არის „смычка“, არის „передышка“. არის „драчка“, არის „комивацество“ და ათეული სხვა არა ამდენად გაუკვდავებული. მანამდე სანამ ასეთ სიტყვაზე მიაღწევდე, ორატორი გამოხაზავს რამდენიმე წრეს, თითქო



საჭირო წერტილს ეძებდეს. როდესაც მოსძებნის, დაარტყობს ლურსმანს და გაზონავს თვალით, როგორც საჭიროა, ურტყამს მოქნიულ ურთოდ ზედათავე, მეორეჯერ, მესამეჯერ, და მეათეჯერ,—სანამ რიგიანად არ წავსვლავს ლურსმანი ისე, რომ მისი ამოძრობა ძნელი ხდება, მაშინაც კი, როდესაც მისი აქ ყოფნა უკვე შემდეგ საჭიროებას არ წარმოადგენს. მაშინ ლენინსვე მოუხდება სიტყვის მასალით დაარტყას ამ ლურსმანს მარცხნიდან და მარჯვნიდან, რომ შეარყიოს იგი ამოძროს და გადაისროლოს, როგორც. საარტივო ნამტვრევი—დიდად სამწუხაროდ იმათთვის, რომელნიც შეესვივნენ ლურსმანს. მაგრამ, ის სიტყვა დასასრულს უახლოვდება ჯამი გამოყვანილია. დასკვნები განმტკიცებულია. ორატორი ჰგავს მომუშავეს, რომელიც მოქანცულა, მაგრამ თავისი საქმე შეასრულა. შიშველ ქალაქე, რომელზედაც ოფლის წვეთები გამოსულა, ის დრო გამოშვებით ხელს ისობს. ხმა დაუჭიმავად ისმის. თითქო ბეუტავს კოცონი. შეიძლება დათავება. მაგრამ არ უნდა მოელოდე, იმ სიტყვის დამაგვირგვინებელ ამყვანელ ფინალს, ურომლისოდ, თითქოს, ტრიბუნიდან ჩამოსვლა არ შეიძლება. მას არ აქვს სიტყვის ორატორული დამთავრება: ის ათავებს მუშაობას და სვამს წერტილს. „თუ მიუხედავად, თუ გავაკეთებთ, მაშინ გავიმარჯვებთ უეჭველად“. ასეთია ხშირად დასკვნა ან: „აი, რისკენ უნდა ისწრაფოდენ—არა სიტყვებით, არამედ საქმით“, და ხანდახან კიდევ უფრო მარტივად: „ესაა ყველაფერი, რაც თქვენთვის უნდა შეთქვა“—და მხოლოდ ასეთი დაბოლოება რომელიც სავესებით ახასიათებს ლენინის მჭერმეტყველობის ბუნებასდა თვითონ ლენინის ბუნებას, სრულიადაც არ ანელებს აუდიტორიას პირიქით. სწორედ ასეთ „არა ეფექტიურ“, „რუბ“ დასკვნების შემდეგ აუდიტორია თითქო ხელახლა, შემეცნების ერთი ალგზნებითი დაიჭერს ყველაფერს, რაც ლენინმა გადასცა მას თავის სიტყვაში, და იგეგმებს მჭუხარე მადლიერ, აღტაცებულ აბლოდისმენტებით. მაგრამ, უკვე, როგორღაც დაავლო თავის ქალაქდებს ხელი, უცბად სტოვებს კათედრას რომ გასცილდეს აუცილებელს. მისი თავი ოდნავ ჩაქედილია მხრებში ნიკაპით ძირს, თვალები წარბების ქვეშ დაიმაღლენ, უღვაწები გაბზეკილა თითქოს გულმოსულად, უკმაყოფილოდ აწეულ ზევითა ტუჩზე. ტაშის ცემის გრგვინვა იზრდება და ისვრის ტალღას ტალღაზე. გაუმარ... ლენინს... წინამძღოლს... ილიჩ... აი, ელექტრონის ლამპების სინათლეში ჰკრთის განუყოფებელ ადამიანის კეფა, რომელსაც ყოველმხრივ ესმის შეუკავებელი ტალღები. და, როდესაც, გეჩვენებოდა, თითქო აღტაცების გრიგალმა უკვე მიაღწია უმაღლეს წერტილამდე—უცბათ გრიალის, ქუხილის, ტკლაცუნის დროს ვიღაც ახალგაზრდის დაქიმული, ბედნიერი და ვნებიანი ხმა სიონივით არღვევს გრიგალს: „გაუმარჯობ ილიჩს!“ და საიდგანდაც უღრმეს ათრთოლებულ სიყვარულის, ენტუზიაზმის, სოლიდარულ სიღრმეებიდან ამოსკდება პასუხად უკვე მრისხანე ციკლონივით, საერთო განუყოფელი სვეტების შემარყეველი მწკრივალ-ძახილი: გაუმარჯობ ლენინს!..





## ფილისტაჰი რევოლუციონარის შესახებ.

ერთ იმ შრავალ კრებულთაგანში, რომელნიც ლენინისადმი მიძღვნილი, მე წავაწყდი ინგლისელ მწერლის უელსის წერილს სათაურით: „კრემლის მეოცნებე“. კრებულის რედაქცია შენიშვნაში აღნიშნავს, რომ, ისეთმა მოწინავე ადამიანებმაც კი, როგორც არის უელსი, ვერ შესძლეს რუსეთში მომხდარ პროლეტარულ რევოლუციის გაგება\*. მე მგონია, რომ ეს არ იყო საკმაო მიზეზი ლენინის კრებულში უელსის წერილის მოსათავსებლად. მაგრამ შეიძლება, არც ღირდეს ამაზე ისე ჩაჭკიდება: ყოველ შემთხვევაში, პირადათ მე, უელსის გვერდები გადავიკითხე ათა ინტერესის მოკლებულად, რაშიაც, როგორც შემდგომში დავინახავთ, მათი ავტორი სრულიად უდანაშაულოა.

ცოცხლად წარმომიდგება ის მომენტი, როდესაც უელსი მოსკოვს ეწვია. ეს 1920—1921 წლების დამშეული და ცივი ზამთარი. ატმოსფერაში—გაზაფხულის გართულებათა მღვლვარე წინათგრძნობა.

დამშეული მოსკოვი თოვლითაა დაზენიული. სამეურნეო პოლიტიკა მძაფრად გადატეხის წინაშეა. ძალიან კარგათ მახსოვს ის შთაბეჭდილება, რომელიც ვლადიმერ ილიჩმა უელსის საუბრიდან გამოიტანა: „ну и мешанин! ну и халястерь!“ — იმეორებდა ის, სწევდა რა მაგიდაზე ორივე ხელებს, იცინოდა და სუნთქავდა იმ სიცილით და იმ ამოხუნეშით, რომელიც ახასიათებდა მასში რამდენადმე შინაგან სირცხვილს სხვა ადამიანის მაგიერ. „ოჰ, რა ფილისტერია.“ — იმეორებდა ის, განიცდიდა რა ხელმეოხედ მასთან საუბარს. ეს ჩვენი ლაპარაკი სწარმოებდა პოლიტბიუროს გახსნის წინ და განისაზღვრებოდა, არსებითად, ეხლახან დასაბეღებულ უელსის მოკლედ დახასიათების განმეორებით, მაგრამ ზურგს უკან ესეც საკმარისი იყო. მართალია, მე ცოტა მიკითხავს უელსი და სრულიად არ შევწვედრივარ მას, მაგრამ ინგლისური სალონის სოციალისტი. ფაბიანელი ბელეტრისტი ფანტასტიურ და უტოპიურ თემებით, კომუნისტურ ექსპერიმენტების დასაანახავად ჩამოსული, — ეს სახე საკმაოდ ნათლად მიქონდა წარმოდგენილი. ლენინის ამოძახებამ კი, და განსაკუთრებით ამ ამოძახების ტონმა, დახარჩენიც დამანახა. და, აი, ეხლა უელსის წერილი, უაღსარუბო გზებით მომხდარი ლენინის კრებულში, რომელმაც არა თუ გააცოცხლა ჩემს მახსოვრობაში ლენინის ამოძახება, არამედ იგი ცოცხალ შინაარსითაც



გაავსო. რადგან უელსის წერილში ლენინის შესახებ ლენინის კვალის არ არის, სამაგიეროდ, ამ წერილში თითონ უელსი ისეა, როგორც ხელის გულზე.

დავიწყით თუნდაც უელსის საჩივარის შესავლიდან: მან დაკვირვების საგანი გახდა ლენინთან შეხვედრის მოსაწყობად, რაც მას (უელსს) „განსაკუთრებით აღიზიანებდა“. რისთვის ნეტავ? განა უელსი ლენინმა გამოიძახა? ივალდებულა მისი მიღება? ან განა ლენინს ჰქონდა იმდენი მოკლა? პირიქით, იმ არტიკლიმდე დღეებში, მის დროს ყოველი წუთი დაკავებული იყო; მისთვის არც ისე ადვილი იყო ერთი საათი ამოეჭრა უელსის მისაღებად. ამის გაკება უცხოელისათვის კი არ იყო ძნელი. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ უელსი, საბატიო უცხოელის ღირსებითაა და, მთელ თავის კონსერვატიულ ინგლისელის იმპერიალისტურ ყალბ სოციალიზმში, სისხლხორცამდე, გამსჭვალულია იმ რწმენით, თითქოს იგი, არსებითად, თავის სტუმრობით, უდიდეს პატივს სდებს ბარბაროსულ ქვეყანას და მის ბელადს. უელსის მთელი წერილი პირველ სტრიქონიდან უკანასკნელამდე ამყრალბულია ამ უმოტივო ყოყმანობით.

ლენინის დახასიათება, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩენით იწყება. ლენინი, დახეთ, „მწერალი სრულებითაც არ არის“. მართლაც ვინ უნდა გადასჭრას ეს საკიხი თუ არა პროვესიონალურმა მწერალმა უელსმა?

„მოკლე მსაფრთხი პამფლეტები, რომელნიც მოსკოვში გამოდიან მისი ხელმოწერით (1), სავსეა ყალბი წარმოდგენით დასავლეთ ევროპის მუშათა ფსიქოლოგიის შესახებ... ძლიერ სუსტად ამვლავებენ ლენინის აზროვნების ქეშმარიტ შინაარსს“. პატივცემულ ჯენტლმენს, რასაკვირველია, არ უწყებია, რომ ლენინს, აქვს კაპიტალურ ნამუშევართა მთელი რიგი აგრარულ საკითხში, თეორეტიკულ ეკონომიაში, სოციოლოგიაში, ფილოსოფიაში. უელსს სცოდნია მხოლოდ, მოკლე მსაფრთხი პამფლეტები“ და ამის შესახებაც აღნიშნავს თითქო ისინი მხოლოდ გამოდიან „ლენინის ხელის მოწერით“, ე. ი. აქ გადაჭრავს თითქო იმასაც სხვები სწერენ. „ლენინის აზროვნების არსი“ კი ქეშმარიტად იშლება არა მის მიერ დაწერილ ათეულ ტომებში, არამედ იმ ერთი საათის საუბარში, რომელიც დიდი ბრიტანეთის უგანათლებულესმა სტუმარმა იკადრა ასე სულგრძელად. უელსისავან შეიძლებოდა და მოველოდით მისგან, უკიდურეს შემთხვევაში, ლენინის გარეგნულ სახიერების საინტერესოთ ასახვას, და თუნდაც ერთ კარგად მოსმულ ხაზისთვის ჩვენ მზად ვიყავით გვეპატივებია მისთვის ყველა მისი ფიზიანური უგვანობა. მაგრამ წერილში ესეც არ არის. „ლენინს სასიამოვნო შეგვრემანი (!) სახე აქვს მუდამ ცვალებად გამომეტყველებით და ცხოველი დიმილით“. „ლენინი ძლიერ ცოტათ ჰგავს თავის ფოტოგრაფებს! „ის თავის ლაპარაკს ცოტათი ეესტებს აყოლებდა“... ამ ბანალობის იქით, რომელიც ხელს მოუთბობდა მორიგე—რეპორტიორს კაპიტალისტურ გაზეთისას,—უელსი არ ვასცილებია, სხვათა შორის, მან კიდევ აღმოაჩინა, რომ ლენინის მოგრო და ოდნავ პესიმისტური ქალა ჰგავს არტურ ბალფურის ქალას, და, რომ ლენინი, საერთოდ—„პატარა კაცუნაა: როდესაც ის სკამის კიდებზე ზის მისი ფეხები ძლივს ეხებიან იატაკს“. რაც შეეხება არტურ ბალფურის ქალას, ჩვენ არ შეგ-



ვიძლია ამ პატრივცემულ საგანზე მსჯელობა ყიქონიოთ და საბოლოოდ გვჯერა, რომ ის მოგროძოა, მაგრამ ყველა დანარჩენში — რა შეუფერებელი სიბინძურეა. ლენინი იყო მოწითურე, ქერა და მისთვის შავვრეშანის დარსმდესს მსჯელობა შეუძლებელია. ტანით ის საშველო იყო, საშველოზე ოდნავ ნაკლები, მაგრამ რომ ის ახდენდა „პატარა კაცუნას“ შთაბეჭდილებას, და, რომ ის ძლივს უწევდა ფეხს იატაკზე — ეს შეიძლებოდა მოჩვენებოდა მხოლოდ უფლს, რომელიც განათლებულ გულლივერის გრძობით ჩამოვიდა ჩრდილოეთ კომუნისტურ ლილიპუტების ქვეყანაში. ამას გარდა, უფლსმა შენიშნა, რომ ლენინს ლაპარაკის დროს პაუზებში პქონია ჩვეულება თითოთ ქუთუთო აიწიოს: „შესაძლებელია, ეს ჩვეულება, — არკვევს განჭობიანი მწერალი, — წარმოსდგებოდა მხედველობის რომელიმე დეფექტისაგან“. ჩვენ ვიცნობთ ამ კესტს. ეს ენჩნეოდა მაშინ, როდესაც ლენინს ჰყავდა თვალწინ უცხო და მისთვის არაზიარო ადამიანი და სწრაფად შეავლებდა მას თვალს, შუბლზე კოხირულად მიყრდნობილ ხელის თიკების შორის. ლენინის მხედველობის „დეფექტი“ გამოიხატებოდა იმაში, რომ ის ამ მოსაუბრეს გამჭრიახად ჩხედავდა მის მედიდურ კმაყოფილებას, მის სივიწროვეს, მის განათლებულ პრანქიობას და მის ცივილიზაციურ უტიფრობას და ჩაიტანა რა შემეცნებაში ეს საბჭ. შემდეგ დიდხანს აჭნევდა თავს და თან ატანდა „რა ფილისტერიია, რა საწინელი მეშჩანინია“.

საუბარს დაესწრო ამხ. როტშტეინი, და უფლსი გაკვირით აკეთებს აღმოჩენებს, რომ მისი სტუმრობა „დამახასიათებელია რუსეთის თინამედოვე საქმეთა ნდგომარეობისათვის. როტშტეინი, დახეო, კონტროლს უკეთებს ლენინს საგარეო საქმეთა სახეობისაგან ლენინის მოკარბებულ გულწრფელობისა და მკოცნებეობით გაუფრთხილებლობისა გამო“. რა უნდა უთხრაო, ასეთი ფასდაუდებელ დაკვირებისათვის? კრემლშიც შესვლისას, უფლსს შეჰყვა თავის შემეცნებაში საერთაშორისო ბურჟუაზიის ინფორმაციის მთელი ნაგავი და თავის გამჭრიახ მხედველობით, — ჰო, რასაკვირველია „უდეფექტო“ — ლენინის კაბინეტში აღმოაჩინა ის, რაც ამოსწოვა times-იდან, ან რომელიმე სათნო და გადასლექილ ქორების რეზერვუარიდან.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს რაში გამოიხატებოდა ლაპარაკი? ამის შესახებ ჩვენ უფლსიდან ვტყობილობთ საკმაოდ უიმედო საერთო ადგილებს, რომელნიც გვიჩვენებენ, რა ლატაკათ და საცოდავად იმუსრუბა ლენინის აზრი ზოგიერთების თავში, რომელთა სიმეტრიულობაში, ხხუათა შორის, ჩვენ საბუთი არა გვვაჭვს დავეჭვიანდეთ.

უფლსი მივიდა იმ აზრით, რომ „მას კამათი მოუხდებო გულდადებულ დოკტრინერ-მარკსისტთან, მაგრამ სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა“. ეს ჩვენ არ გვაკვირვებს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ლენინის აზროვნობის არსი“ გაიშალა არა მის ოცდაათ წლის პოლიტიკურ და სამწერლო მოღვაწეობაში, არამედ ინგლისელ „ობივატელთან“ საუბარში. ნუ მეუბნებოდენ, — განავრძობს უფლსი, — რომ ლენინს უყვარს დარიგება, მაგრამ მას ჩემთვის ეს არ უქნია“. როგორ შეიძლება, მართლაც, დარიგება ჯენტლმენის, ვგხომ უმაღლეს თავდაფასებით აღვსებულისა? რომ ლენინა უყვარდა დარიგება — საზოგა-



დოთ არაა მართალი. მაგრამ ამას სწადიოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჰხედდა, რომ მის მოსაუბრეს უნარი აქვს რაიმე შეითვისოს. ასეთ შემთხვევაში ის, მართლაც, არც დროს და არც ღონეს არ ჰზოგავდა. მაგრამ არაღმარაა შეეხება თვალსაჩინო გულივერს, რომელიც „ლუთის წყალობით“ მისი „ნატარა კაცუნა“-ს კაბინეტში, ლენინი საუბრის დაწყებისთანვე თრ-სამ წამში შეურყევლად უნდა დარწმუნებულიყო, სამაგალითოდ დანტეს ჯოჯოხეთის შესავალზე წარწერილის გულის ხმაერობით: „დატოვე იმედი სამუდამოთ“.

ლაპარაკი მიდგა დიდ ქალაქებზე. უელსს პირველად რუსეთში მოსვლია აზრად თავში, როგორც მან აღიარა, რომ ქალაქის გარეგნობა ხასიათდება დუქნებით და სავაჭროებით. მან ეს აღმოჩენა გაუხიარა თავის თანამოსაუბრეებს. ლენინმა „აღიარა“ რომ კომუნისტების დროს ქალაქები პატარავედებიან თავის ზომით, უელსმა ლენინს „მიუთითა“, რომ ქალაქების განახლება მოითხოვს გიგანტიურ მუშაობას და რომ პეტერბურგში უზარმაზარი სახლებიდან ბევრი მხოლოდ ისტორიულ ნაშთის მნიშვნელობას შეიძლება ჰქონდეს. ლენინი დაეთანხმა უელსის ამ შეუდარებლად საერთო დებულებასაც: „მე მგონია, — დართავს უკანასკნელი, — მას სიამოვნებდა ლაპარაკი ადამიანთან, რომელსაც ესმოდა კოლექტივიზმის ის აუცილებელი შედეგები რაიც ბევრ მის მიმდევარაა ყურადღების შორს რჩება“. ამ ესაა მასშტაბი, რომლითაც შეგიძლიათ თქვენ გაზომოთ უელსის ღონე! მას მიაჩნია თავის უდიდეს გამჭრიახობის ნაყოფათ ის აღმოჩენა, რომ კომუნისტების დროს ეხლანდელი ქალაქის შეგუფვლელი შენობები გაქროებიან, და რომ ბევრი ეხლანდელ კაპიტალისტურ არქიტექტურულ მღვეთაგანი შეიძლება მხოლოდ ისტორიულ ნაშთების მნიშვნელობას. (თუ არა დაიძახებენ პატრის დახვრულ იქნან). სად შეუძლიათ, რასაკვირველია, საწყალ კომუნისტებს („კლასობრივ ბრძოლის მომამბეზრებელ ფანატიკოსებს“, როგორც იმათ ნათლივს უელსი) მოიფიქრონ ასეთი აღმოჩენა, დიდი ხანია, სხვათა შორის, გერმანულ სოციალდემოკრატიულ ძველ პროგრამის პოპულიარულ კომენტარებში ახსნილი. ჩვენ უკვე არ ვიხსენიებთ, რომ ეს ყველაფერი იცოდნენ კლასიკის უტოპისტებმაც. ეხლა, იმედი მაქვს, თქვენც გაიგებდით რატომ „სრულიად ვერ შეაპისტებმაც. ეხლა, იმედი მაქვს, თქვენც გაიგებდით რატომ „სრულიად ვერ შეაპისტებმაც“ უელსმა ლაპარაკის დროს ის ლენინური სიცილი, რომლის შესახებაც ისე ბევრი უთქვამთ იმისთვის: ლენინს რა ეცინებოდა. მე ვეჭვობ კიდევ, რომ მის ღრძილებს ალბათ ანძრევდა რეფლექსი, სწორედ სიცილის წინააღმდეგ, მაგრამ აქ ილიჩს საჭირო სახსარს გაუწევდა მისი მოძრავი და ტყუიანი ხელი, რომელმაც ყოველთვის თავის დროზე იცოდა თავის თავით გართულ მოსაუბრესაგან დაფარვა უპატივცემლო მთქნარების რეფლექსისა.

როგორც უკვე გავიგონეთ, ლენინი უელსს არ არიგებდა — ამ მიზეზით, რომელსაც ჩვენ ვთვლით სრულიად საპატიოთ.

სამაგიეროდ უელსი მით უფრო დაბეჯითებით არიგებდა ლენინს. მას შეეგონებია მისთვის ის სრულიად ახალი აზრი, რომ სოციალისტების წარმატებისათვის „არა მარტო ცხოვრების მატერიალური მხარეს გარდაქმნაა საჭირო, არამედ მთელი ხალხის ფსიხოლოგიაც. მან მიუთითა ლენინს, რომ რუსები თავის ბუნებით ინდივიდუალისტები და ვაჭრები არიან“. იგი უხსნიდა მას, რომ კო-



მუნიციპალიტეტებულად ჩქარობს“ და ანადგურებს უმალ, სანამ არ იმეორდება აშენებას შესძლებდეს და სხვ. ამივე ყაიდიით. „ამან მოგვიყვანა ჩვენ—ამბობს უელსი.—ჩვენ შორის გაცილებების მთავარ პუნქტზე ევოლიუციონური კოლექტივიზმის და მარქსიზმის განსხვავების შორის, ევოლიუციონური კოლექტივიზმის სახით უნდა გაიგოთ ლიბერალიზმის. ფილანტროპიის, ეკონომიურ სოციალურ კანონმდებლობის და უკეთეს საოქიოზე საკვირაო ფიქრებისაგან შემდგარი ფაბიანური დოქტრინა. თვითონ უელსი თავის ევოლიუციონური კოლექტივიზმის არსებას ასე აყალიბებს: „მე მრწა ს ისე რომ საზოგადოების აღზრდის მიზან შეწონილი გზით შეიძლება არსებული კაპიტალისტური წყობილება განათლდეს და გადაიქცეს კოლექტივისტური“. (თვითონ უელსი არ ხსნის ვინ არსებითად და ვისზე) გაატარებს „აღზრდას მიზანშეწონილ გზით“: ღორღები ჩამოგრძელებულ სავეებით პროლეტარიატზე თუ, პირიქით, პროლეტარიატი გაიკლის ღორღების თავებზე? ო, არა რაც ვინდა ყველაფერი, მხოლოდ არა ეს უკანასკნელი. რაც არსებობენ ქვეყანაზე განათლებული ფაბიანგლები, ადამიანები გონების, უანგარო წარმოდგენთა, ჯენტლემენები და დედაები, მისტერ უელსი და მისტრისს სნოუდენ, თუ არა იმისთვის, რომ მიზანშეწონილ და ხანგრძლივ ამონებევით იმისა, რაც მათ სიკუთხარ თავის ქალაში იმალება, გაანათლონ კაპიტალისტური საზოგადოება და გარდაქმნან ის კოლექტიურად ისეთი გონიერი და ბედნიერი თანდათანობით, რომ დიდი ბრიტანეთის სამეფო დინასტიამიც კი ვერ შეაჩინოს ეს გადასვლა.

ყოველივე ეს გადაუშალა უელსმა ლენინს და ყოველივე ეს მოისმინა ლენინმა. „ჩემთვის,—მოწყალებით შენიშნავს უელსი,—სწორეთ მოსვენება იყო(!) მელაპარაკება ამ არა ჩვეულებრივად პატარა ადამიანთან“. მაგრამ ლენინისთვის?—ო, ბევრის მომთმენო ილიჩ! თავის გულში იგი, აღბათ, ამბობდა ზოგიერთ მეტად გამოძინატველ და ნოყიერ რუსულ სიტყვებს. ის არ უთარგმნიდა ამას ხემაღლა ინგლისურად მარტო არა იმისთვის, რომ ასე შორს არ ვრცელდებოდა, შესაძლოა, მისი ინგლისური ენის სიტყვარი, არამედ ზრდილობიანის მოსაზრებითაც. ილიჩი მეტად სრდილობიანი იყო. მაგრამ მას არ შეეძლო ბოლომდე დარჩენა ზრდილობიანათ დუმილში. „ის იძულებული შეიქნა,—განაცხობს უელსი,—ეპასუხებია ჩემთვის, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი განუკურნებლად ხარბია და მთლანგველია, და რომ მისი მორჯულება ყოველად შეუძლებელია.“ ლენინი ემყარებოდა ფაქტების მთელ წყებას, დასკვნილს, სხვათა შორის, მენეის ახალ წიგნში: „კაპიტალიზმსა გაანადგურა ინგლისის ნაციონალური ვერფებივერ მოახერხა ქვანახშირის მალაროების გონიერი სარგებლობა და სხვ. ილიჩში იცოდა ფაქტების და ციურების ენა. „გამოგიტყდებით,—მოულოდნელად დასძენს ბ. უელსი—მე ძლიერ გამიჭირდა მასთან კამათი“. რას ნიშნავს ეს? ეს,—პირველშეხედვით მოულოდნელი წინადადება, აქ არც ის მოულოდნელია, ის სისტემაში შედის, მას აქვს მთლიანი ფაბიანური, რევოლიუციონური, პედაგოგიური ხასიათი. ის გამოჭრილია ინგლისის კაპიტალისტებზე, ბანკირებზე, ღორღებზე და მათ მინისტრებზე. უელსი ეუბნება მათ: შეხედეთ, თქვენ იქცევით ისე ცუდათ, ისე გამანადგურებლად, ისე ანგარებით, რომ კრემლის მეოცნებესთან



კამათის დროს მე მიჭირს დავიცვა ჩემი, ჩემი ევოლუციონერი კოლექტივიზმის პრინციპი. გონს მოდიოთ, ადაარულებთ ყოველკვირეული ფაბრიკური განმანა, განათლებით, პროგრესის გზით იარეთ. ამგვარად, უელსის ნაღვრული უფროება არ არის თვითკრიტიკის დასაწყისი, არამედ მხოლოდ გაგზავნილი მარტო-ლობითი მუშაობის იმავე კაპიტალისტურ საზოგადოებაზე, რომელიც ასე დახელოვნებული და გაფაბიანებული გამოვიდა იმპერიალისტურ ომისა და ვერსალის ხელშეკრულებიდან.

უელსი მუშაობითი თანაგრძნობით 'შენიშნავს ლენინზე: „თავის საქმისადმი მისი რწმენა განუსაზღვრელია“ ამის წინააღმდეგ არათფერი გვაქვს საკამათო. თავის საქმეში ლენინს რწმენის მარაგი საკმაო ჰქონია. რაც მართალია, — მართალია. სხვათა შორის, ეს რწმენის ბლოკადის იმ ყრუ თვეებში მარაგი აძლევდა მას საშუალებას ესაუბრა ყოველ უცხოელთან, რომელსაც კი შეეძლო თუნდ ირიბი კავშირის გაბმა, რუსეთსა და დასავლეთს შორის. ასეთია ლენინის საუბარი უელსთან. სხვანაირად, სულ სხვანაირად ლაპარაკობდა ის ინგლისულ მუშებთან, რომელნიც ჩამოდიოდნენ მასთან. იმათთან მას ჰქონდა ცხოველი ერთობა. ის კიდევ სწავლობდა და კიდევ ასწავლიდა, და უელსთან საუბარს კი, არსებითად, ნახევრად — ძალდატანებითი დიპლომატიური ხასიათი ჰქონდა. „ჩვენი ლაპარაკი გაურკვეველად დამთავრდა“, — დაასკვნის ავტორი. სხვანაირად რომ ვსთქვათ შეჯიბრება ევოლუციონერ კოლექტივიზმისა და მარქსიზმის შორის ამ შემთხვევაში დასოულდა — არცერთისად. უელსი დიდბრიტანეთში წავიდა, ლენინი კი კრემლში დარჩა. უელსმა დიდი ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის დასწერა თავსახვევისადგვარი კორესპონდენცია, ლენინი კი თავს აქნევდა და იმეორებდა: „აი, მეშინინი! ოხ, ხო, პო, რა ფილისტერია!“

\* \* \*

დასაშვებია, შეიძლება, რისთვის და რატომ შეეჩერდი მე ეხლა, ოთხი წლის შემდეგ, უელსის ამ ფრიად უმნიშვნელო წერილზე. ის გარემოება, რომ ეს წერილი მოყვანილია ერთ-ერთ, ლენინის სიკვდილზე მიძღვნილ კრებულში, რასაკვირველია, არ არის საუფუხელი. არც ის მოიყვანება საკმაო გამართლებათ რომ ეს სტრიქონები იწერებოდა ჩემ მიერ სოხუმში, ექიმობის დროს. მაგრამ მე მაქვს უფრო სერიოზული მიზეზები. ეხლა ინგლისის სახელმწიფოს სათავეში ხომ უელსის პარტია დგას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ევოლუციონერ კოლექტივიზმის განათლებული წარმომადგენლები. და მე მომეჩვენა, — ბგონი არც ისე უსაფუძვლოდ, რომ უელსის, ლენინისადმი მიძღვნილი სტრიქონები, შესაძლოა, უფრო, ვიდრე ბევრი სხვა რამე გვიშლიდეს ჩვენ ინგლისის მუშათა პარტიის ხელმძღვანელ ფენების სულს: ბოლოს და ბოლოს მათ შორის უელსი არც უკანასკნელია. რა გულსაკლავად ჩამორჩნენ ეს ადამიანები, დატვირთულები ბურჟუაზიის ცრუმორწმუნეობის მძიმე ტყვიით! იმათი მგზავრობა — ინგლისის ბურჟუაზიის უდიდესი ისტორიულ როლის დაგვიანებული რეფლექსი — არ აძლევს მათ ნებას ჩაფიქრდნენ ისე, როგორც საჭიროა, სხვა ხალხთა ცხოვრებაში, ახალ იდეურ მოვლენებში, და ისტორიულ პროცესში, რომელიც იმათ თავზე მიგორავს. ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ აზრის ლაგამ ქვეშ მყოფი ემ-



პირიკოსები დაატარებენ მოელს ქვეყანაზე თავის ცრუმორწმუნეობას და აბერ-  
ხებენ, რომ თავის გარშემო არაფერი შეამჩნიონ გარდა საკუთარი თავისა. ლე-  
ნინი ევროპის ყველა კუთხეში სცხოვრობდა, ითვისებდა, ეცხოვრებოდა, კით-  
ხულობდა, სწავლობდა, ისმენდა, ვებულობდა, აღარებდა, აერთიანებდა. ჩადგა  
რა უდიდეს რევოლიუციონურ ქვეყნის სათავეში, ის არ უშვებდა შემთხვევას  
კეთილსინდისიერად და ყურადღებით შეესწავლა, გაეკითხა, გაეგო. ის დაულ-  
ღელაფ აღფენებდა თვალყურს მთელი ქვეყნის ცხოვრებას. ის თავისუფლად  
კითხულობდა და ლაპარაკობდა გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად, კით-  
ხულობდა იტალიანურად, თავის ცხოვრების უკანასკნელ წლებში, მუშაობით  
დატვირთული, ის პოლიტიკურს სადომებზე ჩუმჩუმათ იხეპარებდა ჩებურ  
გოამატიკას. რომ უშუალო მონაწილეობა მიეღო ჩეხოსლოვაკიის მუშათა მოძ-  
რაობაში; ჩვენ მას ამისთანაობაში ხშირად „ვიჭვრდით“ და ისიც ცოტა არ  
იკოს დარცხვენით იცინოდა და მართლულობდა... მასთან პირის პირ კი უელ-  
სი, გამოხატულება ვიწრო მეშჩანების, რომელნიც იხედებიან, რათა არ დაინა-  
ხონ, და ფიქრობენ, რომ თითქოს მათ რომ არაფრის სწავლა არ სჭირდებათ  
რადგან უზრუნველყოფილი არიან თავისი შემკვიდრობითი ცრუმორწმუნეობის  
მარაგით. და ბ მაკდოხალდი კი, რომელიც წაიშობადაგენს უფრო განდიდებულს  
და იმავე ტიპის მოღუშულ პურიტანულ სხვა და სხვაობას, ამშვიდებს ბუფუა-  
ზიულ სასოგადოებრივ აზრს: „ჩვენ შევებოდითა მოსკოვს და ჩვენ ვაეიმარ-  
ჯვეთ მოსკოვსედ. მათ ვაიმარჯვეს მოსკოვზე? აი, ქვეშარიტად საწყალი „ბატა-  
რა კაცუნები“, თუმცა და მაღალის ტანით! მათ ეხლაც კი ყოველივე მის შემ-  
დეგ, რაც მოხდა, არაფერი არ იციან თავის საკუთარ ხვალინდელ დღის შესა-  
ხებ. ლიბერალური და ბურჟუაზიული საქმის მკეთებლები გაუჭირვებლად სარ-  
გებლობენ „ევოლიუციონურ“ სოციალისტურ პედანტებით რომელნიც მთავრო-  
ბაში იმყოფებიან, სახელს უტყვენ მათ და შეგნებულად აზადებენ მათ დამბო-  
ბას, არა თუ მინისტრულს, არამედ პოლიტკურსაც. ამისთანავე, ისინი ისევ  
უმხადებიან, მაგრამ უკვე ბევრად ნაკლები შეგნებით, ინგლისის მარქსისტების  
მიერ ძალა უფლების მიღებას. დიან, დიან, მარქსისტების, „კლასთა ბრძოლის  
მომაბეზრებელ თანატოკოსების.“ ვინაიდან, ინგლისის სოციალური რევოლი-  
უციაც, მარქსის მიერ დამტკიცებულ კანონების მიხედვით, გადაწყდება.

უელსი, მისთვის დამაბასიათებელ პუდრელის მსგავს მომძიმო გონება მა-  
ხვილონით, ოდესღაც იმუქრებოდა აელო მაკოატელი და მოეპარსა მარქსისტის  
მისი „დოკტრინური“ შეველიურა და წვერები, გაეინგლისილება მარქსი და  
გაეფაბიენილება იგი. მაგრამ ამგვარ დაწყებიდან არაფერი გამოსვლია  
და არც გამოვა. მარქსი ისევ, მარქსად დარჩება, როგორც ლენინი დარჩა ლე-  
ნინად, იმის შემდეგაც რაც უელსმა ბთელი საათის ვანმაგლობაში მოაქცია იგი  
თავის ბლაგვ სამართებელის ზედმოქმედების ქვეშ. და ჩვენ ვიღებთ ჩვენს თავ-  
ზე გაბედულობას ვიწინასწარმეტყველოთ, რომ არც ისე შორეულ მონავალნი  
თვით ლონდონში, მაგალითად, ტრაფალვარ—ბალზე იქნება აღმართული ერ-  
თმანეთის გვერდით ორი ბრინჯაოს ფიგურა: კარლ მარქსის და ვლადიმერ ლე-  
ნინის. ინგლისელი პროლეტარები ეტყვიან თავის ბავშვებს: „რა კარგია, რომ  
ლანიო Pany-ს პატარა კაცუნებს არ „დასცალდათ არც, გაკრეჭა და არც გაპარ-  
სვა ამ ორი გიგანტის!“ ამ დროის მოლოდინში, — შევეცდები მივალწიო იმ დღემ-  
დე, — მე ვრთი წუთით ვხუჭავ თვალებს და გარკვეულად ვხედავ ლენინის ფიგურ-  
რას სავარძელში, აი სწორედ იმანი, რომელშიაც იგი ხახა უელსმა და მესმის  
— უელსთან შეხვედრის მეორე დღეს, და შეიძლება იმავე დღესაც — გულითადი  
ოხვრით წარმოთქმული სიტყვები: „ну и мешали! Ну и филистер“.





# გარკნივი და ხელოვნება

## ხელოვნება და პოლიტიკა.

მხატვრული მწერლობის გარეშემო წამოიჭრა ახალი საკითხი. თავისუფალი უნდა იყოს ეს მწერლობა, თუ ის უნდა ემსახურობოდეს რევოლიუციას. ასე კონკრეტულად წამოაყენა დღევანდელმა სინამდვილემ ეს საკითხი საბჭოთა რუსეთში.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მომხდარ თათბირზე გამოიკვია ორი მიმართულება: ერთს წარმოადგენდა ცნობილი კრიტიკოსი ვორონსკი, მეორეს — ცნობილი პუბლიცისტი ილ. ვარდინი.

ორი მიმართულებაა ეს პირველი შეხედვით. არსებითათ ორივე მომხსენებელი იცავდა იმ აზრს, რომ სამხატვრო მწერლობა უნდა იდგეს რევოლიუციონერ ხაზზე და მაშასადამე ემსახურობოდეს რევოლიუციას.

მაგრამ პირველი მიმართულება აღიარებს მეტ თავისუფლებას, არ არის მარტო ერთი მწერლური ჯგუფის მომხრე. ვორონსკის აზრით „მმართველი პარტია ხელს უნდა უწყობდეს ყველ რევოლიუციონერ ჯგუფებს და სიფრთხილით ასწორებდეს მათ ხაზს.“

მეორე მიმართულება უარყოფს ამისთანა სიფრთხილს. ილ. ვარდინი არ არის იმის მომხრე, რომ ყოველ მწერლურ ჯგუფს ექნეს თავისუფლება. ის აღიარებს კომუნისტური პარტიის დიკტატურას სამხატვრო მწერლობის ფრონტზე.

საკითხის დედააზრი იმაშიაო, — აბობს ეს მომხსენებელი, რომ მწერლობა უნდა გადავაქციოთ საკუთარ იარაღად... ჩვენ უნდა გადავდგათ ესა თუ ის ნაბიჯები, მივიღოთ ესა თუ ის ხელმოსაკიდებელი ზომები, რომ რევოლიუციას ჰკავდეს თავისი საკუთარი მწერლები... დანაშაულია პატარ-პატარა გადახრადმოხრის მოთმენაც... ჩვენ გვჭირდება კომუჯრედი, ჩვენ გვიწევს ბოლშევიკური ფრაქცია მწერლობაში. ასეთი კომუჯრედი, ასეთი კომუნისტური ფრაქცია იქნება პროლეტარული მწერლობის ჯგუფი... უპარტიო მწერლები უნდა შემოვიკრიბოთ კომუჯრედის, კომუნისტური ფრაქციის გარშემო. უპარტიო მწერლებს, ჩვენ ვუბელმძღვანელებთ ისე, როგორც საერთოდ, უპარტიო წრეებს — ფრაქციის, კომუჯრედის საშუალებით... ესერებმა სწორედ გაიგეს ჩვენი ამოცანა. სწორედ გაიგეს, რომ სახელმწიფო სულიერადაც უნდა შეიქცედოს. ვორონსკის ეს არ ესმის. რამდენადაც ჩვენ აქ ბრძოლას ვაწარმოებთ, ჩვენ გვჭირდება მწერლური ჩეკა, ამხანაგებო, ეს უნდა გაევიგოთო“\*).

\*) Политика И. К. П. худож- литературе.



პირველ მიმართულებას ცოტაოდნად სწამს, რომ საბატერული მწერლობასთან დამოკიდებულება, ეს არის უფრო ხელოვნების საკითხი, ვიდრე მიმართულებას ეს სულ არა სწამს, იმას ეს მიაჩნია მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ საკითხად.

თათბირზე კამათში მონაწილეობა მიუღიათ კომუნისტური პარტიის პირველხარისხოვან ხელმძღვანელებს. რეზოლიუცია თათბირის მიერ მიღებული თითქმის ამთავლებს ორ მიმართულებას. ის მოითხოვს, რომ მეტი სიფრთხილით—მოექცენ არა კომუნისტურ მწერლებს, არ შემოირეკონ გარშემო ნიჭიერი მწერლები და იმავე დროს პარტიული კრიტიკის საშუალებით ხელი შეუწყონ ნამდვილი პროლეტარული მწერლობის შექმნას.

## II

ზემოდ მე ვთქვი, რომ ეს არის ახალი საკითხი. აქ უნდა განვმარტო ჩემი ნათქვამი. თავისუფალია თუ არა მხატვრული მწერლობა, ხელოვნება, საერთოდ, ეს ახალი კი არაა ძველის ძველი საკითხი. მშართველი პარტიის ც. კ-ს თათბირზე ეს საკითხი დადგა პოლიტიკური მხრით. კომუნისტური ფრაქცია, კომუჯრედი, დაქტატურა, მწერლური ჩეკა მხატვრული მწერლობის ფრონტზე, — ეს არის სიახლე ამ საკითხის დაყენებაში.

ამ მხრით კიდევ ბევრი ითქმება. ბევრი დაიწერება ხელოვნების შესახებ. ალბად გვექნება შემთხვევა და შესაძლებლობაც თვალი ვადევნოთ საკითხს და ჩვენი აზრიც გამოვთქვათ ხოლმე.

ჯერ კი შევეხებით საკითხის საზოგადოებრივ მხარეს. თავისუფალი უნდა იყოს მხატვრული მწერლობა კი არა, თავისუფალი არის თუ არა ის — ასე დგას საკითხი, თუ მარქსისტულად შევხედავთ.

მე შევეცდები გავარკვიო მარქსიზმის ხაზი. მარქსს, როგორც ვამბობდი ხელოვნებაზე საგანგებოთ არ უწერია. მაგრამ მისი შექმნილი კვლევა-ძიების მეთოდი ჩვენ ვიცით. ერთი თავის წიგნის („Zur Kritik der Politischen Ökonomie“) წინასიტყვაობაში მარქსი სწერს: — საზოგადოებრივი წარმოების დროს ადამიანები იჭერენ ერთი მეორესთან განსაზღვრულ ურთიერთობას. ეს საწარმო ურთიერთობა ეწყობა აუცილებლად, ის არ არის დამოკიდებული თვითონ ადამიანების ნებისყოფაზე, ის უთანაბრდება ნივთიერ საწარმოო ძალების განვითარების ამა თუ იმ საფეხურს. ეს ურთიერთობაა ეკონომიური საძირკველი, რომელზედაც შენდება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი, ამის შესაყერისად ეკიდება ფესვი შეგნების განსაზღვრულ ფორმებს. ის წარმოების წესი, რომელიც ჰქმნის ნივთიერ ცხოვრებას, ნიადაგია სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესის. შეგნება კი არ ჰქმნის ადამიანების მდგომარეობას, პირიქით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა ჰქმნის მათ შეგნებას. როცა ეკონომიური საძირკველი იცვლება, მაშინ იმაზე ანართული ვეებერთელა ზედნაშენიც ცვლდება განიცდის ან ნელა ან სიჩქარით.

ხელოვნება არის ერთ ერთი სახე ადამიანის შეგნების, ერთ ერთი დარგი იდეალოგიის. თუ შეგნება ნივთიერი ურთიერთობიდან გამომდინარეობს,



თუ ეკონომიურ საძირკველზე შენდება იდეოლოგია, მაშინ ხელოვნება არ შეიძლება თავისუფალი იქნეს დამოკიდებულებისაგან და ზედნაშენობისაგან.

მარკსის აზრით, მაშასადამე, ხელოვნება არ არის თავისუფალი ხელოვნებას, როგორც იდეოლოგიის სხვა დარგებს, ფესვები აქვს გადგმული ნივთიერ ურთიერთობაში და არ არსებობს არსად ამ ურთიერთობის გარეშე.

რა თქმა უნდა, ეს არ კმარა საკითხის გადასაჭრელად. ხელოვნებაში ვერაფერს ვერ ვაიგებ, თუ მარტო ის გეცოდინება, რომ ეკონომიური საძირკველის ცვლასთან ერთად იცვლება იმაზე ამართული იდეოლოგიური ზედნაშენიც.

უშუალოდ მოქმედობს თუ არა ეკონომიკა ხელოვნებაზე. ეს არის მეორე საკითხი—გაგრძელება პირველი საკითხის. ხელოვნება არ არის თავისუფალი, ის საზოგადოებრივ ურთიერთობაზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვნება ჩრდილივით მისდევს თან საზოგადოებრივ ურთიერთობას. დავუგდოთ ყური პლექხანოვს, რომელსაც ყველაზე მეტი უწერია ხელოვნების კითხვებზე და რომელმაც საკვირველი სიღრმე-სიფართოვით მიიტანა მარკსისტული მეთოდი ამ კითხვებთან.

— დიალექტიური მატერიალიზმის მომხრეებზე, ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ისინი ხალხის შეგნების ყოველ მხარეს ხსნიან მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ფაქტორის ხეგავლენით. ეს მეტის მეტად შემცდარი გაგებაა მათი აზრების. ისინი ამბობენ სულ სხვას. ისინი ამბობენ, რომ მწერლობაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში იხატება საზოგადოებრივი ფსიხოლოგია, და საზოგადოებრივი ფსიხოლოგიის ხასიათი კი ისახლვრება იმ ურთიერთობით, რომელშიაც იმყოფებიან ამა თუ იმ საზოგადოების ადამიანები \*). სხვა წერილში პლექხანოვი ამბობს:

— ყოველნაირ იდეოლოგიას ერთნაირი ძირი აქვს, ეს ძირია საზოგადოებრივი ფსიხოლოგია. ეს ადვილად ვაიგება. და ამაში დარწმუნდება ყველა ის, ვინც თუნდ ზერულედ გაეცნობა ფაქტებს. ავიღოთ მაგალითისთვის, თუ გნებავთ, საფრანგეთის რომანტიზმი. ვიქტორ ჰიუგო, ეჟენ დელაკრუა და ჰექტორ ბერლიოზი მუშაობდნენ სამ სულ სხვა და სხვა დარგში. ისინი საკმაოდ შორი შორს იყვნენ ერთიმეორისგან. ყოველ შემთხვევაში, ჰიუგოს არ უყვარდა მუსიკა, დელაკრუა პატივისცემით არ ეკიდებოდა მემუსიკე რომანტიკოსებს. და ამ სამ შესანიშნავ პიროვნებას მაინც სამართლიანად არქმევენ რომანტიულ სამებას. მათ შენოქმედებაში გამოიხატა ერთი და იგივე ფსიხოლოგია. შეიძლება ითქვას, რომ დელაკრუას სურათს „დანტე და ვირჯილი“ ემჩნევა იგივე სულიერი განწყობილება, როგორიც ვიქტორ ჰიუგოს „ერნანი“-ს და ბერლიოზის ფანტასტიურ სიმფონიას \*\*).

პლექხანოვის აზრით, როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივ ურთიერთობაზე შენდება იდეოლოგია და მისი ერთ-ერთი დარგი ხელოვნებაა, მაგრამ ეს ურთიერთობა არ მოქმედობს უშუალოდ. უშუალოდ ხელოვნებაში იხატება გუნება, სულიერი განწყობილება (настроение), გემოვნება, აზროვნება, გრძნობა ამა თუ

\*) „Жя 23 л. 1“ лн. взглядм Белнского.

\*\*\*) Основные вопросы марксизма 68.



იმ დროის ადამიანის, წრის, კლასის, საზოგადოების ყოველივე ეს კი თავის მხრით დაბოკიდებულია საზოგადოებრივ ურთიერთობაზე.

მაშასადამე ხელოვნება არ არის თავისუფალი. ის ატარებს ანუ უნდა იქონიებდეს საზოგადოებრივი ცხოვროების ბეჭედს. ნათესაობა აქვს ინასთან, მაგრამ არ შეიძლება იდეოლოგიის იმე წარმოდგენა, რომ მისი დარგები ცალ-ცალკე შტოებად იხრდებიან ადამიანთა ურთიერთობის ნიადაგზე. არ შეიძლება ხელოვნება წარმოვიდგინოთ ისეთ შტოთ, რომელიც ეზრდება მარტო ეკონომიკას და რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს იდეოლოგიის სხვა შტოებთან. პლენანოვი სწერს:

— ეკონომიკის უშუალო გავლენა ხელოვნებაზე და იდეოლოგიის სხვა დარგებზე ძალიან იშვიათი მოვლენაა. უფრო ხშირად მოქმედობენ სხვა ფაქტორები — პოლიტიკა, ფილოსოფია და სხვა. ხან მოქმედობს უფრო ერთი მათგანი, ხან მეორე, მაგ. გერმანიაში, წარსულ საუკუნეში ხელოვნების განვითარებაზე ძალიან იმოქმედა კრიტიკამ, ე. ი. ფილოსოფიამ, საფრანგეთში რესტავრაციის დროს მხატვრული ძწერლობა იმყოფებოდა პოლიტიკის მძლავრი გავლენის ქვეშ... თავსაც კი ვერ გაართმევ ვერ ჩამოსთკლი რამდენაირათ იზღარტიბიან ერთმანეთში სხვა და სხვა ფაქტორები სხვა და სხვა ქვეყნებში და საზოგადოებრივი განვითარების სხვა და სხვა ხანებში\*\*.)

ხელოვნებას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი გავლენა ც იდეოლოგიის სხვა დარგებზე, მაგ. პოლიტიკაზე, ფილოსოფიაზე...

### III

თავისუფალი ხელოვნება ეს არის ხელოვნება ხელოვნებისათვის. ჩვენ ვავიციანით ცოტად თუ ბევრად მარტოხმის მიდგომა ამ საკითხთან, და ვნახეთ, რომ ხელოვნების დასაბამი იწყება საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში. თუ ამ პირობების გარეშე ხელოვნება წარმოუდგენელია, მაშინ ის თეოოია, რომელსაც ჰქვია ხელოვნება ხელოვნებისათვის ვერაფერს ვერ აგვიხსნის ხელოვნების მოვლენებში.

მაგრამ იქნება მშვენიერების გრძნობა მარტო ნივთიერ ურთიერთობაზე არ იბადება ადამიანში. იქნება ადამიანს თანდაყოლილი აქვს ეს გრძნობა ისე, რომ წინ უსწრებს ყოველივე სხვა ინტერესს. პლენანოვი იკვლევს პირველყოფილ ხელოვნებას, მოჰყავს აუარებელი მაგალითები ველური ხალხების ცხოვრობიდან და მეცნიერულ ძიების გზით მიდის შემდეგ დასკვნამდე:

— პირველყოფილი მონადირის მხატვრული მოქმედება პირდაპირ გვემოწმება იმაში, რომ ჯერ ამ მონადირეს ჰქონდა წარმოება სასარგებლო საგნების, ჯერ ჰქონდა, ერთი სიტყვით, მეურნეობა და მერე ხელოვნება, რომელსაც მეურნეობამ დაასვა თავისი ბეჭედი. რას წარმოადგენენ ჩუქჩების ნახატები (рисунки чукчей) ეს არის სხვა და სხვა სცენები მონადირის ცხოვრობიდან ცხადია ჩუქჩები ჯერ მოეკიდენ ნადირობას, მერე კი გადმოიღეს ნადირობა სურათებში-

\*) Основные вопросы марксизма 6..

\*\*\*) За 20 л. лет. изд. Болшевико.



ამნაირადვე, თუ ბუშმენები ხატავდნენ თითქმის მხოლოდ ფარშაყანგებს, სპილოებს, ბეგემოტებს, სირაქლეშებს და ახვ., ეს იმიტომ, რომ ეს ცხოველები დიდსა და გადამწყვეტ როლს თამაშობენ მონადირის ცხოვრებაში. ჯერს ~~არსამინამაძე~~ დაიკავა განსახლებული ურთიერთობა (დაიწყო ნადირობა მათზე ~~მეორე~~ ~~სწორედ~~ იმიტომ, რომ ამნაირი ურთიერთობა დაიკავა, — დაებადა მისწრაფება ამ ცხოველების ხატვის... მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული ჩვენ ვერაფერს გავიგებთ პირველყოფილი ხელოვნების ისტორიაში, თუ ვერ შევითვისეთ ის აზრი, რომ შრომა ხელოვნებაზე უფროსია, და რომ ადამიანი ჯერ საგანს და მოვლენას უყურებს სარგებლიანობის მხრით, მერე კი ესთეტიური თვალხედვითი ისრით \*).

პლენხანოვი ეკამათებოდა ჩერნიშევსკის, რომელსაც იდეალისტური შუქი შეჭქონდა ხელოვნების მოვლენებში. ჩერნიშევსკი იყო უფრო მატერიალისტი ვიდრე იდეალისტი. მაგრამ ის არ იდგა დიალექტიური ნატერიალიზმის ხაზზე და იდეალისტურად გამოუდიოდა მატერიალისტური მიდგომა. ის უარყოფდა მაგალითად, იდეალიზმის იმ შეხედულებას, რომ ხელოვნება და თამაში ერთი და იგივეა. უარყოფდა, რადგან მისი აზრით თამაში უბრალო გართობაა და სხვა არაფერი. პლენხანოვს არ აკმაყოფილებდა ეს ცალწერივი ახსნა.

— თამაში შრომის შკოლაა, — სწერდა ის, — და სწორედ იმიტომ არ შეიძლება ყოველთვის ჩაითვალოს ცარიელ გართობად. \*\*). ვინც სულ არ შრომობს, ვისაც უშრომლად შეუძლია ცხოვრება, იმისთვის არის თამაში მარტო გართობა. ვინც შრომობს, ვისაც უშრომლად ცხოვრება არ შეუძლია, იმისთვის თამაში შრომისგან გამოდის, იმას შრომასავეთ სჭირდება თამაში და ცარიელი გართობისთვის არ სცალიაო.

ერთი სიტყვით, თამაში-გართობა არ არის ისეთი მხარე ხელოვნების, რომელიც არ გამოიმდინარეობს საჭიროებისგან, იმ ურთიერთობისგან, რომელიც ამ საჭიროების ნიადაგზე ადამიანს აქვს ბუნებასთან და ადამიანთან.

ამ ურთიერთობისგან დამოუკიდებელი ხელოვნება არ არსებობს. ამ მხრით ხელოვნების თავისუფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

მაშასადამე, ურთიერთობის ცვლას თან უნდა მოსდევდეს ცვლა ხელოვნებაშიაც. ერთ საზოგადოებრივ პირობებში ადამიანს აქვს ერთნაირი გემოვნება, გრძნობა, გუნება, აზრი, მეორე პირობებში, მეორენაირი. ასე იფიქრებს ის მარქსისტი, რომელსაც ჯერ მარქსიზმი ხეირიანად ვერ შეუსწავლია. ხემოდ მე მოვიყვანე ცნობილი ადგილი მარქსის ცნობილი წინასიტყვაობიდან. როცა ეკონომიური, საზოგადოებრივი საძირკველი იცვლება, მაშინ მისი ზედნაშენი იდეოლოგიაც იცვლებაო მაგრამ მაშინ არ არის მაშინვე. გადის ხოლმე დიდი ხანი, როცა ეკონომიური საძირკველი გამოცვლილია, და, მაგალითად, პოლიტიკა რჩება უცვლელი. ბატონყმურ ურთიერთობის საძირკველზე აშენებულმა სეიტმპრობელობის პოლიტიკამ იცოცხლა დიდ ხანს კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულად შეცვლილ ურთიერთობის ნიადაგზედაც. თვითმპრობელობის პოლიტიკა ხელს უშლიდა ბატონ-ყმური ეკონომიკის სავსებით შეცვლას. მარქსს

\*) „Искусство у первоб. народов“ см. „Искусство“ 1922 г.

\*\*\*) Н. Г. Чернышевский 220-221.



და ვნგელსს გასული საუკუნის დამლევისათვის შესაძლებლად მიაჩნდათ / ვწინასწარმეტყველებიათ კაპიტალისტური ურთიერთობის დანგრევა და სოციალისტური რევოლუციის დაწყება ევროპაში. მაგრამ ასეთი აზრით მუსსოლინი იყო ისიც, რომ ბურჟუაზიული კლასების პოლიტიკა დიდხანს გააძლებინებდა კიდევ ფესვებმოჭმულ კაპიტალისტურ ეკონომიკას.

პოლიტიკას კი არა მარტო, საერთოდ იდეოლოგიას გავლენა აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელზედაც ის არის აღმოცენებული. მეცნიერული განოკვლევით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ სარწმუნოებას აქვს დიდი გავლენა ეკონომიურ პირობებზე, და ის ფეხმოკიდებულია ისევ, თუმცა აღარ არის მისი წარმომშობი ეკონომიური პირობები. ცხრამეტ საუკუნეზე მეტია, რაც დაიბადა ქრისტიანობა და იმის ახლანდელი დროის გამძლეობას ვერ გაიგებს ის მარქსისტი, რომელიც მარქსიზმს ანბანის ამოთვლით კითხულობს.

არის იდეოლოგიაში ისეთი მხარე, რაც არ ისპობა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებთან ერთად ყველაზე უფრო არის ეს ხელოვნებაში.

კარგა ხანია, მოსკოვის „პრავდაში“ ვნახე ერთი „სპეცის“ წერილი ხელოვნების შესახებ. რუსეთში დიდი რევოლუცია მოხდა, რევოლუციის პოეზია ჯერ სიზმრადაც არა გვაქსო. ბევრს ეგონებოდა და ეგონა კიდევ, რომ ოქტომბრის გადატრიალებას მაშინვე თან მოჰყვებოდა გადატრიალება ხელოვნებაშიც.

## IV

„ჩირალდანის“ ერთერთ ნომერში იყო ლუნაჩარსკის მოგონება, — ლენინს ძალიან უყვარდა რუსი კლასიკებიო. ალბად, კლასიკებში ლენინი ხედავდა რამეს, იმის გარდა, რომ ისინი არ ეკუთვნოდნენ მუშა-გლეხურ წრეებს. პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევისკი, ტოლსტოი და სხვა, ალბად, იმის გარდა, რომ ძალაღ წრეებში, მეფის სასახლეებში ტრიალებდნენ, ჰქმნიდნენ ისეთ რამეს, რაც უყვარდა . . . ლენინს ოქტომბრის გადატრიალების შემდეგაც არა მარტო ლენინს, პუშკინი, არ ვიცით, ვის არ უყვარს, ვინ არ კითხულობს სიამოვნებით იმისი შემოქმედების მეწყვიდრიობას!..

— ლ. ტოლსტოი მე მიმაჩნია უდიდეს მხატვრად, მაგრამ მეტის მეტად სუსტ მოაზროვნეთო, — პლენანოვი სწერდა ერთხელ. \*) სხვანაირი მხატვარი და სხვანაირი მოაზროვნე — ეს არ არის ერთი და ორი მაგალითი ხელოვნების ისტორიაში. იქნება, ვინემ სთქვას, — პლენანოვი მაშინ მენშევიკი იყო და იმითომ ამბობდნენ, ასე მარქსიზმსო ამისთანების საყურადღებოდ მე მაგონდება ერთი ნომერი ბოლშევიკური „პრავდის“, რომელიც გამოდიოდა რამდენიმე წლის წინად რევოლუციამდის. იქ მოყვანილი იყო ტურგენევის წერილები. პოლიტიკური ხასიათის წერილებიდან სჩანდა, რომ ტურგენევს გული უძიჯბიგობდა მე-

\*) პლენანოვი წერილი შემთხვევით წუთს „мысль“-ში, რომელიც გამოდიოდა რევოლუციამდის. ნომერი ხელთ არა მაქვს. ეს სტრიქონები მახსოვს თითქმის სიტყვა სიტყვით.



ფისთვის და რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. — ტურგენევი დიდი მხატვარი იყო, — შენიშნავდა გაზეთი, და პოლიტიკურად კი რეაქციონერებს ეკუთვნოდაო. პოლიტიკაში ტურგენევს ენანებოდა ფეოდალურმა მხატვრობისმა გაქრობა, მხატვრობაში კი ის იძლეოდა მათი ქრობის სურათს. რუსის მხატვრობაში რომ ის იგივე დარჩენილიყო, რაც პოლიტიკურ აზროვნებაში იყო, მაშინ ჩვენ უნდა გვეთქვა, რომ ხელოვნება თავისუფალია საზოგადოებრივი ურთიერთობის გავლენიდან. პირიქით ეს გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ის ხელოვნებაში მხატვრულ კალამს ისე არ ამოძრავებს, როგორც ეს შეეფერება თვითონ მხატვრის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ინტერესს. ამის მაგალითს გვაჩვენებენ არა მარტო რუსეთის კლასიკები.

ვიქტორ ჰიუგოს პოლიტიკურ სიტყვებში არის ერთი ადგილი:

— „იმ პოლიტიკურ მდგომარეობაში, რომელიც ჩვენ გვაქვს, მე მეკითხებიან ჩემს აზრს. აი ჩემი აზრი. თრი რესპუბლიკაა შესაძლებელი. ერთი ჩამოაგდებს სამფროვან დროშას და ააფრიალებს წითელს... გადმოაყირავებს ნაპალეონის ძეგლს, ამართავს მარატის ძეგლს, დაანგრევს დაწესებულებებს, სწავლავნათლებას, საპატიო ლეგიონებს, თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის ლოზუნგებთან გადაისვრის და დაგვაყენებს ხიკვდილის წინაშე, შეჭმნის საერთო გაკოტრებას, გაალატაკებს მდიდრებს და ვერ გაამდიდრებს ლატაკებს, მოსპობს საყოველთაო კეთილდღეობის წყაროებს, გაანადგურებს შრომას, რომელმაც პური უნდა მისცეს თვითეულ ადამიანს, გააქარწყლებს საკუთრებას, ოჯახს, ქუჩებზე გაივლის ხიშტებზე წამოგებული თავებით. გაავსებს ციხეებს უბრალო ეჭვის შეტანით, და ტუსალების ამოკვეთით დააცარიელებს იმავე ციხეებს, ევროპას გადაისვრის ცეცხლში და ნაცრად გადააქცევს ცივილიზაციას, სიბნელეს გაამეფებს საფრანგეთში. ამოაღრჩობს თავისუფლებას, ხელოვნებას, მოსპობს აზრს, აღარ იწამებს ღმერთს...“

მეორე რესპუბლიკა შეჭმნის წმინდა თანხმობას საფრანგეთის და სხვა ერებისას დემოკრატიული პრინციპების ნიადაგზე, მოგვცემს თავისუფლებას, უზურპაციის და სიმკაცრის დაუშვებლად... ძალას ააშენებს იმავე ნიადაგზე, რომელზედაც აშენდება თავისუფლება, და ეს ნიადაგი იქნება უფლება, ძალას გახდის შეგნების მორჩილად, გააქარწყლებს ამბოხებას და ომს—ამ ორ მხარეს ბარბაროსობისას, წესიერებას გადააქცევს კანონად მოქალაქეებისთვის, მშვიდობიანობას ჩამოაგდებს ერებისთვის. გაიზრდება საფრანგეთი. სათავეში ჩაუდგება მთელ ქვეყნიერებას. ეს იქნება კაცობრიობის აღფრთოვანება დაკმაყოფილებული ზეციერების ქვეშ.

ამ ორ რესპუბლიკაში ერთსჳქვია ცივილიზაცია, მეორეს ტერორი. მე მზად ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე შევსწირო პირველის გამტკიცებას და ხელი შევუშალო მეორის მოვლინებას\*).

როგორც სჩანს, პოლიტიკაში კი ჰიუგო იყო ნამდვილი კონტრ-რევოლუციონერი.

მხატვრობაში?

\*) Victor Hugo (Actes et paroles) A vant lexil, 165-167.



არის მის დიდ რომანში („Les Misérables“) აღვიღებ, სადაც ეს დიდი მხატვარი თვალწინ გვიყენებს საუცხოვო სურათებს ბურჟუაზიული წესწყობილებისას. ვერ გამოარჩევ ვერც ერთ სურათს, ყველა გამოსახულება მისი დახატული სიმახინჯე ბურჟუაზიული წესწყობილების საფუძვლად იგულისხმება იმ რესპუბლიკას, რომლისთვისაც ის მზად იყო შეეწირა მთელი თავისი სიცოცხლე.

ძალიან იშვიათია ხელოვნებაში ისეთი შემოქმედება, რომ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდეოლოგია იგივე იყოს, რაც მხატვრულად მოცემული სურათები.

მხატვრული შემოქმედების პროცესში, როგორც აღსარებაში მართლმორწმუნე, ისე იწმინდაკს თავს მხატვარი თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდვებისგან. გოგოლი სწერდა „მკვდარ სულელებში“\*) ჩემი საკუთარი სისაძაგლის გამომხეურობა მინდოდაო. ი. ჭავჭავაძეს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდვა მიუძღოდა იმ წესწყობილებაში, რომელმაც წარმოშვა „კაკო ყაჩაღები“ და ამ ცოდვას ის აღიარებს, როცა სწერს:

— ნიაჲო, ჩემო ნიაჲო,  
 ნუ სჩაგრაჲ ტყეში კაკოსა,  
 მსტვინაჲო ჩემო ნსტვინაო,  
 შენ უალერსე კაკოსა!  
 ნიაჲო ჩემო ნიაჲო,  
 ნუ სჩაგრაჲ ტყეში ობოლსა,  
 ღოუბელო ცაში მჟრინაჲო,  
 ნუ ემუერები კაკოსა,  
 ღოუბელო, შავო მკურაჲო,  
 უსახლო გებრაღებოდეს,  
 მე კისრად ვიღებ, ღოუბელო,  
 რაც იმას ებრაღებოდეს\*\*)

## V

არის ხელოვნებაში ისეთი ღირებულება, რასაც აქვს მნიშვნელობა ხანგრძლივი, მუდმივი, საკაცობრიო. „დონკიხოტში“ სერვანტესს აღებულ აქვს მოუფიქრებელი უშიშრობა, თავვანწირვა, სილამაზე. „ჰამლეტში“ შექსპირი იღებს მეორე თვისებას ადამიანისას — შიშს, რყევას, გაუბუღაობას. ვერც ერთი წმინდა წყლის მარქსისტი ვერ იტყვის რომ ან ერთი გმირის თვისება, ან მეორის შეეფერება მართო ერთი დროის საზოგადოებრივ პირობებს, ან ერთი რომელიმე კლასის წარმომადგენელს. დონკიხოტისთანა გამბედავი, ან ჰამლეტისთანა გაუბედავი შეიძლება იყოს დღეს, ამ რამოდენიმე საუკუნის შემდეგ, ბურჟუაც, და პროლეტარიც, თავადიც და გლეხიც. ასეთივე მუდმივი თვისებაა საერთოთ აღამიანის და არა მართო კლასის, რასაც ჩვენ ვნახულობთ ჰეტეს, რუსთაველის შემოქმედებაში. ათასნაირი გადატრიალებაც რომ მოხდეს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ადამიანს არ გამოეღევა მისწრაფება შემეცნებისაკენ („ფაუსტი“) და მშვენიერებისაკენ („ვეფხისტყაოსანი“).

\*) „Мертвые души“

\*\*\*) ი. ჭავჭავაძე ტ. I.



ეს მუდმივი და საკაცობრიო არ მოდის ზეციდან, დედამიწაზე ვასკვნილ საზოგადოებრივ ურთიერთობაშია მისი აკვანიც. მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობის და ამ იდეალების სვლა-განვითარება არ ემჭიდროება მის მხარეს. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გადატრიალება მოხდა და ამიტომ სწრაფად მოვახდინოთ გადატრიალება ხელოვნებაშიც, — ამისთანა მარქსიზმი არ არსებობს ქვეყანაზე.

ხელოვნებას თავისი კანონები აქვს. ხელოვნურად ვერ შევქმნით ხელოვნებას. ძალა-უფლების ჩამოგდება, მისი ხელში აღება შესაძლებელია და, — მაინც და მაინც მუშა-გლეხი უნდა იქნეს პოეტი, მხატვარიც ეს შეუძლებელია. პუშკინი იქნება, თუ აკაკი წერეთელი აკრძალო, და რომელიმე — პროლეტარული სახელის გამოსულ მოზგოსნეა ხელი უწყო, ამითი არაფერი არ გაკეთდება ხელოვნების ფრონტზე.

— ყოველ შემთხვევაში იყო ერთი მკითხველი, რომელიც სხვანაირად და უფრო დიდად, ვიდრე პროლეტკულტები, აფასებდა ბალზაკის — როგორც მხატვრის, სოციალურ მნიშვნელობას, და ეს მკითხველი იყო კარლ მარქსი — ამბობს ერთი რუსი კრიტიკოსი \*).

მარქსი ბევრ რამეში არ დაეთანხმებოდა ახლანდელ მარქსისტებს, რომლებიც ხელოვნების საკითხებს უყურებენ ძალაუფლების სამრეკლოდან. ხელოვნებას ხელოვნური ზომებით ვერ გაიხდი პოლიტიკური მიზნების მისაღწევ საშუალებად. ხელოვნებას არ არგია პოლიტიკური დების ხშირი აკოლა. პუშკინსაც კი შეეშალა მუსიკა, როცა აპყვა და დასწერა ცნობილი „Клеветникам России“.

სააგიტაციოდ დაწერილი ლექსი, ან დახატული სურათი არ ეკუთვნის ხელოვნებას, იმას არ აქვს, ამიტომ, არც საავტორიო მნიშვნელობა ამ სიტყვის ნამდვილი და მალალი შინაარსით. ნამდვილი მხატვარი ბუნებრივად მქმნის ესთეტიურ ღირებულებას, რომელიც ვერ თავსდება იმის საზოგადოებრივი იდეალოგიის ფარგლებში. და ამისთანა ქმნილება უფრო მისაღებია ე. წ. უტილიტარული მხრივაც, უფრო მეტ სარგებლობას მოატანს ის, ვიდრე რომელიმე ნაკანახევა ნაწარმოები.

წინა წერილშიაც ვთქვი, რომ მარქსს და ენგელსს ძალიან მოსწონდათ პეტე, მაგრამ ეს მოწონება ხელს არ უშლიდა მათ დაეწუნებიათ პეტე როგორც საზოგადოებრივი მოაზრე. მოვიყვან ერთ შენიშვნას, რომელიც გამოვიდა Deutsche Bresseler Zeitung-ში 1847 წელს \*\*).

— „პეტეს თავის სახეულებებში ორნაირი დამოკიდულება აქვს თავისი დროის გერმანიის საზოგადოებასთან. ხან მტრულად უყურებს, ცდილობს გაექცეს იმის სისაძაგლეს მაგალითად „იფიგენიაში“ და საერთოთ, იტალიაში მოგზაურობის დროს. ის აჯანყებულია ის ხანებში საზოგადოების წინააღმდეგ, როგორც პოეტი, პროფეთოსი და ფაუსტი. ის მაშინ მეფისტოფელური მწარე დაცინვით უმასპინძლებოდა იმ საზოგადოებას. ხან ეგუებოდა მეგობრულათ, მაგალითად მეტ წილ მოწინაურებულ „Ksenien“-ში და ბევრ პროზაულ ნაწილებში,

\*) Красная Волна, 1921 II. А. Маршев пролетарские „пролетарское искусство“.

\*\*\*) ამ შენიშვნას ავტორათ ზოგი მკვლეველი თვლია მარქსს, ზოგი — ენგელსს.



ადიდებს, მაგ. Mackenrupen“-ში, იცავდა მოწოლილ ისტორიულ მოძრაობის წინააღმდეგ, მაგალითად ყველა იმ ნაწილებში, რომლებშიაც ის ეხება საფრანგეთის რევოლუციას. არც ის შეიძლება ითქვას, რომ ჰეტე იწონებდა ზოგიერთ მხარეს გერმანიის ცხოვრებისას და იწუნებდა სხვა მხარეებს. უფრო ხშირად, რომ სხვა და სხვანაირ გუნებაზეა, გაუთავებელი ბრძოლა იმის გულში, ხან გენიოსი პოეტი ებრძვის სადაველ გარემოცულ სულიერ სიცარიელეს, ხან როგორც ფრთხილი მალალი მოხელის შვილი ვეიმარში საზოგადოებრივობას იკავენს იმასთან და ეჩვევა. ამნაირად, ჰეტე ხან უხარმაზარია, ხან დაპატარავებულია, ხან ამაყი, დამცინავე, ქვეყნიერების მოძულარი გენიოსი, ხან ანგარიშის გამწევი, კმაყოფილი და დახურდავებული ფილისტერი. ჰეტეს არ შეეძლო დაეძლია გერმანიის სულიერი სიცარიელე, პირიქით, ეს სიცარიელე სჯობნიდა ხოლმე უდიდეს ჰეტეს, და ეს არის საუკეთესო მაჩვენებელი იმისი, რომ შიგნიდან („von innen heraus“) არ დაიძლევა ის. ჰეტე იყო მეტად უნივერსალური, მეტად აქტიური ბუნების, სავსე იყო სასიცოცხლო ძალებით და შილერივით ვერ გაეჭვოდა სინამდვილის სიგლახეს, თავს ვერ ამოაფარებდა კანტის იდეალს, რომ თავი გადაერჩინა. ის იყო მეტათ შორსმჭვრეტელი და არ შეეძლო არ დაენახა რომ ამნაირი გაეჭვოდა და თავის ამოფარება გამოვიდოდა ბოლოს და ბოლოს უარესი სიცარიელის მიღწევა. მისი ტემპერამენტი, მისი ძლიერება, მთელი მისი სულიერი მიდრეკილება ისეთი იყო, რომ ის გვერდს ვერ აუხვევდა პრაქტიკულ ცხოვრებას, და ცხოვრება, რომელსაც ის ხედავდა იყო დაგლახავებული. სძულდა ის ცხოვრების სფერო, მაგრამ მიჯაჭული იყო ამ სფეროზე, რადგან აქ უხდებოდა მოქმედება. ეს დილემა იყო მუდამ ჰეტეს წინ და რაც ხანი გადიოდა მით უფრო იღლებოდა ბრძოლისგან ეს მძლავრი პოეტი და ეფარებოდა ვეიმარის უმნიშვნელო მინისტრის კალთას. ჩვენ ჰეტეს არ უსაყვედურებთ ბერნესავით და მენცელივით, რომ ის არ იყო ლიბერალი, ვუსაყვედურებთ, რომ თუნდ ხანდახანობით ფილისტერი ხდებოდა, არ ვუსაყვედურებთ, რომ გერმანიის თავისუფლებისთვის არ ყოფნიდა აღფრთოვანება. ჩვენ იმას ვუსაყვედურებთ, რომ ანგარიშს უწევდა მოსახლეობრივ შიშს დიდი ისტორიული მოძრაობის დროს და მსხვერპლად მიჰქონდა ამ შიშის წინ ადგილ ადგილ გამოჩეცილი (stellenweise hervordringend) სწორი ესთეტიური გრძნობა. ვუსაყვედურებთ იმას კი არა რომ სასახლის პიროვნება იყო, იმას რომ, როცა ნაპალეონი ასუფავებდა გერმანიის ავგის თავლებს (августовы конюшни) ის ჩაფლული იყო სულ პატარა სასახლის პატარა ინტერესებში. ეს საყვედური გვაქვს ჩვენ არა მორალური არა პარტიული მოსახრებით; არამედ უაღრესად ესთეტიური და ისტორიული თვალხედვით ჩვენ არ ვუდგებით ჰეტეს არც მორალური, არც პოლიტიკური, არც ადამიანური სახომით. აქ ახლა ჩვენ ვერ შევჩერდებით იმდენად რომ ჰეტე გამოვიკვლიოთ მთელ იმის დროსთან, მთელ იმის მწერლურ წინაპრებთან და თანამედროვეებთან დაკავშირებით, არ ვფიქრობთ აქ მისი განვითარების სვლის და ცხოვრების გზის გამოკვლევას. ვკმაყოფილდებით, ამიტომ მხოლოდ იმით, რომ აღვნიშნავთ უბრალო ფაქტებს.

მარქსს შესაძლებლადაც და აუცილებლობითაც შიანდა დამოუკიდებელი ესთეტიური მიდგომა ხელოვნების საკითხებთან. დამოუკიდებელი იმ მხრით, რომ პოლიტიკურ პარტიული მოსახრება არ უნდა ახდენდეს გავლენას ამ მიდგომაზე ეს უნდა დაიხსომონ კარგად იმ მარქსისტებმა, რომლებიც პოლიტიკურ პარტიულ ხეებს იქით ვერ ხედავენ ესთეტიური ღირებულების ტყეს.





## მარქსიზმი და ხელოვნება.

### II.

მარქსიზმის მონისტური ბუნება, როგორც აღვნიშნეთ, იმ გარემოებაში მუდამდებია, რომ მატერიალისტური თვალთსაზრისი შემეცნების ყოველ დარგის წარმოშობისა და განვითარების პრობლემაში თავიდან ბოლომდე ლოდიკურად გატარებულია. დრო და სივრცის კანონები ობიექტის პრიმატის მხილებაა, ხოლო ობიექტის პრიმატი *an sich* რეალისტური მატერიალიზმის ამოსავალი წერტილია. ლოდიკურად და არსებითადაც დრო და სივრცის კანონების უარყოფა მოვლენათა შემეცნებაში ნიშნავს ულტრა-იდეალისტურ თვალთსაზრისზე დგომას. ამის საუკეთესო ილლიუსტრაციას წარმოადგენს ტრანსცენდენტალი ფილოსოფია, რომლის ავტორის—(კანტის) კომპერნიკალურმა ნაამაგარმა ერთის ხელით მოსპო და გაანიავა ობიექტის მძლეობა და ნით რეალობის შემოქმედებითი უნარი ტრანსცენდენტალ სუბიექტს მიაკუთვნა. ან სუბიექტის ან ობიექტის პრიმატი შემეცნების პრობლემაში ასეთია დილემა, რომელიც ბუნებრივად წამოიჭრება ლოდიკურად განვითარებულ აზროვნების წინაშე, და რომელიც მატერიალისტურ მსოფლ-მხედველობის მიერ უკანასკნელის სასარგებლოდ არის გადაჭრილი.

ს. დევდარიანი „აღმოაჩინა“ ხელოვნებაში „ისეთი ღირებულება, რომელიც არ ემორჩილება განსაზღვრულ დროის და სივრცის კანონებს და რომელიც თან არ მიჰყვება განსაზღვრულ სასოგადოებრივ ურთიერთობის წარმავლობას“ („მნათობი“ № 7—8) სად არის ეს ღირებულება ფორმასა თუ იდეაში—ამაზე ს. დევდარიანი ჯერ-ჯერობით არას ამბობს. მეორე კითხვა: ნუ თუ ხელოვნების ყოველ დარგში იპოვება ასეთი მძლე და მარადი ღირებულება? მაგრამ ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, უნდა ვიკითხოთ, არსებობს თუ არა ერთგვარი საზომი ამ „მარად“ ღირებულების ახსნისა? ასეთი საზომი ჩვენმა ავტორმა დროსა და სივრციდან სადღაც გადაიტანა და ეს „სადღაც“ ბუნებრივად არის ხეფმპირიული ქვეყანა: ემპირია დროული ვრცეული კანონებით ხასიათდება, ხოლო ამ კანონების უარყოფით ემპირიაც ისპობა და მის ნაცვლად იქმნება ტრანსცენდენტური ქვეყანა, სადაც სუბიექტის პრიმატი თავის უაღრესობას აღწევს. ს. დევდარიანი დროისა და სივრცის კანონების უარყოფით



მატერიალისტურ თვალთსაზრისს „ანიავებს“ და პირწმინდა იდეალიზმის ნიადაგზე დგება.

რა არის ხელოვნება საზოგადოთ, რა მნიშვნელობა ენიჭება მისთვის? მერიტად კითხვაზე ხელოვნების პრობლემაში დეცდარიანი არავითარ პასუხს არ იძლევა, რითაც აიხსნება მთელი ის წინააღმდეგობანი, რაიც ახასიათებს ავტორის „ესთეტიკურ შეხედულებათ“. არ ენარა მარტო იმის თქმა, რომ ხელოვნება „იდეოლოგიის ერთ-ერთი დარგია“. იდეოლოგიის დარგია არა მარტო ხელოვნება, არამედ რელიგიაც, ფილოსოფიაც ნეცნიერებაც და სხ. მაგრამ ყველა ამ დარგება სვისი საკუთარი სპეციფიურობა აქვს, თისი გაშლა მათი ბუნების ყოველმხრივი მხილებაა. მაგრამ, სამაგიეროთ, ს. დეცდარიანს ნიუძღვის ერთი დიდი „ღვაწლი“ მარქსიზმის წინაშე: მან „აღმოაჩინა“ მარქსიზმში ისეთი რამ, რაც სრულიად უცნობი იყო დანაოჩენთათვის. თურნე ნუ იტყვიოთ, „ხელოვნებაში არის, მარქსის მოაღვრებით, წინაარსის გარდა ფორმაც“. ეს უსათუოდ „ახალი აღმოჩენაა“, რომელსაც ჩვენი ავტორის შემოქმედებაში (ვაი ასეოს შემოქმედებას) „განსაკუთარებელი“ იდეოლოგია დეცდარიანი „აღრმაყებს“ ამ თეზისს: „ფორმა ეძლევა შინაარსისაგან დამოუკიდებელი და საუკუნოების გამძლე მნიშვნელობა“. საინტერესოა სად დასწერა მარქსმა ფორმის მარადისობის შესახებ, ან და არსებობს (ან არსებულა) ისეთი მარქსისტი, რომელსაც ეთქვას სადმე, რომ ფორმას „ეძლევა საუკუნოების გამძლე მნიშვნელობა, და, ბოლოს, შეიძლება თუ არა ცვალება პროცესში მყოფ შინაარსს დაუკავშირდეს უცვლელი, მეტაფიზიკური ფორმა? ჩვენი ავტორი სცნობს, რომ „ხელოვნების სარჩული მასალა, შინაარსი დაკავშირებულია საზოგადოებრივ ურთიერთობასთან“. აქ თითქოა ს. დეცდარიანი არ პლატატობს მატერიალისტურ თვალთსაზრისს, ის აძლევს „საუკუნოებით გამძლე“ ფორმას. უკანასკნელი თვალსაზრისი მეტაფიზიკურია. მეტაფიზიკის და მატერიალიზმის გაერთიანება—სახიფათო ეკლექტიზმია, ხოლო ეკლექტიზმში საუკეთესო ფორმაა დუალისტური აზროვნების, რომელსაც მარქსი, ენგელსი, ლენინი და პლესანოვი დაუხდობლად ებრძოდნენ.

ჯერ კიდევ ძველად, არისტოტელემ იცოდა, რომ განვითარება შეუძლებელია თუ შინაარსი არ იჭერს ფორმას და ფორმა შინაარსს, ფორმა და შინაარსი ორგანიული მთლიანობაა და პირველის განვითარება, ლოდიკურად მეორეს განვითარებასაც ნიშნავს. ხელოვნების ფორმა არის სტილი. სტილი რომ მუდმივი და „საუკუნოების გამძლე“ მნიშვნელობის იყოს, მაშინ რით უნდა აიხსნას სტილის ისტორია. ბაროკო, როკოკო, გოტიკა—რა არის თუ არა სტილის, ე. ი. ხელოვნების ფორმის ისტორია! და ბოლოს გვიპასუხოს, ჩვენმა ავტორმა რას წარმოადგენს ფუტურში, ექსპრესიონიზში და სიმბოლიზში ფორმის მხრით? თუ ფორმა ხელოვნებაში „საუკუნოებით გამძლე“ მნიშვნელობისაა მაშინ ექსპრესიონისტული შემოქმედება ფორმის მხრივ უნდა თავსდებოდეს ვთქვათ იმპრესიონიზმში ვინდ ფუტურში, სიმბოლიზმში და სხ. თუ ფორმა მრავალგვარია, მაშინ ის მუდმივიც არ ყოფილა. ვინაიდან მრავალგვარობა განვითარების ნაყოფია.



ფუტურისტული და ექსპრესიონისტული შემოქმედების თემა ერთი და იგივეა: ქალაქი. მაგრამ ფუტურისტის მიერ ქალაქის განცდა სულ სხვაა, ვინემ ექსპრესიონისტის. ქალაქის დინამიკა, ქალაქის დაუსრულებელი ექსპანზია, აი რა არის ფუტურიზმის სული და გული. მატერიის ძლევა (ვერფელი, ქალაქის მოსპობით სოფლის იდილიის განცდა (კაიხერი, რობაქიძე) ქალაქით ადამიანის ნეკროფიზიკური ეგო-ს მძლეობის გამომჟღავნება (ე. ტოლღერი) — აი რა არის ექსპრესიონიზმის მსოფლიო-შეგრძობის პრობლემები. ერთი და იგივე ემპირიული ფაქტის სხვა და სხვა გვარი განცდა უპირველეს ყოვლისა სხვა და სხვა ფორმაში მჟღავნდება. ეს სხვა და სხვაობა ცოცხალი ილლიუსტრაციაა ფორმის ისტორიული ხასიათის. მართლა დიდი უვიცობა და თავჩედობაა საჭირო იმის მტკიცებისათვის თითქოს მაგ. ესქილის დროის ხელოვნების ფორმა იგივე იყოს, რაც ვ. კამენსკის (ფუტურიზმის საუკეთესო წარმომადგენლის), ვინდ ვ. ბოიუსოვის შემოქმედების.

ს. დევდარიანი გრძობს, რომ ფორმის მარადისობის მტკიცება მეტი სანიტუარო საქმეა. ის „არბილებს“ თავის დებულებას: „შეიძლება თუ არა აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ყოვლისა არ აქვს არაფითარი დამოკიდებულება ამა თუ იმ საზოგადოებრივ წესწყობილებასთან, რომ ის უფრო ცისაა, ვიდრე დედამიწის? ამ დასკვნას ჩვენ ვერ მოვიყვანთ მარქსის ნაწერიდან“ (გვ. 397). რასაკვირველია მარქსის ნაწერებიდან ჯერ ასეთ დასკვნას ვერ გამოვიტანთ. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მარქსთან, არამედ ს. დევდარიანთან. დევდარიანი კი გადაჭრით ამბობს: „ფორმის ეძლევა შინაარსისაგან დამოუკიდებელი და საუკუნოებით გამძლე მნიშვნელობა“ ამას არც დასკვნა სჭირია და არც გასკვნა; აქ ბირდაპირ არის მიღებული ფორმის აბსოლიუტური (მეტაფიზიკური) ღირებულება და მეტი არაფერი. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ავტორს ორი სტრიქონის ქვევით სურს „შეანელოს“ ეს თემა. ჩვენ ვიცით, მაგალითათა, რომ მარქსს უდიდეს მგონიათ მიაჩნდა ესქილი. ესქილმა აიღო ძველი თქმულება პრომეთეოსის შესახებ და შექმნა სახე მეურვეელი მებრძოლის არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გადადის საუკუნიდან საუკუნემდის, თუმცა საუკუნეების განმავლობაში იცემა ერთი წესწყობილება და მყარდება მეორე. არ შექმნილა დედა-მიწაზე ისეთი წესწყობილება, რომლის წინააღმდეგაც არ გამოსულიყო ახალი მებრძოლი ძალა და სხ. (იქვე). „ესქილი სიმბოლოა დაუსრულებელი ბრძოლის დამისწრაფების“, „ესქილის ქმნილებას დამოკიდებულება აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, მაგრამ ეს ურთიერთობა არ ამოიწურება განსაზღვრული ისტორიული ხანით, განსაზღვრული დროით და სივრცით“ (იქვე). ასე „შეანელო“ ს. დევდარიანმა თავის დებულება. მაგრამ აქ საქმე გვაქვს საოცარ კურიოზთან: ერთი: პრომეთეოსის სახე, როგორც სიმბოლო არსებულ წესწყობის ესქილის შემოქმედებაში არის იდეა და არა ფორმა. ფორმა და იდეა სხვა და სხვა, თუმცა ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენენ. ს. დევდარიანმა წამოაყენა ფორმის საკითხი და თავის თეზისის საილუსტრაციოდ მოიყვანა პრომეთეოსის სახე ესქილის შემოქმედებაში, სადაც მოცემულია ის მხოლოდ როგორც იდეის და არა ფორმის



პრობლემა. ჩვენმა ავტორმა უღეთოდ აურიო ერთმანეთში ფორმა და იდეა. და გამოვიდა არა მსჯელობა, არამედ ნამდვილი აჯაფ-სანდულო. უფროც სჩანს ამ ორი საკითხის ურთიერთ გარჩევასთან დევდარიანი მსჯელობა და ამწყურალად არის.

მეორე: პრომეთეოსის სახე იწვევს სიამოვნებას არა იმიტომ, რომ თითქოს ის მარადი იყოს, არამედ იმიტომ რომ პრომეთეოსის იდეა ესთეტიურ ფორმებშია გადმოცემული. პრომეთეოსის სახე სრულიადაც არ არის ნუდმივი და უცვლელი. პრომეთეოსი შეიქმნა განსაზღვრულ დროსა და სივრცეში, და მას მნიშვნელობა ჰქონდა ამავე დროსა და სივრცეში. როდესაც პროლეტარიატი იმარჯვებს, როდესაც ის მსოფლიო მასშტაბით აარსებს თავის სახელმწიფოს, ამყარებს განსაკუთრებულ წესწყობას, მაშინ ვეკითხებით დევდარიანს, არის თუ არა მისაღები პრომეთეოსი, როგორც სიმბოლო არსებული წესწყობის წინააღმდეგ მებრძოლის? თუ მისაღები არ არის მაშინ ეს პრომეთეოსის იდეა (რომელიც თქვენ ფორმა გგონიათ) ისტორიული ხასიათის ყოფილა, და როგორც ასეთი განსაზღვრული დროითა და სივრცით შემოფარგლული.

დევდარიანი უარყოფს კლასიურ ხელოვნებას. „მარქსის ნაწერებში არ არის მითითება ე. წ. კლასიურ ხელოვნებაზე“. ამ დებულებას დევდარიანი ასაბუთებს იმით რომ... მარქსი, ჰკითხულობდა ჰეტეს, თუმცა ის არ იყო პოლიტიკური თანანობაზრე ამ გენიოსი პოეტის“. ახალი კურიოზი. ახალი არევა საკითხის.

ხელოვნების კლასიურობის პრობლემა უკავშირდება ხელოვნებაში იდეოლოგიის საკითხს, რომლის გარკვევას შევეცდები უკანასკნელ წერილში.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# ბიბლიოთეკა

..





# გალაქტიონ ტაბიძე. „ჯონ რიდი“

ტფილისი. 1924 წ.

„ჯონ რიდი“ (ანუ „ორი პოეტი რევოლუციის ცეცხლში“, დავუმატებდი მე; ეს ორი პოეტი—ჯონ რიდი და გალაქტიონ ტაბიძე არიან)—„ჯონ რიდი“, ეს პოემა,—არის მოგონება მე-III ინტერნაციონალის კეთილშობილ დელეგატსუ, მოგონება, რომლის ფონზე გადაწლილია რევოლუციის ცეცხლში მყოფ რუსეთის სამოქალაქო ომის სურათები.

გალაქტიონ ტაბიძე პირადად ლებულობდა მონაწილეობას რუსეთის რევოლუციაში. ამ მხრივ ის პოემა უნდა პოეტის დღიურად ჩაითვალოს; მაგრამ ეს უბრალო დღიური კი არაა: ეს არის, ასე ვთქვათ, თანტასტიური დღიური პოეტის, რომელმაც რევოლუცია სავსებით მიიღო, მაგრამ თავისი ლირიული სულის პრიზმით ასახა იგი. როდესაც ფიქრობ გალაქტიონ ტაბიძესუ, გრძობ, რომ პოეტი ყოველთვის რჩება თავის თავად, ერთი და განუმეორებელი. მისი პირველი წიგნიდან დაწყებული და „ჯონ რიდი“ გათავებული, იგი ყველგან ნაზია და ათრთოლებული. მე ვამბობ, რომ მხოლოდ გალაქტიონ ტაბიძეს შეეძლო პირადი და მასების განცდები და ნგრევის სურათები თანტასტიკის რკალში მოემწყვდია, მაგრამ ამავე დროს მატერულ რეალიზმს არ გასცილებოდა. ამიტომ იძლევიან „ჯონ

რიდის“ სტრიქონები იმ წითელი ყვავილების შთაბეჭდილებას, რომლებიც დარჩენილია რევოლუციის დროიდან.

როდესაც პოემას კითხულობთ, თქვენ თვეერიულად წარმოგიდგებათ თაღწინის ხანა, როდესაც რუსეთი უზარმაზარ კაცონს წარმოადგენდა, როდესაც ქარხნები და მინდვრები გაჩუმდნენ, როდესაც ადამიანს აწვალდნენ შიმშილისა და გაჭირვების კოშმარები, როდესაც კლასები დრტვინავდნენ, ხოლო ამ ხისლში მაინც შეუდრეკელად იდგა მუშის თიგურა, სოციალიზმის სხივებით განათებული.

აპოთეოზად ჩვენ ვხვდებით „შებინდებულ მირაჟს მწუხარებისას“. იმ კეთილშობილი პიროვნების აჩრდილს, რომელმაც ასე შეიყვარა სოციალისტური რუსეთი და თავისი სიცოცხლე შესწირა მას.

პოემაში მრავალი შესანიშნავი ადგილია. მე არც ერთს მათგანს არ მოვიყვან. შეუძლებელია ყველა საინტერესო ადგილების გადმოხეცვა.

„ჯონ რიდი“ ძვირფასია, როგორც მოგონება, როგორც რევოლუციის დღიური და აღსანიშნავია, როგორც პოეტური ნაწარმოები, რომელიც მომავალშიც არა ერთხელ მოხიბლავს და ჩააფიქრებს ადამიანს.

გ. ა.

## გ. მუხიშვილი „მ ს რ უ ლ ი რ ო მ ი“

სახელმწიფო გამომცემლობა 1924 წ.

საერთაშორისო ომის წარმომშობ მიზეზების და შედეგების შესახებ ქართულ ლიტერატურაში მოიპოებოდა მხოლოდ ჟურნალ გაზეთებში გაფანტული ცალკე ცნობები და ოგორც ამხ.

მუშიშვილის ბროშურის წინასიტყვაობაში ამბობს ამხ. გ. კ. „მეტად საჭირო იყო ცალკე შოომის გამოშვება, სადაც გაშუქებული იქნებოდა ომთან დაკავშირებული საკითხები“.





მსოფლიო ომის ათი წლის თავზე გასული წლის აგვისტოში კომინტერნის დადგენილებით ყველა ქვეყნებში ჩატარებულ იქნა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ აგიტაციის და პროპაგანდის კვირეული, რომლის მიზანი იყო პროლეტარული ძალების დარაჯება, მათი ამხედრება ახალი მოსალოდნელი საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ. ამ დროისთვის იყო დაწერილი ამხ. გ. მუშიშვილის ბროშიურა „მსოფლიო ომი“.

ამხ. მუშიშვილის წიგნი დაყოფილია 6 თავათ: 1. ომი ომამდე. 2. ომი და მეორე ინტერნაციონალი. 3. ომის შედეგები. 4. ომი ომის შემდეგ. 5. ომი ომის წინააღმდეგ და 6 ისტორიული დოკუმენტები („ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“ ო. ს-დ. შ. პ. ცეკას მანიფესტი დაწერილი ამხ. ლენინის მიერ და მისივე „სოციალისტური ინტერნაციონალი და მისი ამოცანები“).

წიგნის პირველ თავში მუშიშვილი აშუქებს ბურჟუაზიული საზოგადოების იმპერიალისტურ ბუნებას, აღნიშნავს იმ ეკონომიურ წინააღმდეგობათ, რომლებიც ადრიდანვე არსებობდნენ წარსული ომის მონიწილეთა შორის. შედარებითი ციფრობრივი მასალით ამ საკითხთან ერთად ავტორი ცხადყოფს კაპიტალისტური საზღვარსწიფოების გაფაციცებულ მხადებას ომისთვის სამხედრო ხარჯების და ჯარის რაოდენობის გადიდებით. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატის ლაღატს მუშათა კლასისადმი ომის დროს ამხ. მუშიშვილი ახასიათებს თავის წიგნის მეორე თავში. მეორე ინტერნაციონალში შემაჯალი სოციალ-დემოკრატული პარტიები ომის დაწყებიდანვე თავის ქვეყნის ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდნენ, მისი ინტერესების ერთგულ დამცველებათ გამოვიდნენ.

ასეთი გრანდიოზული, ისტორიანი არ გაგონილი ომის შედეგებიც ცხადია რომ მეტად დიდი იქნებოდა. „ომში მოკლულ, დაჭრილ და უკვალოთ დაკარ-

გულთა რიცხვი ზოგიერთების გამოანგარიშებით უდრის ექვსწლეულს, ზოგიერთი კიდევ მეტს“. რუსეთის სწერს ამხ. მუშიშვილი თავის წიგნის შესამე თავში. განხარდა სახელმწიფოების დავალიანება, განადგურდა მუშრონობა და წინსვლის ხაცულად კაცობრიობამ უკან დაიხია, უფსკრულში გადაიჩეხა, რომლიდან ამოსვლის საშუალებას მას არ აძლევს ცნობილი ვერსალის ზავი. ამ ზავის დახასიათებას, რომელიც ფაქტიურად ომის გაგოდებების წარმოადგენს ამხ. მუშიშვილი იძლევა თავის წიგნის მეოთხე თავში.

ომის საშინელებანი და მისი განმანადგურებელი შედეგები საგონებელში აგდებს კაცობრიობას და იგიც ეძებს ომის საწინააღმდეგო საშუალებებს, კმნის „ომის მოსპობის თეორიებს“, მაგრამ კაპიტალიზმის მოსპობამდე ინპერიალიზმის მოსპობა, ომების სამუდამოთ თავიდან აცილება შეუძლებელია; ვერც ბურჟუაზიული პაციფიზმი. ვერც „ერთა ლიგა“ და მეორე ინტერნაციონალის „გაფიცვის თეორიები“ აქ საჭმეს ვერას უშველის, როგორც ვიცით წარსული ომის მხარე გამოცდილებით მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალი რაზმავს პროლეტარიატის ფართო წრეებს კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ მხოლოდ ის შეეცდება ახალი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომით გადასცევის, როგორც სწერს ამხ. მუშიშვილი თავის წიგნის მეხუთე თავში.

თავის წიგნის შედგენის დროს ამხ. მუშიშვილი სარგებლობდა რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურით ხსენებული საკითხის შესახებ. წიგნი სულ 118 გვერდს შეიცავს და ამის მიხედვით მოკლეთ გაშუქებულია ომთან დაკავშირებული ყველა საკითხები. უმკველია გათვითცნობიერებული მუშა და გლეხი სიამოვნებით ისარგებლებს ამხ. მუშიშვილის წიგნით, მით უმეტეს რომ წიგნის ფასი (50 კაპ.) ხელმისაწვდომია.



კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848-1850 წლებში

ფრ. ენგელსის წინასიტყვაობით. თარგმანი გერმანულიდან  
სახელ. გამომცემლობა.

მარქსის ისტორიული ნაწერების გაგება მოითხოვს ისტორიის ცოტათ თუ ბევრათ ცოდნას. ჩვენი ახალგაზრდა ნკითხველი ვერ გაიგებს, მაგალითათ, „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“, თუ წინ და წინ არ გაეცნოს საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას.

მარქსი, როგორც არა უ-თხელ გვი-თქვამს, შესანიშნავია თავისი კვლევის მეთოდით. ისტორიული მოვლენების შესწავლით ის ხმარობს ამ მეთოდს, ამითი არკვევს, ხსნის, სინათლეს ჰფენს. მაგრამ ფაქტების ახსნა-გარკვევა უფრო ადვილი მისაღწევი იქნება მკითხველი-სათვის, როცა მკითხველმა იცის თვითონ ფაქტები.

სახელმწიფო გამომცემლობა ძალიან კარგს იხამს, თუ მარქსის და ენგელსის „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848-1850 წ.“ სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1871 წ.“, „18 ბრიუმიერი და ბონობარტი“, „რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია - გერმანიაში“ თან მიაყოლებს შესათერის ხანების ისტორიასაც ცალ-ცალკე წიგნებათ, რასაკვირველია.

თარგმანი ამ წიგნაკის მოსაწონია ხაერთათ. კარგათ დაცულია ქართული ენა. აკლია აქა იქ გაშალაშინება, მაგალითათ:... „არსებითათ თებერვლის

რესპუბლიკამ შეავსო კიდევ ბურჟუაზიის ბატონობა, რადგ ნაც მან, როგორც თინანსიურ არისტოკრატიას ისე საფრანგეთის მთელ ბურჟუაზიას პოლიტიკური ძალა უფლება გაუნაწილა“... „ყველა რევოლუცია ახალი დროისა, დაწყებული ინგლისის მე-XV II საუკუნის რევოლუციიდან, ამ ტიპიურ შტრიხებს ატარებდა“... „ახლა ხელმეორეთ აშკარა გახდა, რომ ახლაც, იმ დროიდან ოცი წლის შემდეგ, რომელიც აღწერილია ამ ბროშიურაში, შეუძლებელი ყოფილა მუშა და გლეხის ბატონობა“... „მაშინ, როდესაც მისი პარტია ნიმხვდარი იყო, რომ ბონობარტეს მნიშვნელობის თანდათანობითი ზრდა გარემოების ბრალი იყო მხოლოდ იგი ბონობარტე კი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერ ამის მიზეზი მისი ჯადოსნური სახელია და ეს გარემოება, რომ იგი მაიმუნით ბაძავდა ნაპოლეონს“ ..

ხაზგასმული მაქვს აქ ის, რაც, ჩემის აზრით, არ ამშვენებს ქართულ ენას. არ ვარგა ერთი და იმავე წინადადებაში, „როა“, „რომ“, „როგორც“ „რომელიც“.

თარგმანის ღირებულება მაინც მაღალ დონეზე დვას ამ პატარ-პატარა დანაკლისების მიუხედავათ.

ს. დ.



# შინაარსი:



ვერდი.

- |  |    |
|--|----|
| 1. ფ. მახარაძე — ლენინი . . . . .                                | 3  |
| 2. გ. ტაბიძე — ეს არის გუგუნი მოელი ეპოხის . . . . .             | 14 |
| 3. ვ. მაიაკოვსკი — ქუჩა დამარხვაზე. თარგ. კ. ჭიჭინაძის . . . . . | 15 |
| 4. კ. ნადირაძე — ვლადიმერ ლენინი . . . . .                       | 17 |

## მხატვრული ლიტერატურა

### საქართვლო

- |   |    |
|---|----|
| 5. გ. ქუჩიშვილი — 9 იანვარი . . . . .           | 21 |
| 6. მ. ჯავახიშვილი — ჯაყოს ხიზნები . . . . .     | 25 |
| 7. დ. ჩიანელი — საქართველო ციკლონებით . . . . . | 62 |

### რუსეთი

- |   |    |
|---|----|
| 8. ი. ერენბურგი — ტრესტი დ. ე. — თარგ. შ. ასათიანის . . . . . | 83 |
|---|----|

### დასავლეთი

- |  |     |
|--|-----|
| 9. კარლ ოტტენი — მარსელ მარტინეს — თარგ. კ. ჭი — ს . . . . .       | 109 |
| 10. სტეფან ცვაიგი — კარლ ლიბკნეხტის ქანდაკს თარგ. მ სიფე . . . . . | 112 |
| 11. ერნსტ ტოლდერი — კაცი მასსა — თარგ. ვრ. რობაქიძის . . . . .     | 113 |

## პრიტიკა, მხატვრობა და მემარეზი

- |  |     |
|--|-----|
| 12. ბ. უდენტი — 1924 წელი ქართულ ლიტერატურაში . . . . .                          | 157 |
| 13. გ. კალანდარიშვილი — ლიტერატურული სილუეტები: კონ. ჭი-<br>ჭინაძე . . . . .     | 172 |
| 14. ე. ყაზბეგი — დ. ყაზბეგის და ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიული მა-<br>სალები . . . . . | 176 |

## მეცნიერება და პუბლიცისტიკა

- |   |     |
|---|-----|
| 15. ს. გორგაძე — ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან . . . . . | 201 |
| 16. გ. მუშიშვილი — სისხლიანი კვირა . . . . .                      | 207 |
| 17. ლ. ტროცკი — ლენინი ტრიბუნაზე . . . . .                        | 223 |
| 18. მისივე — ფილისტერი რევოლიუციონერის შესახებ . . . . .          | 228 |
| 19. ს. დევდარიანი — მარქსიზმი და ხელოვნება . . . . .              | 235 |
| 20. შ. დუდუჩავა — მარქსიზმი და ხელოვნება . . . . .                | 245 |

## ბიბლიოგრაფია

- |   |     |
|---|-----|
| 21. გ. ა. — გალაქტიონ ტაბიძე „ჯონ რიდი“ . . . . .   | 251 |
| 22. ველითელი — მუშიშვილი „მსოფლიო ომი“ . . . . .  | 251 |
| 23. ს. დ. — კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 — 1850 წ. ფრ. ენ-<br>გელსის წინასიტყვაობით თარგ. გერმანულიდან სახ. გამომ-<br>ცემლობა . . . . . | 253 |



# 1924 წელში გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“-ს რვა ნომერი უკიდ წიგნათ

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი ავტორების  
ღირსმესანიშნავი მხატვრული და მეცნიერული  
ნაწერები:

პოეზია: გალაკტიონ ტაბიძე. ლექსები: ქარი, აღმოსავლეთი,  
ჯონ რიდი, ჩვენ პოეტები საქართველოსი და სხ.

ვ. გაფრინდაშვილი. ლექსი: ბაკუნინი და მთელი რიგი გერ-  
მანული ექსპრესიონისტული ლექსების თარგმანისა.

ვ. გორგაძე. ლექსი: ლენინი ბავშვი და სხვ.

კ. ნადირაძე. წითელი მოედანი და სხ.

ლექსები: კონ. ჭიჭინაძის, ნ. ზომლეთელის, აღ. კუთათელის  
და სხ.

პროზა: დემნა შენგელაია, რომანი სანავარდო და სხ.

მინ. ჯავახიშვილი: კვაჭი კვაჭანტირაძე და ჯაყოს ხიზნები.

პ. იაშვილი: ფერადი მუშტები (მოთხრობა).

მოთხრობები: ივ. იფსელიანის, ი. სოსანიშვილის, პ. ირეთე-  
ლის, ნოზაძის და სხ.

დრამა: პ. კაკაბაძის: ძველი დაფები.

წერილები თეატრზე და ხელოვნებაზე დაიბეჭდა: ი. ტოფაძის,  
ა. ფალავას, მ. ქორელის, სეთ დევდარიანის, ვ. დუდუჩავას, გ.  
გორბაჩევის, კ. ზდანევიჩის, ს. ჩიქოვანის, ე. ლუნბერგის და სხ.

მონოგრაფიები: გ. ლეონიძის და ეკ. უაზბეგის.

მეცნიერული წერილები: აკად. ნიკო მარჩის, ს. კაკაბაძის,  
მოსე გოგიბერიძის, ს. გორგაძის და სხვ.

განსაკუთრებით შინაარსიანი იყო რუსეთის და უცხოეთის  
თარგმანი. კონსტანტინე ჭიჭინაძემ მოგვცა რამოდენიმე სანიმუშო  
თარგმანი, ბაირონის, ვერპარნის, ტოლერის, მ. მარტინეს დი სხ.  
ითარგმნებოდა აგრეთვე რუსეთის რევოლუციონური პოეზია: ბლო-  
კი, მაიაკოვსკი, ესენინი და სხ.

თარგ. პროზიდან აღსანიშნავია ილ. ერენბურგის „ტრესტი“  
ლებელინსკის „შვიდი დღე“ და სხ.

„მნათობი“-ს თვითველ ნომერს თან ახლდა სანიმუ-  
შოთ დამზადებული რეპროდუქციები.



ს. ს. ს. რ.

გეოგრაფიული  
ბიბლიოთეკა

# ტყავტრასტი

ს. მ. უ. ს.

ტფილისი, კომუნალური ქ. № 82, ტელ. 3—08.

**ტყავტრასტის** ქარხნები და ფაბრიკები ამუშავებენ:

სხვა და სხვა ხარისხის **ტყავეულობას**: შაგარს, რბილს, შიგ-  
რიმს სამოძრაო ღვე-  
დებს.

**ფეხსაცმელებს**: სამხედრო და სამოქალაქო  
სახის, წულებს, სანდლებს,  
სკოროხოდებს, აგრეთვე ნა-  
ბდის და ქსოვილის თბილ  
ფეხსაცმელს.

**ქსოვილს**: ნაბდებს, ტუყურკებს, საოფლეს და  
სხვა ნაწარმოებს საქაოვ და ნაბდის  
მასალისაგან.

**უნაბირის**: სატყავო-სავალანტერიო და სამგზავრო ნა-  
წარმოებს და აგრეთვე სამხედრო მოკაზმუ-  
ლობას.

**სალკე ვაჭრობა**

სთბლის მაგარი. ნ, ტელ. № 8—95

**ბითუმად ვაჭრობა**

სთბლის მაგარი. 62, ტელ. № 12—85

დექნები:

№ 4, სალდათის ბაზარი.

№ 2, დეზერტირის ბაზარი



# სავალდებულო დადგენილება № 5

1924 წლის დეკემბრის 22 ძ. ტფილისი

ქ ლაჭვი ეტლებს და ლინეიკების

## მოკრაობის შესახებ

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. 15 იანვრის № 7 სავალდებულო დადგენილებით განსაზღვრულ წესების დასამატებლად აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. მეეტლე, რომელსაც სურს დაიწყოს ქალაქში წარმოება, აუცილებლად უნდა იყოს ტფილისის მსუბუქ მეეტლეთა მშრომელ გაერთიანებულ საზოგადოების წევრი.

§ 2. მეეტლეს უფლება ეძლევა დაიწყოს წარმოება მას შემდეგ, როდესაც აიღებს შესაფერ წარმოების ნებართვას ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილებიდან.

§ 3. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილება წარმოების ნებართვას გასცემს მას შემდეგ, როდესაც წარმოების მსურველი განყოფილებაში წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) მოწმობას, რომ ის არის მსუბუქ მეეტლეთა მშრომელი საზოგადოების წევრი,

ბ) ტფილისის აღმასკომის ვეტერინალურ ქვეგანყოფილების ცნობას, რომ მას ჰყავს სამუშაოთ სავარგისი და საღი ცხენები.

გ) მეეტლეთა მშრომელ საზოგადოების მოწმობას, რომ მას აქვს სამუშაოთ სრულებით გამოსადეგი ეტლი და მისი მორთულობა.

დ) მოწმობას, რომ იცის ცხენების ხედნა, ქალაქის ადმინისტრაციულით დაყოფვა, უმთავრესი სახელმწიფო, პარტიული, პროფესიონალური და სხვა დაწესებულებების მისამართები და ქალაქის ქუჩების მდებარეობა.

**შენიშვნა:** ამ საბუთების წარმოდგენის შემდეგ განყოფილება, განიხილავს-რა განცხადების შინაარსს, აძლევს წარმოების დაწყების მსურველს შესაფერ ცნობას აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში წარსადგენათ, რომლის ძალით მას საშვალეება ეძლევა შეიტანოს შესაფერი გადასახადი აღმასკომის სალაროში. ფულის შეტანასთან ერთად /სალარო აძლევს მეეტლეს რიგობით ნომერს. ფულის შეტანის ცნობისა და ნომრის წარმოდგენის შემდეგ ადმინისტრაციული განყოფილება აძლევს განმცხადებელს



შესაფერ წარმოების ნებართვას და ამ გარემოებას წერილობით აცნობებს მსუბუქ მეეტლეთა მშრომელ საზოგადოებას.

§ 4. მეეტლეთ შეიძლება იყოს ორივე სქესის მოქალაქე, რომლებსაც შეუსრულდათ სრული 17 წელიწადი და თუ არა აქვს რაიმე ფიზიკური ნაკლი.

§ 5. სამუშაოთ გამოსვლის წინ მეეტლე ვალდებულია დაანკურსდეს შემდეგი პირობები:

ა) ცხენები და ეტლები სრულიად უნაკლოთ უნდა ჰყავდეს დასუფთავებული.

ბ) მეეტლე უნდა იყოს ჩაცმული სუფთად და ამავე სავალდებულო დადგენილებით განსაზღვრულ ტანსამოსში.

გ) მას უნდა ჰქონდეს წარმოების ნებართვა და მეეტლეთა მშრომელ საზოგადოების საწევრო წიგნაკი.

დ) უნდა იყოს სრულებით ფხიზელი და მუშაობის წარმოების მთელი დროს განმავლობაში არ დალიოს რაიმე მავარი სასმელი.

ე) საღამოთი სამუშაოთ გამოსვლის დროს წინა სანათურები ჰქონდეს სრულებით გასუფთავებული, იმ მიზნით, რომ სანათურებზე აღნიშნული ეტლის ნომრები სჩანდეს გარკვევით.

§ 6. მეეტლე ვალდებულია წარმოების მოწმობასთან ერთად მიღებული ეტლის ნომერი წარმოების დაწყებამდე მიაკრას ეტლის იმ ადგილას, რომელსაც პირდაპირ უყურებს ეტლში მჯდომში მოქალაქე და იგივე ნომერი ეტლის ზურგზე დააწეროს გარკვევით ლამიზად და საკმაო ზომის ციფრებით.

§ 7. მეეტლეს სასტიკათ ეკრძალება: გინება, უწმაწური სიტყვების წარმოთქმა — და უსაქმო და უმიზნო ლაპარაკი ვისთანაც არ უნდა იყოს და მოძრაობის დროს პაპიროსის მოწვევა.

§ 8. მეეტლე ვალდებულია მოქალაქესთან იყოს ზრდილობიანი და მასთან ილაპარაკოს თქვენობით.

§ 9. დამქირავებელთან ანგარიშის გასწორების დროს მეეტლე ვალდებულია დაითვალდებულოს ეტლი და დარწმუნდეს დარჩა დამქირავებელს რაიმე ნივთი თუ არა; თუ შემთხვევით მან აღმოაჩინა რაიმე დარჩენილი ნივთი, ის ვალდებულია ასეთი დაუყოვნებლივ წარადგინოს მეეტლეთა მშრომელ საზოგადოებაში, რომელიც ნივთის აღმოჩენას დაუყოვნებლივ აცნობებს ტელეფონოგრაფიით ტფილისის მ/გ. მილიციის სამმართველოს.

§ 10. მეეტლეს ევალება მ/გ. მილიციის თანამშრომელთა წინადადებით უბედურ შემთხვევისაგან დაზარალებულ პირთა დანიშნულების ადგილზე უფასოთ გადაყვანა.

§ 11. მსუბუქ ეტლზე მგზავრთან შესაძლებელია მიღებულ იქნეს ბარგონ ფუთამდე, ლინეიკაზე — კი მგზავრთან ერთად 25 ფუთამდე.

§ 12. ეტლში მგზავრთა რაოდენობა განისაზღვრება:

ა) ერთი ცხენიანში — 2 მგზავრი.

ბ) ორ ცხენიანში — 4 მგზავრი.

შენიშვნა: სასტიკათ აკრძალულია მგზავრის მეეტლეს გვერდით დასნა.



§ 13. სრულებით აკრძალულია სასახლის ქუჩით ყოველგვარი ცხენშებ-  
მული გადასაზიდი საშუალებით შიმოსვლა.

§ 14. ის მეეტლე, რომელსაც ავადმყოფობისა ან სხვა რაიმე შექმნილ პი-  
რობების გამო საშვალება ერთმევა იმუშაოს ეტლზე პიოდათ, ვადდებულია  
აღძრას შუამდგომლობა თავის მაგიერ სხვა პირის სამუშაოზე დაშვების შესა-  
ხებ, მეეტლეთა მშრომელ საზოგადოების წინაშე, რომელსაც დადგენილი შუამ-  
დგომლობის შემდეგ ადმინისტრაციული განყოფილება აძლევს დროებით მო-  
მუშავეს შესაფერ მოწმობას, რის შემდეგ შესაძლებელია დროებითი მომუშავე  
შეუდგეს მუშაობას.

§ 15. ტფილისში მომუშავე მეეტლესათვის დაწესებულია მუშაობის წარ-  
მოების დროს შემდეგი ტანისამოსი:

ა) ზაფხულობით (1-ლ მაისიდან 1 ოქტომბრამდე) გრძლათ შეკერილი თე-  
თრი ხალათი და ასეთივე მატერიიდან შეკერილი რუსული ქუდი, წვიმიან დროს  
ყველასათვის ერთნაირათ შეკერილი საწვიმარი.

ბ) ზამთრობით (პირველი ოქტომბრიდან 1-ლ მაისამდე) — რუსული ნაო-  
კებიანი შუბა შავი მატერიიდან შეკერილი, თავზე ბუხრის ქუდი ფერად შავი.

§ 16. მეეტლე ვალდებულია იცოდეს 1924 წლის 15 იანვრის № 7 და  
ამა სავალდებულო დადგენილებათა შინაარსი და გარდაუვალათ ასრულებდეს  
მათი შინაარსით განსაზღვრულ წესებს.

§ 17. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პირები დაისჯებიან  
ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების  
გამგის ადმინისტრაციული ხელისუფლებით — იძულებითი მუშაობით ან დაბა-  
ტიმრებით ორ თვემდე ან და ჯარიმით ას მანეთამდე.

§ 18. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სუხიშვილი.

ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ხმალაძე.

მდივანი ცქიტიშვილი.



# სავალდებულო დადგენილება № 6



1924 წელი დეკემბრის 22 ქ. ტფილისი

## ქალაქ ტფილისში ეტლ-ფურგონების სადგომ ადგილების შესახებ

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლის 15 იანვრის № 8 სავალდებულო დადგენილების § 2 შესაცვლელად, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ადგენს:

§ 1. ქ. ტფილისში ნებადართულია ეტლ-ფურგონების დგომა ქვემოაღნიშნულ ადგილებზე შემდეგი რაოდენობით:

### 1-ლი სამილიციო რაიონი:

1. ლენინის ქუჩა წყალსადენის ქვევით—4 ეტლი, 3 ლინეიკა და 3 ფურგონი.
2. ყოფ. ზემელის აფთიაქთან—8 ეტლი.
3. ცირკთან მდინარე შტაკერის გასწვრივ—10 ეტლი.

### მე-2 სამილ. რაიონი:

1. რუსთაველის პროს. კავჭავაძის ქ. კუთხე—7 ეტლი.
2. რუსთაველის პროს. ბესიკის ქ. კუთხესთან—6 ეტლი.
3. რუსთაველის პროს. დავითის ქ. კუთხესთან—8 ეტლი.
4. რუსთაველის პროს. სასტუმრო „ორიანტი“-თან—6 ეტლი.
5. საამართლოს ქ. ოლქის სასამართლოსთან.—3 ეტლი.
6. სალამოს 10 საათიდან თეატრთან რაოდენობის განუსაზღვრელად.

### მე-3 სამილ. რაიონი:

1. სოლოლაკის ქ. კუთხ, თავისუფლ. მოედანზე ქვევით—8 ეტლი.
2. შტაბის ქუჩა—8 ეტლი.
3. პუშკინის კუჩა ქარვასლის გასწვრივ.—8 ეტლი.
4. სოლოლაკის და ტროცკის ქ. კუთხე—3 ეტლი.
5. რტიშჩევისა და ამაღლების ქ. კუთხე—2 ეტლი.
6. რუსის ქუჩა მწვანე ბაზრის ქვევით—4 ლინეიკა, 3 ფურგ.
7. რუსისა და სამების ქუჩის კუთხე, სამების ქუჩაზე—3 ეტლი, 5 ლინეიკა.
8. ნერსესიანი და ბარონის ქ. კუთხე, ბარონის ქუჩაზე—4 ლინეიკა, 4 ფურგ.
9. ხაზინის ქუჩა, ხაზინის ქვემოთ—3 ეტლი.

### მე-4 სამილიციო რაიონი:

1. ბებელის მოედანი—4 ლინეიკა, 4 ფურგონი.



**მე-5 სამილიციო რაიონი:**

1. აბანოს ქუჩა—8 ეტლი, 3 ლინეიკა.
2. რკინის რიგი—10 ეტლი, 10 ლინეიკა.
3. ბაზზის შესახვევი—4 ლინეიკა, 10 ფურგონი.



**მე-6 სამილიციო რაიონი:**

1. სადგურ ნათვლულთან—რაოდენობა განუსაზღვრელია.
2. საქონლის სადგურთან ნავთლულში რაოდენობა განუსაზღვრელია.

**მე-7 სამილიციო რაიონი:**

1. კახეთის მოედანი—8 ეტლი, 5 ლინეიკა.
2. ლაგოდეხის ქუჩა—3 ლინეიკა, 8 ფურგონი.

**მე-8 სამილიციო რაიონი:**

1. პეტრიცკის მოედანი—8 ლინეიკა, 8 ფურგონი.
2. თავისუფლების მოედანი—4 ეტლი, 3 ლინეიკა.
3. 19 თებერვლის ქუჩა, ყოფილ კომერციულ სასწავლებლის შენობასთან—2 ეტლი.

**მე-9 სამილიციო რაიონი:**

1. ნეკრასოვის ქუჩა კლარა ცეტკ. ქუჩამდე—8 ეტლი.
2. ნიკოლოზის მოედანი—3 ეტლი.
3. ფორესის ქუჩიდან კლ. ცეტკინის ქუჩამდე—10 ეტლი.
4. კოლონიის ქ. კამოს ქუჩის ქვემოთ—10 ფურგონი.
5. საბჭოს ქ. 4 ფურგონი.
6. პეტროვოვადის ქ. პლუხანოვის პრ. კუთხიდან—3 ეტლი.
7. ტურგენევის ქ. საბჭ. ქ. კუთხიდან—3 ეტლი.

**მე-10 სამილიციო რაიონი:**

1. კამოს ქუჩა სახილხო სახლთან—6 ეტლი.
2. ქსენიევის ქ. პლუხანოვის პრ. კუთხიდან—6 ეტლი.
3. კრილოვის ქ. პლუხანოვ. პრ. კუთხიდან—4 ეტლი.
4. კინოებთან საღამოს—3-4-მდე.
5. ტფილისის სადგურთან—ეტლები რაოდენობის განუსაზღვრ.
6. საბარგო სადგურთან—ფურგონები რაოდენ. განუსაზღვრ.
7. დეხურტირის ბაზარი—6 ლინეიკა, 2 ფურგონი.

§ 2. ამ სავალდებულო დადგენილებებს დამრღვევი პირები დაისჯებიან ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის ადმინისტრაციული ხელისუფლებით—იძულებითი მუშაობითი ან დაპატიმრებით 2 თვემდე, ან ჯარიმით 100 მანეთამდე.

§ 3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე  
სუხიშვილი.

ადმინ. განყოფილების გამგე ხმალაძე.

მდივანი ცქიტიშვილი.





ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ვკრებულების

## სავალდებულო დადგენილება № 7

24 დეკემბერი 1924 წ. ქ. ტფილისი

ქ. ტფილისში არსებული ყველა კერძო თუ საზოგადო ან სახელმწიფო სახლების რაოდენობის და მოქალაქეთა სწორი რიცხვის გამოსარკვევად და აგრეთვე ქალაქიდან გასულ მოქალაქეთა ილრიცხვის საწარმოებლათ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ბრეზიდენი ადგენს:

§ 1. ყველა კერძო თუ საზოგადო ან სახელმწიფო სახლების მეპატრონენი, გამგენი ან მმართველ-მოიჯარადრენი ვალდებული არიან განაახლონ 1925 წლის 1-ლ იანვრიდან ორი თვის განმავლობაში საბინაო დავთრები.

§ 2. 1925 წლის საბინაო დავთარში შეტანილ უნდა იქნას ახალი სამისამართო ბარათებით ყველა სახლის მდგურები განურჩევლათ სქესისა და წლოვანებისა.

§ 3. სამისამართო ბარათი შევსებულ უნდა იქნეს ყოველ სულზე ცალკე თანახმად პირადობის საბუთისა.

**შენიშვნა:** მცირეწლოვანთა ჩაწერა საბინაო დავთარში სწარმოებს მეტრიკული ამონაწერით, ან მშობლების პირადობის ბარათით.

§ 4. სასტიკათ აკრძალულია საბინაო დავთარში ისეთი მოქალაქეების წერა, რომელთაც არა აქვთ თავიანთი ვინაობის საბუთი.

§ 5. საბინაო დავთარში არ ჩაიწერებიან:

ა) ის წითელ-არშიელნი, რომელნიც სამხედრო სამსახურშია და სცხოვრობენ ყაზარმებში.

ბ) გამსახლში ან და სხვა ამ გვარ საპატიმრო ადგილას დატუსადებულინი.

§ 6. იმ მოქალაქეებზე, რომელნიც ორ გვარს, ან ორ სახელს ატარებენ უნდა იქნას შევსებული ორი ბარათი.

§ 7. სახლის მეპატრონენი, გამგენი ან მმართველ-მოიჯარადრენი ვალდებული არიან 24 საათის განმავლობაში მოსთხოვონ მათ სახლში მოსულ მდგურებს, განურჩევლად უკანასკნელთა პროფესია-მდგომარეობისა, — პირადობის საბუთი; ამ საბუთის მიხედვით შევსებული უნდა იქნას სუჟთად და გარკვეულად საბინაო დავთრის და სამისამართო ბარათის შესაფერი მუხლები და ერთად უნდა წარედგინოს სათანადო რაიონის სამისამართო მაჯიდის გამგეს. შევსება საბინაო დავთრის და სამისამართო ბარათის ევალება სახლის მეპატრონეს, გამგეს ან მმართველ-მოიჯარადრეს.



**შენიშვნა:** ამ მუხლში მოხსენებულ მოთხოვნილებების აღსრულება სასტუმროების და დგამით მორთულ ოთახების მმართველ-მოიჯაროდრებს ევალება 12 საათის განმავლობაში იმ შემთხვევაში თუ მდგური რჩება არა ნაკლებ 24 საათისა.

§ 8. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მოქალაქე უარს აცხადებს საბინაო დავთარში ჩაწერაზე, დავთრის მწარმოებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს გარემოება სათანადო სამილიციო რაიონის უფროსს, ამ უკანასკნელს კი ევალება სასწრაფო წესით გამოარკვიოს ასეთი პიროვნების ვინაობა.

§ 9. საბინაო დავთარი უნდა ინახებოდეს იმ სახლში, რომელსაც იგი ეკუთვნის და პირველ მოთხოვნილებსა მებრ უნდა წარედგინოს ქალაქის სამისამართო ბიუროს ან ქალაქის მ. / გ. მილიციას.

§ 10. ცნობების გაცემა სამისამართო ბიუროდან ხდება ფასდადებით.

**შენიშვნა:** უსასყიდლოთ სამისამართო ბიურო ცნობებს აძლევს მხოლოდ ადმინისტრაციულ, სასამართლო და საგამომძიებლო უწყებებს.

§ 11. როდესაც მოქალაქე მიდის ქალაქიდან, ან გადადის ერთი ბინიდან მეორეში, იგი ვალდებულია ეს გარემოება და თავისი სრული და სწორი მისამართი აცნობოს იმ პირს რომელსაც აქვს დავალებული საბინაო დავთრის წარმოება.

§ 12. ყოველ საცხოვრებელ სახლში ბინები დანომრილი უნდა იქნეს რიგობით ნომრების დაცვით. საბინაო დავთარში მდგურები ჩაწერილი უნდა იქნენ იმის აღნიშვნით, თუ რომელ ბინაში უკანასკნელნი სცხოვრობენ.

§ 13. ყველა სახლის ალაყაფის კარების მარჯვენა მხარეს გაკრული უნდა იქნეს შესაფერი შავათ შეღებილი დაფა, რომელზედაც ცარცით უნდა აღინიშნებოდეს საჭირო ცნობები.

§ 14. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დაისჯებიან ადმინისტრაციული წესით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორ თვემდე, ან ჯარიმით 100 მანეთამდე.

§ 15. დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

§ 16. დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა ყველა სავალდებულო დადგენილებანი, გამცემულნი ამ საკითხის შესახებ, ჩაითვლებიან გაუქმებულად.

**ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის  
თავმჯდომარე ხუხიუშვილი.**

**ქალ. ტფილისის აღმასკომის ადმინისტრაციული  
განყოფილების გამგე ხმალაძე.**

**მდივანი ცქიტიუშვილი.**